

1895

# „მოამბე“

თვიური ჟურნალი

(წელწადი მეორე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში  
იმავსე შროგრაძით

116  
1895

ფასი ჟურნალისა გაზაფხვით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში.	1 წლით	6 თვით	3 თვით
	10 მან.	6 მან.	4 მან.
საზღვარ გარეშად . . . . .	13 მან.	7 მან.	5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩასე № 13.

წიგნას მადაზაებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათა შაურა, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, ანაფერა დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მოწერით ფულის შეღებვის კვატანცია ვაგვზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Tifliss, Redakcija „Moambe“.*

ვინც წლიურ ფასს ერთბაშად შემოიტანს, მიიღებს კედლის ქართულს კალენდარს 1895 წ.—სას.

05  
2-75

მ მ ა მ ბ ე

4



თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

116  
1895/24

წელიწადი მეორე

430

№ I

ი ა ნ ვ ა რ ი, 1895



ტფილისი

Дозволено цензурою. Тифлисъ 3 Января 1895 года.

სამხრეთდასავლეთის  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

I ხის ბაჭი.—პოემა ვაჟა-ფშაველასა . . . . .	ბპ. 1
II რაზია ბედნიერება?—ზღაპარი დიკენსისა, თარგმ. კონ. ნიკოლაძისა . . . . .	21
III პატარა რომანი.—მოთხრობა მატეილდა სერასოსი, თარგმანი . . . . .	45
IV აივანგო.—რომანი ვალტერ სკოტტისა, თარგმანი (გაგრძელება) . . . . .	78
V ცაცხლითა და მახვილითა.—რომანი გენრაჟ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ყ.—ძისა (გაგრძელება). . . . .	110
VI სახალხო პოეზია და მისი საკვდაგოგო და საეხთბითი მნიშვნელობა.—III.—მ. კელ—ძისა . . . . .	1
VII ევოლიუცია სალირიკო პოეზიისა საზრანგეთში მე. XIX საუკუნეში.—III. IV.—კიტა აბაშიძისა . . . . .	29
VIII რძე და მისი სხვა-და-სხვა ვხარად გამოყენება.—I.—რძე, მისა თვისება, შედგენილება, წარმოქმნა და გარემოებანი, რომელთაც იმას თვისებასა და შედგენილებასე რაიმე გავლენა აქვთ.—პროფესორის გ. შეტრიაშვილისა. . . . .	49
IX ბიბლიოგრაფია.—М. Плохинский — Поселение грузинъ въ Малороссіи въ XVIII в. — Е. Такайшвили — Сигель грузинскаго царя Ваграта IV (1827 — 1072). — წმ. დიდი მოწამე, კასეთის დედოფალა ქეთევანი.— Е. Н. Вѣгичевъ — Разведение чайнаго куста на Кавказѣ . . . . .	77

436

## ქ რ ო ნ ი კ ა :

- X **შინაური მიმოხილვა.—ქართული მწერლობა.—მწერლობის საჭირო მასალა.**—ქართველს კაცს ხელმძღვანელი აკლია.—ჩვენი მწერლობის ამაგი.—საზოგადოებამ მწერლობას გაასწრო ზრდაში.—ორი ტიპი გაზეთებისა.—ჩვენ პარტიული გაზეთები გვეჭირვება ეხლა.—მათი ავი და კარგი.—აშკარა ბრძოლა კი არა, მელური ჰრყენის მწერლობას.—მობრძანდით, იბრძოლეთ!—**ნ. ნაკვალაძისა . . . . . 90**
- XI **ჩემი დღიური.—საახალწლო.**—კარგი ჩვეულება.—ნუ წავბაძავთ.—როგორ მოვიდა წარსული წელიწადი.—ბ-ნი გუნია და მისი კალენდარი.—ჩვენი „მოღვაწენი“.—რით არიან თურმე ისინი შესანიშნავი.—წინასწარმეტყველებანი ახალის წლის გამო.—ახალი ქარი და მისგან აღძრული იმედი.—მისამკვლევნი.—**ა. ხანკელისა . 105**
- XII **უცხოეთის მიმოხილვა.—წარსული წელიწადი.**—**v**  
**ნ. ნაკვალაძისა . . . . . 115**
- XIII **განცხადებანი.**
-

ხ ი ს ბ ი ჭ ი

I

წვიმდა, ელავდა, ღვარები  
 მთის ფერდობებზედ დიოდენ,  
 ჩაუღლით ჩაჰიფეს ბაღასი,  
 დაბლა სეკებში სვიოდენ.  
 მოაგორებდენ ღოდებსა,  
 ისმის დანდგარი, ჩსურანი.  
 მთისად მთა დატეკებული,  
 კლდე, კლდეს მობმული, კერანი,  
 ირჩევს დამის წყუდიადში,  
 სასარლად აუორებული;  
 სეკში ბობოქრობს მდინარე  
 მუვირალი, გაღორებული.  
 გაღმა სსვა მოსჩანს ფერდობი  
 დიდი, შავის ტყით ფარული,  
 როსტომის მრისხანება აქვს  
 და თან სინაჲე ქალური.  
 იქ ბეჭი იცის ირემი,  
 დათვი და ღორი ძალული.  
 მათ მონადირე აწუსებს  
 ქურდულად შემოპარული.  
 იქ კანნი რადი სცხორებენ...  
 მოკამკამებენ წყარონი,  
 ჩაღა-ჩადუნას პირს ჰბანენ  
 ტურფანი გასასარონი.

ნამი ჩამოღის წვიმისა,  
 დაბლა ფოთლებზე სმაწრობს;  
 ქვეით კი ისევ მდინარე  
 მოსთქვამს და აწრ-ზაწრობს.  
 სხვა ხმა არსადაც არ იმის:  
 არც მკვლეი ღმუის არსადა,  
 მელის ხაილსა, ბუს კიკილს  
 ვერსად იშოკით ფასადა.  
 გადაიყარა წამცა,  
 ვარსკვლავნი დახნდენ დასადა.  
 სველია ნაწვიმობითა  
 ბაღასი, ტყე და ფოთოლი.  
 კაცი ვინმე სჩანს ხის ძირას  
 მობუზვით, როგორც თბოლი;  
 თოფი აქვს მიუხედავად  
 იქვე წიფელზე, მარჯვენა;  
 მერთოლარე ტეტხლი უნათებს  
 მჭმუნჯარეს შირისასესა.  
 ზის მკერდ მაშურობით ტეტხლისკე,  
 ჩიბუსს ეწევა დინჯადა,  
 კარგია შესასედაკად,  
 წამოსადეკად, ბიჭადა.  
 მარცხნით მკერდს სისწრაფო უჩანს  
 თითბრისა მასრებიანი,  
 მარჯვენისკე საპირისწამლე  
 თეთრი, იმ სპილეს ძელიანი;  
 წელზე ხანჯარი არტყა  
 ძმად საგულისსმო, ფხანანი.  
 ზის თავისათვის მარტოკა,  
 ფიქრობს სკალანდელს ცდისასა:  
 მოჭკვლავს, თუ არა ნადირსა,—  
 ფიქრით არკვევდა იმისა.  
 ეს დღე ტყუილად იარა,

ვერსით რას გახდა ღონესა;  
 შესვდა ნადირსა—ვერ მოკლა,  
 ვითომ ესროდა სწორესა;  
 ღრუველ ესროლა არმებსა  
 ახლავს, ანც ისე შორესა,  
 უჭირველებიკ დაიქრენს,  
 თავს ეკლებოდნენ გორებსა.  
 საღამო სასწიე თხარაშა  
 თავს წამოადგა ღორებსა...  
 ესროლა, მაგრამ დაუფდა,  
 თავში იშენდა ტორებსა.  
 მიტომ მჭმუნვარებს ვაჟვანი,  
 ფიქრისას აგებს ყოველსა.

II

«ეი, ძმობილო, ძმობილო!»  
 გაღმიდამ კანმა იძახა.  
 შეძერთაღმა მონადირემა  
 შირჟვარი გამოსისხა:  
 — ღმერთო, შენ ჟვარა დამწერე,  
 ნუ გამხდი საკშმაკოდა,  
 მიშველე, ღომისის ჟვარო,  
 შეშინებულე ამბობდა.  
 წამო, ძმობილო, ნუ ჭკრთები,  
 კაცი ვარ შირ-ჟვარის მწერელი;  
 ნუ გეგონები ალ-ქაჯი,  
 ბორტის საქმის მწიკველი.  
 წამო, აქ წამო ჩემთანა,  
 გამაირბინე ჩქარაო;  
 მე ხომ გეძახი ესა ვარ,  
 სსკამაც ეს დამაბარაო.  
 აბა და რადას სტორტმანობ,

შე დალოცვილო, კმარაო!  
 უნდოდა მონადირესა  
 ჯერ დაქმნა: — არაო.  
 — ვაჟ! თუ ცუდად რამ მომიხდეს,  
 სთქვა... მიდის... გაქჩვარაო.  
 თათი გადიგდო მხარსედა,  
 ხანჯარი მოიგვარაო.  
 «მოსვალ, თუ არა, ძმობილო,  
 სთქვი შენის ფიქრის ძალაო!»  
 — მოგდივარ, თუნდა შამქამო,  
 დღე ველარ კნ.სო სვალაო.  
 თან უფრო ნაბიჯს უძატა,  
 ფეს-მარდად გაქმალაო.  
 ბეგრგან სეკებზე ჩასვლაში  
 კლდეებსაც შექალაო.  
 და აგრ ქვეით გამოჩნდა  
 აუვაკებული ჭალაო.  
 — აბა ვინა ხარ? ვინ მიხმობ?  
 აქედამ დასხალაო.  
 «წამოდეკო, სხლოდამ ესმის:  
 «ჩემო ძმობილო ბალაო!»

### III

აულო შატარა აღმართი,  
 გადაიხედა ქვეითა:  
 უურს უგდებს გარცხებული,  
 ყაყანი ესმის სვეითა;  
 მშენიერი ტაფობი  
 განათებული ცეცხლითა,  
 შემსდარი, შეზაკებული,  
 ნაკურთხი უფლის სელითა.  
 აქ მას რამდენჯერ უკლია...

ამას რას ვხედავს თქალთან?  
 ირგვლივ ირწევება ტაფობი  
 კერცხლის და ოქროს წყალობითა.  
 ხეებს სანთლები აკრია,  
 ცასა სწვდებიან ალითა.  
 უკავილნი ათასნი ირნი  
 დაკიდებულან თაკითა  
 დიდრონის სკებიდანა  
 ლაღ-იაგუნდის კაპითა.  
 დაჯარებულნი საღ-საა  
 მწვანეს საკერძოე დაბლან.  
 ჭკვირობს: აქ ეს ჭამათი  
 საით რამ მოიუკანაო?!  
 მართალსა ვხედავ, თუ ეს  
 ვსტუეუდები, მოიქმნანაო?  
 «წამოდი, ახლავ წამოდევ,  
 არ მოგვედობი გასაო?»  
 ერთმა მის ხელი მოჭკიდა  
 და წაიყვანა თანაო, —  
 ტურფად შამკობილს ტაფობში  
 თამამად ჩაიყვანაო...  
 ჩამოსვეს საღინაზედა,  
 ღვიწხოს აწვდიან ოსანაო:  
 გადაჭკრა მონადირემაც,  
 დიდ ხანს არ დასანაო.  
 რა ლეში არის სუფრანზე,  
 საით ვინ მოიტანაო?!  
 სულ თავში გოგოც ვინმე ზის  
 ტურფა, ლამაზი რამაო.  
 ჭკვიდამ არია სტუმარი  
 იმის ნისლივით თამაო.  
 წამოდგა ქალი ფეხზედა,  
 თითქოს იელვა ცამაო.

ჭაერში გაიკრიალა  
 მისმა წარვიით სმამალა:  
 «ნება გაქვით ზური მიერთვით,  
 ეს მოგახსენათ მონამო!  
 და შენც, სტუმარო ღვთისაო,  
 ამას გთხოვთ, იყო ფთხილად:  
 ძვლები არ დაგვიკარგო,  
 რაც მოგერგება წილადა».

## IV

აქამდის დაუქმებულნი,  
 შეუდგნენ ზურის ჭამსას.  
 ხორცს არიგებდენ სწორ-სწორად...  
 დახსოვნა უნდა ამას:  
 ძვლებს კი, მცირე ნაფსკერსა  
 იქვე აწუბდენ ერთად,—  
 არ დაეკარგათ ცოტაც კი,  
 ამაღ ფთხილობდენ მეტად.  
 ღვინოსა ჭსკამდენ თასებით:  
 მაღლი ახსენეს მიწისა,  
 ვინაც ქვეყნას განაგებს,  
 სკეს სადღეობლო იმისა;  
 «შენც გადღეობლო, ქალაო»,  
 ბოლოს დასძახეს ისიცა.  
 აქ მონადირემ იცრუა:  
 წილად ბეჭი ჭხვდა ირმისა,  
 «ხელ-უკუღმ» წყალში გადაგლო,  
 დღესაც წყალს მიეჭეს, მიდისა.  
 ძვლები გოგოს დაუწვეეს,  
 იმ წისკარით მნათობსა.  
 როგორაც წასა უთვლი,  
 იჭურობას ამკობსა.

მივიდნენ ძველების სათვლელად,  
 ქალთან მიქუხდნენ უკვლანი...  
 ხარ-ირმის ბეჭი დააკლდათ,  
 სად მიეყარა კერანი?  
 ეძიეს აქეთ-იქითა,  
 ამათ იყო ძიება.  
 აურეოლებს მონადირესა,  
 თითქოს შეჭუროდეს ციება.  
 ვაჟ თუ გავიგეს, ჭიუჭირობდა:  
 შემრისხონ, გამამწრონო;  
 მომკლან და აჭკე დამმარონ,  
 ზედ მაწა მომყარონო.  
 შემერთალს ზედ არცეი შესედეს,  
 ბეჭი გათაღეს ხისათ,  
 და სხვა ძველების ბეჭებში  
 ძველად ჩათვალეს ისათ.  
 ქალმა დაწერა ძველები,  
 რაც ერგებოდა ვისათ:  
 «ამას მოჭკლავსო ჭოლივი  
 გაცხივსუღს ჭკლის შირადა,  
 სადაც ბეჭი დგას ჩადუნა,  
 ლერწამი იცის სშირადა».  
 «ეს თიბათვეში მოკვდება  
 ბერის ბერიკას სელითა,  
 როცა მუჯაზედ ჩაუღის  
 მწვანის ბალახის თელითა,  
 ჩაივლის ჩათამაშდება  
 მადლ-მორეულის კელითა».  
 «ამას—ბერიძის ხირიმი  
 დგნალში, წითლის კლდის ძირასა.  
 ექნებათ კაი დლეობა  
 ბეჩავის ცოლ-შვილს კვირასა».  
 აიღეს ბოლოც ხის ბეჭი,

ვისად დასწერენ იმასა?  
 ეს ევირილობას მოკედება,  
 სწორედ ზარსკეკ დილსა.  
 ბაღიას ანაწერია,  
 რაგი გადილებს წვიმასა.  
 ასსენეს მისი სახელიც,  
 უხარის მონადირესა,  
 სწავლობს დღითა და საათით  
 გოგონას დანაშირებსა.  
 დაწერეს ათასობითა,  
 დასახეწერეს დუნია.  
 უგვირს ეს მონადირესა,  
 ძირს თავი დაუღუნია.  
 იმ დღის ნაკალს და ნატანჯსა  
 თვალთ მოკვიდა ღუღია.  
 დასძინებოდა ტკბალადა  
 და დაუსვენდა გუღია.  
 არ დავიწინოდა ბუნებას  
 თვისი წესი და რჯუღია:  
 გათენებულა, მზის სსიკმა  
 მთას მოჭკრა, — მართლის სუღია.  
 ბაღასს აღელეებს ნიაგი  
 დამწვარი, დადაგუღია.  
 გამოელეიმა, აუღლებს  
 თვის გარეშემო თვალსაო,  
 კელარსად ჯამათს ქსედავს,  
 კელარც იმ ტურფა ქალსაო.  
 აქ სადღა არის? ვინ ნახავს  
 იმ რქორ-ვერცხლის წყალსაო?!  
 რა იქნა ევაკალთ კონუბი,  
 კანს მოსტაცებდა თვალსაო?  
 აღარსად ნაცეცხლარია...  
 მართლან ტაფობი დიდია.

სეპტემბრე ვეკილთ მაგვიკრანდ  
 წვიმის ცურები ჭკიდას.  
 გარშემო მწვანობს ბუერა,  
 შუბუა, კენკეშა, დიუა,  
 და მუყალს თაგით-ბოლომდე  
 გაედვა ფოთლის სიდას.  
 გაჭლიკიბიეო ვეკლასა:  
 ტურთუად გალობენ ჩიტები,  
 ზირს ჭბანენ ბუნების მგოსნებს  
 ციური მარგალიტები.  
 ბალახი ჭკონის ბალახსა;  
 დილის ნიაკი ვეკლათა,  
 რეგორც რომ დედა მშობელი,  
 თავს დასტრიალებს მცველად.  
 ფურად-ფურადნი ვაკვიდნი  
 თითქოს გაშლილან სელად,  
 სამოთხეს მომაგონებენ,  
 მოციმიციმებენ ველად.  
 ტრფობისა ცეცხლი ციური  
 ბაკს უღვივისთ სცელად.  
 მთის ძირში სძინავს შავს ნისლსა,  
 სჩანს უზარ-მზარ გველად.  
 დაბლიდამ მთებსა შეჭურებს,  
 შუბლ-მოქუშული, ცურად.  
 მთები კი წარბსაც არა სძვრენ,  
 თითქოს დამსხდარან ძღვრად:  
 ქედები აუღვრათ,  
 მუშტებსა ჭმურებს კვერად.  
 «დინჯად იუაკით, ჭკვანანად»,  
 ამას გვეტყვიან რჩევად.  
 ღორკა-კურთხევა უფლისა  
 მოდის სევიდამ სეკად.  
 ტურთუა რამ შექმნა ბუნება,

ასე რამ გააფურადა!..  
 გელმა ხეს სჩინქის კოდლა,  
 ნისკარტს სკემს, დააკრიალებს.  
 რად გადმოსულა აწივი,  
 ბუმბერაზადა ტრიალებს.  
 ტყე სასაგებით სულს იტყვეს,  
 წყნარად ფოთოლი შრიალებს.  
 მდინარეც დაწყნარებულა  
 გუშინდლებს ღვარ ღრიალებს.  
 შემოქმედს მადლი შესწირა  
 ბაღამ შირ-ჟგერის წყრითა,  
 ის წუხანდელი ამბავი  
 გულში აქვს ღრმად, ზეკითა  
 გასწია სამინაოდა—  
 დინჯად, ვალიკნის წვეითა.  
 ფიქრობს ანუას უამბოს,  
 რაც ნახა, რაცა ჰსმენია,  
 ადვილ სათქმელი არ არის,  
 უთუოდ დასათმენია.

### V

— რა ჰქენ, ბაღავა? სად იუხვ?  
 იქნებ ტყუილა იარე?  
 გვიამბე მთა-ტყის ამბავი,  
 ნანახი გაგვიზიარე.  
 ამას ჰკითხავდნენ სოფლად  
 ბაღავს დიდი, მცირია.  
 კარგა ხანს ზასუსს არ მისცემს,  
 მოუგუმი პირია.  
 — რა ვქენ, ძმობილო, შენს მტერსა  
 ტყუილ-უბრალოდ კეთრიე.  
 ბერგანს ვნახე, ბერგულა

სიათაც გამოკესრიე.  
 ვერას მოკვიდე, წითელი  
 ვერ გავადინე ერთსაცა.  
 ბევრი ვეკედრე სეტებსა,  
 სანთელი უნთე ღმერთსაცა,  
 მაგრამ მინც და მინცა  
 უქმად დამირჩა კედრება.  
 უღვთოდ, იტყვიან და მართლაც,  
 აღბათ, არ თუ რა იქნება.  
 რამ გამემარჯვას, აღბათა  
 უფალმა არ თუ ინება!  
 გულში კი ფიქრობს:  
 მაცადეთ, ჯერ ჩამოგვიდგეს სთველია,  
 ჭნახვით, თუ არ გაემარჯვებ,  
 არ მომემართვის სეულია.  
 — იქნება სელ-შეკრული ხარ,  
 ან იქნებ თოფი შეკეკრას  
 და იმით აღი, მაცილი  
 თოფის ღიმანსე დავკეკრას.  
 შელტვიინე მკითხავსა,  
 მიწესს გავიგებს იგია.  
 მაგისტანს დროს, ხომ იცი,  
 შელტვიინება რიგია.  
 ამას ურჩევდა ბლასს  
 მარტიაშვილი გიგია.  
 — თოფი გექნება შეკრული,  
 ღიმანსა კსედაკ სწორადა.  
 მეც ბევრჯელ მაგრე მომსუღია,  
 წასულა რად გვინდა შორადა:  
 ერთისად დამიმიჩნებაკ,  
 მომჩვენებია ორადა.  
 უწმინდურს რასმე მოჭკლავდი:  
 ძაღლსა, უორანს ან ციცასა;

შეაღოცვინე, სჯობია,  
 მე დამიჯერე, ბიძისა.  
 — ეგ მართალია, ძოღან სამ  
 აქ ცოფიანი დარბოდა;  
 ის კი მე მოკვალ, სსკვ არა,—  
 ხაღიაც ამას ამბობდა.  
 — დოჯურის ძაღლი? ჭო, კიდეც,  
 იმიტომ სელი შაკვრია.  
 უწმინდურისა მოკვლამა  
 ეგ იცის, მუდამ მკვრია.  
 შეაღოცვინა თოფისთვის,  
 რჩევა არ დაუწუნია,  
 თუძცაღა სანადიროდა  
 თოფი არ გაუბრუნია:  
 სათიბ-სამკელი აღონებს,  
 ბრუნავს ზაფხულის სუნია.  
 მოკლის ყვირილობასა  
 უთმენლად უცემს გულია.

## VI

სთველია. ბრძამიანშია  
 ხარი-ირემი ყვიროდა,  
 თითქოსა დედა შეაღოცვდა,  
 გულ-ამოსკვნილი ტიროდა.  
 ხაღიაც პირდაპირ იჯდა,  
 ირმის ყვირილით ხარობდა:  
 ანგრეკდა არე-მაკრესა,  
 სატროფოს მომლოდნე წველობდა.  
 მთა-ბარის დაქცევას ჭკავს,  
 განა ბუღბული გალობდა!  
 ხარ-ირმის გნებათ დეკვას,  
 ფურსა ირემსა ჭეკარობდა!

წამოეზარა აქედამ,  
 ირემს მიუყვდა ახლელსა;  
 ყვირილი ესმის და ცდილობს,  
 უნდა გარჩევით ნახოსა.  
 რქებს იტრიალებს, ხის ტოტებს  
 ამტვრევს რქით, დაბლა ამხობსა.  
 უმიზნა. ჩახმაცხს მოსწია,  
 შემოაყენა ფესვკედა,  
 უნდა დასხლიტოს ჩახმაცხი,  
 თითს არ მოჭყეება წესკედა.  
 ამ დროს მეორე მხრიდანა  
 თოფისა ესმის გრიადი...  
 უუურებს, დაბარგანავდა  
 ხარი-ირემი ტიადი.  
 დაეცა მუხლის კვერბზე,  
 იბრძვის, ადგომის ცდილობდა.  
 რქას იბჯენს, ებრძვის სიკვდილსა,  
 გმირი გელარა გმირობდა!  
 ბაღია გამტენარბუელი  
 თვის დამარცხებას ჰკვირობდა.  
 ცდილობდა ხარი ადგომის,  
 ეზარებოდა სიკვდილი;  
 სატროფოს დაეძებს თვალებით,  
 ჰსურს ესმას მისი კივილი.  
 ვერ გაძლავს სიყვარულითა,  
 სწადის იმასთან სიბილი,  
 ხან მიძღვრად ყოფნა მთის ყურეთ,  
 ბუერი შიში და სიყმილი.  
 ყველას რად უყვარს სიცოცხლე,  
 რად ეჯავრება სიკვდილი?!  
 ნატყუარი სჭირს სუბკედა,  
 სიცოცხლის წამი ჰჭრებოდა,  
 საბრალო არის კაი ემა,

უნუტეშოდა კედებოდა!..  
 თავისი სატროფოს სურათი  
 ჭურში ესტებოდა;  
 სანამ წამი ყოფნისა  
 სამუდმოდ კვარგებოდა.  
 გადმოეტანა გაქვანი  
 მოლხენით, აბურის უღერითა  
 და დაბჯინა კისერში  
 ირემს სანჯარი წვერითა,  
 მოსჭრა თავი და გადადვა,  
 ჩამოუტყავა ფეხები.  
 ბაღია ესლა გონს მოდის,  
 გულს უკლავს დანასედეები.

## VII

თქვენს მტერსა ისეთი ყოფნა,  
 რომ ამას მოსწედა წელაი:  
 წავიდა ყურებ-ყურებით,  
 ნაბიჯი ჭჭონდა ნელაი;  
 მოვიდა მონადირესთან  
 და გაუწოდა სელაი.  
 — მუდამც სელ მოკემართების,  
 წინ-წინ ამისი მიჭმელია.  
 შუბლზე კი გაჭარხლებულსა  
 ოფლი ჩამოსდის ცხელია:  
 რასე დამღუპე? რა მიყავ?  
 საით რას ასწნდი-გასწნდა?  
 მე ესლა შენთან, ძმობილო,  
 უთუოდ ჩხუბი მწადაი.  
 მეც მოკეზარე ირემსა,  
 იქით რომ, ატერ ფლანტე,  
 ამოკვერ, ამოკეზარე,

ბეჭობზე აკებლათა,  
 გამოკუმიწნეოფიანა,  
 რა წინ საფარი აკატე.  
 შემოკაყუნე ჩანძხი,  
 გული ბუდეში ჩაკვიკე.  
 ველარ გავიგე და ამ დროს  
 შენის თოფის ხმა გავიგე.  
 — «ეგ რისთვის გიკვირ, მშობილო,  
 ალბათ მეც წილი მდებია,  
 მეც შენებრ ტყეში დაკვირები,  
 შემოვიარე მთებია.  
 მოდი ჯერ ტყევი გაკვირეთ,  
 მერე გავიყოთ სწორადა.  
 რა? ვითომ ძმანი ვუოფილვართ,  
 გავინაწილოთ ორადა.  
 რა ეთქმის? ესეც დასთანხმდა,  
 ნადირს დაუწუეს ტყეკება.  
 ბალიან ალარას ამბობს,  
 ახლა კი ენა დაება.  
 მსოფლოდ ეს ჭკითხა:  
 — ვინ არის, აქ საით გადმოხვეწილან?  
 ჰასუსად ესმის ბალიას:  
 — «ბოდბისსეკელი წიწილან».  
 ამ დროს მოესმით გრიადი,  
 ირემმა გადმოიარბინა.  
 — «აბა, ესროლე, მშობილო,  
 შენი ჯერია წინ-წინა».  
 ამას ეტყოდა ბალიას  
 ბოდბისსეკელი წიწილან.  
 ირემი ახლავს მოუდგათ,  
 ქორ-ბუდიანი ხარია.  
 ესროლას თოფი ბალიამ,  
 იქვე მის მარჯვენს მდგარია.

დაუცდა. თუმცა ფიქრობდა  
 უთუოდ მოკვლავ, მამა!..  
 გაიქცა, ირმის ფეხის ხმას  
 ტყემ მიამხსა: «კამა!...»  
 უძწერლად მწერიც არ კვდება,  
 რატომ არ იცი, ვაჟა!!  
 წავიდა, გაქცა ირემი.  
 დაუცდა თოფი, დაუცდა.  
 იმედი უკილავა  
 გაცრეკდა, როდი აუხდა!  
 მობრუნდა წიწილასაკე  
 გაწბილებულის სახითა,  
 წხვდავს, რომ ისიც გამქრალა  
 თავის გრძნეულის მხითა.  
 ირემი გატყავებული  
 იქვეა სრულად, მთლიანად.  
 ეს საკვირველი ამბავი  
 გულზე დაახნდა ზიანად.  
 «სად წახველ? სად დამემდეგ?»  
 სასკლეს ეძახდა ხმიანად...  
 «რას მემართება? რას ვსკვდავ?»  
 ბოლოს ეს სიჭკა ჭკვიანად.  
 ეძახს, ბერი ეძახს  
 დაბლაით, მერე ხიდამა,—  
 მხოლოდ ნიავი დუდუნებს,  
 სხვა ხმა არ ისმის ტყიდამა.  
 ციავი გადმოსწოლია  
 დაბლა ხეობას მთიდამა.  
 «ეს ჩემი საქმე ყოველი  
 მომდინარეობს ღვთიდამა».  
 ამისჯედ დადგა ბოლოსა,  
 მტყინედ იფიქრა იმას:  
 მაინც საჭაროდ ამის თქმას



უფალი იწეხს დიდადა,  
ამომთხრის ძაღ-ფოხიანად,  
საქმე წამიკა ცუდადა;  
რაც ვნახე, რაც გავიგონე,  
გულისკე ესუროს ქუდადა;  
იქნებ უისმათი რამ არის,  
საქმე რად მოკრთო მრუდადა?!  
არ ვიტყვი, მინც არ ვიტყვი,  
თუნდა გამკაფონ სუთადა.

VIII

ყაყანი ისმის სოფელში,  
ხალხი გროვდება ერთადა,  
რადაც საჭირო საქმეა  
და საგულისხმო მეტადა.  
ვევლას ბაღიას ეზოში  
მორბის კაცი და ქალია  
და იარაღში ჩამჯდარი  
იქვე ტრიალებს ბაღია.  
ხან მონადირეს უნქურენ,  
დაბლაც შიურბისთ თვალა...  
იქ ირმის ლეში აწევია,  
იქვე ძეკს თავ-რქა ირმისა.  
დიდს რქას უქებენ ძაღიან,  
ვევლას ჭსურს ხასკა იმისა.  
სასკლს უღოცრეენ ბაღიას  
მოჭარბეული კაცები:  
— მუდამაც გატემარჯება,  
ნუმც წართელი დაჭრხები.  
საით იარე? სად მოჭკალ?  
დიდი უოთილა ფრიადა.  
ბაღიამ თავისი საქმე

430

ოქტომბერი

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ძლიან გასვიდა.

— ოჲ, რაჲ ამ ტიაღს დაესდო,

ორჯულ, თუ სამჯერ გამქტა;

კინაღამ კლდეზე გადავრდი,

კინაღ სასღ-კარი დამქტა:

გაქტეულს ვეტიკებოდა,

გასვლბეული თან მუნა.

ირმისა დადვენაშა

ერთს დათვს წაგაწედი ნაწოლსა:

ამოდგა, ამომეტოტა,

მესროდა ქვას და ნათოსსა,

მაგრამ ძაღვეე გაიქტა,

თოვს ვერ გაუძლო ნასროლსა;

გაიქტა თავქვე ღრიალით,

სისხლი სდოდა ორგენითა,

არც ის დარჩება ცოცხლი,

თუმც ბერი მწეველა ბორგენითა.

ეური არ ვუგდე; წავიდა,

მე ირემს ვეშურებოდი,—

გამიქმედა, დაბოდა,

რა მდევრად ვეშურებოდი.

ბოლოს მოკასწარ და მოკვალ,

ვესროლე, დაგვტარია,

ბედამის წყარო რა ჰქვიან,

სადც ბრძამიანი გორია.

— ყოხადი არი ბაღია,

სწორედ ამ სოფლის ფასია,

მაგას ერთს ვაყვანობაში

ვერ შაკედრებით ასია.

სწორედ ამ დიდების დროსა

საქმე რამ მოხდა ნაკისა:

ლეშს ედვა ზეკით თავთანა

მხარი,—ეს უველამ იხილა.

ამ მხრიდან ბეჭი გადმოხტა,  
 თხილივით გამოიქვლია.

დაეჭა დაბდა, ხალხის წინ,  
 აუჩქარებლად, წყნარად,  
 არავის სული არ ესლო,  
 წადინით, თავის-თავად,  
 სხე იქ მოყოფის ერისა  
 გადაიღეს შავად.

ბალიან გაშრა, გაფითრდა,  
 მკვდარს დაემსგავსა თავდა.  
 კელარ უუურებს ბეჭს თვლით  
 შირ-დაღებულად .. ბნელია.

სხეებმა გასინჯეს ბოლოსა,  
 იმის არ ესლო სელია.

მაშინვე ხალხში შევიდა,  
 სისხლი გაუშრა, სმელია.  
 გასინჯეს, მართლაც ხისა,  
 ხალხტატარი კაცისა.

შირ-ჯუარს იწერენ ვეკლანი,  
 «ვიშ-ვიში» ისმის ხალხისა.

— აქ რაღაც ღვთის ძალა არის,  
 ვეკლ მთქმელია ამისა.

გვითხარ—რა იყო? რა მოხდა?  
 შენ უბოთ გელოდინება,  
 აგვისსენ, თუ გწამს უფალი,  
 ხალხი შენ გელოდინება.

გარედამ კაცი უძანის  
 ბალიას შირქვე მოაღუესა.

«არ ვიცი» ისმის იქიდან:  
 «ტყუა ღვარა მჭეს დონესა!»

— მაინც გვითხარი, ღვთის მადლსა,  
 სჯემ რად მოხდა ასეთი?

აქ ეს ხის ბეჭი რა არის?..

ვისაგან არის ნაკეთი?  
 «არ ვიცი», კიდეკ მოესმათ  
 და თანაც კვებსა ზედალ.  
 წაიღეთ, ხორცი თქვენია,  
 მე არ მეჭმევა, ვხედალ.  
 თუ ასე მოვსტყუვდებოდი,  
 რისთვის გამზარდე, დედალ?!  
 ბექს გუფ-მოდგიხედ ჰსინჯავდა  
 მოქუჩებულეი კრია:  
 «არ არის ძაგის მოკლეული»,  
 თურმე ზედ არა სწერია!  
 ეს წაიკითხეს... ამასაც  
 ეძახდენ: — მოდი, კმარალ!  
 არა მომხდარა ისეთი,  
 არ დახნდა, დაიფარალ.  
 აღბათ მოკლეული იზოგნა,  
 ტყუილი ჩაკვებარალ.  
 საღსმა სიმართლის ვაკებით  
 ძაღვან გაიხარალ.  
 მონადირემ კი ტყუილით  
 სიტონსლე გაიმწარალ.

—

თოფი გაუიდა ბაღიამ  
 და აღარც დადის ტყეშია.  
 ამბობს, რომ «აღარ მეჭმევა  
 ძმებო, ხადირის ლეშია!»

გაუნ-ფშაკელა



# რახია გედნიერება

ზღაპარი დაკენსას

## I

ლონდონში, ინგლისის უმთავრეს ქალაქში, სცხოვრობდა ორი ვაჭარი-ამხანაგი, რომელნიც ერთად ვაჭრობდნენ—სკრუჯი და მარლიე. მარლიე გარდაიცვალა და თავისი წილი ქონება სკრუჯს დაუტოვა. სკრუჯმა დამარხა თავისი ამხანაგი და დაიწყო მარტო თვითონ ვაჭრობა; წარწერა კი არ გამოუცვალა მაღაზიას; უწინდელადვე ეწერა: „სკრუჯი და მარლიე.“ ვინც არ იცნობდა სკრუჯს, ხან მარლიეს ეძახდა და ხან სკრუჯს და ისიც ხმას არ იღებდა ამაზედ; მისთვის სულ ერთი იყო. სკრუჯი ძალიან ძუნწი კაცი იყო, ნამდვილი ვაჭარი, ხელ-დამწვარი და ხელ-მაგარი. პირის-სახე დაბრეცილი ჰქონდა, ცხვირი—წამწვეტებული, თვალები—წითელი, ტუჩები—ჩალურჯებული და თმა—სულ გათეთრებული. იყო კაცი გულ-ჩახვეული და მიუკარებელი: არავის არ გამოელოპარაკებოდა და არც სხვა ვინმე სცემდა ხმას; კაცი არ მიიწვევდა და არც თვითონ ეპატიებოდა ვისმე. მთხოვრებიც კი არა სთხოვდნენ მოწყალებას და, თუ შემთხვევით გასცემდა ვისმე ხმას, არასდროს კეთილს სიტყვას არ ეტყოდა: სკრუჯისთვის სულ-ერთი იყო და კიდევაც ასე ერჩინა.

ერახელ, შობის წინა საღამოს, სკრუჯი იჯდა თავის კანტორაში და სწერდა. გარედ დიდი სიცივე იყო და სალხი კი არ დადიოდა—დარბოდა, რომ ცოტად მაინც შემთბარიყო. ჯერ მხოლოდ ნაშუადღევს სამი საათი იყო და სულ კი და-

ზნელდა, ისე რომ მახლოვებულ დუქნებში სანთლები ანთეს. სკრუჯი უჯდა თავისს საქმეს და ხან-და-ხან გაჰხედავდა ხოლმე თავისს მწერალს: მუშაობს თუ არაო; მწერალი იჯდა სტოლთან და წერილებს სწერდა სავაჭრო საქმეების შესახებ. სადგომში არა თბილოდა. საცა სკრუჯი იყო, ბუხარში ცეცხლი ძლივს ჰბუტავდა, მწერლის ოთახში კი თითქმის სულ ჩამქრალიყო. მწერალს ეწინოდა ქვა-ნახშირი მიემატებინა ცეცხლისთვის, რადგან ნახშირის ყუთი სკრუჯის ოთახში იდგა. მწერალმა ყელზედ თბილი შარფი მოიხვია და სანთელზედ ითბობდა ხელებს. მაგრამ განა შეიძლება ასე გათბობა?

უცბად შემოისმა მხიარული ხმა: ბედნიერი დღე მომილოცნია, ბიძია! ხკალ შობაა!

— რა სისულელეს როტავ, — უთხრა სკრუჯმა.

— რა სისულელეა, ბიძია! უეჭველია, სხვა რამ გინდოდათ გეტქვათ! შესცდით!

— სულაც არ შევმცდარვარ: არაფერი ბედნიერებაა და არ მესმის რა გამხიარულებს: ღარიბია, ჯიბეში გროშიც არ უქყავის და უხარიან კი!

— თქვენ კი, ბიძიავ, მდიდარი ბძანდებით, ფული ბევრი გაქვსთ და მაინც არა მხიარულობთ, — უთხრა დისწულმა.

სკრუჯმა არ იცოდა, რა ეპასუხნა და წაიბუტბუტა: სულ სისულელესა როტავ.

— ნუ გეწყინებათ, ბიძიავ: მე თქვენი გაჯავრება არ მინდოდა.

— მოდი და ნუ გავჯავრდები, როცა მაგისთანა სულელური ჩვეულება შემოუღიათ. დიად! ძალიან დღესასწაულია: უნდა ყველას ფული აჩუქო სადღესასწაულოდ; ნისიები გაისტუმრო, ანგარიშები გასწმინდო და ამასთანავე უნდა გახსოვდეს, რომ ერთის წლით დაბერდი და ერთი გროშითაც კი არ გამდიდრებულხარ. რაში მინდა ამისთანა დღესასწაული. შენ იღღესასწაულე, როგორც გინდოდეს, და მე კი ჩემებურად ვიდღესასწაულებ.

— თქვენ სულაც არ დღესასწაულობთ.

— არ დღესასწაულობ, არ დღესასწაულობ; შენ რა დავა გაქვს. რა სიკეთეს უნდა მოელოდეს კაცი დღესასწაულისაგან: ბევრი შეიძინე, განა?

— ქვეყანაზედ, ბიძიავ, ღმერთმა ბევრი სიკეთე გააჩინა, მაგრამ ჩვენ ვერა ვსარგებლობთ, როგორც რიგია. მე მაინც ეს დღე საუკეთესო დღედ მიმაჩნია. ამ დღეს ყოველი კაცი უფრო იბრალეებს ერთმანეთს, უფრო ადვილად მიუტყევენს შეურაცხყოფას და უფრო ახსოვთ, რომ ყველანი ძმები ვართ.

ამ დროს სკრუჯის მწერალს მეორე ოთახში ხელის გათბობა მოუწია და ტაში შემოჰკრა, მაგრამ თითონვე შეშინდა.

— რას ხმაურობთ მანდ? გინდათ, რომ სადღესასწაულოდ სამსახურიდან დაგიტხოვოთ?— სთქვა სკრუჯმა გაჯავრებით. მე-რე მიუბრუნდა დისწულს და უთხრა:

— შენ, ვაჟბატონო, ძლიერ ბევრი ლაპარაკი გყვარებია!

— ნუ ჯავრობთ, ბიძიავ, და სჯობს ხვალ ჩვენთან სადილად მობძანდეთ.

— წადი, დამეკარგე, არ მოვალ!

— რატომ, ბიძიავ?

— მიტომ, რომ შენისთანავე გლახაკი ცოლი შეიერთე.

— თქვენ ჩემი ცოლის წერთვამდინაც არ დაბრძანდებოდით ჩემთან.

— მაშ, კარგი, მშვიდობით, — უთხრა სკრუჯმა.

— არაფერს არა გთხოვთ, ბიძიავ, და არც არაფერი მინდა თქვენნი.

— მშვიდობით, — განიმეორა სკრუჯმა.

— მაინც ხელახლად მომილოცნია თქვენთვის დღესასწაული.

— მშვიდობით.

— მომილოცავს ახალ-წელიწადი, ახალი ბედნიერება!

— მშვიდობით, მშვიდობით!

დისწული გავიდა ოთახიდან, არც ერთი გაჯავრებული სიტყვა არ უთქვამს, კარებთან გაჩერდა და მწერალს დღესასწაული მიულოცა.



მწერალმა მადლობა გადაუხადა და თვითონაც მიულოცა დღესასწაული. სკრუჟმა გაიგონა და წაიბუტბუტა:

— აი, კიდევ დოვლათი! კვირაში ხუთ მანეთს იღებს, ცოლი და შვილი სარჩენი ჰყავს და დღესასწაული ამხიარულებს! სწორედ გადირია ხალხი!

ცოტა ხანს უკან კანტორაში შემოვიდა ორი კაცი, მონხადეს ქულები და გაჩერდნენ. ხელში რაღაც წიგნები და ქალღლები ეჭირათ. თავი დაუკრეს სკრუჟს და ჰკითხეს:

— თქვენ ბატონი სკრუჯი ბრძანდებით, თუ ბატონი მარლეი?

— მარლეი გარდაიცვალა შვიდის წლის წინად, სწორედ დღევანდელს დღეს!—უთხრა სკრუჟმა.

— ჩვენ ღარიბთათვისა ვკრეფავთ ფულსა, ბევრი ისეთი ლატაკია, რომ სულ არა გააჩნია-რა; გვინდა ვუყიდოთ ცოტა რამ საშობაოდ. რამდენის მოცემას ისურვებთ?

— არაფერს არ მოგცემთ,—სთქვა სკრუჟმა,—და გთხოვთ თავი დამანებოთ. ფულს ვიხდი სატუსალოსთვის, სამუშაო სახლებისათვის და სხვა-და-სხვა თავ-შესაფარ და სამოწყალო სახლთათვის.

— ყველა ხომ იქ ვერ დაეტევა. ამას გარდა, ბევრი მათგანი სიკვდილს ირჩევს და სამადლოდ კი არ იცხოვრებს.

— მით უკეთესი,—სთქვა სკრუჟმა:—დაიხოცონ! მშვიდრები ნაკლებად დარჩებიან ქვეყანაზედ.

ორივენი მიხვდნენ, რომ სკრუჯი ღარიბებისათვის არაფერს არ გაიმეტებდა, დაუკრეს თავი და წავიდნენ. სკრუჟმა კი ხელახლავ წერა დაიწყო. ძალიან სასიამოვნოდ დარჩა, რომ არაფერი მისცა და უფრო გამხიარულდა.

ცოტა ხანს უკან ვიღაცა პატარა ბიჭი გაჩერდა ფანჯრის-წინ, სადაც სკრუჯი იჯდა და მოწყალების თხოვნა დაიწყო. ბიჭი გლახად იყო ჩაცმული და სიცივითა კანკალებდა. სკრუჟმა სტაცა ხელი სახაზავს, დაუქნია ბიჭს და წამოდგა, რომ გაეგდო. ბიჭს შეეშინდა და გაიქცა.



ბოლოს, კანტორის დაკეტვას დროც მოვიდა. სკრუჯი ძალა-უნებურად ადგა, მივიდა მწერალთან და უთხრა:

— ხვალ, უთუოდ, მთელი დღე სახლში იჯდებით?

— თუ ნებას მომცემთ, ამ დღესასწაულის პირველ დღეს სახლში დავრჩები.

— მიკვირს,—სთქვა სკრუჯმა:—რა უსამართლოა ეს ხალხი! ხვალ არ გინდათ იმუშაოთ და მეც რომ ხვალინდელი დღის ჯამაგირი დაგიჭიროთ, გეწყინებათ. მე კი არა მწყინს, რომ უქმე დღეში ჯამაგირი უნდა მოგცეთ?

— ამისთანა ბედნიერი დღე წელიწადში ერთხელ მოდის,— შეპნიშნა მწერალმა.

— ეგ რა თავის გამართლებაა!—სთქვა სკრუჯმა:—განა სამართალია, რომ წელიწადში ერთხელ სხვის ჯიბეში ხელი ჩაეყოს; ეჰ, რაღა ჭგაეწყობა, მეტი რა ღონეა, უნდა დაგიტხოვო მთელის დღით; მაგრამ იცოდეთ კი, მეორე დღეს, რაც შეიძლება, უფრო ადრე მოდით.

მწერალი ადრე მოსვლას დაჰპირდა და სკრუჯი ბუტბუტით გამოვიდა კანტორიდან. მწერალმა ერთს წამს დაჰკეტა კანტორა, გამოვიდა ქუჩაში და სახლისკენ გაიქცა.

სკრუჯი დუქანში შევიდა ვახშმის, საქმელად, მიუჯდა სტოლს, გადაათვალიერა ყველა გაზეთები, მერე ივახშმა და წავადა დასაძინებლად.

სკრუჯი იდგა ძველ სახლში, იქვე, სადაც უწინ მისი ამხანაგი მარლეი სცხოვრობდა. სახლი ცარიელი იყო; სკრუჯის მეტი იქ არავინ იყო: ყველა სხვა სადგომები დუქნებად იყო გადაკეთებული. ამ ხანად სუყველა დუქნები დაკეტილი იყო. სკრუჯმა დაკეტილი კარი გააღო, შევიდა ოთახში და სანთელი აანთო. მერე დაჰკეტა კარი და ნელ-ნელა ავიდა კიბეზედ, ყველა ოთახები დაიარა სანთლით ხელში, ყველა კუთხეები დაათვალიერა, დაბრუნდა თავის საწოლ ოთახში, დაჰკეტა კარი, ჩაიცვა ხალათი და ფოსტლები, დაანთო ცეცხლი ბუხარში, დაჯდა ცეცხლო-პირას და ჩაფიქრდა.

ამ ნაირად გაიარა ცოტა ხანმა და ბოლოს მიეძინა სკრუჯს, ძილში უეცრად რაღაც განურჩეველი ხმაურობა მოესმა და მოეჩვენა, ვითომც ვიღაც კაცი შემოვიდა დაკეტილ კარებში და წინ აეტუზა. ჩააცქერდა და დაინახა კაცი, რომელიც მარლელის ძალიანა ჰგავდა. ეს კაცი თან მოათრევდა ჯაჭვს, რომელზედაც ასხმული იყო გასაღებები, კლიტეები, ოქროებით სავსე ფულის კოლოფები და ყულაბები. სკრუჯი მთლად გაფითრდა და ჰკითხა:

— შენ ვინა ხარ?

— შენი ამხანაგი ვიყავი, იაკობ მარლელი.

— რისთვის მოსულხარ ჩემთან?

— მხოლოდ სიკვდილს შემდეგ გავიგე, რომ კაცის სული სიცოცხლეში უნდა მზიარულობდეს მახლობლების მზიარულებითა, უნდა ეხმარებოდეს ხალხსა ბედნიერების მოსაპოვებლად და ესეთი დახმარება უნდა მიაჩნდეს საკუთარ ბედნიერებად. ჩემი სული ახლა ნანობს ყველაფერს, რაც ხელიდან გაუშვა, რის გაკეთებაც შეეძლო და არ გააკეთა. ჩემი სული ჰხედავს ყველა იმ მადლს, რომელიც სხვებთან ერთად იმასაც ჰქონდა მინიჭებული და ჰხედავს ყველაფერს, რაც დაჰკარგა, მაგრამ აღარ აქვს ღონე წარსული დაიბრუნოს.

მარლემ დაიკვნესა, დაარაჩხუნა ჯაჭვი და მწუხარებით ხელებს იმტვრევდა.

— ეს რა ჯაჭვს დაათრევ თან?—ჰკითხა სკრუჯმა.

— ეს ჯაჭვი მე თვითონ დავიჭედე სიცოცხლეშივე. განა ვერა ხედავ რისგან არის გაკეთებული? შენც ამისთანა ჯაჭვს დაათრევ. შეიღის წლის წინად ჩვენ ორივე დავათრევდით ამ გვარსავე ჯაჭვს, და მასუკან შენ კიდევ უფრო მიუმატე მას სიგრძე. ძალიან მძიმეა ეს ჯაჭვი.

— მითხარი სხვა რამ, მარლელი! მანუგეშე!

— ვერაფრით ვერ განუგეშებ, სკრუჯო! შენ კიდევაც დაკარგე უმეტესი ნაწილი შენი სიცოცხლისა და აწ ველარ დაიბრუნებ მას. ვერაფერ სამუდამო ნანვას ვერ შეუძლიან გამოისყიდოს დაკარგული შემთხვევა ბედნიერების პოვნისა კა-

ცობრიობის სიყვარულში. მე ეს არ ვიცი და თავი დავი-  
ლუბე.

— მაგიერად, შენ მშვენიერად მიგყავდა შენი საქმეები,  
იაკობ!

— საქმეები!—წამოიძახა მარლემ:—ჩემი საქმე მხოლოდ  
ერთი იყო: კაცობრიობის სიყვარული და მის ბედნიერებაზედ  
ზრუნვა. ჩემი საქმე იყო მყვარებოდა ღმერთი და მახლობელი  
და არა ვაჭრული საქმეები. მე განსაკუთრებით ვიტანჯები  
ქრისტეს შობის დღეს.

— მაშ რა ვქნა?—წამოიძახა სკრუჯმა.

— რა ქნა? არ შემიძლია ეხლა გითხრა. ყოველი კაცი  
ამას თვითან გარდასწყვეტს ხოლმე. მე შემიძლია მხოლოდ ერთი  
ავასრულო: შემიძლია გაჩვენო ყველაფერი, რაც იყო, რაც  
არის და რაც მალე იქნება. გსურს ამის ნახვა?

— მსურს.

— მაშ წავიდეთ.

უეცრად სტაცა მარლემ სკრუჯს ხელი და აურიანდნენ  
პირდაპირ ქერიდან სახლის ბანზედ. იქიდან სხვების სახლის  
ბანზედ გადაურიანდნენ. ყველგან იმისთანავე ლანდი წარმოუ-  
დგათ თვალ-წინ, როგორც მარლემ იყო.

მიცვალებულთა სულები მოეჩვენათ ლანდად. ყველანი  
მოუსვენრად დაძრწოდნენ, მწარედ სტიროდნენ და ჰკვენესო-  
დნენ. ყველას იმისთანავე ჯაჭვი ეკიდათ, როგორც მარლემისა  
ჰქონდა. ბევრს მათგანს სკრუჯი კარგად იცნობდა სიცოცხლე-  
ში. ერთი ბებერი (სკრუჯი კარგად იცნობდა იმ ბებერს) თან  
მიათრევდა რკინის დამწვარს ზანდუქს, რომელიც მიტედი-  
ლი ჰქონდა ფეხზედ; ეს ბებერი მწარედ სტიროდა, იმიტომ  
რომ არ დაეხმარა ღარიბ დედა-კაცს, რომელიც პატარა ბავ-  
შვით ხელში იჯდა მის კართ-წინა. ცხადად სჩანდა, ყველა სული  
იმით იტანჯებოდა, რომ უნდოდა დაჰხმარებოდა ღარიბებს და  
ვერ კი მოეხერხებინა.

ამხანაგებმა გადაიარეს სახლის ბანები და გაჩნდნენ ქალაქ  
გარედ, სოფლის გზაზედ. გათენდა კიდეც და დადგა ცივი ზამ-



თრის დღე. ყველაფერი თოვლით იყო დაფარული. მარლემი ჰკითხა:

— გახსოვს ეს გზა?

სკრუჯი დააწყებდა გზას, ტაში შემოჰკრა და წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო! ბავშვობისას აქ გავიზარდე! აქ ვსწავლობდი! ათასნაირი ფიქრი, იმედი, მხიარულობა და ზრუნვა, დიდის ხნის დავიწყებული, სკრუჯს უცბად მოაგონდა ახლა.

— საკვირველია! — უთხრა მარლემი: — არასდროს ეს გზა არ გიხსენებია. გავიაროთ.

დაადგნენ გზას და სკრუჯს ენიშნებოდა ყოველი ალაგი, ყოველი სვეტი, ყოველი ხე. ცოტა ხანს უკან მახლობლად გამოჩნდა პატარა ქალაქი. გზაზედ ბავშვები შემოხვდებოდნენ ხოლმე: ზოგი ცხენით, ზოგი ურმით. შეგირდები იყვნენ. სადღესასწაულოდ დაეთხოვათ; ყველანი ძალიან მხიარულად იყვნენ, ხმა-მალლა მუსაიფობდნენ და მათი მხიარული ხმა შორს გაისმოდა გაყინულ ჰაერში.

— ეს არის აჩრდილი წარსულისა, — სთქვა მარლემი: — ისინი ჩვენ ვერ გვხვდავენ.

მაგრამ სკრუჯი სცნობდა ყოველს ყმაწვილს, სახელს უძახდა. რისთვის უხაროდა სკრუჯს მათი დანახვა? რისთვის დაიწყო მისმა გულმა უფრო აჩქარებით ძგერა? რისთვის უხაროდა, როდესაც ყმაწვილები ულოცავდნენ ერთმანეთს დღესასწაულს და ნატვრით ეუბნებოდნენ, მხიარულად გაგატარებინოთ დროგო.

მარლემი უთხრა:

— სკოლა კი ჯერ სულ არ დაცარიელებულა, კიდევ დარჩა ერთი ყმაწვილი. არავის არ წაუყვანია სადღესასწაულოდ.

— იმ ყმაწვილს ვიცნობ! — სთქვა სკრუჯმა და ტირილი დაიწყო.

გადაუხვიეს გზას და სკოლისკენ წავიდნენ. სკოლის სახლი დიდი იყო, მაგრამ ცხადად ეტყობოდა, რომ ყმაწვილებს სცივოდათ და შიოდათ. შევიდნენ გრძელს ოთახში, რომელიც სულ სავსე იყო სტოლებით და სკამებით. ერთ სტოლთან იჯდა პატარა ყმაწვილი და რაღაცას კითხულობდა. ეს იყო თვი-

თან სკრუჯი, როცა ის ჯერ ისევ ბავშვი იყო. სკრუჯმა თავისი თავი დაინახა და გაახსენდა, როგორ რჩებოდა ხოლმე მარტო დღესასწაულ დღეს ცარიელ სკოლაში, რადგან მისი მშობლები სკოლაზედ შორს სცხოვრობდნენ და ვერ მიჰყავდათ სახლში. დაჯდა სკამეიკაზედ და დაიწყო მწარედ ტირილი. მერმე სკრუჯმა ჩაიყო ჯიბეში ხელი და სთქვა:

— მე ვისურვებდი... მაგრამ ეხლა გვიან-ლა არის.

— რას ისურვებდი?—ჰკითხა მარლემ.

— გუშინ, ჩემი კანტორის ფანჯარასთან ამ გვარივე ყმაწვილი მოწყალებას თხოულობდა; მინდა ახლა მივცე რამე.

მარლემ დაფიქრებით გაიღიმა, ხელი გაიქნია და უთხრა:

— ახლა სხვა შობა ვნახოთ.

## II

ბავშვი სკრუჯი ეხლა უფრო გაზრდილიყო, და ოთახი, რომელშიაც ის იჯდა, დაღვრემილი იყო. ყმაწვილი კიდევ მარტო იყო: ყველა ამხანაგები სადღესასწაულოდ სახლში წაეყვანათ მშობლებსა და ნათესავებს. სკრუჯი არა კითხულობდა, ოთახში დადიოდა მოწყენილი და სტიროდა. უეცრად კარი გაიღო და შემოირბინა პატარა ქალმა, რომელიც ყმაწვილზედ უფრო ახალგაზდა იყო. ქალი შემოეხვია ყმაწვილს კისერზედ და დაუწყო კოცნა. იცინოდა, ტაშს უკრავდა და ამბობდა:

— შენ წასაყვანად მოვედი, ჩემო კარგო; წაგიყვან სახლში, სახლში, სახლში!—და ქალიშვილი სიხარულისაგან ხტოდა.

— როგორ თუ სახლში, მანია?—ჰკითხა ყმაწვილმა.

— ჰო, სახლში უნდა წამოხვიდე, სამუდამოდ: მე ვსთხოვე შენი თავი მამა-ჩემს და იმან გამომგზავნა წასაყვანად. შენ დიდი გაიზრდები და თავისს დღეში აქეთ აღარ დაბრუნდები; ყველა შობას ერთად ვიქნებით და ძალიან ვიმხიარულდებით.

ქალიშვილმა მოუთმენლად წაათრია ყმაწვილი კარებისაკენ. მარლემ უთხრა სკრუჯს:

— შენი და ყოველთვის ამისთანა გულ-კეუილი ქალი იყო!



—მართალია, —სთქვა სკრუჯმა: —მუდამ მიყვარდა მაგისტროს კეთილობისთვის.

— იმას აკი ვაჟი-შვილი დარჩა, შენი დისწული!

სკრუჯი შესწუხდა და წაიბუტბუტა: —ვიცი.

ამას შემდეგ ისინი კიდევ ქალაქში გაჩნდნენ. ეტყობოდა, რომ აქაც დღესასწაული იყო. სალამო ჟამდებოდა და ქუჩები განათლებული იყო. მარლვი გაჩერდა ერთის დუქნის წინ და ჰკითხა სკრუჯს:

— იცი, ეს ვისი დუქანია?

— ვიცი! აქ შეგირდად ვიყავი.

ორნივე შევიდნენ დუქანში. ცალკე სტოლს უჯდა მოხუცი და რაღასაც სწერდა.

— ღმერთო ჩემო! ეს ჩემი ოსტატია! რა რიგად მიხარიან, რომ კიდევ ცოცხალი ყოფილა.

მოხუცმა ძირს დასდვა კალამი, საათს დაჰხედა, ხელები მიიფშვნიტ-მოიფშვნიტა, გაიცინა და მხიარულად დაიძახა:

— ეი, ანდრი, პავლე! მოდიეთ აქ!

სკრუჯმა ხელ-ახლავ დაინახა თავისი თავი ძალიან ახალგაზდა კაცად და თავისი ამხანაგი პავლე იცნო....

— ეს თვითონ ის არის! როგორ ვუყვარდი, ღმერთო ჩემო!

მოხუცმა ოსტატმა სთქვა:

— აბა, ბიჭებო, კმარა მუშაობა! დღეს შობის წინა დღეა. ფანჯრის დარბები მოჰხურეთ და, რაც კი რამ მეტია, ააღაგეთ, რომ თავისუფლობა იყოს.

როგორ დაფაცურდნენ ორივენი! უცბად მოჰხურეს დარბები გამოიტანეს სახლიდან, რაც კი შეიძლებოდა, დაგავეს ოთახები, გაასწორეს ლამპრები და ბუხარში ცეცხლი დაანთეს. უცებ ოთახში შემოვიდა მექიანურე, იმას შემოჰყვენ: ჯერ ოსტატის ცოლი, მერე მისი ახალგაზდა ქალიშვილები თვისის საქმროებით; შემოვიდნენ აგრედვე ნოქრები თავიანთი ცოლებით, რომელნიც დუქანში მსახურობდნენ, შემდეგ შემოვიდა მოახლე თვისის ნათლიამამით, მებუღკით. შემოვიდნენ აგრედვე: მხარეული, მებაღე და მეზობლის პატარა ბიჭები. მექიანურემ

დაუკრა და ყველამ დაიწყო ცეკვა. ყველა ცეკვავდა, მხიარულობდა, იცინოდა. მერმე გაშალეს ვახშამი და ყველანი სტოლს შემოუსხდნენ. ბოლოს მხიარულობა გათავდა; სახლის პატრონი და მისი ცოლი კარებთან გაჩერდნენ, სათითაოდ ემშვიდობებოდნენ სტუმრებს და ყველას უსურვებდნენ დღესასწაულების მხიარულად გატარებას. ამ სანახავმა სკრუჯი თითქო ხელმეორედ გააყმაწვილა, ყველაფერი მოაგონა და გაამხიარულა. მარღეიმ უთხრა!

— რა ცოტა რამ არის საჭირო აღამიანისათვის, რომ კმაყოფილი იყოს! რანაირ კმაყოფილნი დარჩნენ სტუმარნი, და სახლის პატრონებმა კი მხოლოდ რამდენიმე მანეთი დაჰხარჯეს ამ მხიარულობისათვის. საქებნი არიან თუ არა ამისათვის?

— საქმე ეგ კი არ არის,—სთქვა სკრუჯმა:—ისინი ვალდებულნი იყვნენ გაემხიარულებინათ სტუმრები და, რითიც აასრულეს, ეს სულ-ერთი, არ არის: 'შებედვით, სიტყვით, თუ ფულით.

— შენ ეხლაც მაგრე ჰფიქრობ?

სკრუჯს შერცხვა და წაიბუტბუტა:

— ძალიან მინდა, ერთს წამს ჩემი საწყალი მწერალი ვნახო. ორნივ კვლავ გაფრინდნენ და გაჩერდნენ მეორე სახლში. სკრუჯმა ხელ-ახლად დაინახა თავისი თავი, მაგრამ ახლა ბევრად უფრო დიდი იყო, დაეჯეკაცებულყო; მისი პირის-სახე ჯერ ისე დაღვრემილი არ იყო, როგორც მოხუცებულობაში, მაგრამ სიძუნწისა და ზრუნვის ბეჭედი კიდევ დასჩნეოდა. თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა და თავს კარგად ჰგრძნობდა. მის გვერდით იჯდა ლამაზი ყმაწვილი ქალი, მისი საცოლლე და სტიროდა.

— ეხლა შენთვის ეს არაფერია, რომ ესტირი: დიდი ხანია ოქროზედ გამცვალე,—სთქვა ყმაწვილმა ქალმა:—ვხედავდი, რომ თან-და-თან ჰქრებოდა შენში ყველა კარგი ხასიეთები და ეხლა დაგჩა მხოლოდ ერთი სურვილი, რომ მალე გამდიდრდე. განა ეს მართალი არ არის?

— მერე რაო? — სთქვა სკრუჯმა: — მე მხოლოდ დავეკვიან-  
 დი. შენზედ კი გული არ შემცვლია.

— როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, ორივენი ღარიბნი  
 ვიყავით, ორივეს გვიდნოდა სიღარიბეში პატიოსანის შრომით  
 გვეცხოვრა; მაშინ სხვა კაცი იყავი.

— მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავ!

— აი, თვით ჰხედავ, რომ გამოიცვალე და შე კი ისევ ისა  
 ვარ, რაც ვიყავი. ახლა აღარ შეგვიძლიან ერთად ყოფნით  
 ბედნიერნი ვიყვნეთ. ბევრი ვიფიქრე და გარდავსწყვიტე მოგ-  
 შორდე.

— განა ეგ იყო ჩემი სურვილი? — უთხრა სკრუჯმა.

— ყველაფერთ გამოიცვალე: აზრებითაც და მთელის შე-  
 ნის ცხოვრებითაც. ვიცი რომ ღარიბ ქალს ახლა აღარ ამო-  
 ირჩევდი საცოლოდ, იმიტომ, რომ მხოლოდ სიმდიდრე შეგი-  
 ყვარდა. მშვიდობით! მალე დამივიწყებ. ღმერთმა გაგამდიდროს  
 შენს ახალ ცხოვრებაში. ქალი წავიდა და ასე განშორდნენ  
 ერთმანერთს.

— მარლეი! რად მაჩვენებ ყველა ამებეს? რად მტანჯავ?  
 სახლში წამიყვანე!

— მხოლოდ იმას გაჩვენებ, რაც იყო; დამნაშავე არ ვარ,  
 რომ ყოველივე ეგ ასე იყო.

— წამიყვანე, მოთმენა აღარ შემიძლიან.

— მაშ კარგი, — სთქვა მარლეიმ. — ვნახოთ ეხლა, რაც არის.  
 გინდა?

— მინდა.

— მაშ ტანისამოსზედ ხელი მომკიდე.

## III

მარლეი და სკრუჯი ქუჩაში გაჩნდნენ; შობა დღის დილა  
 იყო. უეცრად სკრუჯმა თავისი თავი იმ სახლში დაინახა, სა-  
 დაც მისი მწერალი იდგა. დაინახა მწერლის ცოლი: ღარიბად  
 იყო ჩაცმული. ქალი სუფრასა ჰშლიდა და უფროსი ქალიშვი-

ლი ეხმარებოდა. უფროსი ვაჟი კარტოფილს ჰხარშავდა. ოთახში შემოირბინეს უნკროსმა შვილებმა—ვაჟმა და ქალმა. ბავშვებმა დაიწყეს ყვირილი, ხორცის სუნი დგასო და მიხვდნენ, რომ მათი ბატი იხარშებოდა. ბავშვები სიხარულით დახტოდნენ სუფრის გარშემო.

— სად დაიკარგნენ მამა და ტიმოშა? — იკითხა დედამ. და მართლაც, შარშან ნახევარ საათით უფრო ადრე დაბრუნდნენ სახელოსნოდან.

— აი, მეც აქა ვარ, — სთქვა პატარა ქალმა და შემოირბინა ოთახში.

— მართა, მართა! დაინახე ერთი, რა ბატია! რა კარგი სუნი უდის! — წამოიძახეს ბავშვებმა.

— როგორ გვიან მოხვედი, ჩემო გვრიტო? — ჰკითხა დედამ და ფრთხილად ხდა დაუწყო წამოსასხამსა.

— საქმე გვქონდა გასათავებელი, დედავ, ყველაფერს ვალაგებდით.

— აგერ მამაც მოდის! — დაიძახეს ბავშვებმა: — დაიმაღე, მართა, დაიმაღე!

მართა დაიმაღა და ოთახში შემოვიდა მწერალი. მისი შეძველებული ტანისამოსი კარგად იყო დაკრებული და გაწმენდილი. მხარზედ უჯდა თავისი პატარა ვაჟი ტიმოშა. ეს ბავშვი კოქლი იყო და უჯოხოდ ვერ დაიარებოდა.

მწერალმა მიიხედ-მოიხედა და იკითხა:

— სად არის ჩვენი მართა?

— დღეს არ მოვა, — უპასუხა დედამ.

— როგორ? განა შობა დღესაც ვერ მოვა?

მწერალი ცუდს გუნებაზედ დადგა, მაგრამ მართამ ვერ მოითმინა, გამოვარდა კარებს უკანიდან და შემოეხვია მამას კისერზედ.

ცოტა ხანს უკან ბავშვებმა დიდის ამბიოთ მოიტანეს ბატი. იმისთანა მხარულება ასტყდა, კაცს ეგონებოდა, რომ ბატი სხვა ფრინველზედ იშვიათია მთელს ქვეყანაზედაო. ყველა გაკვირვებით მისჩერებოდა ბატს: რა მსუქანია, რამოტელაა, ვკო-



ნებ, ამაზედ უდიდესი მთელს ქვეყანაზედაც არ მოაბოვება, რაკარგი სუნი უდის. ეს ერთი ბატი ყველას გვეყოფა. ყველანი შემოუსხდნენ სუფრას და სადილის ჭამა დაიწყეს. ბატი მართლაც ყველას ეყო. ბავშვებმა მალად მოითხუპნეს პირის-სახე.

— მითხარი, მარლეი, გაიზრდება ტიმოშა, თუ არა?

— რა იქნება, რომ მოკვდეს კიდევაც? თუ სასიკვდილოა, მოკვდეს: მშიერნი ნაკლებად დარჩებიან ქვეყანაზედ.

სკრუჯმა თავი ჩაჰლუნა, როდესაც თავისი საკუთარი სიტყვები გაიგონა, მაგრამ თავისს სახელსაც მოჰკრა ყური.

— აქ რომ ყოფილაყო, — მიუვო ცოლმა: — პირში ვეტყოდი, რა აზრისაცა ვარ იმაზედ.

— ჩემო კარგო! — მშვიდად უთხრა მწერალმა: — რა მაგალითს ვაჩვენებთ შვილებს! ქრისტემ გვიბრძანა შეურაცხყოფის მოთმენა და ყოველისფრის შენდობა.

— მაშ შობის დღესასწაულის პატავისცემისათვის შეიძლება სკრუჯის სადღეგრძელო დავლიოთ.

— ღმერთო, მრავალს წელს აცოცხლე ჩემი პატრონი სკრუჯი! — წამოიძახა მწერალმა და ყველამ დალია მისი სადღეგრძელო.

მარლეი და სკრუჯი მეორე სახლში გაჩნდნენ. სკრუჯმა დაინახა თავისი დისწული, რომელიც სიცილითა კვდებოდა, ხელები მუცელზედ მოეჭირა, თავს აქნევდა და პირის-სახეს ათას-ნაირად ჰმანქავდა. დისწულის ცოლიცა და სტუმრებიც იცინოდნენ. მან სთქვა:

— ხა, ხა, ხა! საკვირველი მოხუცია და არც ნამეტანი კეთილი გულისა არის. მაგრამ ეს უფრო ცუდია მისთვის! ღირს მაგაზედ წყრომა?

— ხომ მდიდარი კაცია, ვანო! — უთხრა ცოლმა.

— მერე რაო? რა სარგებლობა აქვს ვისმე მისი სიმდიდრისაგან? არც იმას არგია და არც სხვას!

— მასთან ცხოვრება შეუძლებელია, — სთქვა ცოლმა. ამაზედ სტუმრებიც დაეთანხმნენ.

— მე კი, — სთქვა დისწულმა: — მეცოდება მხოლოდ ის კაცი. განგებაც კი არ შემიძლია გული მომივიდეს იმაზედ. მაგისთანა ხასიათით ხომ თავის თავს ანებს. აი ჩვენ — არ ვუყვარვარვართ და ის არის! მაგრამ თვითონვე დარჩა უსადილოდ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან უფრო მხიარული იქნებოდა, ვიდრე მარტოკა ცარიელ სახლში. მაგრამ, რაც უნდა ჰქნას, მე მაინც ყოველ შობა დღეს მოვიწვევ სადილად, რადგან ძალიან მეცოდება. თუნდ სულ მლანძღოს, მაინც ყოველ წელს მივალ დღესასწაულის მისალოცავად და ყოველ სიკეთეს ვუსურვებ, იქნება ამით ცოტათი მაინც მოღბეს.

პატარა ხანს უკან დაიწყეს თამაში, ამ თამაშს ეძახიან „ჰო თუ არასა“. ვანოს უნდა ჩაეფიქრნა რამე და სხვებს უნდა გამოეცნოთ კითხვა-კითხვით. ვანოს პასუხად მხოლოდ ორი სიტყვა შეეძლო ეკითხა: „ჰო“ ან „არა“. ბევრის კითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ვანოს ჩაეფიქრნა რაღაცა პირუტყვი, რომელიც ხან ბუტბუტებს, ხან ღრუტუნებს, ხან ლაპარაკობს, ლონდონშია, ქუჩებში დაიარება, ხალხის საჩვენებლად არ დაჰყავთ, მხეცების სადგომში არ არის დამწყვდეული, დასაკლავად არ ვარგა. არ არის არც ცხენი, არც ძროხა, არც ვირი, არც ხარი, არც ვეფხი, არც ძაღლი, არც ღორი, არც კატა, არც დათვი; ყოველ კითხვაზედ ვანო სიცილით კვდებოდა და ბოლოს წამოხტა დივანიდან, მუცელზედ ხელები იტაცა და ფეხებს აფხაკუნებდა.

უეცრად მისმა უნცროსმა ცოლის დამ დაიყვირა:

— მე გამოვიცან, ვანო, გამოვიცან, ვიცი, რა არის! ეგ არის ბიძა შენი სკრუ...ჯ...ი!

ყველამ გადაიხარხარა და ასტყდა ხითხითი და სიცილი.

— ჰხედავთ, როგორ გაგვამხიარულა ბიძია სკრუჯმა; სამაგიეროდ მისი სადღეგრძელო დავლიოთ. — მხიარულად წამოიძახა დისწულმა.

— კარგი, კარგი! — დაიყვირეს ყველამ: — დავლიოთ მისი სადღეგრძელო!

ვანომ აიღო ჭიქა და სთქვა:

— ვისურვებ მოხუცისათვის, რომ მხიარულად გაეტარებინოს ეს დღესასწაულები! თვითონ იმან არ შეიწყნარა ჩემი სურვილი, მაგრამ მაინც ღმერთმა ჰქნას, აუსრულდეს! — ბიძია სკრუჯის სადღეგრძელო იყოს!

სკრუჯს გაეხარდა, გულზედ მოეშვა და უნდოდა დაეღობა სამაგიეროდ მათი სადღეგრძელო და ეთქვა რამდენიმე ალერსიანი სიტყვა... მაგრამ უეცრად ყოველივე განჰქრა.

#### IV

მარლეი იდგა სკრუჯის გვერდით და ჰკითხავდა:

— გინდა ეხლა ჰნახო, რა იქნება შემდეგ, რამდენისამე წლის შემდეგ?

— მინდა! — სთქვა სკრუჯმა: — ეხლა, მარლეი ყველაზედ უფრო შენი მეზინიან, მაგრამ ვიცი, რომ ჩემთვის სიკეთე გინდა და ამასთანავე იმედიცა მაქვს, სრულიად გამოვიცვალო და ამიტომ სიხარულით წამოგყვები.

უეცრად ისინი გაჩნდნენ შუა ქალაქში, ბირჟაზედ, სადაც ვაჭრები იკრიბებიან თავიანთ საქმეებისათვის. ვაჭრები ფაცი-ფუცობდნენ, მირბოდ მორბოდნენ, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, ბაასობდნენ; რამდენიმე ვაჭარი ერთად იდგა. მარლეი გაჩერდა მათ ახლოს და სკრუჯმა მათს ლაპარაკს ყური დაუგდო.

— მეტი არა ვიცი-რა, — ამბობდა ერთი, — ვიცი მხოლოდ, რომ ის კაცი მოკვდა.

— როდის? — ჰკითხა მეორემ.

— რით მოკვდა? მეგონა, თავის დღეში არ მოკვდებამეთქი!

— ღმერთმან იცის, რით მოკვდა, — სთქვა პირველმა და დაამთქნარა.

— ვის დაუტოვა მერე სამკვიდრებელი?

— არც ვგამიგონია! ვიცი მხოლოდ, რომ ჩემთვის არ დაუტოვებია.

ყველამ გაიცინეს.

— მდიდრულად არ გაასვენებენ. ვინ დაესწრება?

— მე კი წავიდოდი, რომ მაქმევდნენ რასმე.

კვლავ ყველამ გაიცინეს.

— თუ სხვაც წამოვა ვინმე, მეც წავალ. მე მაინც მისი საუკეთესო მეგობარი ვიყავი. როცა ერთმანერთს შევხვდებოდით, ყოველთვის გავჩერდებოდით და ვეტყოდით ხოლმე: გამარჯობა!—გაგიმარჯოს!—მშვიდობით!—მშვიდობით! ხა, ხა, ხა!

სკრუჯმა ვერას გზით ვერ გაიგო, ვიხედ ლაპარაკობდნენ ვაქრები და ვერც მიხვდა, რომ იმახედ იყო ეს ლაპარაკი.

შემდეგ ისინი გაჩნდნენ მეტად მიყრუებულ უბანში, სადაც სცხოვრობდნენ სხვა-და-სხვა მაწანწალანი და ქურდები. ისინი მივიდნენ ერთ ქუჩიან დუქნის წინ, სადაც სხვა-და-სხვა ძველ-ძვეულებსა ჰყიდდნენ. ბებერი მედუქნე, ბებერი გაიძვერა კაცი, ესე სამოც და ათის წლისა, ჩამჯდარიყო ამ ძველ-ძვეულებში. დუქანში შემოვიდა ორი ქალი, რომელთაც დიდი ბოხჩები ეჭირათ ხელში, და ერთიც კაცი.

— შემოიხედე, ბებერო, დღეს დიდს მოგებასა ჰნახავ, — უთხრა ერთმა იმ ქალთაგანმა:—ჩვენ უბრალოდ როდი მოვსულვართ.

პირველი ქალი დღიური მუშა იყო, მეორე—მოსარეცხე და კაცი კი—მეკუბოვე. დღიურმა მუშამ გახსნა თავისი ბოხჩა.

— აჰა, ბებერო! რამდენს მომცემ ამ საქონელში?

მაგრამ მეკუბოვემ ამოიღო ჯიბიდან ხელთათმანი, ერთი წყვილი სამაჯური ლილი, ბეჭედი და აჩვენა ბებერს. ბებერი ყურადღებით ათვალთვრებდა თვითყელს ნივთს და კედელზედ მელით სწერდა, რამდენსაც მისცემდა თვითყელს მათგანში. მოსარეცხემ აჩვენა თავისი ნაშრომარი: ზეწრები, პირსახოცები, ცოტაოდენი ტანისამოსი, ორი ჩაის კოვზი, შაქრის მაყაშა და ერთი წყვილი წალები. ბებერმა დასწერა მთელი ამათი ფასიც.

მერმედ დღიურმა მუშამ ბოხჩიდან ერთი დიდი შეკვრა რაგინდარა ამოიღო.

— აი საწოლის ფარდა, — უთხრა მან.

— ნუ თუ საწოლიდან ჩამოხსენი მაშინ, როდესაც მიცვალებული ჯერ კიდევ ზედ იწვა?

— მაშ არა-და!

— აბა, ბევრს ფულს კი შეიძენ.

— რასაკვირველია, პირს უკან არ წავიღებ იქ, სადაც რისამე შეიძენა შეიძლება. აი იმისი საბანიც.

— გადამდების ავადმყოფობითა და მოარტულით ხომ არ მომკვდარა?

— ნუ გეშინიან! აგრე რომ ყოფილიყო, განა ახლოს-ლა მივეკარებოდი ამისთანა უბრალო რამესათვის! აი, პერანგიც, თიოქმის სულ ახალია; მე რომ არ ვყოფილიყავი—დაიკარგებოდა: საფლაფში ჩაატანდნენ; ვილაც სულელს ჩაეცმია, მაგრამ მე ისევ გავხადე.

ბებერმა ამოიღო ფულის ქისა და ყველანი გაისტუმრა.

— ყოველსავე ბოლო მოელო, — სთქვა დღიურმა მუშამ: სიცოცხლეში ყველა თავიდან მოიშორა. უთუოდ იმიტომ, რომ ყოველივე ბოლოს ჩვენ დაგვრჩენოდა! ხა, ხა, ხა!

სკრუჯი შიშითა და ზიზლით უგდებდა ყურს ამ ლაპარაკს.

— ვხედავ, ვხედავ! მესმის! — სთქვა მან: — მეც ისე დამემართებოდა, როგორც იმ მიცვალებულს. მეც იმ გზაზე ვდგევარ... ღმერთო მოწყალეო, ეს რა ამბავია?!

მერმე სკრუჯი უეცრად სხვა ადგილას გაჩნდა ერთის საწოლის-წინ. საწოლზედ ერთ გახეულ საბანს ქვეშ რალაცა იწვა; ოთახში ბნელოდა და არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. სკრუჯს უნდოდა შეეტყო, რა ოთახი იყო და რალაცა წინადგრძნობით და მწუხარებით აქეთ-იქით იცქირებოდა. ფანჯრიდან სუსტი სინათლე პირდაპირ საწოლს ანათებდა. მარლელი ხმა-ამოუღებლივ უთითებდა სკრუჯს სასტუმროსაკენ. სკრუჯს უნდოდა აეხადნა საბანი და დაეხედა, თუ ვინ იყო, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხა. სკრუჯმა იფიქრა: აი სად მომიყვანა ჩემმა სიძუნწემ, სიხარბემ და გულ-ქვაობამო. საცოდავი იწვა მარტოდ-მარტო ბნელ, ცარიელ სახლში და არ

მოიპოვებოდა ქვეყანაზედ კაცი, ვისთვისაც თავის სიცოცხლეში ტკბილი სიტყვა მაინც ეთქვა და ვისაც მისთვის ახლა გული დასწვოდა. მხოლოდ კატა აფხაქუნებდა კარებს და თავები ბუხრის ქვეშ რალასაც ღრღნიდნენ.

— საშინელებაა! — სთქვა სკრუჯმა: — ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს სანახაეი, წავიდეთ აქედან.

— არ შემძლია... გვედრები, მიჩვენე ვინმე, რომ ამ კაცის სიკვდილით იყოს შეწუხებული.

მათ წინ გაჩნდა მეორე ოთახი. იქ იყვნენ დედა და შვილები. დედა ბოლთასა სცემდა ოთახში და მწუხარებით ხან ფანჯარაში გაიხედავდა, ხან საათს დააჩერდებოდა, თითქო მოელის ვისმეო. ბოლოს ვილაცამ კარები მოარახუნა. ქალმა კარებთან მიიღბინა და თავისს ქმარს მიეგება.

— რა ამბავია? — ჰკითხა ცოლმა.

— ცუდი ამბავია, — უპასუხა ქმარმა: — სასესხებელი ფული ვერ ვიშოვე.

— მაშ სულ დავიღუპეთ, თუ არ შეგვიბრალო და არ გვადროვა.

— იმას შებრალება არ შეუძლია: გარდაიცვალა.

ცოლი მომთმენი, გულ-კეთილი ქალი იყო, მაგრამ გაიგონა თუ არა ეს ამბავი, გაუხარდა და სთქვა:

— მადლობა ღმერთს! მაშ ვიღას უნდა გადავუხადოთ ჩვენი ვალი?

— არ ვიცი, მაგრამ ძალა-უნებურად მოგვეცა ვადა და, იმედია, ვიშოვნით ვისგანმე ფულს. იქნება ღმერთმა ჰქნას და ამას იქით აღარ ჩაუფარდეთ ხელში ამისთანა შეუბრალებელ კაცს. დღეს მაინც შეგვიძლია მოსვენებით დავიძინოთ.

აი ყოველივე, რაც კი შეეძლო მარლეის ეჩვენებინა სკრუჯისათვის.

— მარლეი, მითხარი, ვინ იწვა გაცრცვილს საწოლზედ.

მარლეიმ წაიყვანა თავისი მეგობარი. უეცრად სკრუჯი გაჩერდა და უთხრა:

— მოიცა, აქ ჩემი კანტორა იყო, მინდა პატარა ხანს შევიხედო.

სკრუჯი გაიქცა თავის კანტორისაკენ და ფანჯარაში შეიხედა. კანტორა მისი აღარ იყო, აღარც ის ავეჯი იდგა შიგ, და აღარც თვითონ იჯდა იქ სკამზედა. ჩაიარეს და გაჩნდნენ საფლავებს შორის და მარლემ ერთი საფლავი დაანახვა სკრუჯს.

— მითხარი, მარლე: რაც მაჩვენე, უნდა უსათუოდ ახდეს, თუ შეიძლება სხვაფრივ მოხდეს?

მარლემ ხმა-ამოუღებლივ მიუთითა საფლავისაკენ.

— თუ კაცი გამოიცვალა, მარლე, მისი უკანასკნელი დროც ხომ უნდა გამოიცვალოს.

მარლე ხმას არ იღებდა. სკრუჯი მიუახლოვდა საფლავს და თრთოლით წაიკითხა ქვაზედ თავისი საკუთარი სახელი,

— მაშ მე ვარ ის კაცი?

სკრუჯმა მოჰკიდა ხელი მარლის და დაიძახა:

— გამიგონე! ის აღარა ვარ, რაც უწინ ვიყავი და აღარც ჩემს დღეში ვიქნები იმისთანა; საშინელება რამ არის, რაც შენ მაჩვენე. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. ეხლა მრწამს ქრისტე, მარწამს, რომ ბედნიერება მხოლოდ კაცობრიობის სიყვარული და სიბრალულია...

და სკრუჯს გამოეღვიძა.

## V

დიაღ, ეს იყო მისი საკუთარი საწოლი და მისი საკუთარი ოთახი. სკრუჯს ძალიან გაუხარდა. უფრო ის გაუხარდა, რომ ცოცხალი იყო და, მაშასადამე, შეეძლო თავისი შეცდომანი გაესწორებინა, რამდენადაც კი შეიძლებოდა. სკრუჯი წამოხტა ლოგინიდან და დაიძახა:

— ამიერიდან იწყება სხვა გვარი ცხოვრება: თითქო ხელახლად დავიბადეო, ისე ვგრძნობ ჩემს თავსა. ჩემო მეგობარო, იაკობ მარლე! კურთხეულ იყოს ღმერთი და შობა!

ხმა უკანკალებდა და პირის-სახე ცრემლებითა ჰქონდა დასველებული. ტანისამოსის ჩაცმა დაიწყო, მაგრამ სიჩქარის გამო ვერ არჩევდა ტანისამოსს. ხან იცინოდა, ხან სტიროდა და ხან ამბობდა:

— არ ვიცი, რა ვქნა: ანგელოზებით ბედნიერი ვარ. ღმერთო, ნუ მოუშლი მთელს ქვეყანას მხიარულს დღესასწაულებს. არც ვიცი, დღეს რა დღეა: სწორედ პატარა ყმაწვილსა ვგვევარ. სკრუჯმა ფანჯარაში გაიხედა: არც ნისლია, არც სიბნელე, —ნათელი, მოწმენდილი და ყინვიანი დღეა: ოქროს ფერი მზე, ლაქვარდი ცა, წმინდა ჰაერი. სკრუჯმა ფანჯარასთან ბავშვი დაინახა და დაუძახა: —დღეს რა დღეა, ბიჭო?

ბიჭს გაუკვირდა, როგორ არ იცის სკრუჯმა, რომ დღეს შობაა და უთხრა:

— დღეს ხომ შობაა!

— მაშ შობა არ გასულა! მხოლოდ შობის წინა ღამე გასულა! გამიგონე, ჩემო გვრიტო: მიაგნებ იმ საყასბოს, ამ ქუჩას გადაღმა რომ არის, კუთხეში?

— მივაგნებ.

— რა ჰქვიანი ბავშვი ხარ! თუ იცი, გაჰკიდეს, იქ რომ დიდი ინდოური ჰქონდათ!

— რომელი? აი ჩემოდენა რომ არის თითქმის?

— ჰო, ჰო! ჩემო მეგობარო! დახე, რა მიხვედრილა ბიჭო ყოფილხარ!

— ჯერ არ გაუყიდნიათ, ეს არის ეხლა ვნახე.

— გაიქეცი, დუქანში და უთხარი, რომ მე მომიტანონ!

— მეხუმრებით.

— არა, არა, არ გეხუმრები; გაიქეცი ჩქარა, ფულს გაჩუქებ.

ბიჭი შურდულივით გაჰქანდა. სკრუჯმა წაილაპარაკა თავისთვის: იმ ინდოურს ჩემს მწერალს, ბობის გავუგზავნი; ვერ მიხვდება, ვისი გამოგზავნილიაო. რა მშვენიერება იქნება! ტომოშაზედ დიდია ის ინდოური!

მედუქნემ ინდოური მოიტანა, სკრუჯმა მიულოცა დღესა-  
სწაული და უთხრა:

— ამოდენა ინდურს ვერ მოერევი, ეტლში ჩაჯექ და  
ისე წაიღე!

სკრუჯმა ასწავლა, საცა უნდა მიეტანა ინდოური. მისცა  
ინდურის და დროშკის ფასი, მერე აჩუქა ფული პატარა ბიჭს,  
დაჯდა სკამზედ და დაიწყო სიცილი.

შემდეგ სკრუჯმა ჩაიკვა ტანისამოსი და ქუჩაში გავიდა.  
ქუჩაში ბევრი ხალხი მიდიოდ-მოდოდა. სკრუჯი მხიარულად  
უცქეროდა და იღიმებოდა. ვიღაცამ უთხრა: „დილა მშვიდო-  
ბისა! მომილოცავს დღესასწაული!“ და სკრუჯს დიდი ხანი  
იყო ამ სიტყვებივით არა გაჰხარებია-რა. მერმე შეხვდა იმ  
კაცს, რომელიც წინა დღეს იყო მასთან და ღარიბთა მესაწევ-  
რად ფულსა სთხოვდა. სკრუჯს შერცხვა, ის რომ დაინახა,  
მაგრამ ახლა იცოდა, როგორ უნდა გაესწორებინა თავისი შე-  
ცოდება. ორივე ხელი გამოართვა და უთხრა:

— როგორ მშვიდობით ბრძანდებით? იმედია, გუშინ ბევრს  
ფულს შეჰკრებდით! ძალიან კარგი გინებებიათ, რომ ეს საქმე  
გიკისრნიათ!

— თქვენ ბატონი სკრუჯი ბრძანდებით, ვგონებ?

— დიად, მე გახლავარ. გთხოვთ მომიტევათ ჩემი გუშინ-  
დელი საქციელი და...

აქ სკრუჯმა რაღაც ჩაუჩუროხულა ყურში.

— ღმერთო ჩემო! იმდენი?

— მინდა ერთად გარდავიხადო ახლა, რაც ამდენს ხანს  
არ მომიცია.

— არც კი ვიცი, როგორ გადავიხადოთ მაღლობა!

— თუ ღმერთი გწამსთ, შემობრძანდით ხვალ კანტორა-  
ში ფულის მისაღებად. გთხოვთ აგრედვე ყოველთვის შემოხვი-  
დეთ ხოლმე, როდესაც საჭირო იყოს. შემოხვალთ?

— უსათუოდ, უსათუოდ გიახლებით!

— მაღლობელი გახლავარ!



და სკრუჯი გაუდგა გზას. ათვლიერებდა ხალხს, ბავშვებს ეფერებ-ვალერსებოდა, მოხოვრებს ღიმილით ელაპარაკებოდა, ფანჯრებში იცქირებოდა და ყოველივე ესე ღიდად ამხიარულეზდა. მერე წავიდა თავისს დისწულთან. ღიდ ხანს იარა კარებ წინ და შესვლას ვერ ჰბედავდა. ბოლოს კარი გაუღო პატარა ქალიშვილმა.

სკრუჯმა ჰკითხა:—სახლში არიან?

—სახლში გახლავან! საღილადა სხედან.

სკრუჯი შევიდა მათთან და უთხრა:—ვანო!

ღისწული და მისი ცოლი შეჰკრთენ და წამოიძახეს:

—ღმერთო ჩემო! ბიძია სკრუჯი!

—ღიღ, მე გახლავარ! თქვენთან მოვედი საღიღად; შემიშვებ სახლში, ვანო?

ვანომ მხიარულად მიიბზინა მასთან და ხელი ჩამოართვა მისაღმებით. მის ცოლსაცა და ცოლის ღებსაც ღიღად გაეხარდათ, ყველანი მხიარულინი და ბედნიერნი იყვენ.

მეორე ღღეს სკრუჯი ძალიან აღრე მივიდა თავისს კანტორაში. უნღოდა თავისს მწერლისთვის მიესწრო. მიასწრო კიღეც. სკრუჯმა გააღო თავისის ოთახის კარი, რომ მწერლის მოსვლა გაეგო. მწერალი შემოვიდა. მოსვლის უმაღლე გაიხადა პალტო და ერთის თვალის დახამხამებაზედ გაჩნდა თავისს სტოლთან და ღაიწყო წერა. სკრუჯმა განგებ წაიბუტბუტა თვისის ჩვეულებრივის ხმით:

—რა ამბავია, რომ ასე გვიან მოღიხარ?

—მომიტევეთ, ღვთისს გულისათვის, ღამიგვიანდა, მეორედ აღარ ღავიგვიანებ: მხოლოდ ერთხელ მოღის წელღწადში ამისთანა ღიღი ღღესასწაული.

—აღარ შემიძღიან მაგისს მოთმენა! მეორედ არ გაჰბეღოთ ასე აღრე სამსახურში მოსვლა და აი კიღევი მიიღეთ წარსულისს წლისს ჯამაგირი. ღღეისს შემღეგ ერთი ორად მეტი ჯამაგირი გექნებათ.

მწერალსს შეეშინდა: ეგონა, რომ ჩემი პატრონი ჰკუიღან შეიშაღაღ, მაგრამ სკრუჯი გაღაეხვია და უთხრა:

— შემინდე, ძმაო, ჩემი შენდამი შეცოდება; შემინდე, ქრისტესშობის დღისათვის.


ხელ-ახლად გადაეხვივნენ ისინი ერთმანეთს და დაიწყეს ტირილი.

სკრუჯმა აასრულა ყოველივე, რასაც დაჰპირდა, კიდევაც გადაამეტა და ტიმოშასთვის ხომ მთელს თავისს სიცოცხლეში გულ-მოდგინედ ჰზრუნაედა.

ამას შემდეგ სკრუჯი სულ გამოიცივალა, მუდამ ქრისტეს მცნება ახსოვდა და, როცა ხან-და-ხან გაახსენდებოდა თავისი მწუხარე განმარტოებული ცხოვრება, რომელიც გაეტარებინა დიდს შრომასა და ტანჯვაში—წამოიძახებდა ხოლმე: მართალი სთქვა ქრისტემ: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და მე განგისვენო თქვენ!“

სკრუჯმა მოისვენა მხოლოდ მაშინ, როდესაც დაუტევა ზრუნვა მარტო თავის თავისათვის.

კონ. ნაიკელაძე



# პატარა რომანი

მოთხრობა

## მატილდა სერასო

### I

ემაწვილი ქალი შესტკეპროდა ნახს ევაკილს, რომელიც ეჭირა ხელში ღამაზს თაკადიშვილს, და შიშმა და ძრწოლამ ნელ-ნელა შეიპყრა მისი გული. ღამაზმა თაკადმა, — გულ-გრილმა და გულ-მშრალმა, — დაშტერებით დაუწყო ტკეპარ ევაკილს, თითქო თვისას ბუდისა მისის თეთრის ფურცლებით უნდა შეიტყუოს-რამეო, მერე ამოიღო ჯიბიდან პირის-ფერი, აბრეშუმის ჰატარა პორტ-მანუ, დაუძოკლა ღერო და ისე შეინახა შიგ, თითქო მშვიდობიანს, სამღვთო სამ-ყოფელში დაკრძალაო.

მისს დაისი თვალს ადგებოდა ემაწვილს კაცს და, როცა მან ევაკილი და პირის-ფერი, აბრეშუმის ჰატარა პორტ-მანუ უბეში ჩაიღო, — ქალს ოსკრა აღმოხდა გულიდან ნიშნად შუკებისა...

— ველარ იცოცხლებს, ველარ! საფლავი განიმზადა! — იძულებოდა თითქო გონება-დაუტანებელი მისს დაისი.

— ატრე გეშინიანთ განა სიკვდილისა? — ჰკითხა დონ ფრანსესკომ.

— არა... სრულიადაც არა... — მტკიცედა სთქვა ქალმა.

— მოდით სიკვდილსედა ვილაზარაკოთ, — დაწყო კაცმა.

და სწორედ ამ დროს, თითქო ინსტიქტით, მიიბრუნა პირი დონნა კლარასაკენ, რომელსაც ხელი გაკეკთებინა უნგრულ ხაიდუკისათვის და მოდიოდა ამთკენ ვარდივით გადაშლილი, გაბრწყინვალეული.

— სიკვდილზედა? — წამოიძახა დონნა კლარამ და დაიწყო ხარხარი.

— დიდა, — სთქვა ლამაზმა თავადმა და, მისს დაისის მკვირ, ახლა დონნა კლარას დაუწყო ყურება, ქერასა და თეთრს-ყირმის მკვირ, რომელიც ისეთი ნაზი იყო, როგორც ადვილად დასამტკრებელი ლერე კანის ფურცლისა, მიჰმართა ყუვილივით გაფურჩქნისა, ეშხანს, შაკვრემანს დონნა კლარას. დონ ფრანსესკო გაუღიმიბლივ შეჭყურებდა ორსავე უმწვილს ქალს, შეჭყურებდა გულცივად, გულ-დამშვიდებით.

— დიდა... სიკვდილზედა. წარმოვიდგინოთ-მეთქი, გუთხარი დაისის, რომ ორივენი კვდებით და ამიტომ აღსარება ვსთქვით ერთმანეთის წინაშე, როგორც ძველი ქრისტიანები ამბობდნენ-მეთქი.

— და მერე არ ინდობა? — ჭკითსა დონნა კლარამ და ოდნავ შეიკრა თავისი სმარი წარბები.

— შეუძლებელი აღმოჩნდა, — უზსუსხა თავადმა. — მისს დაისის ცოდვა არა მიუძღვის-რა და ასაღვიანებელი არა აქვს-რა.

— თქვენა, თავადო?

— მე?! მე მეტად ბევრი ცოდვები მაქვს... მეც კვლავ ვაბე-დე შემეძრწუნებინა აღმსარებელი. წავიდეთ, საიდუკე... მარტონი დაპტოვით ჩვენი ქალები. მათთვის საჭიროა პატარა ხანს იძვირ-მეტყველონ ჩვენ შესახებ.

თავადმა გულცივად დაუკრა თავი გასათხივარ ქალებს, გაუკეთა ხელი ოქრომკვდებში ჩამჯდარს აფიცრეს, უნგრელს საიდუკეს და წაიყვანა. ქალები დივანზე ისხდნენ ერთად და ხელები ძირს დაეშვათ. თან ხარმაცადა ათამაშებდნენ მარაოებს. ორივენი ისე იყვნენ, თითქო მეტის-მეტად დაღალულ-დაწვეკტილნი არიანო. დიდხანს მდუმარებდნენ, თითქო ერთმანეთი გადააწვივდათო, თითქო ცხრა მთას იქით გადააცილა ოცნებათა; შორს მუსიკა უგრავდა და ხანასაკით ჩაესმოდათ. მისს დაისამ სულ დაჰკარგა სიწითლე ღლებისა და კვლავ გაფითრდა, ხალხი გაბრწინებულად ლამაზი შაკვრემანს ისე იჯდა მას გვერდით, თითქო სთვლემსო, თავ-დას-რდი.



— დღეს იყავი ეკლესიაში?— უნდად ჰქვითს მისს დაისის.

— არა!— საღვთისანად უმასუს მარგარიტამ.— დღეს არ შეიძლებოდა.

— რატომ?

— არას დროს არ წავალ სოფელში წირვაზედ იმ დღეს, რა დღესაც ბაღში კაზირებ ეოფნას.

— რა უნდა უნებია ხართ ეს ინგლისელები! რა არის საერთო ეკლესიასა და ბაღს შორის?

— სწორედ მაგიტომ, რომ საერთო არა არის-რა. ცხოვრებაში სულ ერთს გზას უნდა ადგეს ადამიანი, კლარა, და მიდოდეს შირდაზირ, აქეთ-იქით გადუსკეკლავდ.

— ბაღი ღვთის-გმობა არ არის, დაისი.

— არც ღვრვანა. ყველას თავისი დრო უნდა ჰქონდეს.

— ახირებული ხადხი ხართ! სულ მაგისთანა სელ-შეუკალი ჭემმარტება და აქსიომები იცით. მერე სისულელე არაშა არ მოგვით სოფელში არას დროს?

— მოგვიყავ, მაგრამ მანინ ღვთავით ვმოქმედობთ, წესისა და რიგის დარცითა და წინ-გამძღვარებითა. ვმოქმედობთ ასე და ბოლოსაც გაატანთ სოფელში.

— ბოლოსაც გაატანთ სოფელში?— ჰქვითს დონნა კლარამ, რითაინც დანადგვინებულმა.

— ყოველთვის, — უმასუს მისს დაისიმ.

დონნა კლარამ სელი მოისკა გადატკვერდას შებლზე, თითქო რადაც თქონი უნდა მოიშოროს თავიდანაო, და მამინეუ გაიდამა.

— მართაღია, ჩვენ მეტის-მეტად გურვეთ ერთმანეთში მნარეულობა-გართობასა და სამძიმო საქმეებს, — სთქვა კლარამ და ჯერ ისეუ იღიმებოდა. — მაგრამ არც კი ეს არის ცუდი, ღმერთმანია... შენც თვითონაც სომ, გიყვარს დაისი, იტყვიან?

— დიაღ... ძაღიან.

— მიუსხდავად ჩვენის უთავბოლოობისა და ბურბუმელოობისა.

— ყოველდღის მისხდავად.

— მაშ რატომ აქ არ გასთხოვდები, მარგარიტა-ჯან?

— რატომ?! ისე.

- ვუღღა არეცნოს უარი უთხარი.
- იმას არც უნდოდა ჩემი შერთვა, — სთქვა ინგლისელმა ქალმა და ოდნავ გაიღიმა.
- რას ამბობ! იმ კაცმა უთხრა ჩემს ძმას ფერდინანდსა, მინდოდა შეერთოკო... რისთვის უთხარი უარი?
- იმისთვის ვუთხარი, რომ არ ვუყვარდი.
- არ უყვარდი? მე რე შენ საიდან იცი, რომ არ უყვარდი?
- ვიცი.
- გარკები ისე იტყუებინ!
- მე ვერ მომტყუილებენ: ვიცი ტყუილისა და მართლის განჩევა.
- მაგას ნუ იტყვი, ჩემო კარგო. გარკები ყოველთვის გატყუებენ: მაშინაც, როცა ვუყვარვართ და მაშინაც, როცა არ ვუყვარვართ.
- ყოველთვის გავჩნე მართლსა და ტყუილსა, — გაიმეორა მისი დაცხი და თავი გააქნია თითქო იმის ნიშნად, რომ მტკიცედ მჯერა, რასაც ვამბობო.
- მე რე შენ ამბობ მაგასთანვე, რომ არეცნოს არ უყვარდი?
- არ ვუყვარდი. არც სტყუოდა. თვითონვე ამბობდა, რომ ცოლ-ქმრობაში გულის-თქმა, სიყვარული საჭირო არც-კიაო.
- შენა, დაცხი? შენ გგონია, რომ საჭიროა?
- რასაკვირველია.
- რა რომანტულის ბუნებისა ხარ, დაცხი.
- დიაღ, რომანტულისა. არც ენდებოდა, რომ მაგრეთი ვარ.
- ისე, რომ გათხოვება არ შეგიძლიან, თუ რომანი წინ არ გაიძვის?
- რასაკვირველია.
- იქნება მაგის გამო სულ გაუთხოვარი დარჩე?
- შესაძლოა.
- ესლანდელნი მამა-კაცნი ისე არიან გულ-გამშროლნი, რომ გორც გორბენი; იმათ არა ესმით-რა არც გულის-თქმისა და არც რომანისა. გაუთხოვარი დარჩები სამუდამოდ.
- მით უკეთესი.

— მე კი ვგრძნობ, რომ გაუთხოვლები და ჩემის გუნების ქმარს  
კი ვერ შევირთავ, — წაილაშაჩავს ჩუჩნულით კლარამ და ხან გაშლიდა  
ფრთის მარჯვს, ხან დაჭკუტდა.

— რატომ ვერ შევირთავ?

— იმიტომ რომ მე ფული მინდა! ფული და სსკვარაფერი! —  
რადგან ჩინის გულ-უბრყვილობითა და გაურკვევლობითა სთქვა შა-  
კრემიანამ, თითქმის ნაძმინარეკადა.

— ფული?

— დიალ! ასლას, ვინ იცის, ვინ იქნება ფულის პატრონი? იქ-  
ნება ცისუ-დაცხის მფლობელი იყოს, ვინმე გერმანელი გრაფი,  
რომელსაც მსდებენი ეუბნებიან «თქვენო უკანათღებულესობაო»,  
იქნება რომელიმე შვედელი მოსურთი თავადი იყოს, ან ლომბარდი-  
ელი სოკდაგარი, რომელიც ბარონობას მიიღებს ჩემის შერთვით...  
ან იქნება ვინმე კალაბრიელი მილიონერი იყოს... ვინ იცის?

— ნუ თუ სსკვ სურვილი არა გაქვს-რა? — ჭკითსა მისს დაი-  
სიმ და თვალში თვალში გაუბნია. ნუ თუ არაინა გყავს ისეთი, რომ  
თვალში მოგდიოდეს, გიყვარდეს, უძლეველს შიმშიდველობას  
ჭკრძნობდე?

— მე? — ჭკითსა დონსა კლარამ.

— დიალ, — შენა. გასათხოვარ ქალებს ყოველთვის გააქვს  
იდუალი, გეყავს ვინმე ისეთი, რომელიც განხორციელებას ყოველის  
ჩვენის ოცნებისა. შენც უნდა გეყავდეს ასეთი. დონსა კლარა ჩაფიქ-  
რდა, ჩრდილი ნაღვლიანობისა გადაეყარა მის ზირი-სასესეს; ლამაზ-  
სა და კოკობს ტუჩებსეუდ ყმაწვილურის წყენის მეტყველება და-  
ქტურა.

— ოცნება, ოცნება! — წაიჩუჩნულა ასაღვასდა ქალმა. — ვის  
რად უნდა ოცნებანა?

— ოცნება თვით სიცოცხლეს, — მტკიცედ და მშვიდად სთქვა  
მისს დაისიმ.

— მეც ვოცნებობ, — სთქვა შაკრემიანამ. — მაგრამ ვშიშობ,  
როგორ ავისინრო ჩემი ოცნებანი-მეთქი! ეკ ოცნებანი მეტად ვარ-  
გია, მეტად მიუწდომელი და მათი გამოკიდება დიდად გამაუბედურ-  
ებს.



კლასის უცხად გაფითრდა საშინლად; ცრემლები მოკრია თვალებში, აცანცანდა და ის-იყო უნდა დაეწყო სასოწარგვეთილებით ჭკითანი. მაგრამ არ იტოვს, კვლავ გაწითლდა მხოლოდ, შეიმავრა თავი და გაიღამა.

— მაამბე, დაასი, რა არის შენა ოცნებანი; ხომ სთქვი, რომ რომანტიკული ბუნებას ვარო. მე კა გუულ-მშრალა ვარ, გუულ-ჭკავი, მე მხოლოდ ფული მინდა, მე არ უნდა ვოცნებობდე. მითხარა, მარგარიტა, ვინ უფრო გინდოდა ქმრად?

— ჩემი საქმრო არ არსებობს,—სთქვა ზასუნად გადაფითრებული, ქერა ქალიშვილი.—არ არსებობს.

— რა რამა ხარ! არაფრის თქმა არ გინდა.

— არ არსებობს! რომ არსებობდეს...

— როგორ მოაქცევდი?

— ზირდაზირ მივადოდი და კეტეოდი, მიყვარსარ-მეთქი.

— იმას რომ არა ჭყვარებოდი?

— თავს მოკეცავდი.

— საკვდალს ნუ ახსენებ... მაშინებ. ინგლისელები ხომ არაფერს არ მოკრიდებთ!

— ნუ გეშინიან,—სთქვა მისს დაისამ და თან ოდნავ იღამებოდა.—ჩემს გულს ჯერ არავინ დაუფლებია.

ერთმანეროს ალერსით შეჭხედეს, როგორც მეგობრებმა, რომელთაც უოკელავე აღვიარეს ურთიერთარს და გაღასწვიტეს მტკიცედ დაეფარათ თავისი საიდუილო.

ბალი თავდებოდა. სტუმრები თავ-თავის სასლში აზირობდნენ წასვლას და ბეგრმა ახლო გამოუარა ემსწილს ქალებს. ზოგიერთნი ნანონი და მეგობარნი ზატარა ხანს შესდგებოდნენ ხოლმე მათ წინაშე, ეტეოდნენ ორიოდ სიტუვას და წავადოდნენ. უცხად დარბაზში გახდა დონის მარია დი-ლანჩიანო, მაღალ-მაღალი, ალვის სესავათ მოყვანილი, წელ-წერწეტი ქალი, რომელსაც შეენიერი ხელები ჭჭონდა და მსრები ხომ უფრო უკეთესი. მისა ჩინებული თმა მალა იყო ერთს ურად შეკრული და ზედ ბრწეანავდა გვირგვინი დუვისა. მარია სულ შავი ტანისამოსი ეცვა, რაცა სრულად არ შეეფერებოდა ბალს. გრძელი შავი ბოლო-ფესველი მისის კბიას, თით-

ქო შვიი ტალღებიაო, ისე მიშრიალებდა უკან. ბრილიანტის გულის  
ქვწვეს ჰქვეყრიდალი გაჭქონდა მკერდზედა; სახლები მკვირად ორი  
ბრილიანტის ასხმულა მისდევდა მკლავს და იმაგრებდა სედა-ტანს  
ტიტველს მხრებზედ. დიდი, მტყველი ზირი ჰმაღლდა მშენიერს  
კბილებს, რომელიც ედგარ ზოეს პატარა მოთხრობაში აწე-  
რილ ბერენისას კბილებს უგაგდა. ცხვირის-ფერი, სულ ცხვირისფერი  
თვალეები ისე ანათებდა, თითქო ზურმუხტებიაო. ქალი შესდგა კა-  
რებში, იყო ჩუმი და კიღისაც უღიმოდა. ეს «ვიღაცა» მივიდა,  
გაუკეთა სელი და ხმა-ამოუღებელი შეჭურებდა თვალეშია, შესცქნაო-  
და დიმილით. ეს იყო დონ ფრანსესკო. დინჯად და მდუმარებით  
გაუარეს წინ ორ მეგობარს ქალი-შვილს კლარასა და მარგარიტას  
დონ ფრანსესკომ—ამ გულ-გრილმა და გულ-გაყინულმა—და დონს  
მარია დი-ლანჩინანომ—შაკებით მოართულმა ბანოქანმა კეკლურმა. თავა  
არც კი დაუარეს უმაწვილ ქალებს, ვერც კი შეჭნაშეს; გაარეს მდუ-  
მარებით და, თუცა ოდნავ ესებოდა ერთის მკლავი მეორისას, მანც  
ისე მტკიცედ იყვნენ ურთიერთ-შორის დაკავშირებულნი, რომ, კგო-  
ნებ, ვერა-რა ძალი ვერ განაშორებდა ერთმანერთისაგან.

ორივე უმაწვილმა ქალმა შეჭხედეს ერთმანერთს და ორივენი  
ისე გაფითრდნენ, რომ სიკვდილის ფერი დაეღოთ.

## II

დონ ფრანსესკო წამოწოლილი იყო გრძელსა და ფართო დი-  
კანზე თავისს მოსართობელს ოთახში და სწევდა სივარას. მის გვერ-  
დით იდგა ჰქვეყრიდალი პატარა სტოლი და სედ იდო ფოდნოსი,  
რომელზედაც ეწყო სამი წერილი. მათ შორის ორი დიდი იყო, სქე-  
ლი, დაბეჭდილი; მესამე უბრალო სადარბაზო ბარათი იყო, საჩქა-  
როზედ კონკერტში ჩადებული. დონ ფრანსესკომ ისე დაჭხედა ამ  
წერილებს, თითქო საცოცხლე ესარებაო, თითქო მოღლილი და  
მოქანცულაო და კვლავ სივარის წევს დაიწყო. თან თავი გააქნა-  
გამოაქნა, თითქო თავიდან უნდა მოაშოროს ცხოვრების ყოველი-  
ვე უსიამოვნებაო. ერთს წუთს შემდეგ აიღო პატარა წერილი და  
გაუბედავად დაუწყო ეურება, თითქო გაუსსულად უნდა წაიკითხო-

სო. მკვრამ არ წაიკითხა, თავის აღსაგასვე დასდო და ცდილობდა თავდაპირველად მისცემოდა, თავის ჩვეულებრივს ყოფაში ჩაკარდნილიყო: — ტუბილად გარინდებუდიყო. სამი წელი იდო იქვე, გვერდით, უძრავად; მკვრამ თან თითქო სამივე განხორციელება იმათი, ვისაც დაუწერიაო. და ემაწილს კაცს თვალ-წინ წარმოუდგა ფერ-ხაკლული სახე ქალისა თავისის გრძელის ფერფლის ფერის თმებითა; წარმოუდგა ცოცხალი სახე ქალისა, რომელსაც ქონდა შავი თვალები და ნობათივით ახალი, ვარდის-ფერი ტუჩები; ემაწილმა კაცმა ცხადად დაინახა ცხერის-ფერი თვალები, სავსენი ეშხითა და ჯადოთი. წარმოუდგა ესე ყოველივე და მოინდომა მოეშორებინა თავიდან უღელი სამის ქალის ბატონობისა, რომელთა შორის ხან ერთი პირველობდა, ხან მეორე და ხან მესამე. ამ აწრით გაიწოდა ხელი და გახსნა ერთი წერილი.

დღეს ვიწერთ ჯვარს მე და თავადი შილლინგფიურსტი, — სწერდა ემაწილი ქალი. ერთს დღეს გათავდება სამივე შესასრულებული წეს-რიგით: საქარწინო პირ-შეკრულობის ხელის მოწერაც და ჯვარის-წერის წესიცა ორთავე ეკლესიაში: კათოლიკეთს და პროტესტანტებისაში. სამჯერ მანც უნდა გამოკაცხადო თანხმობა, უნდა ესთქვა, რომ მსუფს მივთხოვდე იმ ხნაერს ნემენცსა-მეთქი, უნდა ესთქვა, რომ მოხარული ვარ წაკვეე იქ, საცა მისი ცისე-დარბაზია, საცა, თუმცა გერმანელების ემები და ხარჯის-მძლეველნი ვიქნებით, სამაგაეროდ, გლეს-კაცნი, მსახურნი და სტუმარნი თავისიანად მანც მომისსენიებენ: «თქვენო უგანაოლებულესობაო». დედა კმაყოფილია, რადგან ჩემი გათხოვება და ქმართან წასვლა ამჟღადებს მის გულს ჩემის სამეგრძის ბედის შესახებ და უმზადებს მეორედ გაემაწილებს, აღსავსეს თავისუფლებითა და მხარეულებით. ვილას ესმოლება, რომ დონნა ოლიმპია დინერლას უკვე გათხოვალი ქალი ჰყავსო? დედა-ჩემისათვისა ვი სასიხარულეო ის არის, რომ ნება ექნება სთქვას ხოლმე თავისის ჩვეულებრივის დიდ-კაცურის დაუდებელბით: ჩემი ქალი, მეუღლე მთავრისა, კნეინა შილლინგფიურსტიო». ჩემი ძმა ფერდინანდიც ძალიან კმაყოფილია, იმით რომ, როგორც ეტყობა, ჩემს ცისე-დარბაზს ახლა კარგი სახადირო ადგილებია თურმე, ხოლო, მოკესსენებათ, რანაირ უყვარს ფერდი-

საქართველოს  
საქართველოს

ნანდს დიდი ნადირობა, როგორც ძველად იცოდნენ. ამას გარდა, რამდენჯერ იტყვის: შილდინგფიურსტის მიუღივარო და ნაცრას კი გასწიკვს, ტრუკალს, ლიუტენსსა და შოტლანდიში. შორს გათხოვბული დაჰ კარგი მოსამიზესებელია, თუ კაცს უნდა ოინზანობა-რამ გასწიოს და ამიტომ ფერდინანდიც კმაყოფილია. ჩემი საქმეო თავადი შილდინგფიურსტიც კმაყოფილია. ხნეირა, მაგრამ მოხუცს არა ჰგავს. დიდ ხანს უნსოკრია პარიჟში, საკმაოდ უფულანგავს იქ ფული და ახლა ის უნდა მხოლოდ, რომ დიდი კნეინა გაუზინოს შილდინგფიურსტის ბედნაერს მნსოკრებლებს, უნდა მემკვიდრენი ჰყვანდეს, კარგად მოსჭამოს თავისი წუთი-სოფელი—მოწას და გათავდა. მე ვარ მისი უკანასკნელი ნკოთ-საყუდელი და, კითხ ნკოთ-საყუდელი, საკმაოდ მოკწონკარ. ძალიან ხელ-გაშლილია ჩემთვის, მშკენიერი ბრილიანტები მხუჭა და საკმაოდ დიდი ფულიც დამინიშნა «ლენტ-ქანძისთავებისათვის»... შემოდინს ყოველ წელი თორმეტი ხელი ტანისამოსი შეაკერინო ხოლმე ვორტს და ნაღდად ვაძლიო ფული. თკითონ მე ვარ თუ არა კმაყოფილი? მე? მე თქვენ მიყვარხართ, ფრანხესკო! მიყვარხართ ისე ღრმად, ისე გულ-შეუცვლელად, ესჯარ კი, როცა ამ წერილსა ვწერ, რომ ხელი მიკანკალებს და გულს ბაგა-ბუგი გააქვს. თქვენც კარგად იცით, რომ მიყვარხართ. როცა სუტრის ბაღიდან ვარდი წაიღეთ, იმ ვარდთან ჩემი გულიც თან წაიყოლეთ. და ყოველთვის, როცა კი შემსკედრინხართ (ხოლო ყოველგან შემსკედრინხართ, იმიტომ რომ სულ თავაფურს მადკენებდით), ყოველთვის, როცა კი ჩანებებით დაგიწვივათ ჩემთვის ცქერა, ყოველთვის, როცა კი ჩამწურხულებდით რაღაც უზნაურ და საბედის-წერო სიტყვებს, ვგრძნობდი, რომ ჩემი გული თქვენ გიკეთონოდათ. რა სინაზითა და სიტებობით არის საკსე თქვენი სძა და ლაპარაკი! კვლარას დროს კვლარ გავიგონებ კვლავ მაგ სძას. მოკალეტა ვარ ღვარ გავიგონო ღვარასოდეს. რაღა, მაშ, მაზენი, რომ ასე მძიმედ გულ-დაგოდელი მიკდეც ცოლად მოხუცს თავადს შილდინგფიურსტისა? მიზენი ის არის, რომ კვ მოკალეობას ჩემი; მიზენი ის არის, რომ თუ იძას არ წაყუებოდი, სხვას მიკოთხოვდებოდი, დღეს არა, ხვალ; მიკოთხოვდებოდი კი, უსათუოდ, კინც იქნებოდა, ნემენი, თუ ინგლისელი, კენტიკელი, თუ ნე-

ბოლქვი, მოხუცი თუ ემსწვილი, სულ ერთი არ არის?! თქვენ  
 კი არასოდეს! მთელი ჩემი ოჯახი, ყველა ანაქრონი ჩვენის გზა-  
 რისა მამოქლებს თავადიშვილს მივთხოვდუ, ხოლო იმდენი გამ-  
 ბედაობა კი არა მქვს, რომ ვიბრძოლო და დრამის თამაშო-  
 ბა ვიტვირთო. ან კი საჭიროა? ადამიანნი მღელვარეობენ, ჭკვი-  
 რობენ, იცინიან, ხოლო ყოველსავე ამას კი ბოლო ერთი და იგი-  
 ვე აქვს. და ისიც, ვინც თავმოყვარეობით დრამის თამაშობასა  
 ტვირთულობს, უზაროდ გუფს უგოდებს მშობელთა და მეგობარ-  
 თა. იტვირთოს ადამიანმა დრამა ამ ბურბუშელაობითა და ურცხო-  
 ბით სავსე წუთი-სოფელში?! გამოგიტყდებით და გეტყვი, ფრან-  
 ჩისკო, რომ ერთხელ კიდევაც ვსცდილობდი დრამა მეკისრსა, უამ-  
 სსასაწარვეკეთილებიანსა. ერთს ღამეს, როცა მეტად მწვავედ ვი-  
 გრძენი თქვენი სიყვარული, როცა მეგონა, რომ ვეღარ ავიტან უი-  
 მისობასა და ვერ მივთხოვდები სხერს თავადსა-მეთქი, იმის მა-  
 გიერ, რომ გამეღო საჩემელი და გადაკარდნილიყავ ქუჩაში, რო-  
 გორც იქნება სასაწარვეკეთილი მღაბიო გლეხ-გაცის ქალი, მე წა-  
 ვედი და დედას ჩავუყარდი ფეხ-ქეშა. დედა ის-იყო ბალიდან მოვი-  
 და, თეთრის შადის წამოსასხამით იყო მოხუციული და ძალიან  
 ჭშუქნოდა, ღამაში სხანდა. ღამაშიცა, ემსწვილიცა და მოხდენილი-  
 ცა. ყოველივე გუთხარი, ყოველივე გტიროდი, ვქვითინებდი, ვიგ-  
 ლევიდი ჩემს შავს თმებს, რომელიც თქვენ ისე ძირიელ ვიყვართ.  
 დედა ვერ ძალიან გაოცდა, მერე კი გული აუნუგდა; მთელი ღა-  
 მე ჩემთან გაატარა, ხელში ეჭირა ჩემი ხელები, ყოველს წუთ-  
 სა მკოცნიდა, მიყვავებდა, მიაღერებდა, ჩემთან ერთად სტირო-  
 და. ყოველის ღონისძიებით ცდილობდა დამტვიტებინა ჩემ-  
 თვის, რომ დრამებით არა გადაწელება-რა ამ წუთი-სოფელშიო,  
 რომ დრამები აშინებს ყველას, ბერს უხერხულს ყოფაში აგ-  
 დებს და სხვა ხეირს კი არას გვაყრისო. მაგრამ ერთმა მის-  
 მა შინიშენამ სძლია ყველა ჩემს საბუთებს, ესე იგი ერთად-ერთს  
 ჩემს საბუთს, რადგან მე სულ თქვენსას ვუბნებოდი, რომ ის გა-  
 ცი მიყვარს-მეთქი. დედამა მკითხა, იმას კი უყვარხარ, უნდა შენი  
 შერთვაო? რა შემეძლო მკვასუნსა, ფრანჩისკო? არ ვინი არც თქვე-  
 ნი ამაჰვი, არც თქვენი გულის-შასუნსი, არც თქვენი სურვილი; ყო-

ველიკი, რაც თქვენი შესახებია, უცნობია ჩემთვის. როცა მეტყუ-  
დით ხოლმე, ვსთქვამთ, მივეპარხარო, თქვენი ხმა ტკბილი იყო და  
ნაწი, ხოლო თვალები ცივი, გაყინული. სამჯერ მითხარით, მივეპარ-  
ხარო; ერთსულ, ვაღეს თვატრში, როცა გოლდფინის პეისას თამა-  
შობდნენ «მეუკარებულნია»; მეორედ დღისით იყო—შამიფელას სანა-  
ფსულა სხლის ანუ-მარკუჯე, როცა ცხენისა შემეშინდა მწკანინ-  
ჯე; ხოლო მესამედ, საღამოს, როცა გაიღნის «ლოტორიას» უგ-  
რადნენ და ღვთიურმა მუსიკამ დადნო გულნი. სამჯერ მითხარით  
ჩუმიად, მაგრამ ვეკლას თვალ-წინ კი. მე იძულებული ვიყავ დამძალ-  
ნა ჩემი აღმური, წვა გულისა, არ შემეძლო ზისუნი მომეცა, არ შე-  
მეძლო მეკითხნა რამე, რომ უფრო მეტი გამეგო, მეტს მივხვედ-  
რილიყავ. მოკდიოდი სხლში და თან მომქონდა ჩემი საიდუმლო,  
რადღაც ბუნდოვანი სკაშიადი, რომელიც მწკაჯდა და მდაგაჯდა, მათრ-  
თოლებდა და მცნაცნახებდა. რა უნდა მეზისუნსა დედისათვის? სტყუო-  
დით, თუ მართლს მეუბნებოდით? კერ დაგრწმუნდი, ანუ, არ მი-  
დოდა დაგრწმუნებულოყავ, მართლს ამბობდით, თუ ტყუილს: კმა-  
ყოფილი ვიყავ იმისი, რასაც მეუბნებოდით, და უფრო მეტად მი-  
ყვარდით და მეუკარებოდით კიდევ, თუნდა არაფერიც არ გეთქვამთ,  
რადგან, სხანს, ეგ ბედნიერება მიწერია შუბლზე, რადგან, სხანს,  
ჩემი სსინარულო სკადრი ეგ არის, რომ თქვენ მივეპარდეთ. კერა-  
ფერი კერ ვუზისუხე დედას, იმიტომ რომ არა აღვითქვამთ-რა, არას  
დამზირებისართ და არც კი მე მითხარინა, აღმითქვი და დამზირდი  
რსმე-მეთქი. ყოველივე ვუამბე დედას. დედამ წყნარად გადავად-ვად-  
მოაგლო თავი. ის, რაც ღვთიური რამ არის სიყვარულით აღვსუ-  
ბულთათვის, არაფერს არა წინიშნავს იმითთვის, ვისაც სიყვარული  
გულს ტყნსლივით არ უკიდია. დედამ ამისხნა, რომ ეგ სიტყუები  
ისე გაკერიოთ თქმული, უამსა ყინიანობისა, ანუ მოლოდინისას  
(მოლოდინია რაღას?). კერავითარს ვაღდებულებას კერ აკისრებინებს  
იმ უმწვიდეს, რადგან ვეკლას მამაკაცი, რომელსაც კი გასათხვარ ქალე-  
ბისთვის უთქვამს, მივეპარხარო, მოკალე რომ იყოს ვუარი დაწეროს,  
ქორწილებით აივსებოდა ქვეყანა. ამ სხით დედამ ძლიან ფრთხილად,  
ჩემსა საყვადურის უთქმელად, მომისხო ყოველივე იმედი თქვენთან შე-  
კავშირებისა. ასეც უნდა მოქცეულიყო, იმიტომ რომ თქვენ, რას-

კვირკელია გძულთ ქორწინება და ჰვირის-წერით არას დროს სულ-  
 ფესს არ შეიკრავთ. თქვენს სართ ბატონა და მიუღობელი ჩემის  
 გულისა და მე ნება არა მაქვს თქვენა ქნევა გაკვირსო. ბედნიერი  
 ვარ იმითიც, რომ ერთს სხათს მანაც გიყვარდათ და მაღირ-  
 სეთ კადეც იმას, რომ თქვენ თათონვე მათხარით ესა. სოლო იმ  
 მწარე ფიქრის შემდეგ, რომელიც დედა-ჩემმა ჩამაწკეთა ყურში,  
 ესთხოვე, გემუდარე, გაფიციე ღმერთი, სატა, მისი ჩემდა სიყვარუ-  
 ლი, ნუ დამაკლებთ იმ მოხუცს თავდას გავეყუ-მეთქი, რომ თუ  
 იმას მივთხოვდი მაშინ, როცა სიყვარულით სხვა მიყვარს, ცუდი  
 მუღლუ ვიქმნები სწივლის მოხუცისათვისა-მეთქი, რომელიც მე  
 მანდობს, ჩემს ხელში აგდებს თავის მშვიდობა-მოსვენებასაცა, თავის  
 სასულ-ღირსებასა და ჰატოისნებასაცა, რომ როცა ვი შევხვდები  
 იმ სხვას რომსა, ჰარიუში, ანუ შილდინგფიურსტს, გზაში, ანუ  
 ბაღში,—საცა უნდა იყოს, საკმაო იქნება მოლოდ შემომხედოს,  
 ერთი სიტყვა მითხრას და მე იმისი ვიქნები-მეთქი; თვით ღვთის  
 გულისათვისა-მეთქი, ვეკადრებოდი დედას, ნუ ჩააგდებ შენს  
 ქალს ამისთანა განსაცდელში, ამისთანა საარცხვილში-მეთქი. სწივ-  
 ლი დედა-ჩემი! ჩემმა სიტყვებმა ისე აუხუფა გული, რომ ვინა-  
 დამ გულ-ფერება არ მოუკადა. ბოლოს, დიდი ხნის ყოყმანის შემ-  
 დეგ, აღსარება მითხრა. ჩემდა გასამხივებლად და ჩემდა დასარწმუ-  
 ნებლად, რომ გულ-დამშვიდებით შეიძლება განჯვე თავდას ცოლად  
 დანა—დედამ თავისი გული გადამიშალა და გამომიტყდა, რომ მეც,  
 დონა ოღიმიანა, გაკთხოვდი მაშინ, როცა სიყვარულით სხვა მი-  
 ყვარდაო. მეც სასოწარკვეთილი ვიყავ, როცა მამაშენს მივთხოვდი,  
 მეც საკვდილი მენატრებოდაო. მაგრამ გაკთხოვდი და ვი არ მო-  
 კვდიო. რომიდანაც ვი არსად წავედი, თუმცა აქ სცნოვროვდა ისიც,  
 ვინც მიყვარდა და ვისაც ვერ მივთხოვდიო; იძულებული ვიყავ  
 ვეკლავს შევხვდაროდი, მეტქირნა მისთვის იმ თვლებშია, რომე-  
 ლიც მწკავდა, მეტდო ყური იმის მომხიბვლელისა და მომკვადოვებ-  
 ლის ხმისა და ლაზარაკისათვისაო. უფრო უარესი მომივიდა: კა-  
 ცი მოდიოდა ჩემს სახლში და ჩამხურხულებდა, მიყვარსარო. ოჲ,  
 როგორ შეეცვალა ხმა დედა-ჩემს, როცა მამობობდა ამ უცნაურს  
 აზვას, რომელმაც იძულებული-ჯერ ყოველი წარსული ხელ-ანსლად

განეცადნა. დედამ ხელები მაიფარა პირისხესედა და ღვთის-მშობლის ლაშქრის მკრთალს შექსედა მანც მისი ცრემლები დაჰანახე. მაშინ დაჰინოქე მის წინაშე და ვსთხოვე, მომიტყევე-მეთქი, თუ მე,—დღემდე მორჩილი და შენი მოსიყვარულე ასული—გაკებულად და ერთ რამესა გვათხავე-მეთქი; ვსთხოვე, მაშატივე, რომ გაიძულე წვერი აჭხადო შენის წარსულის ფარდას და შენი წარსული საიდუმლო მაუწყო-მეთქი; ვსთხოვე მაშატივე-მეთქი, თუ ვივიწებ, რა მანძილია დედასა და შვილს შორის და ისე ვუწყვერი ჩემს თავს როგორ დაღუჭულს ადამიანსა, რომელიც თავისის მეგობრისაგან ულას სიტყვას ხნისასა და შეუბისასა მეთქი. მინდოდა გამეგო დედა-ჩემისაგან, შეუძლიან დედაგანც, რომელიც თხოვდება მაშინ, როცა სხვა უყვარს, პატიოსანი დედაგანი დარჩეს? შეუძლიან გამაგრდეს დედაგანი, რომელიც ყოველ დღე ჰხედავს საუყვარულს მამა-განც? გაიძინეს იმდენს ძაღსა და ნამუსს, რომ ებრძოდეს გამეძებულს ცდუნებას, როცა გარშემო ყოველივე, სულ ყოველივე იმის ცდუნების ცდაშაა? და ისიც, დედა-ჩემი, რომელსაც არ უყვარდა ქმარი და უყვარდა სხვა, ჰხედავდა იმ სხვას სულ ყოველ დღე,—გაუმიგრდა თუ არა ცდუნებას? გაკვანდებოდა და კეთილს ეს დედა-ჩემისა და თან თვალებში შეესტკეოდა, რომ ძაღის-ძაღათი მეთქმევიანებისა მართალი. დედამ შეჰხედა ღვთისა დედისა სატსა და აღუშფოთებულა მითხრა:

— დამშვიდებული იყავი, ასულა ჩემო. შემცოდე არ ვარ. არ შესცოდავ შენც.

«მაგრამ თქვენ მანც რამ არ მოხვალთ, ფრანხესკო, არც პარიესა, არც ნაცას, არც შაღლინგოფარსტს. თქვენ არ მოხვალთ არასოდეს იქ, საცა მე ვიქნება. ნუ, ნუ მოხვალთ! გთხოვთ, გვედრებოთ!»

«კვლავ ვკვირდები ხელს წერილის წერას. ის უცნაური, გაცხარებული სტენა რომ ავიწერეთ, რომელიც მე და დედა-ჩემს შორის მოხდა, ისე აუღელდი მას შემდეგ, თითქმის კეთილი, სათაყვანებელი დედა კვლავ უღრმესად დამაღულს თვისს საიდუმლოს უმჯლანებს თვისს სასოწარკვეთილს, იმედ-მიხდილს ასულსა-მეთქი. იმულებული ვიყავი,

გამქარ-გამომქარნა, რომ ქვეთინი შემემგურებნა როგორმე. ჩვენ, მადლ საზოგადოების გასათხოვარს ქალებს, ბევრს ჩაკვირებენ, რომ სარწმუნოება მოკალეობაა, ანუ რომ იგია მხოლოდ თავ-შესაქცევი საქმე თქვენთვისა; მაშინ როდესაც სარწმუნოება—ეგ ყოვლად განმანათლებელი საქმე გულისა, ეგ ყოვლად სადღესასწაულო საქმე,—იმჯე დროს ეგოდენ სსსალბუნებელია სულისა, ეგოდენ პირდაპირ სწავლება აღმაინს გულის-სიღრმემდე, რომ სანს სამართალია, იგი უნდა იყოს საფუძველი აღზრდისა. სარწმუნოება ჩინებულია რამ არის; მაგრამ თქვენ იქნება სარწმუნოება არც ია არაფრად მიგანსიათ? მე ვი წუხელ მან შემისრო თავლხედ ცრემლი. ესლა გულდამშვიდებული ვარ. მაგრამ ესლაც, როცა გულ-გრილად შეკუურება ჩემს ბედს, თითქო ჩემი შესახები აქა არა არის-რაო, ესლაც, როცა ყოველივე გადაწვეპტილია, გუუნებთ: ფრანხესკო, ნურსად ნუ დამსკაებით გზაში. არ შემიდლიან შეგხვეთ სადმე: აღბად ეს არის ჩემი ბედი, ეს არის ჩემი ბედის-საწერელი! ვითომ სულ აღარ არსებობთ ჩემთვის. მე დედა-ჩემოვით სათნო არ ვარ. იმას არ უნდოდა, არ ესერსებოდა ეტვირთნა შეცოდება. მე ვერ გაკუძლებ ცდუნებას. უყურეთ, აბა, რა სამინელებას გიძულაგებთ ქალი ქორწინების დღეს. დაფიქრდით, აბა, რა სკანდალი იქნება, რომ გაიგოს ვინმე ეს ამბავი! მაგრამ მუდამ ჩემად ყოფნა, თავის შეკავება და გულ-ცივობა, რომელიც საკადებულოა ჩვენთვის, გასათხოვარ ქალებისათვის (შესაძლია, რომ სსკაფივე არც შეიძლება), გადაგაკატეკოს სოლმე გარეგნობით გულ-გრილ, უგრძობელ ტიპებზე, როცა ნამდვილად ჩვენს გულში საშინელი სულის ვკეთება, ვნებათა ქარტესილია. ვინ იფიქრებდა, რომ კლარა დი-ნეროლა, — ეს მუდამ მოლიმარი, მუდამ გულ-დამშვიდებული, ემსწილი კლარა, რომელიც ასეთის ხალისით მისდგეს ცოლად მოხურს შილანგთვიურსტს, ვინ აფიქრებდა, რომ ეს ღამაჩი ცქრიალა და, როგორც ყველანი ამბობენ, ბურბუშელა ახალგაზდა ქალი ასეთის ვნებით იქებოდა შეზერობილი, ასეთის ყოვლად-მღიერის, უძვეველის გულის-თქმით იქმნებოდა გამსკვალული, რომელმაც აკერ სადამდე მიმიყვანა უკვე! ნუ შემხვებით ცხოვრების გზაზე, თორემ დავიდებები უკველად. მოიქცით ისე, როგორც ვენტლმენს შეეფერება, მორიქვით ნამდვილ თავადიშვილივით, უარ-ქვავით თქვენი გულ-



გრილი და გულ-ცივი ბუნება, უარ-ჭყაყით შირადი სარგებლობა, გა-  
ჭქრით ჩემთვის. ჰსედავთ, რა გულ-კეთილი ვარ:—თავი არ მოვიკა-  
ლი (კაცობა, რომ ძალიან გეწეინებოდათ), სხლიდან არ გამოვი-  
ქენი და არ მოვიტერი თქვენთან (ესეც მეტად სწვენად დაგრნებო-  
დათ). მიუყება ცოლად მოხურს ვაცს და გმორდები ჩემს საყუ-  
რელს რომს; თავს ვანებე ჩემს სამშობლოსაც და ჩემს ოჯახსაც.  
შეძიბრავთ, ნუ ძღუძავთ. რას მოგურნებე მე ჩემს გულს-თქმის?  
როდის იფეთქავს ეს დამალული, სხმიდებრ მგზნებარე ალი, არ  
ვიცი?

«რატომ თქვენც ისეთი არ ხართ, როგორც ყველას სხვა მ-  
ღალ საზოგადოების ემაწვიდნი ვაცნი, რომელნიც (გეკვამენ, ცხე-  
ნოსნობენ, სწეკენ თამბაქოს, თამაშობენ ქაღალდს, როგორც მაგა-  
ლითად ჩემი ძმა ფერდინანდი. თქვენ რომ იმითთხან იყოთ, ძალე  
შევიცვლიდი თქვენსედ გულსა! ექნება სულაც არ შემყარებოდით.  
გთხოვთ, დამდოთ ვალად და არას დროს არ მოხვიდეთ იქ, საცა  
მე ვიქნები. ნუ, ნუ მოხვალთ. დღეს, თორმეტ საათზედ მივდი-  
ვართ მუნაინაში; სელამოს ცხა საათზედ—წმიდა აგვისტინეს  
კლესიაში, ხოლო ათზედ—პროტესტანტების საუდარში. ნუ მო-  
ხვალთ ნურც ერთვან, წადით მაკვარესას, ნინცას, იფექით სახლში  
და ნურსად კი ნუ გამოხნდებით. თუ მოხვედით, სიხარულით შეე-  
ყვირებ და ყელზედ ჩამოგვედებით. საშინელი სკანდალი მოხდება.  
ათ-თხუთმეტ ვაცს დაკლუზე ამით. მშვიდობით, ფრანჩესკო! რად  
მითხარით, რომ გიყვარვარ?! ექნება მართალი არც-კია? ექნება მოძე-  
სიშირა? ოჰ, თქვენი ხმა! ჯოჯოხეთშიც იყოთ და სამოთხეში მო-  
მესმას, იქ მოვიდოდი, რომ თქვენთან ერთად მეტანჯნა. ვემო სარწმე-  
ნობასა, ვემო, ვემერხელობ, განა?! რა ხაირ დამღუშეთ! მაგრამ არა  
უძევს-რა, რადგან მითხარით, რომ მიყვარხარო. მშვიდობით! უკანას-  
კნელად მოკაწერ ამ წერილს ჩემს უასათხოვრობის სახელს. შემდეგს  
წერილს უკვე ეხეინა შილდინგფიურსტი ეწერება. საშინელებასა...  
მშვიდობით.

კლარა.

დონ ფრანჩესკომ დიდის ყურადღებით წაიკითხა ეს გრძელი  
წერილი, მაგრამ სახესედ სრულიად არა შეეტყო-რა. ერთს წუთს

დაცქერდა კიდევ წერილის გადასტრელებულ თხელს ფურცლებს, გაიღიმა და დარეკა ელექტრონის ზარი.

— მხარეულს უთხარი, — უბრძანა ზარის დარეკაზედ შერისუფლს მისხურს, — რომ საუზმე თორმეტის ნახევარზედ მოამზადოს. თორმეტზედ სხვაგან უნდა წავიდე.

ფრანკსგომ კვლავ შეჰხედა ფოდნასს, საიდანაც თეთრად იცქირებოდა ორი დანარჩენი წერილი და კვლავ შეაბურთა ცნობის მოყვარეობამ. დაწოდა და აიღო კონვერტი, რომელშიაც სადარბაზო ბარათი იღო. მაგრამ მაინც სძლია თავსა და ის არ გასხნა. ისევ მეორე წერილს დაუწყო კითხვა. მეორე წერილი ინგლისურის ხელით იყო დაწერილი, დიდრონისა და წერილ-მოხაზულობის ასობითა. ეს წერილიც კარგა გრძელი იყო.

«თავადო! — ასე იწუებდა წერილს გასათხროვარი ქალი — კერა გუბუდავ სხელი გიწოდოთ, ისე ძალელებს და მარცხვენს ასეთი შინაური კილო. თქვენ კი სხელს მიწოდებთ სოლმე; როცა ჩემს სხელს წარმოთქვამთ სოლმე, იტადიურადა თუ ინგლისურად — იქეთი სინარული მათრობს, რომ მგონია, ეს არის წავიქვევი-მეოქა. თქვენც კარგად იცით ესა და, ვიდრე დამასხელებდეთ, დასტორებით მიცქერით, თითქმის მიმხედებთ სასინარულად და ისე აუჩქარებლად წარმოთქვამთ სოლმე ჩემს სხელს, რომ სულ ყრუინტელი მივლის. როცა ამბობთ «დაისი, დაისი, მარგარიტა», ეს სიტყვები ჩემს გულში ზარივით ირეკება. და ყოველ ამის გამო ვიწვი, ვდნები.»

«თავადო! დღეს მივიღივარ ტურინს. ერთის კვირის წინად გავზავნე ჩემი მისხური ქალი, რომელთანაც ვცხრავრბოდი ერთად. ნუგემის საცემლად საჩუქარი მივუძღვენი. გულ-დამშვიდებით წავიდა შოტლანდიას. მე იმას არ ვუყვარდი, და არც კი მე მიყვარდა. ჩვენ გულ-უსვლად ვიცით დასაჩუქრება მისხურთა, სოლო ისინი ამის გამო თავაზიანობით გვეპყრობიან. ჩვენი შემაერთებული კავშირიც კი არის, კი გულ-უსვობა და თავაზიანობა. ჩვენ, ჩრდილოელნი, მკვიდრნი ნისლ-ბურუსიანის ქვეყნებისა, თქვენ არა გვკვართ; თქვენ იწვიით სიყვარულთ, მხოლოდ კი სიყვარული თქვენს ფიქრ-ოცნებაშია დამკვიდრებული, ნამდვილად კი არავინ არ გიყვართ. ჩვენ



ერთს კაცს ვაგუთვნებთ ხოლმე ჩვენს გულს, თუ შეილება გვეყვას— ჩვენის გულის მიფლობელი შეილება და ღმერთია, რომელსედაც და- ვამყარებთ ხოლმე ჩვენს იმედსა და სასოებას. თქვენ კი, ვინ იცის, რამდენნი გიყვართ! გიყვართ მსახურნიც, რომელნიც თქვენს სახლში გაჭრიდნენ, ბავშვებიც, რომელნიც სკოლაში დანერგულნი, გასა- თხოვარი ქალებიც—თქვენი მეგობარნი ემაწილობასა და ხალ-გაჭ- დობაში, მოხუცნიც, რომელნიც თქვენის დედ-მამის ნაცნობნი ყო- ფიჯან, თქვენი მასწავლებლებიც, მეგობარნიც, ისინიც, ვისაც მოე- ლი წელიწადი იცნობდით, ისინიც, ვინც მხოლოდ ერთის დღის განმავლობაში გინახვით. გიყვართ მრავალისაგან-მრავალნი. დღეს გიყვართ ესა თუ ის გასათხოვარი ემაწილი ქალი, იმიტომ რომ ემუსაიფეთ გაჭაფუნულის საღამოს ბაღში, საცა ჰყვოდნენ იანი და ანათებდნენ ციციანთელანი. ხვალ შეგიყვარდებით ესა თუ ის ფერ- მერთაღი მანდილოსანი, იმიტომ რომ სასოწარკვეთალი სწუსს, ქმარი უბედურად მექცა და მომიკვდაო. ზუგ შეგიყვარდებით გაუ-მაჟი- ცხენოსანი ქალი, რომელსაც ქვერ თმა აყრია მსკბუჯად, თოთრს ცხენზედ ჰყავს და ჭენებით მისდეკს გაჭენულის მეღას. თქვენ იტა- ლიელნი ხართ, სამხრეთის კერძონი და ბევრ-გვარი ქალები გიყვართ; ერთი—იმიტომ რომ თვალები თქვენის გარდაცვალებულ დედაშვილის თვალებს უგავს, მეორე—იმიტომ რომ სულ იცინის და მღერის, მესამე—იმიტომ რომ სულ ოცნებაშია... და, ვინ იცის, ვიდრე რამ- დენი სხვა გიყვართ რაიმე უცნაურის მიზეზით, რაიმე საბაბით, ხან-და-ხან სულ უბრალო, სულ წვრილმანისა და უცნაურის საბაბით. ბევრნი, ბევრნი გიყვართ ძლიერ! ხოლო საკუთრად თქვენ, თავადო, არავინ არ გიყვართ, არავინ: არც მეგობარი, არც სატრფეო და მი- ჟნური, არც უცოდველი ბავშვი, არც მოხუცი მცოდნე და მომსწრე მრავალის ამბისა, არც მიბნედილის თვალების პატრონი ბანოკანი, არავინ. ხან და ხან იღიმებით, ღაპარაკობთ თქვენის მუსიკასავით ტკბილის ხმით, აუჩქარებლად და ალერსიანად ისეთს საღაპარაკო- სსა და ისეთის კილოთი, რომ სიხარულით გუფი განკალებს. მა- გრამ სიყვარულით კი არავინ არ გიყვართ. სმირად სიყვარულით უნჭერთ ხოლმე გასათხოვარ ქალის შავს თმებსაცა, პატარა ბავშვის სუტუტს და თაფლის-ფერ ქანკარსაც, მაგრამ არ კი გიყვართ არც

ქალები და არც ემაწვიალება. არაკინ არ გიყვართ. და ამიტომ გაჯან-  
 წვით სიკვდილი.

მაშ, ეს არის, მიედივარ. მარტო-მარტო... ორ-სამს დღეს  
 ტურინს დაუყოფ, რომ ჩემს კვალს კერავან მოაგნოს, თუ ძუნას  
 დამაწვებენ, და ძევე წავალ ჯაბების მთაში. წავალ ნელ-ნელა, ჯიქა-  
 რებელი, მაგრამ გაჩერებთარ არსად არ გაჩერდება. ჯერ სეობაში შე-  
 ვალ, საცა ისევ რთვილსა სდებს, მაგრამ ჯერ გი გარემო მწვანა და მინ-  
 დორ-კელი ჭკუაგის ისევ. ძევე მთაზედ ავალ, თოვალში. გინი, რომ თქვე-  
 ნს გძულთ მთები. გძულთ ყოველივე, რაც ცხადია, რაც ცხოველია, რაც  
 ახლისებს ჭკუას, ყოველივე, რაც აკარჯიშებს ძალ-ღონეს და ამტკი-  
 ცებს, გამაწრობს ხასიათს. თქვენ ჭეშმარიტი ძე ხართ აღმო-  
 სავლეთისა, ისეთი ძე, რომელსაც უყვარს მხარ-თემოზედ წამოწო-  
 ჳა და ყურის გდება სამო შადრეკანას შუილისა, დიდ, ღია თან-  
 კრიდან ცქერა კარდას-ფრად აყვავილებულ აღვანდრებისა და ჯა-  
 უვარდას ზღვისა. თქვენ, როგორც ძეცა აღმოსავლეთისა, კელეით  
 ხანგრძლივს ოცნებას, რომელშიან ჭქრება ყოველივე ჭეშმარიტი ფაქრი  
 და აზრი, კელეით განურკვეველს ჩსრება განხილვასა, რომლის გა-  
 მოც ნისლ-ბურუსს იკიდებს, ბუნდოვანდება აზრი და ხასიათი ჭქარ-  
 გავს ძალ-სამტკიცეს.

კაცი ამ გარემოებაში იმსჯელება თავ-მოყვარულობით, შირა-  
 დის ანგარიშალობით, სუსტდება კედენ, ხნათაცა თავქვედება და  
 ბედნიერადცა ჭგრძნობს ამავე დროს თავსა. ოჲ, რა ხაირ ვნა-  
 ტრობდი დამეძლია, დამთრგუნს კვ თქვენი ხარმაცობა აღმოსავ-  
 ლეთის კაცისა, რა ხაირ ვნატრობდი, რომ უფრო ნაკლებ თავმოყვა-  
 რული ყოფილიყავით, უფრო კეთილი, გულ-ჩვილი, შემბრალბელი,  
 ბედნიერი უკეთესის ბედნიერებითა. რა ხაირ მძულდა ყოველივე, რაც  
 აძაბუნებს ხასიათს, სტესავს სამტკიცეს: სურნელკანა ია-ვარდი,  
 ფაფუგი გერმის ბალიშ-მუთაქები, ხანმო ღამეები გაზაფხულ-შემო-  
 დგომისა, ჯურჯი გამკამი ზღვა, უმომრობისა და ოცნების მიხვე-  
 კელი. მაგრამ ვერ შექმელ დამლევა: ყოველივე ესე მტად ძლიერია  
 საზოგადოდ და თქვენთვის განსაკუთრებით და ამიტომ ისევ ძე  
 კიდელი. მინდოდა შემეყვარებინა თქვენთვის მთა მისას თეთრის,  
 სვერდლივით ნახის ფერითურთ, მისის შავად ჩამობნელებულ ფიჭე-

ნამკითურთ, მოულოდნელის ქარტესალითა, წამრღველ-წამწემაღან-  
წეკუ-ნამქერითურთ. საოცარი სახილველია! მაგრამ თქვენ გძულთ სი-  
ცივე, გძულთ მოძრაობა, თოვლი სვედს გგვრით, სოფელ ენული  
სიკვდილს გავრნებთ. მეც კვ ახრი მომაცონა ენულმა».

«მაშ ეს არის, მაკდიაჩ მთაში. არ ვატი, სად მივალ, სასუღდობრ  
და, ან რამდენს სასს დაგუოთ იქა. ვიშოკა ერთს ვარკვს, საამქლო წინ-  
გამძლოლს და იმასთან ერთად წავალ იქ, სადაც მუდმივ თოვლი სძეკს;  
ვაველი უგზო-უკვლოდ მთა-ღრესა და ჭიუხ-ნახრალთა შორის, ხან  
ძალდა მწვერვალზედ ავალ, ხან ვაწრო და ღრმა სეობაში ჩავუშვებო,  
იქ, სადა ადამიანს ხმა სასწაულ-მოქმედებად ითვლება. ვაველით სა-  
შინელ ცალ-ფეს ბაღავ-ბილიკ, უფსკრულთა ნახირებად და აინუნ-  
შიანც არ ჩავიგდებ განსაღდელს. ნუ შეგქმანდებთ; მოულოდნელი  
ამბავი არა შემქმთსკვება-რა. მინდა მოკვდე ცნობაურებით, გულ-  
დამშვადებით, თუ შესამლას, იმ დღესა და საათსა, რომელსაც  
თვით მე დანიაშნავ წინადვე. მინდა დავითრო მთაში ძაღტოობით  
და გარქო ბუნების დიდებულებით. მინდა თოვლზე დავუქსო მუს-  
მოდრეკილი და ვევედრო უფაღსა, შემინდოს ჩემი საქცეაელი. მინდა  
ვუთსრა გულ-შემუსვრილმა, რომ არ შემიძლიან არ მოვაკვას თავი,  
რადგან მე მიუვარსართ და თქვენ ვა არ გიუვარვართ. თავის მო-  
ვლად დიდა, მძიმე დანაშაულია და, მე, როგორც ქრისტიანს, საშინ-  
ლად უნდა მამწუნებდეს. მაგრამ რაკა არ გიუვარვართ, მეტა ღრე  
არ არას; ამას ვეტყვი დემრთს; როგორც მოსე, ისე მოკუწოდებ  
მთაზე და ვაუწეებ ჩემის გულას ტკივილს. იმანც უნდა მომიტოვოს,  
ამიტომ რომ სიცოცხლე აღარ შემიძლიან; იმიტომ რომ ჩემი სიუვა-  
რული არ გინდათ».

«დემრთმა უნდა მომიტოვოს. როცა სავამოდ ვაღოცავ, სავამოდ  
ვაქვრებ გულს ტირილით, როცა მთა გაბგებს, რასთვისაც ვევე-  
ბი ასე ახადგანდა, მაშინ გულ-და-გულ მივეტეები სიკვდილს. მო-  
ვარდება ჩემი შემინებული წინ-გამძლოლი და დანახავს, რა სასწრა-  
ფით მიჭგოვარვს თოვლ-თოვლ ძირს სეობაში ჩემი სსეული; გა-  
ქცევა ახლო-მანლო მთაულის სახლში, მაგრამ ამ დროს მე უკვე  
ნელ-ნელა დამივარვს სუბუქი თოვლას ნაუკრთლება. სოფლი-  
დან მოსცივიანი ბარებით, ნახბებით სოფელქანი, შავსა და თბილ

შეღებით თავ-პირ შებუდნულნი; იმით თან მოჭყეობიან ცოლნიცა, კეთილნი დედაკაცნი, რომელნიც განდებიან სოღმე ყოველგან, საცა კი უბედურება მომხდარა. თან მოიტანენ სოფელურს, ხას ტოტუბის პოეტურს საკაცეს: ვინც მთის ამბავი და რამდენჯერმე მინახავს ამისთანა საკაცე, რომელსაც მკვდრებისთვისა სმარობენ. ეს ამოღენა ხელსი ჩამოვა ჩემთან ძირს სეობაში უფრო ნაკლებად საშიშ ბილიკებით; უკვე სიბნელე მოცნავს არე-მარეს; ფრთხილად და მზრუნველობით დასველებენ ჩემს ცხედარს საკაცეზე და, რადგან შემოღამებულნი იქნება ვიდრე, ახლებენ მასხალსა და ისე წამასვენებენ. მინჯალებულს მიმსუკსებენ სასტუმროში, საცა მნახეს, როცა მთარე მკვიდრი—თვალ-ტანადი, გულ-დამშვიდებულნი, საესე სიცოცხლითა და ჯან-მრთელობით, ახლა კი დაინახვენ ჩემს გადაფითრებულს სახეს, სისხლით მოსვრილსა, დაინახვენ ჩემს დამხინჯებულს გავსს. სასტუმროში, ჩემს ოთახში, ყოველივე ისევე წესსა და რიგზე იქნება: ჩემი სურათები, რათა იცოდნენ, ვინცა ვარ; ჩემი ანდერძის წერილი, რომლითაც ყოველივე ჩემი ქონება ნანდერძევი ექნებათ ღონდონის ღარიბ-ღატაკთა: ემაწვილთა და მოხუცთა, დედა-კაცთა და მამა-კაცთა. დამმარხვენ, ჩემის სურვილის თანახმად, არა ნესტიანს, ნისლიან-ბურუსიანსა და ძნელად სულ-მოსათქმელს ინგლისში, არამედ თოვლით თეთრად გადაშენტილს სასაფლავზე, თეთრად ჩამოღესილ მთის მწვერვალზე. გვინებ ღირსი ვარ ამ თეთრად გაქათქათებულ სპეტაკის სამარესი. ვერაინ გაიგებს ვერც მამინ და ვერც შემდეგ, რომ ჩემი თავი მკვე მოვიკვამ; თქვენ გეროდანებათ მხოლოდ.

«იცით, ფრანკესკო (დაიღ, სახელი უნდა გიწოდოთ), რომ სიცოცხლის აზრი და საგანი სიყვარულია? ისე ღრმად მწამს ეს ჭკმდარიტება, რომ თვინირე სიყვარულისა ჩემთვის სხვა არა არსებობს-რა: ყოველივე დანარჩენი ღანდია, ყოველივე დანარჩენი ზმანება. იქნება სკეტვიმ სთქვას, რომ სიყვარულიც ცოლივებაა. დაე. სთქვას! მანც იგი ყოვლად მშენიერი, ყოვლად ძლიერი ცოლივებაა სხვა ცოლივებათა შორის. მისი დამკარგველი სხვას გედარას აზოვის სამაგიეროდ. ვერა-რა ვერ დაიჭერს მის ალაგს: ვერც წვა-დაგვა პეტე-მოყვარეობისა, ვერც უგუნურება მათამაშესი, ვერც მშვიდი სი-



ტებოება მისტიკისა, ვერა-რა შეედრება-რა სიყვარულს. იქნება ღმერთსა კემობ და უღვთოდ ვმკრესხლობ? ვერა-რა, ვერა-რა! არც ამას სურვილი განდიდებისა, არც სიტკებობა სმიდიდრე-ფეფუნებისა, არც უდიდესი სისარული ჭკუა-გონებისა, არც ძლევა-მოსილება შვენიერებისა, არც ცთუნება ხელგუნებისა, — არა-რას სიყვარულის სწორი და ბადალი. არ გეგონათ, რომ მე ისეთი ქალი ვარ, რომელსაც დიდი ცოდვანი მიუძღვის. ყოველსავე ამას გულ-წმინდად ვამბობ სიკვდილის წინადა. ნება მქვს, ვსთქვა ყოველივე, იმიტომ რომ ოცის წლისა ასე გაბეჯათ ვისმომ სიტოცხლეს: არცა ვტოვებ, არც ვყოფიანობ. ოჲ, ფრანჩესკო, თუ იცით, რა არის სიყვარული, თქვენც დამეთანხმებით და იტყვიან, კარგად ჰქმნა, რომ თანა მიაკლავ. იმიტომ რომ მთელს ჩემს სიტოცხლეში ეგ შნო მქონდა, რომ თქვენ მიყვარდით, თქვენ ვა არ გიყვარდით და არც გიყვარვართ. თქვენთვის არ უსწავლებიათ, ფრანჩესკო, როგორ უნდა სიყვარული და არც თქვენ თვითონ განსწავლათ. არაფერი არა იცით-რა, არა გესმით-რა. თქვენ ვი ბედნიერი ხართ? იქნება. არა-ვინ არ იცის ესა. თვითონ თქვენც ვერას იტყვიან ამას ზასუსადა. იქნება, რაკი არ ვასწავლეს, როგორ უნდა სიყვარული, იმიტომ არც ვებრანებათ ეს გრძნობა. მე ვი ვკვდება იმიტომ, რომ სიყვარული მწუფურაინ! კარგად გაიგონეთ მხოლოდ, რასაც ვამბობ. მომიმინეთ ბოლომდე.

«მომიმინეთ, რადგან ეს არასდროს არ მითქვამს თქვენთვის. შემიყვარდით მაშინვე, შემომხედეთ თუ არა, ამ წუთსავე, რა წუთსაც ლაპარაკი დამიწყეთ. თქვენც მაშინვე მისვლით ამასა; დაიღაც, იმიტომ რომ მიჩვეული ხართ სხვის მიერ სიყვარულს, იმიტომ რომ, თუმცა თქვენ არასდროს არა-ვინ გყვარებიათ, სხვის სიყვარულის შეტეობა მაინც იცით. მე არა მათქვამს-რა თქვენთვის. გუნება, აღზრდა, გარემო ვითარება, მაგალითი გვანიჭებს ჩვენ ინგლისელებს მთლიანს ხასიათს, ხასიათს მტკიცესა და ძლეურს; არც ტყუილი ვიცით და არც ატანა შეგვიძლიან ტყუილისა; თავის-ხრას და სასრესავით გრება ჩვენიცა ვკმულს და სხვისაცა. მე უფრო მტკიცე ხასიათსა ვამოკვდი სსკებზედა, იმიტომ რომ არც დედა მყოლია და არც მამა; იმიტომ რომ მზრუნველიც მალე მომიკვდა და უკვე თქვენსებრის წლისა ვიყავ, რო-

ცა ჩემს ქონებას ისე განვაგებდი, როგორც ჩემი ნება იყო, კითხულობდი, რაც მინდოდა, შემქმლელ მოგზაურობა, საცა სურვილი მქონდა, შემქმლელ ძელაპარაკის ვისთანაც მსურდა, უფრო მეტად და მეტადობდა ის, ვინც ჩემი წერა იყო. და აი გუულ-ციავად მოვიხილეთ გავიგო, რა არის სიტყვა-სიტყვა, რათა მეცხოვრობ ბედნიერად, ან მომიქვას თავი, თუ ბედნიერს ცხოვრებას ვერ შევძლებდი. ძალე ვაგრძნე და მივსვდი, რომ სიტყვა-სიტყვის აზრი და საგანი სიყვარულია მხალხლად და რომ იმის ძებნითა და პოვნით, იმის სურვილითა და ამ სურვილის დაკმაყოფილებით შემოიძლიან აჩვენება ჩემი აღვაკოს უფრობილების მღელვარებითა-მეთქი. ძალიან გულ-ციავი, ძალიან გულ-დაძვირებული ვიყავ, როცა ამ სულისა და გულის ვითარების ჩსრუკასა და ძიებას გაეუკვი. ცხოვრებას ვაკვირებოდი სიფრთხილით, ნელ-ნელა, აუჩქარებლად: შეცდომა არა მომივადა-რა-მეთქი. და ისე გულ-ციავად ვაძევი ამ საქმეს, რომ ისევე ადვილად შემქმლელ კვლევას და ტქერას ადამიანთა გულში, როგორც ჩემს საკუთარში და აღმოკითხვა იქ თავმოყვარეობისა, სვეპტიციზმისა, გულ-გრილობისა, — უფრო უარესისა: — შემქმლელ აღმოკითხვა ურცხვობისა, ანჯარიშაინობისა, მოღალატობა-გამიადველობისა. არ მინდოდა ხელ-ფეხი შემეკრა ჩემთვის არც მეტობრებითა და არც სიყვარულით ისე, რომ ჩემს მხრით ზასუნი ანუ თანაგრძნობა არა უფიქროს და არ მინდოდა დაეხებებულა იმას, ვინც არ მიყვარდა. ხომ იცით, ვინც არის ჯუღო არცნო? სიტყვა-სიტყვა, შავგვრემანი, ალგზნებული, ფიცხის ფიქრ-ოცნების ზატრონი, რომელსაც ისეთი ცხელი სისხლი უდგას ძარღვებში, რომ სულ იწვის და ადაგება. იმან მითხრა, გაგაეხებო, გულ-მხურვალედ მიყვარხარო. ვუყვარვარ მე, ინგლისელი ქალი, ქერა თმისანი, გადაფითრებული-გადატეტილი, უსისხლო, უინულივით ციავი. სამსახურს თავი დაანება, ჩემს სახსარად კვლესაში დადიოდა; ღაპარაკობდა აღფრთოვანებით, საკვირვლად; მდიდარი იყო ჩემსავით, თავის-უფალი, ახალგაზდა, კარგის გვარიშვილის კაცი; ყველა მეუბნებოდა, უყვარხარ და უნდა მისთვისოდეო. მაგრამ ერთ წუთსაც არ დავეუქმებულვარ; ვგრძნობდი, რომ მისი სიტყვები ჭფარავდა იმის გულის სიტყვადეკს ქვეშ; ვხედავდი, რომ სწრაფ გარდაქვალ, წუთიერ ალგზნებას მოჭყვებოდა გულ-გრილობა, გულ-

ცოცხლობა, კავშირი ორის ისეთის ადამიანისა, რომელთაც საერთო არა  
 ექნებოდათ—არც ხასიათი, არც ჩამომავლობა, არც ბუნება და ვი-  
 თარება სულსა. ოჲ, სიყვარული რომ ყოფილიყო! მაგრამ ჯუღო  
 არცნდისა, როგორც თქვენც, არ ვუყუარდით; მაშინვე მივხვდი, ყო-  
 ველთვის ვხვდებოდი ამას.

მეც რა ნაწი და ტკბილი იყო თქვენი სიტყვები, როცა მე-  
 უბნებოდათ, რომ მიყვარხართ. ფრანჩესკა! გახსოვთ, ამ წამ-  
 თარს სურათის რომ ხელი ეჭონდა? მეორეს დღეს მოხვედით ჩემ-  
 თან, ესე სამი საათი იქნებოდა. მოხვედით შინაურულად, წინ-და-  
 წინვე არც კი შემატყობინეთ, ნებასთვა არც კი მთხოვეთ:—იცოდით,  
 რომ ინგლისში გასათხოვარი ქალები თავისუფლად მიიღებენ ხო-  
 ლმე ყველას, ვინცა სურთ. მე წიგნსა კვითხულობდი დიდს დარ-  
 ბასში ბუნარ წინ, რომელსაც საამურად ეჭონდა გუგუნა; დიდს  
 ფანჯრებიდან მისი შუქი შემოფენილიყო. მე—გახსოვთ?—ტენ-  
 ნისთანა კვითხულობდი, მგოსანს მინახებულის, დაკადებულის  
 სიყვარულისას, ტენისთანს, რომლის შეკება თქვენ არ გასმით.  
 მთხოვეთ, რამდენიმე ტაბი წამიკითხეთ და მეც დაგთანხმდით,  
 იმიტომ რომ თქვენი სურვილი ჩემი სურვილიც იყო მუდამ. მაგ-  
 რამ თქვენ ვერს არ უგდებდით და მეც ვაკრუმი. თქვენ მღუმიარე-  
 ბით და ფიქრმა წავიღოთ. ბოლოს მითხარით, რომ გიორგი უნ-  
 და წამიკითხოს კაცმა, «ფაუსტი», რომ «ფაუსტს» აჩვენებია მად-  
 ლი თათქმის ღვთაურის ტალანტისა, რომ მხოლოდ ფაუსტის  
 პოემა სიყვარულისა, რომ მხოლოდ მარგარიტამ იცოდა სიყვარუ-  
 ლი.

« — ფაუსტსაც უყვარდა მარგარიტა-მეთქი, — ვსთქვა მაშინ მე ».

« — დაჲ, ფაუსტს უყვარდა მარგარიტა, — მტკიცედ სთქვით  
 თქვენ მასუსდა ».

ესაღამოქმდებოდა. თქვენს სთქვით მიყვარხართ და დიდ-  
 ხანს მიუყრებდით. ოჲ, ტკბილი მოტყუება! რა ხანგრძლივი იყო  
 ის წუთი, როცა გვრძობდი სიხარულსაც და კვლავ ანობასაც! მე  
 არ ვსთქვია, მიყვარხართ-მეთქი. თქვენ თითონვე იცოდით. როცა  
 გამომეთხოვეთ და ხელი ჩამომართეთ, ჩემი ხელი ყინულივით ცი-

ვა იერ. თქვენ წახვედით. იმ წუთს შემდგომე ვაგრძენ, რომ სიკვდილის მეტი აღარა დამჩენოდანა.

«ის იერ და ის. ამოდ-ღა მეღანაგებოდით ვარსკვლავთ თანდასწრებითა და ჩემის ბედის ია-გარდთა-შორისანა, ეკლესიის წინა სოფელში, სადა საზაფხულოდ ვიყავით მე და თქვენ, ჩემს ღოჯანზე ხელის დადებითანა; ამოდ იმეორებდით სიყვარულის სამღვთო, წმინდა სიტყვებს, რომელიც მხოლოდ ერთხელ შეიძლება წარმო-სთქვას ადამიანმა გულ-წრთვლად თავის სინოცნსელში. რა ნაზად სტყუოდით მაშინ! მაგრამ, თუძნა მიუვარდით, მაინც ვხედავდი, გვრძნობდი მოტყუებას; ერთს წუთსაც არ შევმდნარვარ, არ დამი-ჯერნია თქვენი სიტყვები და გულ-დამძვირებით ვხედავდი სიძარ-თლეს, ლიტონს, შეუბრალებელს სიძარ-თლეს. ოჲ, რა ნაირ კსტირო-დი, რა ნაირ ვჭვითინებდი, რა ნაირ ვევედრებოდი დმურთს, მოეცა ძალი მოწმუნეობისა, მოეცა ბედნიერება ცთომილებაში ჩნარდნისა, რა ნაირ მინდოდა მერწმუნა, ბრძად მერწმუნა ის, რასაც მუუბნე-დით. რა ნაირ მინდოდა, ის ვა არა, რომ ეც სიტყვები მართალი ყოფილიყო, არამედ ის, რომ შეიძლება მეფაქრნა, ვითომ მარ-თალია-მთქი. მაგრამ ამა იერ ყოველივე; არც ჩემს დიდმა გულს-თქმამა, არც წყურვილმა სიყვარულისამ არ დამიბნულა გონება. გვრძნობდი, რა შორს იყავით ჩემიკდა, გვრძნობდი, რომ ჩემსა და თქვენ შორის რაღაც უნობი, დაუძლეველი დაბრკოლება იერ ამარ-თული. თქვენ რომ გვეარებოდით, ესლა სიკვდილისთვის აღარ და-ვაწებდი მზადებას. თქვენ რომ გვეარებოდით,—მიეხვედებოდი ამასა და ვინოცნებდი თქვენის სიყვარულისათვის, იმიტომ რომ რიცა ადამიანი უყვართ, მოკალა იცოცნლას. არ ვიცი, რა იქნებოდა მა-შინ ჩემს თავს. მხოლოდ ის ვიცი, რომ შეგეძლოთ, რაც ვნება-დათ, მოგეთხოვით ჩემგან და მეც ავისრულვდით ყოველსავე; თუნ-და არაფერიც არ მოგეთხოვით,—სულ ერთია, მე მაინც ყოველსავე ავისრულვდით. თუ ჩემს საყვარელს მბრძანებელს ენდომებოდა, რომ ჭელოდა ცოლი მორჩილი და ერთგული, მოსიყვარულე და თავ-დადებული, შეკავშირებული მასთან ღვთისა და კაცთა წინაშე, მეუღლე ჭირსა და ღვინში,—სწორედ ასეთი ცოლი ვიქნებოდი. ან იქნება ჩემს კეთილს თავადს უფრო ისა ენდომებოდა, რომ საამო, გონება-

წარმატებული და გულის-თქმით აღსავსე სატრფო ჰყოლოდა, მიხედვით  
სიყვარულისათვის თავ-გადადებული, რომლისათვისაც სიყვარულისა  
და მიჯნურობის გარეშე სხვა არა არსებულყოფიერა. მაშინ მეც სწორედ  
ამისთანა სატრფო და მიჯნური ვიქნებოდი. თუ ჩემი ბატონი მოინ-  
დომებდა მიუკეტოვებინე, ხან და ხან, მეც კი ისევე დამბრუნებოდა, თუ  
მოინდომებდა წასუყოფიერ სოფელსადმე შორს, ერთს დღეს გამიჯნურე-  
ბული ყოფილიყო, მეორეს — მხიარული, მესამეს — მოწყენილი, — მეც  
ისეთივე ვიქნებოდი, როგორც ის იქნებოდა. იმის გულისთვის ყვე-  
ლაფერს ვიტვიტობდი. რა ტებილია შეცოდებაც კი, როცა გიყვარს  
უსამზღვროდ, ღრმად, განუყოფლად! ტებილია, იმიტომ რომ გუ-  
ლი იწმინდება ამისთანა სიყვარულით, სული ძაღლდება და აღარ  
იკარებს ქვენა გრძობათა, ცხოვრების წერილმანთა ჭუჭუს. ვგრძობ,  
რომ კვლავ დმერთსა ვგმობ. მაგრამ მე ხომ თქვენის სიყვარულის  
შესახებ ვამბობ, ფრანკესკო! წარმოადგინეთ: თქვენის სიყვარულის  
შესახებ, როცა თქვენ არავენ გიყვართ, როცა არა გიყვართ-რისა.

«არა-რა! გათავდა ჩემთვის ყოველივე. თვით ყოვლად აფერა-  
დებული ყვავილიც კი ჩემს სიცოცხლისა დასტუნა: ხან-ხაკვთნი,  
ფერადნი, სასუაღნიქსნი ყოველივე გაერთიანდა, ერთმანეთში აიწია,  
ერთს ხანის ფერ, უფრო უფერულ და უსიცოცხლო გროვად გა-  
დაიქცა. აღარავითარი სურვილიც კი აღარა მაქვს, სრულიად აღარა-  
ფრისა; სრულიად აღარა მომწონს-რა; სასიცოცხლო პირი აღარა  
მაქვს. არ გიყვარვართ. და აი ეს გულ-გრილობა, ეს უძლეველი  
გულ-გრილობა მკლავს. თავ-მომწონე ადამიანი ვარ. არ შემდიდარი  
ავიტანო არც გულ-ციგობა, არც საბრალული, არც ნუგეშინის-ცემბა.  
ვერ დავეკრებო ვატვისცემას, ან მეგობრობას, ან შეხვევას. თავ-  
მომწონე ადამიანი ვარ. არც ვემდური ჩემს თავს. მინდა ისეთი სი-  
ცოცხლე, როგორის ღირსიცა ვარ: — სრული, აღსავსე სიყვარული-  
თა, გამსტკალელი გულის-თქმით, აღგზნებული სიყვარულითა; მე  
არ მინდა სიცოცხლე, დამყარებული ტყუილის, ერთურთის დათმო-  
ბანუდ, ვატეკებასუდ. მე იდეალი მქონდა, დიდ ხანს მოუწოდებდი  
ამ იდეალს, მოუწოდებდი ჩემს ასაღგანდა სულისა და გულის  
ყოვლადის ძალ-ღონითა და იგი იდეალი იდეტვის ჩემგან. მეც იმის  
მივდგე იქ, იმ სოფლიად».

«თქვენ ნურას შესწუხდებით. ყველას თავისი ბედის-სასწერელი აქვს: ერთს მარტო, მეორეს—უცნაური, მესამეს—ისეთი, რომელიც ცნობიერად ვერ გაუთვალისწინებია, ვისაც წილ-ჭხდომია ესა თუ ის ბედის-სასწერელი. განა იცით, რა ბოროტებასა სთქსავთ? თქვენ არ შეგიძლიანთ რაოდენობა მისი ასწუოთ, იმიტომ რომ არ გესმით, რა არის სიყვარული, რა მნიშვნელობა აქვს. არ იცით, რა კვალსა სტოვებთ. სიყვარულზედ ლაპარაკობთ იმისთვისვე, რისთვისაც სიმღერას ამბობს მუსიკის მოყვარული: მშვენიერი ტუბილი ხმა გაქვთ, მუსიკა სამიჯნურო სიტყვებისა თქვენ თვითონვე გატუბობთ დიდად, და თქვენც მოგწონთ მოტყუება, ცდუნება, იმიტომ რომ არ იცით, რაოდენად საშიშია ეგ მოტყუება, ან აქნება თვით თქვენვე გჯერათ, რომ სიყვარული ძალიერის გულშია. ნურას შესწუხდებით. კვადები იმიტომ, რომ ჩემი მარტოე და წმინდა იდეალი მეტად ძალადა იყო. მინდოდა, რომ გყვარებოდით, მაგრამ ის, რაც მიჭინტებია სულ უგანასგნელს დედა-კაცს, მე წილად არ მარგუნა ბედმა. გახსოვთ, სუტრისთან მეუბნეოდით ზიბელის ამბავს, რომელსაც ისე არ შექმლო მიჭკარებოდა ყვავილს, რომ ის ყვავილი მშინევე არ დამტყნარეო; ფაუსტის შესახებაც მელაპარაკებოდით, მაგრამ ფაუსტს ხომ უყვარდა მარგარიტა. თქვენ კი მეფისტოფელი ბრძანდებით, სული, რომელსაც სიყვარული არ შეუძლიან. და აი იმიტომ ვიკლავ თავს.

მარგარიტა.

დონ ფრანჩესკომ არხენად დამტყნავ თხელი, სუბუქი ფურცლები, რომელზედაც მისს დანისს დაქვერს სიკვდილის წინად თავისი სიტყვები, ჩასდო კონვერტში და კონვერტი დასდო ჰატარა სტოლზედ. ორივე წერილი—კლარსა და მარგარიტასა ერთად ეწუო. დონ ფრანჩესკომ მოუკიდა ცეცხლი გამტყნავს სიგარს და მას თეთრს, გამტყნავს ბოლში მოკლანდა ლამაზი, შავის თმით მოსილი თავი, რომელსაც ფორთოხლის კვირკვიანი ამშვენებდა და რომლის შავს თვალებს უძლეველი სასოწარკვეთილება დასხნეოდა; შემდეგ წარმოუდგა თვალ-წინ თავი თეთრ-ყიწმიზის ქალისა, ქერა, ნაცრის ფერის თმებითა, დაინახა მისი გაფითრებული ტუჩები, ზედ სასხლის წინწყლები, ჩაღურჯებული თვალბი და საუკუნოდ დადუმებული,

მოკუებული პირი. ფრანსესკომ კვლავ დარეკა ზარი და ჰკითხა მსახურს.

— ხომ არ იცი, რამდენს საათზედ მიდის მატარებელი ტურინს?

— არა, თქვენო ბრწვინვალებზე. მაგრამ ახლავე გავიგებ.

თავადმა ნკვით მოაშორა სიგაროს ფერფელ დაფიქრებული იყო და გული კი დამშვიდებული ჰქონდა, თუმცა ჯერ ისევე მანც თვალწინ ედგა პირი-სასე შეუთვალ-წარბა ქალიშვილისა, მისი სურათი პირი-სასე, მაგრამ სეკდა-მოცული და თითქო გამხდარი სულიერის ტანჯვა-წამებისაგან; ჯერ კიდევ ბუნდად ელანდებოდა თვალწინ განურკვეველნი ნაკვთნი თეთრ-ყირომიზის, კანტის ქალიშვილისა, რომელსაც თითქო სულ ნაცრის-ფერი ტანისამოსი ეცვა; ფრანსესკოს ეგონა, რომ აგერ ესედავ, როგორ აღის ნელ-ნელ ეს ქალი დიდს, თეთრს მთაზედ ვიწრო და სანაშარ ცალ-თებს ბილიე-ბილიკა.

— სამ საათზედ, თქვენო ბრწვინვალებზე, ათ წამს ნაკლებ, — მოახსენა დაბრუნებულმა მსახურმა.

— კარგი. მოამხადებინე ბარგი. მაგ მატარებლით მინდა წავიდე.

მაგრამ როცა მსახური წავიდა, თავადმა იმ აზრით, რომ იქნება მოვიშორო თავიდან ეს უცნაური ღანდნი და მოჩვენებანიო, აიღო მესამე წერილი, ის პატარა კონკერტი, რომელშიაც სადარბაზო ბარათი იღო და რომელიც, რაღაც უცნაურის ფანტაზიის გამო, ორჯულ აიღო სელში და ორჯულეკ კონკერტ გაუხსნელად უნდოდა წაკეთისა ბარათი. ახლა კი გახსნა ეს წერილიცა.

სადარბაზო ბარათზედ მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: მარია. და მარია სწერდა უბრალოდ:

«დღეს მოდიო, კარდი მომიტანეთ».

### III

პატარა გადაჩრდასებული ეტლი დონ ფრანსესკოსი გაქრდა «ნადას» საზაფხულო კარმიდამოსთან მაკაოში, საუცნოვოდ მორთულ მესერ წინა. ეტლი საგსე იყო კარდებითა. დონ ფრანსესკო,

ვინ იცის, სად არ იყო იმათ საშოკუნელად. უკავილების ძალაშია მძლიან ცოტა ქქონდათ ვარდები და ისინიც ნასკერად დამძრალი, გაუკითლებული, რთვალისაგან დასუსტული, თითქმის ტყუილად დაუხრუკავსო; ნაშირები უკვე გაქსავებულათ. ფრანსესკო წავიდა შინიიოს, საცა ცამპერინს მისი გულზედ ქქონდა გაკეთებული თავისი შუშაბანდი უკავილებისათვის; მაგრამ იქაც ვარდები პატარები იყო და თითქმის დამძრალი. ბოლოს საველლას ბაღში წავიდა სან-პოლოს ალფაფის კარებს იქით, ქალაქ გარედ. იქ ქქონდა დიდი ბაღი, განსაკუთრებით ვარდის ბუჩქებით სავსე, საცოდავს, ჭკუაზედ შეშლილს ლუკრეციას, რომელიც საველლას გვარში ერთად-ერთი-ღა გადაარჩინილიყო და ისიც შეშინებდა იყო. ათასში ერთხელ მივიდოდნენ სოლმე საველლას ოჯახის გულ-შემატკიავარნი ამ უწყინარ გიჟთან სანასკვად და პატარა სანს დაჭყოფდნენ სოლმე იმასთან; ლუკრეციას სტუმრები მაშინვე ბაღში მიჰქანდა, ხეში ვარდები დაათვალიერეთ, დასტებით იმათის სურნელებითაო. საველლას ესე ორმოცის წლისა იქმნებოდა; ძლიან გამხდარი იყო და მუდამ შავები ეცხა. მსოფლოდ წინ ასაფარებელი ფესტამალი ქქონდა ლურჯის-ფერისა, რომ მიწამ კაბა არ გამოთხუშნოს სოლმეო.

— ვარდები გინდათ? — ჰკითხა ფრანსესკოს დონნა ლუკრეცია საველლამ თავისი სრინწიანის სმით.

— ერთი მინდა მსოფლოდ.

— თუნდ ოცი მიირთვით, ორმოც და ათი.

და გიჟი სჭაიდა პატარა დანით ვარდებს, აცლიდა კელებს და ამღევდა დონ ფრანსესკოს.

— ვისთვისა გნებავთ? იმისთვის, ვისაც უყვარსართ?

— არა, დონნა ლუკრეცია.

— მაშ იმისთვის, ვინც თქვენ გაყვართ?

— დიად, იმისთვის.

და დონ ფრანსესკო წავიდა, ავსებული ვარდებით. პატარა ეტლი თითქმის სულ გაივსო, ისე რომ გაკავებული იჯდა შიგ, ხელი ან ფეხა არ მოკახედრო და არ წავახდინო ვარდებითაო.

სასაფხულეო სასასლე ნადა მღუშარედ იდგა განმარტობით და ზამთრის მზე მოწყენით დაჭყურებდა მისს არე-მარეს. ფრან-

ჩესკო შვიდა ჭკედან სართულის დიდს დაბასში, სანც დონნა მარია დი-ლანჩიანო დიდს სავარძელში იჯდა, ქანაობდა შიგ და დასრქვრდა ფესსანცმელების წვერებს, რომელიც ოქრომკედითა და წითელი აბრეშუმის ძაფით იყო მოჭარგულია. დონნა მარიას ეცა ფართო თეთრის შალის კაბა, რომელიც ბერების სამოსელსა ჰგავდა, თითქო მღვდლის ანაფორას, ანუ ბიზანტიური წამოსასხამიო; სასელეობი ორ-მადი ეკერა: ერთი ვიწროები იყო, დადილული და მანასთან შეკრული ოქროს დიდებითა, სოლო მერე—ფართობი, მხრები-დანკე ძირს დაშვებულია. შავი თმები უწესოდა ჭქონდა აკეცლია და კეთესედ დამცვრებულია პატარა ხანჯლის მსგავსის ფოლადის დანი-თა. პატარა, ნახს ყურებში გაკეთებული ჭქონდა ორი ზურმუხტის საყურე.

— უჰ, რამდენი ვარდები, რამდენი ვარდები, ფრანჩესკო! — სთქვა დონნა მარიამ, წამოდგა და საჩქაროდ გაექანა მის მისაგებულად.

გამოართვა ვარდები, გაიგო გადაჯვარედინებული მელაგები, მიხურტა გულში და სულ ჩაიმაღა შიგ გულ-მკერდი. დადიოდა ისე ოთახში და მიმოჰფანტა ყველგან: დივანზედ, სანც ვარდებმა მოჰფინა შენიერი, ვსვერიალა ფარის აღმოსავლეთისა, მრავალ-გვარად აფრადებული; სავარძლებზედ, რომელიც საურსოვოდ იყო გადაფარდაგებული ოქრომკედითა და კერცხლის ძაფით ნაკერ სტაგრითა; სძირნის ხალიჩაზედ, რომელსაც ზედ პატარ-პატარა ფერადი ყვავილები ეყარა; პატარა სტოლებზედ, რომელზედაც ეწო უოკელ-ნაირი ვაწაწინა ნივთი და გეჟი, რასაცა აღმოსავლეთის განაზირი ჭკეუნება ჰგზავნის სელოვნებით ნაკეთებ-ნაწარმოებთა მოყვარულთათვის. ერთის სიტყვით, წვიმასავით აწვიმებდა დონნა მარია თავისს დაბასში ამ ახლად მოწვევტილს, სურნელგანს ვარდებსა. როცა დონნა მარია და-ლანჩიანომ უკანასკნელი ვარდიც მოამორა, ჩავდა საქანო სავარძელში, გადაადგო უკან კისერი და დაიწყო ქანაობა, თან სავარძლის ფეხებით სრესდა ვარდებს, რომელიც იმ ალაგას მოფენილი იყო იატაკზედ. დონ ფრანჩესკო იმის გვერდით იჯდა დაბალ სავარძელში.



ფრანჩესკომ გამოართვა მარიას ჰაწაწინა ხელი, რომელზედაც ჰქუერიალებდა წვრილ ლჭრას ღეროში ჩასმული დიდი ზურმუხტი, ისეთივე მწვანე ფერისა, რა ფერისაც თვით მისი თვალები იყო.

— გუშინ იყავით გალიკანოსთან, ფრანჩესკო? — ჰკითხა ქალმა თვისის ნაწიას სასამოკონო სმით.

— დიაღ, გასდდით, — უზასუხს მან გონება-დაუტანებლად მთლად შთანქმულმა მისის ნარნარის ხელის აღერსით.

— იტკვევით?

— არა!

— ითამაშეთ?

— არა. მე არა ვთამაშობ.

— მის რას აკეთებდით?

— თქვენ გელოდით, მარია.

— არ გიყვართ თამაშობა?

— თამაშობა არაკითარს მღელვარებას არ გამომცდრევენებს სოღმე.

— არაკითარს? — სთქვა ქალმა ისეთის კილოთი, თითქო არ ერწმუნება მის სიტყვებსაო.

— მე უფრო ძალადის მღელვარების გამოცდა მიყვარს.

ქალმა გულ-ცივად შეჰხუდა ფრანჩესკოს თვისის ცხვრისფერის, უინულიკათ ცივის თვალებით; გაწითლებულნი მისნი ბაკენი კი დიდის ცდუნებით, დაუძლეველის ძალით იზიდავდა ფრანჩესკოს მათ საკოცნელად.

— მერე რაღას აკეთებდით? — ერთ-კილოვანებით ჰკითხა კვლავ ქალმა, თითქო ვაღდებულა ჩვენება ჩამოართვასო.

— აქ მოკვდი ეტლით და დაკვდიოდი ამ სახლის ანჯო-მანჯო არე-მარეზე... თქვენის ოთახის ფანჯრიდან სინათლე გამოდიოდა... ზატარა კენჭი ვესროლე.

— შევამჩნიე კენჭის სროლა, — სთქვა მარია და ოდნავ გაიღიმა.

— ფანჯარა კი არ გააღეთ მანინ.

— ციოდა, — ისე სთქვა ქალმა, თითქო აქ არაფერი ამავიაო. —

მერე რაღას აკეთებდით?



— სახლში დავბრუნდი და წერილი მოგწერეთ.

— სად არის მერე წერილი? — ჰკითხა მან, თითქმის სასამართლოს გამოძიებულაო.

— აი წერილი, — უბასუხა ფრანკესკომ და ამოიღო ჯიბიდან სქელი წერილი. მაგრამ გამოძიებულმა საამისო ყურადღება არ მიაქცია წერლს, კჭირა ხელში და არ გასსნა კი.

— დღეს დღით რაღას აკეთებდით?

— წერილებსა ვკითხულობდი.

— რა წერილებს?

— სათქმელად არა ჰღირს, — სთქვა ფრანკესკომ და უგულუბელ-ყოფით გაიქნია ხელი.

— არა ჰღირს?

— არა ჰღირს.

— მერე?

— ვარდების საშოკნელად წავედი.

— მაშ დიდ ხანს გაძებნიათ, რომ აგრე გვიან მოხვედით.

— არსად არ იყო. სინციკს დაქძო ვველგან. ვვაილები მალე ფუჭდება. თქვენი ბალიც მოწყენილია ახლად.

— თვითონ მერე მოწყენილი ვარ, — სთქვა ქალმა და დაიწყო თვისი მკვეთრი სინცილი.

— რადა, რა მიზეზია?

— ის მიზეზია, რომ თქვენ გიყვარვართ...

და ქალმა კვლავ დაიწყო სინცილი, თითქმის არა სწამს-რა იმისი, რასაც თვითონვე ამბობსო.

ფრანკესკოს მანაც ისევ კჭირა იმისი ხელი, რომელზედაც ზურმუხტი ბრწყინავდა; მარამ განთავისუფლად ხელი და დაუწყო ყურება მწვანე ძვირფას ქვას, რომელიც იმის გაყინულს თვალებსა ჰგვანდა.

— ნუღარ გიყვარვართ, ნუღარა! — სთქვა ქალმა და დაუწყო სრესა ფეხებით ვარდებსა.

ქალმა აიღო ერთი გოკობი ვარდი და დაიჭირა კბილებითა. ფრანკესკოს უნდოდა წაერთმია ვარდი და კეოცნა, მაგრამ ქალმა არ დაანება.

- ოჰ, რა ბოროტი ხარო!—სთქვა მან ბავშვურის კილოთი.
- საკმაოდ არა ვარ!—უპასუხა ქალმა წინანდებურად მტკიცედა. ორივენი გახუბდნენ. ფრანსესკო შეჭყურებდა ქალს და თვალს კერ ამოკრებდა იმის სახეს.
- სად იშოვეთ ეს კარდები, ფრანსესკო?
- იქ მამიტეს...
- ვინ მოგცათ?—ჭკითხა ბრძანების კილოთი ქალმა.
- დონნა ლუკრეცია საკელამი.
- მასმ გაეი კარდები ყოფილა, გაეი ყვაილები?
- ჩემი ყვაილებია, მარა.
- არა... თქვენ სრულიად კეთილ-გონიერი ბრძანდებით... ისე კეთილ-გონიერი, რომ მუშინან კადრცა თქვენი.
- მასმ, რა მოკიქმელო, რა წყალში გადაკარდე?—ჭკითხა ფრანსესკომ და დაწყო აქეთ-იქით ყურება გონება-დაბნეულივით.—გინდათ, თავი მოვიკლა?
- ეგ წუთიერი სიგეიყა!—სთქვა მან გულ-გრადადა.
- შემოდლან ისე მოვიკლა თავი, რომ დიდ ხანს გასტანოს საკვდილის წუთმა,—სთქვა ფრანსესკომ მწუხარებათა.
- ეველანი ისტეებან,—ისე სთქვა ქალმა, თითქო ქვა უდევს გულში.
- აბა, მოგონეთ მასმ სხვა რამ უგუნური საქციელი, მოგონეთ!—ვედრებით წამოიძახა ფრანსესკომ.
- ქალმა გააქნა-გამოაქნა თავი და ხელება კისერზე შემოიღო; გრძელი სახელოება სავარძელზე დაეშვა; სულ სნეტავი სჩანდა და მხლოდ სახესეუდ, შეუბრალებელ, თითქო გადაფისულ სახესეუდ თვალები უბრწევანადა მწკანე ზურმუხტით.
- რა გითხრათ დონნა ლუკრეციაში?
- მითხრა, ვისთვის გინდა ეს კარდებიო. იმისთვის, ვისაც უყვარხარო?
- თქვენ რა უპასუხეთ?
- ვუპასუხე, არა-მეთქი.
- რად უპასუხეთ, არაო?
- იმიტომ, რომ არ გიყვარვართ.

— სცდებით: ძილურ მიუკარხართ, — სთქვა მან გულ-ცივად.

— ო, მარია!

— გარწმუნებთ, რომ მიუკარხართ, — გაიმეორა ქალმა და უფრო უკან გადაიგდო კისერი სეჯებსად.

ფრანჩესკო გაფითრდა და მკვდრის ფერი დაედო. მაშინ და-  
 ისარა ქალი, აიღო კარდი და გადაუგდო ფრანჩესკოს, კაცმა სიხარ-  
 ბით სტარა სელი კარდს, თითქო უსომოდ განსარბეული ბავშვიად.

— დღეს რა უნდა გააკეთოთ, ფრანჩესკო? — ჰკითხა ქალმა და  
 ძალა დაატანა თავს, რომ არ დაემთქნარებინა.

— არაფერი, — ეზასუსა მან განურკვეველად. — არაფერი... თქვენ  
 მეუყარებით მხლად, როგორც მეუყარებინართ ყოველთვის.

— სულა?

— სულ თქვენ მეუყარებით, მარია.

— მე რომ წავიდე სადმე?

— მეც თქვენ წამოგყვებით.

— რომ მოგვკვდეთ?

— მეც მოგვკვდები.

— მაშ უნდა მიუკარდეთ, — სთქვა ქალმა და დაიწყო თავისი  
 მკვეთრი, შეუბრალებელი სიცილი.

ქალმა თავსად დაადო სელი ფრანჩესკოს. ფრანჩესკო ატლ-  
 სივით გაწითლდა და მოწინაღობით დაჰხარა თავისი ძლეული თავი.

ჟამი კი რბოდა; რბოდა იმათთვისაც, ვინც სატანკველად  
 ემზადებოდა და იმათთვისაც, ვინც სასიკვდილოდ მიდიოდა; ტან-  
 კვლთათვისაც და გამარჯვებით თრობილთათვისაც.

უგუნური ჟამი კი რბოდა.



## ს ი ვ ე ნ გ ლ

### თავი ოცდამეთვრამეტი\*)

ოხ, ქალო! შენ ჯიუტი და გულცივი ხარ, მაგრამ ჩემი  
გულიც ისევე ამბარტაენია, როგორც შენი.  
სიუარდი.

იმ საღამოზედ, როდესაც გასამართლება მოხდა, რებეკას  
ოთახის კარი ოდნავ ვიღამაც დააკაკუნა. ამ დროს რებეკა ლო-  
ცულობდა და დაკაკუნებას ყური არ ათხოვა. მან დაასრულა  
ლოცვა გალობით, რომლის შინაარსიც აქვე მოგვყავს:

„როდესაც ისრაილი, საყვარელი უფლისა, გამოვიდა მო-  
ნების ქვეყნიდან, მას წინ უძღოდა ღმერთი მამათა მისთა;  
დღისით ღრუბლის სვეტი წყნარად დასცურაობდა განცვიფ-  
რებულს ქვეყნებში; ღამე კი, წითელნი ქვიშანი არბეთისანი  
გაბრწყინებულნი იყვნენ ცეცხლის სვეტის შუქითა!

„ქებათა გალობა მიისწრაფებოდა ზეცისადმი დაფითა და  
საყვირითა; ასულნი სიონისანი ბანს აძღვედნენ ქურუმთა და  
მხედართა გალობას. აწ სასწაულნი აღარ აკვირვებენ ჩვენს  
მტრებს. დავიწყებული ისრაილი მარტო დაწრწის უდაბნოში;  
მამათა ჩვენთა არ შეიგნეს გზანი შენნი, უფალო, და მათ მი-  
ეცი ნება იარონ თავიანთ მიერ ამორჩეულს გზაზედ.

„მაგრამ შენ, უხილაო, ყოველგან ხარ. როდესაც გამო-  
ბრწყინდება დღე ბედნიერებისა, იყოსმცა ფიქრი ჩვენი შენზედ  
ღრუბლის ზეწრად, რათა დაგვიფაროს მაცთუნებელ შუქისა-  
გან. როდესაც იუდას გზას მოეფინება ჩვეულებრივი სიბნე-  
ლე, წყედიადისა და ქარიშხლის დროს იყავ დიდ-სულოვან და  
მრავალ-მოწყალე: დააცხრე მრისხანება შენი, ალ-მანათობე-  
ლი და მათბუნებელი.

\*) «მოამბე» № 12—1894 წ.

„ქნარნი ჩვენნი დარჩნენ ბაბილონისა წყლისა კიდევდ. ჩვენ ვართ სათამაშონი მტარვალთა და სამასხარონი წარმართთა; საკმელი არღა ღვივის საკურთხეველთა ზედა ჩვენთა, სდუმდნენ ებანნი და წინწილანი. მაგრამ შენ სთქვი, ღმერთო: სისხლი კაცთა და ხორცი ცხოვართა ამოა წინაშე თვალთა ჩემთა; შემუსვრილი გული, დამწვიდებული აზრი, აი ჩემი სასიამოვნო მსხვერპლიო.“

როდესაც რებეკას გალობის ხმა მისწყდა, მისი ოთახის კარები კვალად დააკაჟუნეს. — შემოდი, — უთხრა მან, — თუ მეგობარი ხარ; ხოლო თუ მტერი, მე საშუალება არა მაქვს წინააღმდეგობა გაგიწიო.

— მე, რებეკა, — უთხრა ბრიან დე ბოა გილბერმა, როდესაც შევიდა, — მეგობარიცა ვარ შენი და მტერიცა, ეს იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რითი დასრულდება ჩვენი ერთმანეთის ნახვა.

რებეკას ძლიერ შეეშინდა იმ კაცისა, რომელიც მიზეზი იყო მისის უბედურებისა, ამისათვის სიფრთხილის გამო, მოშორებით დადგა ბრიანზედ და გადასწყვიტა, რაც შეეძლო, წინააღმდეგობა გაეწია.

— შენ ჩემი არ უნდა გეშინოდეს, რებეკა, — უთხრა ტაძრის რაინდმა, — ანუ უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ესლა მაინც მიზეზი არა გაქვს, რომ ჩემგან შეგეშინდეს.

— მე თქვენი არ მეშინიან, ბატონო, — მიუგო რებეკამ, თუმცა ფშვინვაზედ კი ეტყობოდა, რომ ეშინოდა. — მე ღმერთისთვის მიმინდვია ჩემი თავი და ის დამიფარავს.

— არც მიზეზი გაქვს შიშისა, — მიუგო დაღვრემით გილბერმა. — თუ შენს შესახებ რამეს განვიზრახავ, შეგიძლიან გუშაგები მოიშველო, რომლებზედაც არავითარი უფლება არა მაქვს. იგინი შენ სასიკვდილოდ კი წაგიყვანენ, მაგრამ არავის კი ნებას არ მისცემენ შეურაცხყოფა მოგაყენონ.

— კურთხეულ იყოს სახელი უფლისა! — დაღაღ-ჰყო ებრაელმა ქალმა: — ამ ბოროტების ბუნაგში ყველაზედ ნაკლებად სიკვდილისა მეშინიან.

— დიად,—მიუგო ბოა გილბერმა,—გულადს არსებას სიკვდილისა არ ეშინიან. არც მე მაშინებს შუბი და ხანჯალი, არც შენ გეშინიან მაღლიდან გადმოხტომისა და ამოდებულის ხანჯლისა, შენ მხოლოდ ის გაშინებს, რასაც სხვები უპატიოსნებას ეძახიან. გამიგონე, რას გეტყვი: იქნება ჩემი პატიოსნების გრძნობაც ისეთივე ცხოველი იყოს, როგორც შენი; პატიოსნებისათვის ჩვენ ორივენი მზალა ვართ დავიხოცოთ.

— უბედურო! შენ იძულებული ხარ სიცოცხლე შესწირო იმ წესებს, რომელთაც შენი გონება უარსაჰყოფს. ეს იმას ნიშნავს, რომ აკლდები საუნჯეს, რომელიც შენთვის გამოუსადეგარია,—მაგრამ ჩემზედ ეგრე ნუ იფიქრებ. შენი გადაწყვეტილება დამყარებულია უგუნურ ხალხის ცრუ აზრთა ტალღებზედ და ადვილად ირყევა, ჩემი კი დამკვიდრებულია საუკუნოთა კლდებზედ და ვერაფერი ვერ შეარყევს მას.

— კმარა, ქალო! ეხლა მაგისთანა ლაპარაკის დრო არ არის, შენ გადაგიწყვეტია მოკვდე არა ადვილისა და ჩქარის სიკვდილით, რომელსაც ირჩევს უბედურება და რომელსაც სიხარულით ეგებება განწირულება,—შენ გინდა ჯერ ნელ-ნელა დაიტანჯო, ეწამო და მერე ისე მოკვდე იმისთვის, რასაც ეს უგუნური ხალხი დანაშაულებას ეძახის.

— მერე ვინ არის მიზეზი, რომ ჩემი ბედი ასეთია?—ისა, ვინც მხეცურის სურვილის და ანგარების გამო მე აქ მომიყვანა და არ ვიცი რალად მიორკეცებს იმ უბედურებას, რომელიც თვითონ მომაყენა.

— არა, მე შენი უბედურება არ მინდოდა; პირიქით, მე ეხლაც მზალ ვარ განგარინო ყოველივე განსაცდელი ისევე თავამოდებით, როგორც წინად, როდესაც ისრები წვიმასავით მოდიოდა და სიცოცხლესაც მოგისწრაფებდნენ, თუ ჩემი გული შენთვის ფარად არ ამეფარებინა.

— ყოველივე ეგ შენი მოქმედება რომ პატიოსნური მფარველობა ყოფილიყო უმანკოებისა, დიდად მაღლობელი ვიქნებოდი; შენ, მართალია, სიკვდილს გადამარჩინე, მაგრამ ამისთვის

ისეთი ჯილდოს თხოვნა დამიწყე, რომ იმ ჯილდოს მოცემას სიკვდილი ბევრად მირჩევნიან.

— თავი დაანებე საყვედურს, რებეკა; მე ჩემი საკუთარი მიზეზი მაქვს მწუხარებისა და არ მინდა, რომ შენმა საყვედურმა უფრო გამიორკვეოს იგი.

— მაშ შემატყობინე შენი განზრახვა, ბატონო რაინდო! თუ შენგან მოყენებული ჩემი უბედურების ნახვის გარდა კიდევ სხვა რამე გინდა, მითხარი და მერე, თუ შეიძლება, მართო დამტოვე. სიკვდილი მართალია საშიშია, მაგრამ ადვილი კი არის.

— როგორც ვხედავ, შენ კიდევ ჯიუტობ, რებეკა და შენი უბედურების მიზეზად მე მთვლი.

— დიაღ, მაგრამ შენ თვითონ კი არ იცი, რომ შენს თავდაუქტერელს გულის თქმას მე სასიკვდილოდ მიეყვებარ?

— სცდები, რებეკა, სცდები, — გააწყვეტინა სიტყვა ბოა გილბერმა, — თუ იმას მდებ ბრალად, რის გაგებაც ყოვლად შეუძლებელი იყო. როგორ მოვიფიქრებდი, რომ გამოჩერებული ბომანთარი ასე მოულოდნელად და უეცრად მოვიდოდა აქა.

— მართალია, მაგრამ შენ ეხლა იმას ხელს უმართავ, რომ სასტიკად დავისაჯო და, როგორც ვიცი, შენვე იკისრე ებრძოლო ჩემს დამცველს ჩემი დანაშაულის დასამტკიცებლად.

— შესდექი, რებეკა! ის ხალხა, რომელსაც შენ ეკუთვნი, კარგს დროს უცდის ხოლმე და თავის ნავს ისე ამოქმედებს, როგორც უფრო სასარგებლოა მისთვის.

— წყეულიც იყოს ის საათი, როდესაც ებრაელმა ხალხმა ეგ ხელობა ისწავლა! მაგრამ უბედურს ხალხს, მოკლებულს თავის სამშობლოს, მეტი რა ღონე აქვს, რომ უცხო ქვეყნელების წინაშე ეგრე არ მოიქცეს, ჩვენი ასეთი უბედური ხასიათი ალბად ჩვენი ცოდვების კითხვაა; მაგრამ თქვენთვის, რომელთაც თავი მოგაქვთ თქვენის დამოუკიდებლობით, ნუ თუ უფრო საძრახისი არ უნდა იყოს ცრუ-მოარწმუნოების წინაშე თავის მოღრეკა?

— შენს სიტყვებში, ბევრი შხამი ურევია, რებეკა, — მიუგო გილბერმა, — მაგრამ მე აქ იმისთვის კი არ მოვედი, რომ ერთი-ერთმანეთს საყვედური ვუთხრათ. იცოდნე, ბოა გილბერი არვის არაფერს დაუთმობს. მისი სურვილი მთიდან დაქანებულის მდინარესა ჰგავს: ხალხს რამდენსამე ხანს შეუძლიან მისი დაგუბება, გადაგდება, მაგრამ იგი უქვევლად ისევ თავის ადგილს დაუბრუნდება. ის წერილი, რომელმაც გაუწყა დამცველი მოგეთხოვა, ვისგან იყო, თუ არა ჩემგან? ასე სხვა ვინ შეგობრალებდა?

— მცირე ხანს სიკვდილის გადადება, — მიუგო რებეკამ, — არავითარს სარგებლობას არ მამიტანს. ნუ თუ ამის მეტი ვერა მოახერხებ-რა იმისთვის, რომელსაც ესოდენი ტანჯვა და მწუხარება დაატეხე თავზედ და საფლავის კარამდინ მიიყვანე?

— არა, რებეკა, მე შენი უბედურება ფიქრადაც არა მქონია. ამ საქმეში უგუნური გუდალორიკი რომ არ გარეულიყო, ჩვენი ორდენის დაცვას პრეცენტორს კი არა, რომელსამე უბრალო წევრს მიანდობდნენ. მაშინ მე თვითონ (ასეთი იყო ჩემი განზრახვა) გაგიხდებოდი დამცველად და მაშინ ვნახავდი ჩემი ორდენის რომელი რაინდი გაჰბედავდა ჩემთან ბრძოლას. მაშინ, რებეკა, შენი უმანკოება დამტკიცდებოდა და ჩემი დაჯილდოება შენზედ იქნებოდა დამოკიდებული.

— ეგ ტყუილი ტრაბახია, — მიუგო რებეკამ. — თქვენ მიიღეთ ჩემი ხელთათმანი და თქვენ უდა შეებრძოლოთ ჩემს დამცველს, თუ კი გამოუჩნდება იგი ისეთს უბედურს არსებას, როგორიც მე ვარ. თქვენ კი იძახით თქვენი მეგობარი და მფარველი ვარო.

— შენი მეგობარი და მფარველი ვარ ეხლაცა, — გაუმეორა მელიდურად ბოა გილბერმა: — იცოდნე კი, რომ ამისთვის მე კარგი არ დამეყრება და უპატიოსნობის სახელი დამივარდება; ამას შემდეგ ნულარ ვამკიცხავ, რომ წინდაწინვე პირობები დაგიდოდა და მერე შემოგწირო ყოველივე, რაც კი აქამდინ ჩემთვის ძვირფასი იყო.

— განმიმარტე, — უთხრა რებეკამ, — შენი სიტყვების აზრი არ მესმის.



— კარგი, — მიუგო ბოა გილბერმა, — მე ისევე გულწრფელად გეტყვი ყველაფერს, როგორც ცოდვილი ადამიანი აღსარებას ეუბნება თავის მოძღვარს. — რებეკა, მე რომ ბრძოლის ველზედ არ გამოვიდე, მაშინ ვაკლდები დიდებას და ვკარგავ იმას, რაც ჩემთვის ისეა საჭირო, როგორც ჰაერი; მე რაინდთა შორის პატივცემული და სახელოვანი ვარ და იმედი მაქვს მალე მომცემენ იმ თანამდებობას, რომელიც ეხლა უგუნურს ლუკა ბომანოარს უჭირავს. ყოველსავე ამას უარსა ვყოფ მხოლოდ შენის გულისათვის. წყეულიც იყოს გუდალრიკი, რომელმაც მე ეს მახე დამიგო, ორჯელ უფრო წყეული იყოს ალბერტ მალვოაზენი, რომელმაც დამიჭირა და თავში არ მიმარტყმევინა ეს ხელთათმანი იმ ცრუ-მორწმუნე უგუნურ მოხუცისათვის, რომელმაც საშინელი ცილი დასწამა მშვენიერს და დიდსულოვანს არსებას.

— ეხლა რაღა საჭიროა ეგრეთი ფლიდი სიტყვები? — უთხრა რებეკამ. — შენ ორში ერთი უნდა ამოგერჩია: ან უმანკო ქალის სისხლი უნდა დაგედვარა და ან შენი დიდებისათვის ჩრდილი უნდა მიგეყენებინა... ამ ორში შენ პირველი უკვე ამოირჩიე.

— ჯერ კიდევ არა, რებეკა, — უთხრა რაინდმა წყნარად და მიუახლოვდა: — მე ჯერ არ ამომირჩევია, არა, ჩემი არჩევანი შენზედ არის დამოკიდებული. თუ ბრძოლის ველზედ გამოვალ, დაიჯერე ჩემს სახელს არ შევარცხვენ; და მაშინ გეყოლება თუ არა დამცველი, სულ ერთია, შენ მაინც კოცონზედ დაწვა არ აგცდება, ამისათვის რომ რიჩარდისა და აივენგოს მეტს ჩემთან ბრძოლა არც ერთს რაინდს არ შეუძლიან. მაგრამ შენ უკვე იცი, რომ აივენგოს ჯერ კიდევ არ შეუძლიან იარაღის ტარება, ხოლო რიჩარდი კდ ტყვედ იმყოფება უცხო ქვეყანაში. ასე, თუ მე გამოვალ ბრძოლის ველზედ, სიკვდილი არ აგცდება, თუნდაც შენმა სიმშვენიერემ რომელსამე ახალგაზდა რაინდს იარაღი ააღებინოს ხელში შენს დასაცველად.

— რა საჭიროა ერთისა და იმავე სიტყვების მაგდენჯერ გამეორება?—უთხრა რებეკამ.

— ამისთვის რომ შენ შენი ბედი უფრო კარგად ასწონდასწონო.

— კარგი, მაგრამ აბა საქმეს ახლა სხვა მხრიდან შეხედე.

— თუ მე გამოვალ ბრძოლის ველზედ, შენ სიკვდილი არ აგცდება, სიკვდილის წინად კი ჯოჯოხეთის სატანჯველს მოგაყენებენ, ხოლო თუ არ გამოვალ, მაშინ სრულიად გაჰქრება ჩემი რაინდობის დიდება, ჩემის ღვაწლით შეძენილი სახელი სასაცილო და სამასხარო შეიქნება ყველასათვის და მეც ისე დამიწყებენ ცქერას, როგორც ჯადოქარს, როგორც შენს თანამოზიარეს. დიად, მე ვკარგავ სახელს, მომავალს, დიდებას, ისეთს დიდებას, რომელსაც ბევრი ვერავინ მიაღწევს ხოლმე. მაგრამ, რებეკა, დაუმატა ბრიანმა და მის ფერხთა წინაშე დაეცა,—ყოველსავე ამას შენა გწირავ მხოლოდ იმისთვის, რომ მითხრა: „ბრიან დე ბოა, ჩემი საყვარელი იყავ“.

— თავი დაანებე მაგ უგუნურს ფიქრებს, ბატონო რაინდო,—მიუგო რებეკამ,—და უმჯობესია ეხლავე გაემურო პრინცი იოანესთან, ან იმის დედასთან: იგინი არ იკადრებენ, რომ გვირგვინი ინგლისისა შეურაცხყოფილ იქმნას იმისთანა მართლ-მსაჯულებით, როგორი მართლ-მსაჯულებითაც თქვენ მე მომექეცით. მე თქვენთან სხვა სათქმელი აღარაფერი მაქვს. გაუბატურებას სიკვდილი ბევრად მირჩევნია.

— მე მაგას არ ვიზამ,—უთხრა რაინდმა და კაბაზედ ხელი წაავლო.—მე მხოლოდ შენ მოგმართავ და სხვას არავის. არ ვიცი რა გაბრკოლებს? მოიფიქრე: თუნდაც რომ მე შენი მტერი ვიყო, სიკვდილი ხომ მტერზედ უარესია და აქ ერთად-ერთი ჩემი მეტოქე კი მხოლოდ სიკვდილია.

— მე არც მტრისა მეშინიან და არც სიკვდილისა,—მიუგო რებეკამ და ცოტა არ იყოს შეეშინდა რაინდის თავდაუქერლობისა, თუმცა მტკიცედ გადასწყვიტა არც დაჰყოლოდა მის სურვილს და არც იმედი მიეცა.—იყავ კაცი, იყავ ქრისტიანი. თუ თქვენი სარწმუნოება მართლა გიქადაგებთ ადამია-

ნის შებრალებას, შენც მე შემობრალებ და გადამარჩინე ამ სა-  
 შინელს სიკვდილს, ნუ მამთხოვ ამისთვის ნურც სასყიდელს და  
 ნურც ანგარებას აჟრევ შენს სულგრძელობაში.

— არა, რებეკა!—მიუგო ამაყმა რაინდმა და წამოდგა:—  
 მე მაგ სიტყვებით ვერ დამარბილებ. მე თუ უარსა ვყოფ აწ-  
 მყოს და მომავალს დიდებას, მხოლოდ შენი დახსნისთვისა და  
 კიდევ იმისთვის, რომ შენ ჩემთან ერთად გამოიქცე. გამიგონე,  
 რებეკა,—განაგრძო ბრიანმა ლმობიერად:—ინგლისი და ევ-  
 როპა როდი შეადგენენ მთელს ქვეყანას. არიან ისეთი ქვეყ-  
 ნები, სადაც ჩვენ თავისუფლად შეგვეძლება ცხოვრება და სა-  
 დაც ჩემს დიდების მოყვარეობას დიდი ასპარეზი ექნება. ჩვენ  
 წავიდეთ პალესტინაში. შენ იქ დედოფალი იქნები, რებეკა!  
 ჩემის გმირობით და მამაცობით კარმელის მთაზედ დაგიდგამ  
 ტახტს და მას არც ერთს სკიპტრაზედ არ გავცელი.

— ეგ მხოლოდ ოცნებაა!—უთხრა რებეკამ:—ღამის ფუ-  
 ჭი მოჩვენებაა! თუ გინდა მართლაც ეგრე მოხდეს, ჩემს  
 გულს მაინც ვერ მიიზიდავ. ერთს კი გეტყვი: მე არაოდეს  
 არ გავიზიარებ იმ დიდებას, რომელსაც შეიძენ; მე ჩემი სამ-  
 შობლო და სარწმუნოება ისე ძლიერ მიყვარს, რომ არ შემო-  
 ძლიან პატივი ვცე იმ კაცს, რომელსაც ცოლ-ქმრობის კავ-  
 შირი ვაჭრობად გაუხდია და რომელიც უარსა ჰყოფს თავის  
 მოვალეობას თავის ორდენის წინაშე მხოლოდ იმისთვის, რომ  
 უცხოელ ქალთან უკანონო გულის თქმა დაიკმაყოფილოს.  
 ეგრე ძვირად ნუ აფასებ ჩემს განთავისუფლებას, ბატონო რა-  
 ინდო; იყავ მფარველი დაჩაგრულისა და შეწუხებულისა კაც-  
 მოყვარეობისა და არა ანგარების გამო. წარსდექ ინგლისის ტახ-  
 ტის წინაშე: შენს საჩივარს ამ მტარვალ ხალხის შესახებ რი-  
 ჩარდი უყურადღებოდ არ დასტოვებს.

— არას დროს, რებეკა!—მიუგო ამაყად ბოა გილბერ-  
 მა:—თუ ჩემს ორდენზედ უარს ვიტყვი, მხოლოდ შენთვის,  
 მარტო შენთვის. თუ შენ ჩემს სიყვარულს უარსა ჰყოფ, დი-  
 დების მოყვარეობა ხომ ჩემთან დარჩება; მე როდი მინდა ყვე-  
 ლას სათამაშო ვიყვე. რიჩარდის წინაშე მოვიდრიკო თავი! ამ

ამპარტავანი გულის კაცს ეთხოვო შეწყალება! არას დროს, რებეკა! ეს ჩემი ორდენის შეურაცხყოფა იქნება! მე ორდენის დატოვება კი შემძლიან და იმის დამცირება კი არას დროს.

— მაშ ღმერთი იყოს ჩემი შემწე-მფარველი! — ლალაძეყო რებეკამ: — მე ხალხისაგან არავითარს შევლას არ უნდა მოველოდე.

— მართალს ამბობ, — მიუგო რაინდმა: — თუ შენ ამპარტავანი ხარ, არც მე ვარ შენზე ნაკლები ამპარტავანი. მე თუ ბრძოლის ველზედ გამოვალ შუბითა, ნუ იფიქრებ, რომ უკანდა გავბრუნდე რამე მიზეზით; მაგრამ შენ შენს საკუთარს ბედზედ იფიქრე: მოკვდე ისეთის საშინელის სიკვდილითა, როგორც კვდიან ავაზაკები, დაიწვა აღზნებულს კოცონზედ, შეიქმნე მსხვერპლი სტიქიონისა, რომლისგანაც შემდგარია შენი მშვენიერი სხეული, — არა, რებეკა, შენ ეს არ შევიძლიან, ქალი ამას ვერ აიტანს... შენ ჩემს სურვილს შეასრულებ!

— ძრიელ ნაკლებად გცოდნია ქალის გული, ან ისეთს ქალებს შეხვედრილხარ, რომელთაც დაკარგული ჰქონიათ თავითი საუკეთესო თვისებანი. გეუბნები, შენ ისეთს გმირობას ვერ გამოიჩენ დიდი ბრძოლის დროს, როგორსაც გამოიჩენს ქალი, ერთგული თავის მოვალეობისა და ნამუსისა. მეც თვითონ ნაზად გაზდილი ქალი ვარ; განსაცდელისა ძლიერ მეშინიან, მომავალი ტანჯვანი ცახცახსა მგვრიან, მაგრამ როდესაც ჩვენ ორივენი შავ-ბეღითს ასპარეზზედ გამოვალთ, შენ საბრძოლველად და მე სატანჯელად, მაშინ, დარწმუნებული ვარ, ჩემი გულადობა შენს გულადობას ბევრად გადააქარბებს. მშვიდობით! მე შენთან ლაპარაკით დროს არ დავკარგავ; დრო, რომელიც დარჩენია ისაკის ასულს, სხვაფრივ უნდა მოიხმაროს; მან უნდა მიმართოს ისეთს ნუგეშის მცემელს, რომელმაც შეიძლება პირი მოარიდოს თავის ხალხს, მაგრამ ყური კი არასდროს არ დაიხშოს მისი ლალაძებისა და მწუხარების გასაგონად.

— მაშ ვშორდებით ერთმანეთს, — უთხრა ბოა გილბერმა რამდენიმე ხნის სიჩუის შემდეგ. — რად შეგვახვედრა ზეცამ ერთმანეთს? შენც რატომ ქრისტიანი კეთილშობილი გვარისა

არა ხარ? ღმერთს გეფიცები! როდესაც შენ გიყურებ და ვფიქრობ, სადა და როგორ უნდა შევხვდეთ კიდევ ერთმანეთსა-მეთქი, უნებლიედ გამივლის ხალმე გულში სურვილი, რომ მეც ღვთისაგან უარყოფილს შენ ხალხს ვეკუთვნოდე, ფარხმალის მაგივრად ხელში ოქროს ზოდები მეჭიროს, ყველა უხვირო ბარონის წინ თავს ვიხრიდე და შიშისაგან ვთრთოდე,—ღიაღ, რებეკა, ყოველივე ეს იმისთვის მინდა, რომ შენთან დაახლოვებული ვიყო და შენს სიკვდილში მონაწილეობა არ მივიღო.

— შენ ისე დახატე ებრაელი, როგორიც არის იგი ეხლა შენის მსგავსის კაცების დევნის წყალობითა. ზეცამ მრისხანებითა თვისითა გამოაგდო იგი სამშობლოდან, მაგრამ წაღმართობის გზა კი მისთვის არ დაუხშვია. აბა წაიკითხე მთელი ისტორია ღვთის ხალხისა და მაშინ მითხარ ვაჭრებისა და ჩარჩებისაგან შესდგება ის ხალხი, რომელსაც ესოდენი სასწაული მოუვლინა მას იეგოვამ? იცოდე, ამაყო რაინდო, რომ ჩვენ შორის მოიპოვებიან ისეთი დიდებული სახლები, რომლებთან შედარებით თქვენი დიდკაცობა იგივეა, რაც გოგრა კედრთან შედარებით; მათ აძლევდა ბრწყინვალებას და დიდებას არა ქვეყნიური მეფე, არამედ ის უზენაესი არსება, ის საშინელი ხმა, რომელიც ეცხადებოდა მათ თვისის ქერუბიმებითა. ასეთნი იყვნენ თავადნი იაკობის სახლისანი!

რებეკას აღტაცება ეტყობოდა სახეზედ, როდესაც თავის ხალხის დიდებაზედ ლაპარაკობდა, მაგრამ მაშინ კი საშინლად გაფითრდა, როდესაც ოხვრით წარმოსთქვა:—ასეთნი იყვნენ იუდიელინი თავადნი; ეხლა იგინი აღარ არიან. მოთიბული ბალახივით დაჰქნენ და მტვრად აღიგვნენ. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც არ შეუძწიკვლავთ თავეთი დიდებული შთამომავლობა და რომელთა შორის მეც მინდა ჩავირიცხო! მშვიდობით! მე არა მშურს სისხლით მოპოვებული შენი დიდება, მე არა მშურს შენი ბარბაროსული ჩამომავლობა, მე არა მშურს შენი სარწმუნოება, რომელიც მუდამ პირზედ გაკერიო, მაგრამ გულამდინ კი არასდროს არ ჩაუხწევია, საქმით არასდროს არ დაგიმტკიცებია.

— მე სწორედ მოხიბლული ვარ! — სთქვა ბოა გილბერმა. — გამოჩერჩეტებული ლუკა ბომანოარი სწორედ მართალს ამბობდა: იმ მწუხარებაში, რა მწუხარებითაც მე შენ გშორდები, რაღაც არაბუნებრივი ძალა მოიპოვება. ტურფა ქმნილებავე! — განაგრძო ბრიანმა და რებეკას ზრდილობიანად მიუახლოვდა: — ეგრეთი ახალგაზდა, ეგრეთი მშვენიერი ხარ და ეგრე უშიშრად კი ეგებები სიკვდილს! დიად, შენ სიკვდილი გადაგიწყვიტეს, სიკვდილი საშინელი, სამარცხვინო! ვის არ გადმოსცვივა შენთვის ცრემლები? ოცი წელიწადია აღარ ვიცოდი ცრემლები რა იყო, ეხლა კი, შენ რომ გიყურებ, თვალები ცრემლებით მევსება. შენ ეხლა ველარაფერი ვერ დაგიხსნის! ჩვენ ორივე მსხვერპლი ვართ მუხთალის ბედისა. მაშ მშვიდობით, დანაშაული მაპატივე და მეგობრებად მაინც გავიყარნეთ. ამაოდ ვცდილობდი შენი მტკიცე გადაწყვეტილების შერყევას, ჩემი გადაწყვეტილებაც ისევე მტკიცეა, როგორც ბედის შეურყვეველნი კანონები.

— ეგრეა, — უთხრა რებეკამ, — როდესაც კაცი თავის ლაგამწყაროს გულის თქმას ვერ დაიჭერს, ბედს დააბრალებს ხოლმე. მაგრამ მიპატივებია ყოველი დანაშაული, თუმცა შენ კი ხარ მიზეზი ჩემი ასე უღროვოდ სიკვდილისა. მართალია, ბევრი კეთილშობილური თვისება გაქვს, მაგრამ შენ ჰგევხარ იმ თვინებებულს წალკოტს, რომელსაც ბალახ-ბულახი მოჰრეგია და მშვენიერი და სასარგებლო ყვავილები დაუჩაგრავს.

— დიად, — მიუგო რაინდმა, — მართალს ამბობ, მე თავდაუქრელი და მოუღრეკელი ხასიათის კაცი ვარ და ვამპარტავნობ იმით, რომ ამ სულელთა და პირმოთნეთა ხროვაზედ ბევრით მალლა ვდგევარ. ყმაწვილობიდანვე ბრძოლის მოტფიალე ვიყავ, ათასნაირს პლანებს ვადგენდი და შეურყვევლად მათკენ მივისწრაფებოდი. ასეთივე ამპარტავანი, მტკიცე და შეურყვეველი ხასიათის კაცად დაგრჩები, ქვეყანა ამის დასამტკიცებელს საბუთებს ნახავს! მაგრამ, რებეკა, მაპატივებ დანაშაულს, თუ არა?

— მიბატევიბია ისე, როგორც კი შეიძლება აპატიოს მსხვერპლმა თავის ჯალათს.

— მაშ მშვიდობით!—უთხრა ბრიანმა და გამოვიდა ოთახიდან.

პრეცენტორი ალბერტი იქვე ახლო ოთახში იყო და მოუთმენლად ელოდა ბოა გილბერის დაბრუნებას.

— დიდ ხანს კი დარჩი ურიის ქალთან, —უთხრა მან,—მე კი აქ მოუთმენლად მოგელოდი. იცი რა იქნება, დიდმა მალისტრმა ან იმის ჯაშუშმა კონრადმა რომ აქ მომასწორონ? ასე რბილად მოქცევისათვის საშინლად დამსჯიდნენ. მაგრამ რა ამბავია შენს თავს, ძმაო? ფეხზე ძლივსა დგეხარ და სახე საშინლად გაქვს მოქურუშებული. ავად ხომ არა ხარ?

— არა,—მიუგო მან,—ისე კარგად ვარ, როგორც დამნაშავე სიკვდილის წინად. ზეცაა მოწამე, მალვოაზენ, რომ ამ ქალმა სრულიად მომხიბლა! თითქმის გადავწყვიტე დიდ მალისტრთან წავიდე და პირდაპირ ვუთხრა, რომ ჩემს ორდენზედ ხელს ვიღებ და უარს ვამბობ რებეკას დამცველ რაინდთან ბრძოლაზედ.

— ჭკუაზედ ხომ არ შემცდარხარ!—უთხრა მალვოაზენმა:—მაგით შენს თავს სრულიად დაღუპავ და იმ ურიის ქალსაც ვერაფერს უშველი, რომელიც აგრე ძვირფასია შენტვის. შენს მაგივრად ბომანოარი სხვა რაინდს დანიშნავს და დამნაშავე კი ისევ ისე დაიღუპება, როგორც მაშინ, როდესაც შენ შენს მოვალეობას შეასრულებ.

— ეგ მართალი არ არის... მე თვითონ გამოვესარჩლები ქალს,—მიუგო ამაყად ბრიანმა,—და თუ ეს ასე მოხდება, იმედი მაქვს, მალვოაზენ, ჩვენს ორდენში ვერც ერთს რაინდს ვერ იპოვნე, რომ ჩემთან ბრძოლა გაბედოს.

— დაე აგრე იყოს, მაგრამ ის კი გავიწყდება,—უთხრა ცბიერმა ალბერტმა,—რომ შენი განზრახვის ასასრულებლად არც დრო გექნება და არც საშუალება. აბა ერთი წადი ლუკა ბომანოართან და უთხარი, ჩემს ალთქმასზედ უარს ვამბობ-თქო და ნახავ, რამდენ ხანს დაგტოვებს თავისუფლად; იტყვი თუ არა

ამ სიტყვას, მაშინვე საპყრობილეში ამოგაყოფინებენ თავსა, როგორც აღთქმის გამტეხს რაინდს. არა, ბრიანო, შენ უსათუოდ უნდა იბრძოლო, თუ არ გინდა შენი თავი დაიღუპო და გაითახსირო.

— მე გავიქცევი აქედან,—უთხრა ბოა გილბერმა,—რომელსამე შორს ქვეყანაში, სადაც ფანატისკოსობას და უგუნურებას ასე ძლიერ არ გაუდგამს ფესვი. მაგრამ ჩემის ნებადართვით კი არც ერთი წვეთი სისხლი არ დაიღვრება ამ საოცარის ქმნილებისა.

— შენ აქედან გაქცევა ვერ შეგიძლიან,—უთხრა პრეცენტორმა:—შენს უგუნურებაზედ ეჭვი აიღეს და პრეცენტორიდან არ გაგიშვებენ. შენ ეს გიკვირს და გაოცებს, მაგრამ შენთვის კი სასარგებლო არის. რა გამოვა იქიდან, რომ გაიქცე? იარაღს წაგართმევენ და შენს დიდებულს სახელს შენვე მოუღებ ბოლოს შენის საქციელით. მოიფიქრე ამაზედ. რათა, რისთვის უნდა გაიგოს თავგასულმა რიჩარდმა, რომ რაინდმა, რომელიც მას საქმეს უჭირვებდა პალესტინაში და რომელმაც დასწრდილა მისი გათქმული სახელი, ერთი უბრალო ურიის ქალის გულისათვის დაჰკარგა დიდება და პატივი და ვერაფერი კი ვერ უშველა იმ ქალსაო.

— გამადლობ, მალეოაზენ,—შეჰყვირა რაინდმა,—შენ შეეხე ისეთს სიშს, რომლის ჟღერაც ყველაზედ ძლიერ აჩქროლებს ჩემს გულს! რაც უნდა იყოს, მოლალატეს მაინც არავინ დამიძახებს. ღმერთმა ქნას, რომ რიჩარდი ან ერთ-ერთი იმის გათქმული საყვარელი რაინდი მოვიდეს აქ საბრძოლველად! მაგრამ იგინი აქ არ მოვლენ, უდანაშაულოდ დასაღუპ ქალისათვის თავს არავინ შეიწყენს.

— უფრო კარგი შენთვის,—მიუგო პრეცენტორმა:—რაკი ქალს დამცველი არავინ გამოუჩნდება, მაშინ მას სიკვდილით დასჯიან დიდი მალისტრის გადაწყვეტილებით და შენ უბრალო იქნები.

— მართალია,—მიუგო ბოა გილბერმა,—თუ დამცველი არავინ გამოჩნდება, მაშინ მე იმ მაყურებელთა შორის დავ-

დღები, რომელნიც ცხენებზედ ისხდებიან და ბრძოლაში კი მონაწილეობას არ მიიღებენ. მაგრამ არა,—განაგრძო მან,— მე ისევ ისე მოვიქცევი, როგორც პირველად გადავწყვიტე. რებეკამ მე არ მინდომა, უარ-მყო, შეუურაცხყოფა მომაყენა, მაშ მე რაღად უნდა შევსწირო მას მსხვერპლად ყოველივე, რაც კი პატივსა და ღირსებას შემძენს. დიად, მალგოაზენ! მე შევებრძოლები რებეკას დამცველს!

ამ სიტყვების შემდეგ ბოა გილბერი ოთახიდან გავიდა და პრეცენტორიც მაშინვე უკან გაჰყვა. მალგოაზენი რაინდს სულ იმაზედ ელაპარაკებოდა, რომ თავის გადაწყვეტილებაზედ უარი აღარ ვთქვა და უსააუოდ შეჰბრძოლებოდა რებეკას დამცველს. თვით მალგოაზენის პირადი საარგებლობა მოითხოვდა, რომ ბოა გილბერს გაემარჯვა, რადგანაც იცოდა, რომ იგი ერთს დროს ლუკა ბომანოარის ადგილს დაიჭერდა და მისი მწყალობელი იქნებოდა. ამასთანავე იგი თვალ-ყურს ადევნებდა, რომ გილბერი ან პრეცენტორიიდან არ გაქცეულიყო და ან დიდს მალისტრს არ შეხვედროდა და პირადად უსიამოვნება არ მოსლოდა. იგი სულ იმაზედ ელაპარაკებოდა, რომ ერთად-ერთი შენი დამხსნელი შერცხვენისაგან რებეკას დამცველთან ბრძოლა არისო.

### თავი ოცდამეცხრამეტი

განვედით, აჩრდილნო! რიჩარდი—კვალად რიჩარდია.  
შექსპირი.—რიჩარდ III.

შავმა რაინდმა ლოკსლეი თავის ამხანაგებით მუხას ქვეშ დასტოვა და წმ. ბეტოლფის მონასტრისკენ გაემგზავრა. ეს მონასტერი სხვა მონასტრებისავეთ დიდი არ იყო და შემოსავალიც მცირე ჰქონდა. ფრონ დე შეფის ციხე-დარბაზის აღების შემდეგ ამ მონასტერში გადაიყვანეს აივენგო, რომელსაც ერთგული გურტი და დიდსულოვანი ვამბაც თან გააყოლეს. მეორე დღეს შავი რაინდი წასელას აპირობდა და გზის მაჩვენებლად ხუმარა ვამბა გაიყოლა.

— ჩვენ ერთმანეთს, — უთხრა მან აივენგოს, — კენინსბურგში ვნახავთ, განსვენებული ატელსტენის ციხე-დარბაზში, სადაც მამა-შენი ალაპს მართავს თავის კეთილშობილი მეგობრის სულის მოსახსენებლად. იქ ვნახავ თქვენს საქსონელ მოძმეთ, ბატონო ვილფრედო, და დაახლოვებით გავიცნობ მათ. შენ იქ უნდა დამხვდე და პირველი ჩემი საქმე ის იქნება, რომ მამაშენთან შეგარიგო.

შავი რაინდი მეგობრულად გამოეთხოვა აივენგოს, რომელსაც გულით უნდოდა თავის დამხსნელს გაჰყოლოდა, მაგრამ იგი ამაზედ არ დაეთანხმა.

— დღესაც დარჩი აქა; არა მგონია ან ხეალ შეგეძლოს მგზავრობა. ვამბას მეტი მე სხვა გამცილებელი არ მინდა, იგი ბერის როლსაც შეასრულებს და ხუმარისასაც.

— მე დიდის სიხარულით გამოგყვები, — უთხრა ვამბამ. — მე ძრიელ მინდა ატელსტენის ალაპს დავესწრო; თუ ალაპი კარგი და მაძლარი არ იქნება, მიცვალებული წამოდგება საფლაიდან და ერთს ამბავს დაახწევს მზარეულს, მეკუქნავს და მემარნეს. მაინცა და მაინც იმედი მაქვს თქვენი გმირობა დამეხმარება ჩემის ბატონის ცედრიკის წინაშე, თუ ვინიცობაა ჭკუა მიღალატებს.

— ჩემი გმირობა, ბატონო ხუმარავ, რას გიშველის იქა, სადაც შენი ბრწყინვალე გონება ვერას გახდება? — აბა ერთი ამიხსენ, რის თქმა გინდა.

— ჭკუას, ბატონო რაინდო, — მიუგო ხუმარამ, — ბევრი რამ შეუძლიან. იგი მოხერხებული და ანგარიშიანი ეშმაკია, რომელიც კარგად ხედავს თავის მეზობლის ნაკლულეფანებას და იცის გაჭირვების დროს როგორ მოიქცეს. გმირობა კი გამბედავია, რომელიც ყველაფერს სჩეხავს: იგი დაურიდებლად მიდის წინ და არავის ყურადღებას არ აქცევს. აი ამისთვის მინდა ვისარგებლო ჩემის ბატონის ჭკუითა და შენის გმირობითა.

— ბატონო შავო რაინდო, რადგანაც შენ ამ სახელით გინდა იწოდებოდე, — უთხრა აივენგომ, — ცოტა არ არის მეფიქ-

რება, რომ ასეთი ყბელი და მოუსვენარი გზის მაჩვენებელი ამოირჩიე. მაგრამ მან ისე კარგად იცის ამ ტყის ბილიკები, რომ მეტი აღარ შეიძლება; რაც შეეხება ამის ერთგულებას, ეს ხომ თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

— არა, მე არაოდეს არ ვიჩივლებ იმ კაცზედ, რომელმაც გზის ჩვენებაც იცის და გამზიარულებაც, — მშვიდობით, კეთილად ვილფრედ; გთხოვ ხვალინდელ დღეზე ადრე მაინც არ გაუდგე გზას.

შავმა რაინდმა ხელი ჩამოართვა აივენგოს, მერე მონასტრის მოძღვარს გამოეახოვა, შეჯდა ცხენზედ და გზას გაუდგა, მას თან გაჰყვა ვამბაცა. აივენგო იქამდინ აღევნებდა მათ თვალს, ვიდრე ტყეში არ შევიდნენ, შემდეგ კი მონასტერში დაბრუნდა.

ცისკრის შემდეგ აივენგომ მოძღვარი დაიბარა თავისთან; მოხუცი მაშინვე მოვიდა და ჰკითხა, როგორა ხარო.

— უკეთა ვარ, მიუგო აივენგომ, — და ჩემი გულითადი სურვილი უფრო ადრე სრულდება, ვიდრე მოველოდი; ჩემი ჰრილობა ისე საშიში არა ყოფილა, როგორც მეგონა, ან იქნება მალამომ იმოქმედა ასე საოცრად; ვგრძნობ, რომ იარაღის ტარება კარგად შემეძლიან და ეს დიდ ბედნიერებად მიმაჩნია, ამისთვის რომ ისეთი აზრები მომდიან თავში, რომელნიც აქ დარჩენის ნებას არ მაძლევენ.

— ღმერთმა ნუ ქნას, — უთხრა მოძღვარმა: — რომ ცედრიკ საქსონელის შვილმა იმაზედ ადრე დასტოვოს ჩვენი მონასტერი, ვიდრე სრულიად არ განიკურნება.

— მე თვითონ არ დავტოვებდი თქვენს სტუმრის მოყვარე მონასტერს, ღირსო მამაო, — მიუგო აივენგომ, — თუ რომ კარგად არა ვგრძნობდე თავს და იმედი არა მქონდეს მოგზაურობის ატანისა.

— მერე რა გაიძულებთ აგრე ანაზღეულად წასვლას? — ჰკითხა მოძღვარმა.

— განა თქვენ კი არ მოგსვლიათ, წმინდაო მამაო, — მიუგო რაინდმა, — რომ გულის რაღაც უბედურება უგრძნია და

იმის მიზეზი კი ვერ გაგივიათ? რას ფიქრობ ამისთანა მოვლენაზედ? უნდა მივაქციოთ ამას ყურადღება თუ არა, რადგანაც შეიძლება ჩვენი მფარველი ანგელოზები წინაღვე გვატყობინებდნენ მომავალს უბედურებას.

— უარს ვერა ვყოფ, — უთხრა მოძღვარმა და პირჯვარი გაღწეოდა, — რომ მაგისთანა მახარობლებს ზეცა ჰგზავნის ხოლმე; მაგრამ მათ ყოველთვის სარგებლობის მოტანა აქვთ სანად. რად გინდა უკან გაჰყვე იმას, ვისაც განსაცდელის დროს ვერაფერს უშველი ავადმყოფობის გამო.

მე იმდენად კარგადა ვგრძნობ ჩემს თავს, რომ იმედი მაქვს ჩემს მტერს არ დაუფვარდე. თუ გინდა რომ ბრძოლაც არ შემეძლოს, სხვაფრივ მაინც რითიმე დავეხმარები. შენც გეცოდინება, რომ საქსებს ნორმანები არ უყვართ და ვინ იცის რა მოხდეს, თუ ვინიცობაა იგი იმდროს მივა მათთან, როდესაც გაბრაზებულნი იქნებიან ატელსტენის სიკვდილით და თავიც ღვინით ექნებათ გახურებული. იგი ძლიერ უდროვოდ მოვიდა ჩვენთან და მე გადავწყვიტე ყოველი განსაცდელი ან უთაზედ გავუყო და ან ავაცდინო თავიდან; მხოლოდ მე თქვენ ამას გთხოვთ, რომ ერთ-ერთი თქვენი ცხენი მათხოვოთ, რომელსაც ჩემს ცხენზედ უფრო წყნარი სიარული ეცოდინება.

— ბატონი ბრძანდებით, მიუგო მოძღვარმა. — ჩემი ცხენი წაიყვანეთ, რომელიც განგებ თქვენთვის არის გაწვრთნილი და ძლიერ ჭკვიანიც არის. ამ ცხენს მალკინა ჰქვია და იმაზედ მშვიდი და კარგი ცხენი არა მგონია იშოვნოთ.

— მაშ უბრძანეთ, მამაო, მალკინა შეემაზონ და გურტმაც იარალი მამიტანოს.

— ნუ დაივიწყებთ, ბატონო, რომ მალკინას ისევე არა ვაგებებ-რა იარალისა, როგორც იმის პატრონს და არ ვიცი შეუძლიან თქვენი მძიმე იარალის ზიდვა თუ არა. ამასთანავე მეშინიან იარალის დანახვაზედ არ დაფრთხეს.

— დარწმუნებული იყავ, წმინდაო მამაო, — მიუგო აივენგომ, — რომ მე იმას მძიმე ტვირთს არ ავკიდებ და თუ დაფრთხოებას დაიწყებს, ადვილად დავიმორჩილებ.

ამ დროს შემოვიდა გურტი და რაინდის წაღებს დეზების გაკეთება დაუწყო. მოძღვარმა რომ ეს დაინახა, თავის ცხენი შეეცოდა და უთხრა:—ეხლა მამაგონდა, ბატონო რაინდო, რომ მალკინას დეზების შემოკვრა არ უყვარს: სჯობს ჩვენი იჯარადარის ცხენის მოსვლას მოუცადოთ, ერთი საათის შემდეგ აქ იქნება, ის უფრო მშვიდია, რადგანაც ჩვენს შემას სულ ისა ზიდავს და ქერსაც არ აკმევენ.

— გმადლობთ, ღირსო მამაო, მე თქვენი მალკინა მირჩენიან, რომელიც აგერ ეხოშიაც შემოიყვანეს. ჩემს იარაღს გურტი წამოიღებს. დარწმუნებული იყავ, რაკი მძიმეს არაფერს ავკიდებ, ურჩობას არ დაიწყობს. ახლა კი მშვიდობით!

აივენგო საჩქაროდ ჩამოვიდა კიბეზედ და მაშინვე მოახტა ცხენს, რომ უთავ-ბოლოდ მოლაპარაკე მოძღვარს დროით მოშორებოდა. აივენგო დაადგა იმ გზას, რა გზითაც შავი რაინდი წავიდა. საჭურველის მტვირთველიც (ეხლა ასე ეძახდა გურტი თავის თავს) გვერდით მისდევდა.

ამ დროს შავი რაინდი და იმის თანამოგზაური ვამბა ტყეში ერთს პატარა ბილიკზედ მიდიოდნენ. ხუმარას თავის მახარული ტანისამოსი ეცვა და სანადირო დანითა და პატარა შუბით იყო შეიარაღებული. თავის მოუსვენარი ხასიათის გამო, იგი ხან კისერზედ დააჯდებოდა ცხენს, ხან გავაზედ, ხან ერთს მხარეს გადაჰკიდებდა ორივე ფეხებს, ხან მეორე მხარეს, ხან წალმა ჯდებოდა და ხან უკულმა,—ერთის სიტყვით, სულ რაღაც მოძრაობაში იყო, ცხენმა იუარა ესა და ვამბა გადმოაგდო. ამას შემდეგ იგი დაქკვიანდა და ცხენს აღარ აწვალებდა.

— ეგ რა კარგი საყვირი გაქვს, უთხრა ხუმარამ რაინდს და ლოკსლის საჩუქარს დააცქერდა.

— ეს მეშვილდისრეთა უფროსმა მამკა,—მიუგო რაინდმა:—ამ მეშვილდისრეთ ხომ იცი რა დიდი ამაგი დასდეს შენს ბატონს ცედრიკს ტორკვილსტონის ციხე-დარბაზის აღების დროს.

— თუმცა ტორკვილსტონი აიღეს, მაგრამ ეს იმათ მოგზაურების გაძარცვას მაინც არ დაუშლის. ესეც უნდა გით-



ხრა,—განაგრძო ვამბამ და მიუახლოვდა რაინდს,—რომ ამ ტყეში მეშვილდისრეებზედ უფრო საშიში ყაჩაღები ბუდობენ. ესენი მალვოაზენის კაცები არიან, ჩვენ რომ იმათ შეეხვდეთ, იცოდეთ ხეირს არ დაგვაყრიან. სწორე მითხარ, რაინდო, რას იზამდი, მალვოაზენის ორს კაცს რომ შეხვდე?

— დედა-მიწასთან გავასწორებდი, თუ გზაში გადაგვიღებოდნენ.

— ოთხი კაცი რომ შეგხვდეს?

— იმათაც იმასვე ვუზამდი,—უთხრა რაინდმა.

— ექვსნი რომ იყვნენ,—განაგრძო ვამბამ:—ლოკსლეის საყვირს არ დაუკრავ?

— განა რაინდმა ვისმე დახმარება უნდა სთხოვოს? არასდროს!

— მაშ ნება მიბოძეთ, საყვირი კარგად გავსინჯო,—უთხრა ვამბამ.

რაინდმა მოიხსნა საყვირი და ხუმარას მისცა, რომელმაც მაშინვე მხარზედ გადაიკიდა.

— ტრი-ლა-ლა,—დაუკრა მან:—მე ამის დაკვრა შენზედ ნაკლებად არ ვიცი.

— მერე რა გინდა ქნა მაგით?—უთხრა რაინდმა:—მომეცი საყვირი.

— დარწმუნებული იყავ, ბატონო რაინდო, რომ იგი კარგი კაცის ხელშია, როდესაც გმირი და სულელი ერთად მოგზაურობენ, საყვირი სულელმა უნდა ატაროს, რადგანაც მან უფრო კარგად იცის იმის დაკვრა.

— არა, ხუმარავ,—უთხრა შეემა რაინდმა:—შენს თავს ბევრს თავისუფლებას ნუ აძლევ. გამიფრახილდი, მოთმინებიდან არ გამომიყვანო.

— ჩემზედ ძალას ნუ იხმარებ, ბატონო რაინდო,—მიუგო ხუმარამ და ცოტა უკან დადგა,—თორემ სულელი ადვილად მოჰკურცხლავს უკან და მაშინ ვნახავთ გმირი გზას როგორ გაიგნებს.

— ოჰო! დამუქრებაც გცოდნია!—უთხრა რაინდმა:—სწორე რომ გითხრა, მე შენთან ლაპარაკის დრო არა მაქვს, თუ გინდა, გქონდეს ეგ საყვირი, მხოლოდ ჩქარა კი ვიაროთ.

— მაშ ალარ გამიჯავრდებით?—ჰკითხა ვამბამ.

— გეუბნები, სულელო, არა!

— აბა რაინდული სიტყვა მომეცი, — განაგრძო ვამბამ და სიფრთხილით მიუახლოვდა.

— მამიცია; ოღონდ დროით კი იარე.

— მაშ გმირი და სულელი კვალად მორიგდნენ ერთმანეთში, — უთხრა ხუმარამ და რაინდს მიუახლოვდა. ეხლა, როდესაც საყვირი ჩემს ხელშია, შემძლიან მოგახსენოთ, რომ, თუ არა ვცდები, იმ ბუჩქებში ვილაც კაცები ჩაგვსაფრებიან.

— საიდან იცი? — ჰკითხა რაინდმა.

— იქიდან ვიცი, რომ მწვანე ბუჩქებში ორჯელ-სამჯერ ჩაფხუტიანი კაცი დავინახე.

— სწორედ მართალს ამბობ, — უთხრა რაინდმა და პირისახეზედ ზუჩი ჩამოიფარა.

შეგმა რაინდმა სწორედ დროზედ ჩამოიფარა ზუჩი, რადგანაც იმ წამს ბუჩქებიდან სამი ისარი გამოისროლეს; ერთი მათგანი სწორედ შუბლში მოხვდებოდა მას, თუ რომ ზუჩს არ დაეფარა, დანარჩენი ორი კი ჩაჩქანში მოხვდა.

— ბარაქალა ჩემს ჩაჩქანს, — სთქვა რაინდმა: — ვამბა, წამო, თვითონ ჩვენ მივუხტეთ იმათ. — და პირ-და-პირ საექვო ბუჩქებისკენ გაქუსლა ცხენი; აქ იმას ექვსი თუ შვიდი მხედარი დაესხა თავს; სამმა მათგანმა დაატაკეს რაინდს შუბები, მაგრამ შუაზედ გადაუტყდათ და ვერაფერი აყენეს. შავს რაინდს ცეცხლი სცვიოდა თვალებიდან. იგი წამოდგა უზანგოებზედ და დაიძახა: — რას ნიშნავს ესა, ბატონებო? — პასუხად ყაჩაღებმა ხმლები ამოიღეს, ყოველი მხრიდან გარს შემოერტყნენ და უყვიროდნენ: — მოკვდი, მტარვალო.

— წმინდაო ედუარდ! წმინდაო გიორგი! — იძახოდა შავი რაინდი და ყოველ წმინდანის ხსენებაზედ თითო კაცსა ჰკლავდა: — მაშ ჩვენ აქ მოლალატენი გვყოლიან?



თუმცა შავი რაინდის მოწინააღმდეგენი ძლიერ თავსედ ხელ-აღებული კაცები იყვნენ, მაგრამ ბოლოს ისე შეშინდნენ, რომ ახლო აღარ უდგებოდნენ. ამ დროს წამოდგა წინ ლურჯად შეიარაღებული რაინდი, რომელიც აქამდინ არავითარს მონაწილეობას არ იღებდა ბრძოლაში და შუბი თვითონ რაინდს კი არა, ცხენს აძგერა და სასიკვდილოდ დასჭრა.

— ბედასლ კაცს მაგის მეტი არ შეუძლიან! — შესძახა შავმა რაინდმა, როდესაც მისი ცხენი წაიქცა და თითონაც ძირს დაეცა.

ამ დროს ვამბამ საყვირი დაუკრა, ამ ხმაურობაზედ ყაჩაღებმა უკან დაიწიეს, ვამბა კი შავი რაინდისკენ გაექანა და წამოდგომა უშველა.

— სირცხვილი თქვენ, მოღალატენო, მხდლებო! — დაუყვირა ლურჯმა რაინდმა თავის კაცებს: — ხუმარა საყვირს უკრავს და თქვენ შიშისგან უკან გარბიხართ.

ამ სიტყვებით გამხნეებული ყაჩაღები კვალად ეკვეთნენ შავს რაინდს, რომლის უკანასკნელი ღონის-ძიება ის იყო, რომ ხისთვის მიეყუდა ზურგი და ისე ებრძოლა ხმლითა. მზაკვარმა ლურჯმა რაინდმა სხვა შუბი აიღო და, როდესაც დაინახა, რომ მისი მოწინააღმდეგე გაჭირვებულს მდგომარეობაში იმყოფებოდა, გაექანა მისკენ და უნდოდა ბოლო მოეღო, მაგრამ ეს განზრახვა ვამბამ ამაოდ ჩაუტარა. ხუმარა მიიჭრა ლურჯ რაინდთან და იმის ცხენს დანით მუხლის ძარღვები დაუჭრა: ცხენიცა და მხედარიც ძირს დაეცნენ. მიუხედავად ამისა, შავს რაინდს საქმე მაინც უჭირდა: შეიარაღებული ყაჩაღები ყოველი მხრიდან ესეოდნენ და ეტყობოდა, ღონე ეღეოდა; ამ დროს ტყიდან გამოისროლეს ისარი და რაინდის ერთი საშიში მოწინააღმდეგე ძირს დაეცა; მერე გამოცვივდნენ ტყიდან შევილდისრენი ლოკსლეისა მხიარული ბერის წინამძღოლობით და ყაჩაღებს მედგარი ბრძოლა აუტეხეს. ბოლოს სრულიად დაამარცხეს იგინი, ზოგი მოკლული ეგდო მიწაზედ, ზოგი სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. შავმა რაინდმა მედიდურად მადლობა გადაუხადა თავის მშველელებს და უთხრა:

— ვიდრე ჩემს მეგობრებს მადლობას გადავუხდიდე, მე მინდა გავიგო, ვინ დამეცა თავს მაშინ, როდესაც მე არავითარი მიზეზი არ მიმიცია. ვამბა, აბა ლურჯს რაინდს ზუჩი ჩამოხადე პირიდან, როგორც ეტყობა იგი უფროსი უნდა იყოს ამ საძაგელი ხალხისა.

ხუმარა მაშინვე მიუახლოვდა ყაჩაღების უფროსს, რომელიც ცხენიდან გადმოვარდნით ისე დაბეჭდილიყო, რომ ველარც ადგომა შეეძლო და ველარც გაქცევა.

— აბა, გმირო ბატონო, — უთხრა ვამბამ: — მე ისევე ვიქნები თქვენი საქურვლის მტვითველი, როგორც მეჯინიბე ვიყავი; მე გადმოგსვი ცხენიდან და მევე გავხდი ჩაჩქანსაც.

ეს უთხრა და ვამბამ პირისახიდან ზუჩი მოხადა ლურჯ რაინდს; შავმა რაინდმა ქალარა თმები დაინახა და გაიგო ვინც იყო იგი.

— ვალდემარ ფიტცურზი! — შესძახა გაკვირვებით: — რამ გაიძულა, რომ შენი წოდებისა და ღირსების კაცმა ასეთი საძაგლობა ჩაიდინე?

— რიჩარდო, — უთხრა დატყვევებულმა რაინდმა: — გეტყობა არა გცოდნია, სადამდინ მიიყვანს ადამის ჩამომავალს პატივის მოყვარეობა და შურის ძიება.

— შურის ძიება? — მიუგო შავმა რაინდმა: — მე შენთვის არას დროს შეურაცხყოფა არ მაძიყენებია და რა მიზეზი გქონდა შურის ძიებისა?

— შენ უარი ჰყავი ჩემ ქალთან კავშირი; განა ეს შეურაცხყოფა არ არის ნორმანისათვის, რომლის სისხლიც ისევე კეთილშობილურია, როგორც შენი?

— შენი ქალი? — მიუგო შავმა რაინდმა: — განა მაგისთანა უბრალო მიზეზისათვის ასეთს საზიზღარს საქმეს ჩაიდენენ? მომშორდით, ბატონებო; მე ამას ცალკე მინდა მოველაპარაკო. ახლა, ვალდემარ ფიტცურზო, მითხარი სწორედ, გამომიტყდი, ვინ წაგაქეზა ასეთის ვერაგობის ჩასადენად.

— მამი-შენის შვილმა, — მიუგო ვალდემარმა.

რიჩარდს თვალეზი ცეცხლისავით აენთო, მაგრამ კეთილ-შობილოურმა გრძნობამ მისი სიბრაზე სრულიად გააქარწყლა. მან დაიღო თავი, უშებლზედ დაიღო ხელი და რამდენსამე წამს უყურებდა დამარცხებულს ბარონს, რომელსაც ეტყობოდა, რომ რცხვენოდა.

— მაშ სიცოცხლეს არა თხოულობ, ვალდემარ? — ჰკითხა მეფე რიჩარდმა.

— ვინც ლომის ბრქვალეზშია ჩავარდნილი, — მიუგო ფიტურხმა: — მან კარგად იცის, რომ თხოვნა ამაო იქნება.

— უთხოვენლად მამინიქებია შენთვის სიცოცხლე, — მიუგო რიჩარდმა: — ლომი თავის წინ განართხულს მსხვერპლს პირს აღარ ახლებს ხოლმე. მამინიქებია შენთვის სიცოცხლე, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ სამი დღის განმავლობაში დასტავო იხგლისი და შენი ვერაგული საქციელი შენს ნორმანულს ციხე-დარბაზში დამალო და იოანე ანჟუელის სახლი შენს ბოროტ-მოქმედებაში აღარ გაურიო. თუ დანიშნულის ვადის შემდეგ კიდევ განახავს ვინმე ინგლისში, სიკვდილს ვერ ასცდები. თუ კიდევ წარმოსთქვამ როდისმე ჩემი გვარეულობის შეურაცმყოფელს სიტყვას, წმინდა გიორგის გეფიცები, თვით საკურთხეველშიაც რომ იყო — იქაც არ დაგინდობ მოსაკლავად: შენი ციხე-დარბაზის კედლებზე ჩამოგაღრჩობ და ყვავ-ყორნებს შეგაქმევ. — ლოკსლეი, უბრძანე ცხენი მისცენ ამ რაინდს, რადგანაც შენმა ისრებმა ამათი ცხენები სულ ერთიან დახოცეს.

— მე რომ დარწმუნებული არ ვიყო, რომ ჩემს მბრძანებელს წინააღმდეგობა ეჯავრება, — მიუგო მეშვილდისრემ: — ამ საძაგელს კაცს ისარსა ვკრავდი შიგ გულში და წასვლა აღარ დასჭირდებოდა.

— შენ ინგლისური გული გაქვს, ლოკსლეი, — უთხრა შავმა რაინდმა: — და ჩემს ბრძანებას უნდა დამემორჩილო. მე რიჩარდ ინგლისელი ვარ!

ამ მედიდურად წარმოთქმულს სიტყვებზედ, რომელნიც შეეფერებოდნენ ლომ-გულის ხასიათს, ყველა მეშვილდისრეთ

მუხლი მოიდრიკეს, ერთგულება შეჰფიცეს და დანაშაულობის პატიობა სთხოვეს.

— ადექით, ჩემო მეგობრებო!—უთხრა რიჩარდმა ალერსიანად და მის სახეს სიბრაზე აღარ ეტყობოდა:—ადექით, ჩემო მეგობრებო! თქვენი დანაშაულობა თქვენმა პატიოსნურმა სამსახურმა სულ ერთიანად გამოისყიდა: თქვენ უშველეთ ამას წინად ჩემს ქვეშევრდომთ ტორკვილსტონის ციხე-დარბაზის აღების დროს და ეხლა კიდევ ნაკლები სამსახური არ გაუწიეთ თქვენს მეფეს. ადექით, ძმანო, და ამის შემდეგ კარგად მოიქეცით. შენ კი, გმირო ლოკსლეი...

— ლოკსლეის ნულარ შეძახით, ჩემო მეფე!—გთხოვთ იცოდეთ ნამდვილი ჩემი სახელი, რომელიც, საუბედუროდ, ისე შორს გაითქვა, რომ ვიცი თქვენს ყურამდინაც მოახწევდა. მე რობინ გუდი ვარ, შერვუდის ტყიდან.

— ეგ სახელი ვის არ გაუგონია,—უთხრა რიჩარდმა:—თვით შორს პალესტინაშიაც კი იციან შენი სახელი, მაგრამ დარწმუნებული იყავ, რომ ყოველი დანაშაული, რომელიც ჩვენს აქ არ ყოფნის დროს ჩაგიდენია, გეპატივება და არავითარი ვნება არ მოგეცემა.

— მართალს ამბობს ანდაზა,—სთქვა ვამბამ:—„სახლში რომ კატა არ არის, თავგები მეჯლისს მართავენო“.

— შენც აქა ხარ ვამბა?—მიუგო რიჩარდმა:—შენი ხმა რომ კარგა ხანს აღარ მესმოდა, ასე მეგონა გაიქეცი-მეთქი.

— მე გავიქეცი!—შესძახა ვამბამ:—სულელობა გმირობას როდის გაშორებია? აი ჩემი ხმლის უნარი, ამ მშვენიერს ლურჯს ცხენს დიდის სიხარულით გავუმთელებდი ფეხებს, ოღონდ კი ამის პატრონი აქ დარჩენილიყო. მართალია, წინად ცოტა შორს გავდექი და ბრძოლაში მონაწილეობას არ ვიღებდი, მაგრამ შემდეგ კი ამ ცხენსაც მე დავასხივე ფეხები და საყვირიც მე დავუკარი.

— კეთილის განზრახვით, პატიოსანო ვამბა, არა? შენს სამსახურს არას დროს არ დავიფიწყებ.



— დანაშაული ვარ! — შეჰყვირა ვიღამაც მეფე რიჩარდის გვერდით: — გთხოვთ, მაპატიოთ და არ დასაჯოთ.

რიჩარდმა მიმოიხედა და მხიარული ბერი დაჩოქილი დაინახა. სახეზედ ეტყობოდა, რომ დანაშაულს გრძნობდა და პატივებას სთხოვდა.

— ეგრე ვინ შეგაშინა, უგუნურო ბერო? — ჰკითხა რიჩარდმა. — იქნება იმისი გეშინიან, რომ შენმა ეპისკოპოსმა დანაშაული არ გაგიგოს? დამშვიდდი და ნუ გეშინიან: რიჩარდ ინგლისელი შენს საიდუმლოებას არ გამოაშკარავებს.

— არა, ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევე, — მიუგო მხიარულმა მეუღაბნოემ, — მე კვერთხისა კი არა, სკიპტრისა მეშინიან. ვწუხარ, რომ ჩემი უწმინდური ხელი მირონცხებულის ყვრიმალს შეეხზა!

— ა, ა! — წარმოსთქვა რიჩარდმა. — დახე ქარი საიდანა ჰქრის. მე ის სილა კიდევ დამავიწყდა, რომლისგანაც მთელი დღე ყური მიწიოდა. მაგრამ არც კი მე დაგაკელ: მოწმები დაამტკიცებენ, რომ სამაგიერო მეტობით გადაგიხადე. დავანებოთ ამას თავი. ეკლესიისა და შენი თავისთვის ის უფრო კარგი იქნება, რომ ბერობა გაუშვა და ჩვენს ჯარში შამოხვიდე, რათა დამცველი იყო ჩვენის მეფობისა.

— მოწყალეო ხელმწიფევე! — მიუგო ბერმა: — მე მხოლოდ დანაშაულის პატიობასა გთხოვ. რაც შეეხება თქვენს ჯარში შემოსვლას, რასაკვირველია, ეს დიდი ღირსება იქნება ჩემთვის; მაგრამ მე რომ მაშინ რომელსამე ქვრივს ქალს ნუგეში ვცე და ნადირი მოვკლა, — მაშინვე დაიწყებენ ასეთს მითქმა-მოთქმას: — „სად არის ის ძალდი ბერი?“ იტყვის ერთი, „ვის უნახავს წყეული ბერი?“ იტყვის მეორე. „ის გაკრეჭილი ბერი უფრო ბევრს გარეულის ფრინველ-ნადირსა ჰხოცავს, ვიდრე ყველა სხვა მონადირენი,“ დაიყვირებს ტყის ყარაული. ერთის სიტყვით, მე მსურს ისევე ბერად დამტოვოთ და, თუ გნებავთ მოწყალეობა რამ მომანიჭოთ, გთხოვთ თქვენს წინაშე წმინდა ღუნსტანის კლერკად მამყოფოთ.

— მესმის, — მიუგო მეფემ, — წმინდა კლერკს ნება ექნება ჩემს ტყეებში ინადიროს, მხოლოდ გახსოვდეს კი, რომ წელიწადში სამი ირმის მოკვლის ნებას გაძლევ და მეტისას არა.

— თქვენო უდიდებულესობავ, — უთხრა ბერმა, — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ წმინდა ღუნსტანი ერთი-ორად აქცევს თქვენს მოწყალებას.

— მაგაში ექვი არა მაქვს, — მიუგო მეფემ, — და რადგანაც ნადირის ხორცი წყურვილს ჰგერის კაცს, ჩვენს მეკუჭნავეს ვუბრძანებთ, რომ წელიწადში ერთი ბოჩკა ღვინო და სამი ბოჩკა ლუდი მოგცეს; ხოლო თუ ამან წყურვილი ვერ მოგიკლას, მაშინ სასახლეში მოდი და შენ თვითონ გაიკან ჩვენი მეკუჭნავე.

— წმინდა ღუნსტანისთვის რაღას მიბოძებთ? — ჰკითხა ბერმა.

— სტიქარსა, ეპიტრახილს და დაფარნას, — განაგრძო მეფემ და პირჯვარი დაიწერა. — მაგრამ თავი დავანებოთ ამისთანა ხუმრობას, რომ ღმერთმა არ გვიწყინოს, რადგანაც ჩვენ სისულელეზედ უფრო ბევრსა ვფიქრობთ, ვიდრე იმის ვედრებაზედ.

— მე ვიქნები პასუხის-მგებელი, თუ წმინდა ღუნსტანი ჩვენ რამეს დაგვიშავებს, — უთხრა ბერმა მხიარულად.

— შენ შენი თავისთვის იყავ, ბერო, პასუხის-მგებელი, — უთხრა რიჩარდმა ცოტა არ იყო მრისხანედ; მაგრამ მაშინვე ხელი მისცა მას, რომელმაც ზედ აკოცა და მუხლი მოიდრიკა.

ბერს შეეწინა მეფე კიდევ არ გამოჯავრდესო, მდაბლად თავი დაუკრა და გვერდზედ გადაგა.

ამავე დროს ორი ახალი პირი გამოჩნდა სცენაზედ.

### თავი მეორეოცე

გაუმარჯოს დიდს ბატონებს, რომელნიც ხელგაშლით ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენზედ ბედნიერნი კი არ არიან! კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ჩვენს მზიარულს ტყეში ჩვენი დროს-გატარების სანახავად.

მაკლონალი.

ახლად მოსულნი პირნი ვილფრედ აივენგო და მისი საჭურველის მტვირთველი გურტი იყო. აივენგოს საშინლად გაუკვირდა, როდესაც თავის მეფე გასისხლიანებული დაინახა, რომლის გარშემოც რამდენიმე მკვდარი ეყარა. აივენგომ არ იცოდა, როგორ დალაპარაკებოდა რიჩარდს: როგორც მეფეს, თუ როგორც შავს რაინდს.

—ნუ გეშინიან, ვილფრედ, —უთხრა მეფემ, —ის სახელი დამიძახე, რაცა მქვიან —რიჩარდ პლანტაგენეტი: ხომ მხედავ გარშემო ნამდვილი ინგლისელები მახვევიან, თუმცა ინგლისურს სიფიცხეს ზოგჯერ სწორე გზიდან გადუვდია იგინი.

— ბატონო აივენგო, —უთხრა მამაცმა რობინ გუდმა და წინ წამოდგა, —მე აღარას გეტყვით ჩვენი მეფის სიტყვების დასამტკიცებლად; მაგრამ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ მეფეს ამ ჟამად ჩვენზედ უფრო ერთგული ხალხი არა ჰყავს.

— მე მაგაში ეჭვი არა მაქვს, გმირო კაცო, —მიუვო ვილფრედმა, —რადგანაც შენც თვითონ ერთი მათგანი ხარ. მაგრამ რას ნიშნავს ეს მკვდრები და სისხლში მოსვრა ჩემის მეფისა?

— ჩვენ აქ მტერი ჩაგვსაფრებოდა, —უთხრა მეფემ, —მაგრამ ამ კეთილი ხალხის წყალობით იგი საკმაოდ დაისაჯა. ეხლა, მე მგონია, შენც მოლალატე ხარ, —უთხრა ღიმილით რიჩარდმა: —და ყველაზედ ჯიუტი მოლალატეც; აკი დაბეჯითებით გიბრძანე, რომ სენ ბოტოლფში დაგესვენა იქამდინ, ვიდრე ქრილობისაგან სრულიად არ გასაღდებოდინ?

— ქრილობა გამიმთელდა, —მიუვო აივენგომ, —და ეხლა მხოლოდ ნემსით გაკაწრულსა ჰგავს. მაგრამ დიდსულოვანო მეფევ, რად ავდებ შენს თავს განსაცდელში და ყრუ ადგილებ-

ში მარტოდ-მარტო რად დადინარ, თითქოს შენი სიცოცხლე ისევე არაფერს ნიშნავდეს, როგორც რომელიმე რაინდისა, რომელსაც იმაზედ უმაღლეს ბედნიერებად არაფერი მიაჩნია, რასაც თავის ხმლითა და შუბით მოიპოვებს?

— რიჩარდ პლანტაგენეტსაც, — მიუგო მეფემ, — იმაზედ მეტი ღიდება არ უნდა, რომელსაც თავის ხმლითა და შუბით მოიპოვებს და მზად არის ყოველს განსაცდელს მხოლოდ თავის ხმლით მოუღოს ბოლო და არა ჯარის დახმარებით.

— თქვენს სამეფოს, მეფევ, — უთხრა აივენგომ, — დალუბვა და ურთიერთ შორის ომი მოეღის. შენი თავი ეხლა რომ მოაკლო შენს გაქარვებულს ქვეშევრდომთ, სწორედ ცოდვა იქნება, აი ჯერ ეხლაც ძლივს გადარჩენილხარ განსაცდელს.

— ოხ! ჩემი სამეფო და ჩემი ქვეშევრდომნი! — მიუგო რიჩარდმა მოუთმენლად: — იმაზედ იმას გეტყვი, ბატონო ვილფრედო, რომ საუკეთესო ქვეშევრდომნი მზად არიან უკუნურებაში მე მომბაძონ. მაგალითად, ყველაზედ ერთგული ჩემი ქვეშევრდომი, ვილფრედ აივენგო, არ ემორჩილება ჩემს ბრძანებას და მე კი, თავის მეფეს, დარიგებას მაძლევს იმისთვის, რომ არც მე მივღევ იმის რჩევას. ჩვენ ორში ვის უფრო ნება აქვს საყვედურისა? მაგრამ მაპატივე, ჩემო ერთგულო ვილფრედ. მე უკვე წინად მითქვამს შენთვის, რომ ის დრო, რომელიც დღემდინ უქმად გავატარე, საჭირო იყო ჩემი მეგობრების და ერთგულ თავად-აზნაურობისათვის, რომ ჯერ ჯარი შეეგროვებინათ და მერე გამოვცხადებულყავ ჩემი მტრების წინაშე, რომელნიც უბრძოლველად დამემორჩილებოდნენ. იმაზედ ადრე მოსვლა ჩემს სამეფოში უსათუოდ განსაცდელში ჩამაგდებდა და მაშინ ვერც შუბი მიშველიდა, ვერც ხმალი, ვერც რობინის ისარი და ვერც ბერისა და ვამბას ყავარჯენი.

ვილფრედმა პატივისცემით დაუკრა თავი და აღარაფერი უთხრა, მან კარგად იცოდა, რომ რაც უნდა ეთქვა, ყოველივე ამოა იქნებოდა, რადგანაც რიჩარდი არამც თუ ერიდებოდა განსაცდელს, არამედ თვით ეძებდა მას. რიჩარდს გაეხარა, რომ ახალგაზდა რაინდი დააჯერა და რობინ გუდს უთხრა:

—თავისუფალ რაზმის მეფევ! საქმელი ხომ არა გაქვს-რა? ბრძოლაში ძლიერ მომშინია.

— თქვენი უდიდებულესობის წინაშე ტყუილს ვერ ვიტყვი, — მიუგო რობინ გუდმა: — ჩვენს საკუქნაოში სანოვაგე საკმაოდ მოიზოვება...

— უსათუოდ გარეული ნადირის ხორცი იქნება? — წარმოსთქვა რიჩარდმა მხიარულად. — უკეთესი საქმელი აღარ გვინდა. რა გაეწყობა! როდესაც მეფე თავის სამეფოში არა დგება და არ ნადირობს, იგი აღარ უნდა გაჯავრდეს, როდესაც მის ნადირს სხვები ხოცავენ.

— თუ თქვენი უდიდებულესობა იკადრებს ჩვენს ბანაკში მოსვლას, გარეული ნადირის ხორცი საკმაოდ იქნება; ლუდსა და კარგს ღვინოსაც ვიშოვნით.

რობინ გუდი წინ წავიდა გზის საჩვენებლად; მალე ყველანი ერთ დიდ მუხას ქვეშ მივიდნენ და აქ გაშალეს სადილი. როცა ღვინო გადაჰკრეს, რობინ გუდის ამხანაგებს აგრე რიგად აღარ ეშინოდათ თავის მეფისა. ყველანი მღეროდნენ და ხუმრობდნენ, ერთმანეთს თავიანთ თავ-გადასავალს და უკანონოდ ჩადენილს საქმეებს უამბობდნენ და ის კი ავიწყდებოდათ, რომ ყოველსავე ამას ამბობდნენ კანონების დამცველის წინაშე; მეფეც მათთან ერთად მხიარულობდა და ხუმრობდა. რობინ გუდს უნდოდა, რომ სადილი მალე გათავებულყო, რადგანაც ეშინოდა შექეიფიანებულს ხალხში უსიამოვნება არა მომხდარიყო; მან შენიშნა, რომ აივენგოც ამასა ფიქრობდა.

— ჩვენ უღირს ღირსებად მიგვაჩნია ჩვენი მეფის ჩვენთან ყოფნა, — უთხრა რობინ გუდმა აივენგოს, — მაგრამ მე მინდა, რომ იგი არა ჰკარგავდეს დროს, რომელიც მეტად ძვირფასია სამეფოს ეხლანდელი მდგომარეობისათვის.

— მაგას გონიერულად ამბობ, მამაცო რობინ გუდო, — მიუგო ჩუმაღ ვილფრედმა, — და ამასთანავე იცოდე, რომ ვინც მეფეს ეხუმრება, თუ გინდ რომ იგი ხუმრობის გუნებაზედ იყოს, მაინც ლომს ეხუმრება, რომელიც პრჭყალეზსა და კბილებს ადვილად მოიხმარებას გაბრაზების დროს.



— შენ ნამდვილად მიხვდი იმას, რისაც მეშინიან, — განაგრძო რობინ გულმა: — ჩემი ამანაგები ბუნებითად თავხედნი არიან, მეფე კი იმდენადვე ფაცხია, რამდენადაც მხიარული; მათ შორის შეიძლება უთანხმოება ჩავარდეს და თუ საქმე მოხდება... დროა ეს ქეიფი გავათავოთ.

— ქეიფის ბოლოს მოღება მხოლოდ შენ შეგიძლიან, მა. მაკო მეშვილდისრევე, — უთხრა აივენგომ, — რადგანაც ჩემი ვაკვრით თქმა მეფეზედ არ მოქმედობს და ქეიფს უფრო მიეცემა.

— როგორ? ვითომ მე შევაწყვეტინო ეს ქეიფი და მევე კვალად გავარისხო ჩემზედ? — სთქვა რობინ გულმა მკირე ხნის სიჩუმის შემდეგ. — მაგრამ წმ. ქრისტეფორეს გეფიცები, ასე კი უნდა მოხდეს. მე მისი მოწყალების ღირსი არ ვიქნებოდი, იმის კეთილდღეობისათვის თავის გაწირვა რომ არ შემეძლოს. აქ მოდი, სკატლოკო, იმიტვის პირში შედი და საყვირი ნორმანულად დაუკარ, ეს უსათუოდ მალე უნდა შეასრულო, თუ არ გინდა სიცოცხლეს გამოესალმო.

სკატლოკი დაემორჩილა თავის უფროსს და რამდენსამე წამს არ გაუვლია, რომ მოქეიფენი საყვირის ხმამ შეაძრწუნა.

— ეს მალგოაზენის საყვირის ხმაა, — შესძახა მეწისქველემ, მერე ზეზედ წამოხტა და შვილდისარს სტაცა ხელი. ბერს ფილა გავარდა ხელიდან და ყავარჯენით აღიჭურვა. ვაშბაცა და სხვებიც საბრძოლველად მოემზადნენ. რიჩარდმაც მოითხოვა თავის ზუჩი და იარაღი; ვიდრე მეფე ზუჩს დაიხურავდა და იარაღს აისხამდა, ვილფრედს სასტიკად უბრძანა, ომში მონაწილეობა არ მიეღო.

— შენ არა ერთხელ გიბრძოლია ჩემთვის, — უთხრა რიჩარდმა ვილფრედს, — დღეს შენ მაყურებლად უნდა იყო და ნახავ როგორ იბრძოლებს რიჩარდი თავის მეგობრისთვის.

რობინ გულმა კი რამდენიმე კაცი სხვა-და-სხვა მხარეს გაგზავნა, რომ მტრის ძალა გაეგო; როდესაც ნახა, რომ ქეიფს ყველამ თავი დაანებეს, იგი მივიდა შეიარაღებულ რიჩარდთან, ცალ მუხლზედ დაიჩოქა და პატივება სთხოვა.

— რა უნდა გაბატოვო, კეთილო მეშვილდისრევ? — ჰკითხა რიჩარდმა მოუთმენლად. — ამასწინად აკი ყოველი დანაშაული გაბატოვე. შენ ჩვენი სიტყვა ქარი ხომ არა გგონია? მას აქეთ ხომ აღარა დაგიშავებია-რა?

— დიალ, დავაშავე! თუ დანაშაულობად ჩაითვლება ისა, რომ ჩემი ხელმწიფე თავისავე სიკეთისათვის მოვატყუე. თქვენ მალეგაზენის საყვირის ხმა არ მოგსმენიათ: მე ჩემს კაცს დავაკვრეინე საყვირი მალეგაზენისებურად, რომ ქეიფი შემეწყვეტინებინა და საჭარო საქმეს შევდგომოდით.

ეს რომ უთხრა, რობინ გული ფეხზედ წამოდგა, გულხელი დაიკრიბა და თავის მეფის პასუხს ელოდა. რიჩარდი სიბრახისაგან გაწითლდა, მაგრამ მალე დამშვიდდა, რადგანაც იგრძნო, რომ ლოკსლეი მართალი იყო.

— ტყის მეფეს, — სთქვა მან, — ინგლისის მეფისათვის ღვინო და გარეული ნადირის ხორცი არ ემეტება. კარგი, გულადო რობინ! მაგრამ როდესაც შენ ჩემთან მოხვალ მხიარულოს ლონდონში, დაწმუნებული ვარ ეგრე მოწყენით არ დაგიხვდები. მაინცა და მაინც შენ მართალი ხარ, ჩემო კეთილო მეგობარო! შეესხდეთ ცხენებზედ და წავიდეთ. ვილფრედი ამ წამს მოუთმენლად მოელოდა. მითხარ, მამაცო რობინ, შენს ხალხში არა გყავს ისეთი ამხანაგი, რომელიც არამც თუ რჩევას გაძლევდეს, არამედ ყოველსავე შენს მოქმედებას თვითონ განაგებდეს, ხოლო როდესაც შენს ნებაზედ მოიქცევი, მაშინ კი წსყინს?

— აგრეთია ჩემი ამხანაგი ლიტლჯონი, — მიუგო რობინმა, — იგი ეხლა შოტლანდიის სამზღვარზედ იმყოფება საომრად. ბევრჯელ, არ მიაძება მისი რჩევა, მაგრამ როდესაც კარგად დავფიქრდები, ველარ ვუჯავრდები იმ კაცს, რომელსაც მხოლოდ ჩემი სიკეთე უნდა და სხვა არაფერი.

— მართალს ამბობ, კეთილო მეშვილდისრევ, — უთხრა რიჩარდმა, — მე რომ ერთის მხრივ აივენგო მყავდეს მრჩევლად და მეორეს მხრივ შენა, რომ მოტყუებით შემასრულებინო ისა, რასაც ჩემს სასარგებლოდ რაცხავ, მაშინ ძლიერ ნაკლები თავი-



სუფლება მექნებოდა ჩემი სურვილის შესასრულებლად. მაგრამ წავიდეთ, ბატონებო, კონინგსბურგში და წარსული დავივიწყოთ.

რობინ გულმა შეატყობინა რიჩარდს, რომ ყოველი მხრისკენ გაგზავნილი მყაეს კაცები და თუ მტერი იქნება სადმე ჩასაფრებული, შეგვატყობინებენ და ჩემი რაზმით მაშინვე იქ გავჩნდებით. რიჩარდს გული აუჩუყდა ასეთის გონივრულის განკარგულების გამო, კვლად ხელი ჩამოართვა რობინ გულს და დაჰპირდა, რომ ყოველსავე ჩადენილ დანაშაულს გაპატივებ და ტყეების შესახებ სასტიკ კანონებს შევამსუბუქებო. მაგრამ რიჩარდმა თავის დაპირება ვერ შეასრულა, რადგანაც უდროვოდ სიკვდილმა მოუღო ბოლო. რაც შეეხება რობინ გულს, იგიც ღალატით მოკლეს და პატრ-პატარა წიგნაკებში იხსენებოდა მისი ვაჟკაცობა.

ჯერ მზე არ ჩასულიყო, რომ მეფე რიჩარდი თავის თანამოგზავრებით კონინგსბურგში მივიდნენ. ინგლისში ბევრი არ მოიპოვები ისეთი მშვენიერი ადგილი, როგორც საქსონიის ამ ძველი ციხედარბაზის მიდამოა. მღორე და ანკრა დონი ჩამოუღდის ამ ადგილს, რომლის ნაპირებიც შემკულია ნათესებითა და ტყეებითა. ინგლისის მეფენი ძველად ამ ციხე დარბაზში ხშირად იმყოფებოდნენ ხოლმე.

როდესაც მოგზაურები მივიდნენ ციხე-დარბაზთან, ატელსტენი ჯერ კიდევ არ დაესაფლავებინათ. რა ჯურის ხალხი გინდათ, რომ აქ არ იყო მოსული; საქმელ-სასმელი ყველას უხვად ეძლეოდა. ახალს სტუმრებს კაცი მიეგება წინ და ერთს ციხე-დარბაზისკე წაუძღვა. შესვლის წინად ვოლფრედმა, მეფის ბრძანებისამებრ, პირი მანტიით დაიფარა. გურტმა და ვამბამაც მალე იპოვეს ნაცნობი კაცები, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოიკვალეს, ვიდრე ბრძანება არ მიიღეს.

(შემდეგი იქნება)



## მეხსელითა და მახვილითა

რომანი

### გენრაჲ სენკევიჩისა

✪ \*)

პან სქშეტუსკის ლუბნში არ დახვდა თავადი; სენჩს წასულიყო ნათლობაში, თავისს ნაყმევ აზნაურშვილთან, პან სუფჩინსკისთან; იმასთან ერთად წასულიყო კნენინაცა, ორი პანნა ზბარასკებისა და რიცხვ-მრავალი ამალა. თავადს შეატყობინეს, რომ დესპანი დაბრუნდა ყირიმიდან და ვლახეთის ელჩი მოვიდაო; პან სქშეტუსკის სიხარულით მიეგებნენ მისი ამხანაგები, მეტადრე პან ვოლოდიევსკი, რომელიც იმ ხმალში ბრძოლის შემდეგ დიდი მეგობარი შეიქნა ჩვენის დესპანისა. ეს რაინდი იმითი იყო შესამჩნევი, რომ მუდამ უყვარდა ვინმე გასათხოვარ ქალთა შორის. როცა დარწმუნდა, რომ ანუ-სა ბოჟობოლატისა გულ-ცივად მეპყრობაო, დაუწყო ტრფიალი ანელ ლენსკისას, ისევ კნენინას სეფე-ასულსა, ხოლო როცა ისიც პან სტანიშევსკის მისთხოვდა, ვოლოდიევსკი გაუმიჯნურდა უფროსს კნიაჟნა ზბარასკისას, ანნას, თავად ვისნევეცკის დისწულს.

პან ვოლოდიევსკიმ თვითონაც კარგად იცოდა, რომ ძლიერ მაღალს ფარდებს ვეპოტინებო და ვერავითარს იმედს ვერ იქონიებდა. მით უმეტეს, რომ კნიაჟნას მაშინჯრები უკვე მოვიდნენ პან პშიემსკისაგან, ლენჩიკის მოურავისაგან,—პან ბოდბინსკი და პან ლიასოტა. საწყალმა ვოლოდიევსკიმ გა-

\*) „მოამბე“ № № 11 და 12—1894 წ.



უმხილა თვისი ახალი დარდი გულისა ჩვენს დესპანს და თან ბერი რამ უამბო თავადის კარის-კაცთა და ქალთა შესახების ქორებისა. პან სქშეტუსკი ცალის ყურით ისმენდა ყოველსავე ამას; იმისი ფიქრი და გონება სულ სხვა საგანსა ჰქონდა მიპყრობილი. ის შფოთავა სულისა რომ არ დასჩემებოდა, რომელიც თანა სდევს ყოველგვარ სიყვარულს, ბედნიერია იგი თუ უბედური, პან სქშეტუსკი ბედნიერ კაცად ჩასთვლიდა თავს, რაკი დაბრუნდა ლუბნს, საცა გარს შემოეხევივნენ ნაცნობნი და საცა დესპანი შთანთქა ჯარის-კაცთა ცხოვრების ყივილ-ხივილმა. ლუბნი, თავადის საცხოვრებელი ადგილი, არაფრით არ ჩამოუვარდებოდა „კოროლევიჩების“ სხვა ამ გვარ საცხოვრებელ ადგილებს; განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ვისნევეცკიმ ყოველგან სასტიკი, წმინდა სამხედრო წეს-რიგი შემოიღო. ვინც იქაური ჩვეულება და წესი არ იცოდა, თუნდა მშვიდობიანს დროსაც მოსულიყო, ეგონებოდა, რაღაც ომის მზადებაში არიანო. ჯარის-კაცი აქ მეტი იყო აზნაურშვილზედ, რკინა—ოქროზედ, ხმა საყვირისა—გართობა-ნადიმის ყივილ-ხივილზედ. ყველგან საოცარი წესი და რიგი იყო დაცული, ყველგან სჩანდნენ რაინდნი სხვა-და-სხვა დროშისანი: ჯაფშნიანთა, დრაგუნთა, ყაზახთა, ვლახელთა; ამ დროშათა ქვეშ მსახურებდა არა მარტო მთლად გაღმა მხარი დნებრისა, არამედ თავად-აზნაურობაც, რესპუბლიკის სხვა-და-სხვა მხრიდან მოსული და თავის ნებით შესული თავადის სამსახურში. ვისაც უნდოდა ნამდვილ სამხედრო სკოლაში გაწურთენილიყო, ლუბნში მიდიოდა; იქ, რუსინებთან ერთად, შეიძლებოდა ნახვა მახურებისაცა, ლიტველებისაცა, მალაპოლიანებისაცა, პრუსაკებისაც კი. ქვეითი რაზმები და თოფჩები—ესრედ-წოდებულნი „ცეცხლის კაცნი“—უმეტეს ნაწილად ნემენცები იყვნენ, დიდის ჯამაგირით დაქირავებულნი; დრაგუნებად მსახურებდნენ უფრო ადგილობრივნი მკვადრნი, ლიტველნი თათართა დროშის ქვეშ იყვნენ, მალაპოლიანები ჯაფშნიანთა დროშას რჩეობდნენ. თავადი ნებას არ აძლევდა თავისს ჯარს, განებევრებულიყო და ამიტომ ჯარის-კაცნი განუწყვეტელს მოძრაობასა და ვარჯიშობაში ჰყვანდა.



ერთი რაზმი სცვლიდა მეორეს სტანიცებსა და მიჯნებზე, მერე რენი შემოდინდნენ ისევ თავადის სამყოფელ ლუბნში; ვარჯიშობა და აღლუმი თითქმის ყოველ დღე ინიშნებოდა. ხანდახან თავადი შორს გაილაშკრებდა ხოლმე მინდვრებსა და უდაბურს ადგილებში, რათა ჯარის-კაცი მიჩვეულიყვნენ ლაშკრობის სიძნელეს და მისწვდომოდა იმ ადგილებს, რომელთაც არაფერს მისწვდომოდა მანამდე და ამ სახით უფრო შორს განთქმულიყო მისი სახელი. შარშან შემოდგომას, მაგალითად, თავადმა მოილაშკრა დნებრის მარცხენა სანაპირონი კულაკამდე, საცა მეციხვანეთა უფროსმა, პან გროდნიცკიმ მეფური პატივი სცა, მერე ჩავიდა ჩორტიკამდე და კუჩკასის არე-მარეზე ააგებინა სერი იმის ნიშნად, რომ ასე შორს ჯერ არავინ წასულა ლაშკრობითაო \*).

პან ბოლუსლავ მაშკევიჩი, ყოჩალი ჯარის-კაცი და სწავლული, რომელმაც ასწერა ესა და სხვა ლაშკრობანი თავადისა, უამბობდა სქშეტუსკის საოცარს ამბებს უკანასკნელის გალაშკრების შესახებ. იმის ნამბობს ამოწმებდა ვოლოდიევსკიკა. ვნახეთო ქორომები, საკვირველება რამ არისო, მეტადრე კაცი-ქამია, უმადლარა, რომელიც, როგორც ძველად სცილლა და ხარიბდა, ყოველ წლივ, რამდენისამე კაცის სიცოცხლეს იწირავდა მსხვერპლად. მერე აღმოსავლეთად გავემართენითო, გოლვისაგან გადახრუკულ მინდვრებისაკენაო, რომელიც იყო ბუნაგი ათას გვარ ქვეწარმავალთა და უშველებელ გველთა; თითო გველს ათი წყრთა სიგრძე ჰქონდა და მაჯას სისხო იყო სისქითაო. გზა და გზა განმარტობით მდგომარე მუხაზედ ამოვჭრიდით ხოლმე სხვა-და-სხვა შემთხვევათა სახსოვრად თავადის ღერბსაო; ბოლოს ხომ ერთს ისეთს უსიერსა და ყრუ ადგილს მივედიო, საცა აღამიანის შვილის კვალიც კი არსადა სჩანდაო.

— ასე მეგონა, — სთქვა სწავლულმა პან მაშკევიჩმა, — რომ ჩვენც ულისის ხვედრი გვეწევა-მეთქი.

\*) მაშკევიჩის სიტყვებია. შესაძლოა მაშკევიჩმა არ იცოდა, რომ სამუელ ზბოროვსკი სეჩს იყო.

ხოლო პან ვოლოდიევსკიმ დასძინა:

— მეციხვანე ზიმაისკის დროშის ჯარის-კაცნი ფიცუ-  
 ლობდნენ, რომ ვნახეთ ის კიდური, საცა თავდება ქვეყანაო  
 (finis orbis terrarum).

დესპანმაც თავისის მხრით უამბო ამხანაგებს ამბავი ყირი-  
 მისა, საცა თითქმის ნახევარ წელიწადს დაჰყო მის უდიდებუ-  
 ლესობის ყეენის პასუხის მოლოდინში, ამბავი იქაურ ქალაქებისა,  
 რომელნიც გადარჩენოლდნენ უამთა-ვითარებას; უამბო ამბავი თათ-  
 რებისა, მათის სამხედრო ძლიერებისა და, ბოლოს, ისიც უთხ-  
 რა, იქაურობა შიშით დაიწყებს ხოლმე ძრწოლას, გაიგებენ თუ  
 არა, რომ მთლად რესპუბლიკის ჯარა აპირობს თავს დაგვეს-  
 ხასო.

პან ლონგინუსმა უცბად მოიგო ყველას გული და მერე  
 პატივისცემაც დაიმსახურა, როცა საკვირველი ღონე გამოიჩი-  
 ნა და დაუწყო თავისს მახვილს ტრიალი ხელითა. რასაკვირ-  
 ველია, არც თვისის წინაპარის სტოვეიკოს ამბავი დაივიწყა, სა-  
 მის თავის ერთად მოკვეთის ამბავი, მხოლოდ თვისის აღთქმისა  
 კი არა სთქვა-რა, რადგან ეშინოდა, ვაი თუ მასხარად ამიგდონო.  
 ყველაზედ ძლიერ დაუმეგობრდა ვოლოდიევსკის (ორივე მეტად  
 გულ-ჩჩვილნი იყვნენ და იმიტომ); რამდენსამე დღეს ერთად და-  
 დიოდნენ ციხის თხრილების სანახავად და იქ ოხრავდნენ, ერ-  
 თი თავისს მიუწოდმელ ვარსკვლავისათვის, კნიაჟნა ანნასათვის,  
 ხოლო მეორე იმ უცნობისათვის, რომელსაც ასე აშორებდა სა-  
 მი აღთქმული თავი.

ვოლოდიევსკის უნდოდა, რომ პან ლონგინუსი დრავუ-  
 ნად შესულიყო, მაგრამ ლიტველს მტკიცედა ჰქონდა გადა-  
 წყვეტილი ჯავშნიანთა შორის ჩაწერილიყო, რათა უფროსად  
 პან სქშეტუსკი ჰყოლოდა. გამოუთქმელი სიხარული იგრძნო,  
 როცა გაიგო ლუბნში, რომ დესპანი ყველას ნამდვილ რაინ-  
 დად მიიჩნდა, ერთ უკეთეს აფიცრად თავადის აფიცერთა შო-  
 რის. მერე ახლა ადგილიცა თავსუფლდებოდა პან სქშეტუსკის  
 სადროშოში, ადგილი პან ზაქშევსკისა, რომელსაც მეტ სახე-  
 ლად ეწოდებოდა miserere mei და რომელიც დიდი ხანი იყო,



რაც ლოგინად ჩავარდნილიყო და იმედიც აღარავის ჰქონდა იმის მოარჩენისა. სიყვარულის გამო მის გულში დასადგურებულს შფოთვა-მღელვარებას მიემატა ახლა იმის შიშიცა, რომ ვაი თუ ეს ძველი მეგობარი, ნაცადი ამხანაგი ხელიდან გამომეცალოსო და ამიტომ პან სქშეტუსკი ავადმყოფს აღარა შორდებოდა, ანუკეშებდა, რამდენადაც შეეძლო და იმედს აძლევდა მოარჩენისასა.

გარნა მოხუცი ნუგეშინისცემას არა საჭიროებდა. მხცოვანი გმირი მზიარულად ეთხოვებოდა წუთი სოფელს თვისს რაინდულს ცხედარზედ, რომელზედაც ცხენის ტყავი იყო დაფენილი და თითქმის ბავშვურის ღიმილით შეჰყურებდა ჯვარცმას, იქვე კედელზედ ჩამოკიდებულს.

— Miserere mei, — უთხრა პან სქშეტუსკის, — უკვე მივდივარ საიქიოს. ხორცი ჩემი ისე დაკემსილ-დაცხავებულია ნაწყლულევეებითა, რომ არ ვიცი შემიშვებს-ლა თუ არა წმინდა პეტრე სამოთხეში ასეთის დაგლეჯილ-დაფლეთილის ტანისამოსითა. მე კი ვეტყვი: „წმინდაო პეტრე! გაფიცებ მალქაზის ყურსა, ნუ ჩამაგდებ უსიამოვნებაში: ურჯულოებმა დამიმახინჯეს ასე ტანი და ხორცი... miserere mei! ხოლო თუ მთავარანგელოზს შეემთხვევა კიდევ სადმე ომი და ბრძოლა ჯოჯოხეთის ძალთა-თანა, მოხუცი ზაქშევსკი კიდევ გამოდგება“.

და პარუჩიკს, თუმცა თვითონაც ბევრჯელ პირის-პირ ენახა სიკვდილი, მაინც არ შეეძლო უცრემლოდ მოესმინა სიტყვები მოხუცისა, რომელიც ისე ჰქრებოდა და იღეოდა, თითქო მზიანი, დარიანი დღე ჰქრება და იღევაო.

ერთს დილას ლუბნის ყველა ეკლესიისა და მონასტრის ზარებმა აუწყეს ხალხს აღსრულება პან ზაქშევსკისა. ამ დღეს მოვიდა სენჩიდან თვით თავადიცა, მთავარი ვისნევეცკი და მასთან ერთად პან ბოდძინსკი და ლიასოტაცა და მთლად ამაღლა. თავადმა დიდის ამბით დაასაფლავებინა მიცვალებული და მით პატივი სცა განსვენებულის ღვაწლსა, ხოლო ქვეყანას დაანახვა, აი როგორ მიყვარს ჩემნი რაინდნიო. დასაფლავებას დაესწრნენ ყველა რაზმნი, რომელნიც კი იმ ხანად ლუბ-

წში იღვწენ; გალავნიდან მოისმოდა თოფისა და ზარბაზნის სროლა. თვით მთავარი სულ ძაძა-ფლასით მოსილი, კუბოს მისდევდა ოქროს ეტლით, რომელშიც ება რვა თოვლივით თეთრი ცხენი. ეტლს წინ მიუძღოდნენ იანიჩარნი, საკუთრად თავადის მცველნი; ეტლს მისდევდნენ ცხენებით სეფე-წულნი, ესპანურის ტანისამოსით დართულნი, მერე კარის დიდებულნი და მოხელენი, თავად-აზნაურნი, ამაღა და ბოლოს გაიდუკნი. სამგლოვიარო ლიტანიით მიმავალნი შეჩერდნენ პირველად ეკლესიის კარ-წინ, საცა ქსენძი იასკულსკი მიეგება ცხედარს სიტყვით, რომელიც ასე დაიწყო: „საით მიეშურები, კეთილო ზაქშევსკი?“ თვით ეკლესიაში სიტყვა წარმოსთქვა მქვერ-მეტყველთა შორის უმჭევრმეტყველესმა მქადაგებელმა ქსენძმა იეზუიტმა მუხოვეცკიმ და ისეთის გრძნობით ილაპარაკა, რომ თვით მთავარს ცრემლები მოერია. ძლიერს მაგნატს წმინდა სანთელივით ჩვილი გული ჰქონდა და ნამდვილი მამა იყო თვისთა ჯარის-კაცთათვის. ყველგან სასტიკი წეს-რიგი შემოიღო, მზგრამ გულ-უხვობითა და გულ-კეთილობითაც განთქმული იყო: მისნი ყმანი ჯალაბობითურთ იმის მზესა ჰფიცავდნენ, იმდენად გულ-სრულნი იყვნენ მისის ნაბოძვართა და უხვებითა. უმოწყალოდ საშიში მემამბოხეთათვის, იგი იყო ჭეშმარიტი კეთილის-მყოფელი არა მხოლოდ თავად-აზნაურობისა, არამედ მთელის ერისაცა. როცა ოთხმოც და ექვს წელს კალიამ გაანადგურა ქირნახული, მთელის წლის ღალა-გადასახადი აპატივა ხიზნებს, ხოლო როცა ცეცხლმა იმსხვერპლა ხოროლი, მთლად მკვიდრნი ამ ქალაქისა თვისის ხარჯით შეინახა ორს თვესა. იჯარადარნი და მოურავ-გამგებელნი მისის მამულ-დედულისა შიშითა ძრწოდნენ, მთავარმა არ გაიგოს, თუ შეგვივიწროებია ვინმეო. დნებრის მთელს გაღმა-მხარეში ობლებს ისე არ მოიხსენებდნენ, რომ „მთავრის ძენი“ არ ეწოდებინათ მათთვის. თვით კნენა გრიხელდა ზრუნავდა მათთვის მამა მუხოვეცკის შემწეობითა და დახმარებით. მთავრის ყველა საბრძანებელში სუფევდა წესი და რიგი, მშვიდობიანობა, სამართლიანობა და დოვლათი, მაგრამ ამასთანავე შიშითა, რადგან მცირედი წინა-

აღმდევობა რომ შეენიშნა, მისს განრისხებას სამზღვარი აღ-  
 რა ჰქონდა: მისი ხასიათი ადვილად იშენევედა დიდ სულოვნე-  
 ბასა და სისასტიკესა. მაგრამ იმ დროს და იმ ქვეყნებში მხო-  
 ლოდ სასტიკობით შეიძლებოდა დაქერა ხელში თავ-გასულთა  
 და მაშფოთართა, მხოლოდ სასტიკობის წყალობით შენდებო-  
 და ქალაქები და სოფლები, მხენელ-მთესველი სძლევდა გაიდა-  
 მაკსა, ვაჭარი გულ-დამშვიდებით ატარებდა თვისს საქონელსა,  
 ზარები თავისუფლად მიუწოდებდა ლოცვად მორწმუნეთა, მტერს  
 არ შეეძლო გადაელახნა სამზღვარნი, ბრბონი ლირფთა და  
 საზიზლართა ილუპებოდნენ მარგილებზედ ჩამოცმითა ან-და  
 გარდიქმნებოდნენ გულად ჯარის-კაცებად, ხოლო უდაბნოდ  
 ქმნილი ქვეყანა—აღყვავებულ ბაღად.

განადირებულ ქვეყნისა და მცხოვრებლებისათვის ასეთი  
 მტკიცე ხელი იყო საჭირო, დნებრის გაღმა მხარს მოდიოდნენ  
 უკრაინიდან ყოველად მოუსვენარნი, თავს იყრიდნენ რესპუბ-  
 ლიკის ყოველ მხრიდან ლტოლვილნი გლეხ-კაცნი, დამნაშავე-  
 ნი და პურობილნი, ერთის სიტყვით, ლივიის თქმისა არ იყოს,  
 „pastorum convenarumque transfuga et suis populis“. ამათი უაშუბი  
 ყოლა, მშვიდობიან მცხოვრებლებად გადაქცევა, დამკვიდრება  
 და დაბინავება შეეძლო მხოლოდ იმისთანა ლომს, რომლის  
 ქეჭა და გრგვინვა თავ-ზარ დამცემი ყოფილიყო ყველასათვის.

პან ლონგინუს პოდბიპენტამ რომ პირველად მთავარი  
 ჰნახა ზაქშევსკის დასაფლავებაზედ, განცვიფრებიდან გამოვი-  
 და. იმდენი ქება-დიდება გაეგონა იმისი, რომ ეგონა ერთი  
 ახოვანი, ბუმბერაზი იქნებოდა ვინმე, მთავარი კი პატარა ტა-  
 ნის კაცი იყო და სუსტს, კანტს ადამიანსა ჰგვანდა. მოხუცი  
 არ იყო,—სულ ოც და თექვსმეტის წლისა სრულდებოდა,—  
 მაგრამ პირი-სახეზედ ცხადად ემჩნეოდა კვალი სამხედრო ღვაწლ-  
 მოსილებისა. ლუბნში ისე სცხოვრობდა, როგორც ნამდვილი  
 მეფე, ხოლო მრავალ ომიანობისა და ლაშქრიანობის დროს  
 უბრალო ჯარის-კაცივით ითმენდა ყოველს გაჭირებას, სჭამდა  
 საერო პურს და ეძინა ძირს, ცარიელს ქეჩაზედ. ასე ჰქონდა  
 გატარებული თითქმის ნახევარ სიცოცხლე; რა გასაკვირველია,

რომ ყოველივე ესე დასჩნეოდა სახეზედაც. იერზედ ეტყობო-  
და შეუმდრკალი ძალა რკინა-ძვალისა, დიდება ისეთი, რომლის  
წინაშეც ყველა უნებურად თავს იხრიდა, სჩანდა, რომ ამ კა-  
ცმა კარვად იცოდა თვისი შემძლებელობა და ძლიერება,—და  
ხვალვე რომ გვირგვინი დაგედგათ თავზედ, არც გაჰკვირდებო-  
და, არც დაიხაგრებოდა მისის სიმძიმით. იმის დიდრონ, მშვი-  
დობიან, თითქმის წყნარ თვალებისათვის რომ შეგეხედნათ, გე-  
გონებოდათ, შიგ ელვა და მეხია დაფარული და ვაი იმას,  
ვისაც თავს დაატყდებო! არავის არ შეეძლო აეტანა ამ თვა-  
ლების მშვიდობიანი ელვარება; არა ერთხელ მომხდარა, რომ  
რომელიმე ელჩი, გამოცდილი და დარბაისელი კარის-კაცი არეუ-  
ლა, როცა თავად ერემიას წინაშე დამდგარა და ველარ დაუ-  
წყვია თქმა წინ-და-წინვე მომზადებულის სიტყვისა. ნამდვილი  
მეფე იყო თავისს სამოურავო-სამთავროში. იმის დარბაზში იწე-  
რებოდა წყალობის სიგელნი და ბრძანებანი, რომელიც ასე  
იწყებოდა: „ჩვენ, ნებითა მღვთისათა, მთავარი და ბატონი“  
და სხვ. ცოტანი იყვნენ პანებ შორის მისნი ტოლნი და სწორ-  
ნი; ბევრნი თავადნი, შთამომავალნი მფლობელთა და მთავართა,  
მის კარ-წინ მსახურებდნენ. ასეთი იყო თავისს დროს მამა ელე-  
ნესიცა, ვასილი ბულიგა-კურცევიჩი, პირდაპირი შთამომავალი  
რიურიკისა.

თავადს ერემიას ისეთი თვისება ჰქონდა, რომლის წყალო-  
ბიაც, თუმცა ბუნებით კეთილი იყო, გაკავებულნი და გაკმენ-  
დილნი იყვნენ მისნი მახლობელნი და ხელქვეითნი. ჯარის-  
კაცნი უყვარდა და შინაურულადაც ექცეოდა ხოლმე, მაგრამ  
თვით მასთან კანდიერად და შინაურულად ქცევას კი ვერავი-  
ნა ჰბედავდა. მაინც, ებრძანა კი თავისის რაინდებისათვის ოლონდ  
დნებრში გადასცვინდით კლდიდანაო და ისინიც წარმეუ-  
ხრელად აასრულებდნენ მისს სურვილს.

დედა ვლახელი ქალი იყო და მისგან გამოჰყვა სითათრე  
პირის კანისა, ის სითათრე, რომელიც დასცემს ხოლმე ცეცხლ-  
ში გახურებულს რკინას და ყორნის ბოლოსავით შავი თმები,  
რომელიც წარბებზედ სცემდა და თითქმის სანახევროდ უფა-

რავდა შუბლს. ჩვეულებრივ დიდად არა ზრუნავდა თავისს ტანი-სამოსისათვის და მხოლოდ სადღესასწაულო შემთხვევაში ჩაიცვამდა ხოლმე მდიდრულად და მაშინ კი სულ ოქრო-ვერცხლითა ბრწყინავდა და ძვირფასის თვალ-მარგალიტით იყო მოფენილი მისი ჩასაცმელ-დასახური.

პან ლონგინუსი დაესწრო ამისთანა შემთხვევას, როცა მთავარმა მიიღო ვლახეთის ელჩი მისის ამალითურთ. ეს ამბავი მოხდა „ცისიერ“ დარბაზში, რომელსაც იმიტომ უწოდებდნენ ასე, რომ მის ქერში დანციგელს მხატვარს ჰელმს ვარსკვლავებით მოქედილი ცა დაეხატა. მთავარი იჯდა მალალს სავარძელში, ანუ უფრო სამეფო ტახტზედ, ამფოანს ქვეშ, რომელიც ხავერდითა და ყარყუმის ბეწვით იყო მორთული; სავარძელს უკან იდგნენ ქსენძი მუხოვეცი, მდივანი, სახლთ-უბუცესი თავადი ვარონიჩი, პან ბოლუსლავ მაშკევიჩი, მერე სეფე-წულნი და თორმეტი შუბ-ნაჯახიანი ჯარის-კაცი; დანარჩენი ნაწილი დარბაზისა, მეორე ნახევარიც გავსებული იყო მდიდრულად მორთულ რაინდებითა. პან როზვანმა გოსპოდარის სახელითა სთხოვა მთავარსა, აიძულეთ როგორმე ყენი, ალაგმოს თავისი თათრები, რომელნიც ყოველ წლივ არბევენ ვლახეთსაო. მთავარმა შვენიერის ლათინურის ენით უპასუხა, რომ ბუჯაკის თათრები თვით ყენსაც ნაკლებად ემორჩილებიანო, მაინც ვეცდები მოვავარო როგორმე ეგ საქმეო.

პან სქშეტუსკიმ ადრევე მისცა ანგარიში თავისის ელჩ-დესპანობისა და ამასთანავე უამბო, რაც გაიგონა ხმელნიცკისა და მის გავარდნის შესახებ. თავადმა განკარგულება მოახდინა, რომ რამდენიმე რაზმი კულდაკისკენ გაეგზავნათ, მაგრამ საზოგადოდ კი მთლად ამ საქმეს მცირე მნიშვნელობას აძლევდა და, რაკი ისე ეგონა ყველას, რომ დნებრ-გამოდმა სამთავროს და მისს ძლიერება-მყუდროებას არა-რა შიში არ მოეღისო, ლუბნში დაიწყეს გაბმული ნადიმი და დროს-გატარება, ზოგი ვლახეთის ელჩის პატივ-საცემლად, ზოგიც მაშინჯრების პან ბოდინსკისა და ლიასოტის მოსვლის გამო, რომელთაც უკვე სასურველი პასუხი მიიღეს თავადისა და კნენა გრიზელდასაგან.



მხოლოდ ერთი საწყალი ვოლოდიეესკი იწოდა და იდაგოდა გამოუთქმელად და, როცა პან სქშეტუსკი მოინდომებდა ნუგეშინისცემას, მოწყენით უპასუხებდა ხოლმე:

— შენ რა გიშავს; იცი, რომ ანუსია შენ არ ავცდება. როცა აქ არ იყავი, გულითა და სულით მოგიგონებდა ხოლმე. ჯერ მეგონა, რომ ბიხოვეცის გაგულისება უნდა-მეთქი, მაგრამ ახლა კი სულ სხვასა ვხედავ.

— არა, მე ანუსიას არ ვეტრფი! შენ ემიჯნურე ისევ, არ დაგიშლი. ანნას ფიქრადაც აღარ ვიტარებ გულში. იმის ტრფობა იმას ემგვანება, რომ ქუდის დაფარება მოინდომოს ვინმე ფენიქსისა მის ბუდეში.

— ვიცი რომ ფენიქსია... ლამის დარდმა მომკლას.

— არც არას მოგკლავს და არც არას დაგაკლებს, მალე სხვა შეგიყვარდება. მაგრამ გეთაყვა, კნიაჟნა ბარბარა კი არ შეგიყვარდეს, თორემ ახლა იმას გამოგაცლის ვინმე ხელიდან.

— განა გული მონაა, რომ შეიძლებოდეს ბრძანება აძლიო? განა შეიძლება თვალებს უთხრა, ნუ სტკებები კნიაჟნას საოცარის სახის შვენებითაო? ის ისეთი რამ არის, რომ ვგონებ ნადირსაც კი ეშხზედ მოიყვანს.

— აი ხათაბალა კაცი!—გაიოცა პან სქშეტუსკიმ.—შენ მგონია უჩემოდაც მალე ინუგეშებ თავსა! მე კი მაინც ვაგიმეორებ: ისევ ანუსიას დაუწყე ტრფიალი და მე ჩემის მხრით არას დაგიშლი.

ანუსიას კი, მართლაც, ფიქრადაც არ მოსდიოდა ვოლოდიეესკის სიყვარული.

ქალს ძალიან ატკინა გული პან სქშეტუსკის გულ-გრილობამ: ნახევარ წლის გარედ ყოფნის შემდეგ დაბრუნდა სახლში და ერთხელ ზედაც არ შეჰხედა. საღამოობით, როცა თავადი სასტუმრო ოთახში შევიდოდა ხოლმე თავისის აფიცრებით, ანუსია უდგა გვერდით კნინას და ცალის თვალით (კნინა მაღალის ტანისა იყო, ხოლო ანუსია დაბალისა) დაშტერებით უცქეროდა დესპანს; სცდილობდა გაეგო რამე, ეს რა

გამოცანა კაციაო. სქშეტუსკის ფიქრი ამ დროს სულ სხვაგან რბოდა, ხოლო თუ ოდესმე შემთხვევით დააქკერდებოდა ანუსიას, დააქკერდებოდა ისე ცივად, ისე გულ-გრილად, თითქო პირველადა ჰხედავსო.

— რა დაჰმართნია ნეტა? — ჰკითხავდა თავის-თავს მთელის სასახლის ნებიერი და, გაჯავრებით აბაკუნებდა რა თავის პაწაწა ფეხს, ფიცულობდა, უთუოდ გავიგებ, რაც ამბავიაო. ნამდვილად კი ანუსიას სრულიად არ უყვარდა პან სქშეტუსკი, მაგრამ რაკი მიჩვეული იყო, რომ ყველა დაეძლია ხოლმე და ყველას გული დაემონა, ვეღარ იტანდა გულ-გრილად მოჰყრობას და ამიტომ მზად იყო ოვითონ შეეყვარებინა ასეთი თვისი შეურაცხყოფელი.

ერთხელ, როცა ფაცა-ფუცით დარბოდა, რომ საჩქაროზედ აესრულებინა რაღაც ბრძანება კნინასი, უცბად შეეფეთა სქშეტუსკის. ისე უცბად შეეფეთა კაცს და ისე დაეჯახა, რომ კინალამ არ წააქცია. უეცრადვე შესდგა და შეჰკვივლა:

— უჰ, რანაირ შემეშინდა! დილა მშვიდობისა, პან სქშეტუსკი!

— დილა კარგა ყოფნისა, პანნა ანნა! ნუ უკვე ისეთი საშინელება ვარ, რომ აგრე შეგეშინდათ ჩემი?

ყმაწვილმა ქალმა თვალები ძირს დაჰხარა და, ვითომ ძალიან შემრცხვავო, სთქვა:

— ო, არა, არა! გარწმუნებთ...

შეჰხედა პორუჩიკს და კვლავ დაჰხარა ძირს თვალები.

— რაზედ მიწყრებით, კნიაჟნა?

— მე? განა თქვენ ყურადღებას აქცევთ ჩემს წყრომასა?

— არავითარს. ძალიან დარღი მაქვს!

— იქნება გგონიათ, რომ ეხლავე ტირილს დავიწყებ? სცდებით! პან ბიხოვეცი ბევრად უფრო ზრდილობიანია თქვენზედ...

— თუ აგრეა, მე სხვა აღარა დამრჩენია-რა იმის მეტი, რომ ადგილი ბიხოვეცს დავუთმო და თვალით აღარ დაგყნახვოთ.

— მერე, მე გიჰერთ განა?

სთქვა ესა ანუსიამ და გადაელობა წინ.

— მაშ, ყირიმიდან დაბრუნდით?

— ყირიმიდან დავბრუნდი.

— მერე, რა მოიტანეთ იქიდან?

— პან პოლბიპენტა მოვიყვანე. ხომ პნახეთ? ძალიან სასიამოვნო კაცია და ღირსეული რაინდი.

— ექვი არ არის, რომ ის თქვენზედ ბევრად სასიამოვნოა. მერე რად მოვიდა აქა?

— იმიტომ რომ ვნახოთ, იმის დაძლევისაგ შესძლებს თუ არა თქვენი ეშხი და სილამაზე. მაგრამ მე კი არ გირჩევთ, რომ იმის გულის დაძლევა მოინდომოთ, იმიტომ რომ ერთი საიდუმლო ვიცი, რომლის ძალითაც ეგ რაინდი უძლეველია... და ამიტომ თქვენც კი ვერას დააკლებთ იმას.

— რითია უძლეველი?

— იმითია, რომ ცოლის შერთვა არ შეუძლიან.

— მე რა მერე? რატომ არ შეუძლიან ცოლის შერთვა?

სქშეტუსკი დაიხარა და ხმა-მაღლა ჩაჰყვირა ყურში ყმაწვილს ქალს:

— აღთქმა აქვს დადებული უბიწოებისა.

— რა უზრდელობაა ეგ თქვენი!— შეჰკვილა ანუსიამ და ისე გაფთხრიალდა მაშინვე ოთახიდან, თითქო შეშინებული ჩიტიაო.

მაინც იმ საღამოსვე პირველად პან ლონგინუსს მიაქცია ყურადღება ანუსიამ და გულ-მოდგინედ დაუწყო სინჯვა. იმ დამეს სტუმრები საკმაოდ ბლომად იყვნენ, რადგან პან ბოლძინსკი მეორე დღეს აპირობდა წასვლას და გამოსათხოვებლად თავადთან იყო. ჩვენი ლიტველი კოხტად იყო მორთული თეთრის ატლასის დოშლულითა და მუქი-ლურჯის ხავერდის ქულაჯით. ასე მორთული ლონგინუსი ძალიან მართებულსა და სასიამოვნო ყმაწვილსა ჰგვანდა, მით უფრო, რომ ჯალათის მახვილის მსგავსი ხმალი აღარ შემოერტყა და მის მაგიერ, პატარა მოკაუჭებული ხმალი ეკიდა მოოქროვებულის ქარქაშითა.

ანუსა სიყვარულით შესცქეროდა ჰან ლონგინუსს და ეზხის ისრებსა სტყორცნიდა, სხვათა შორის სქშეტუსკის ჯიბრზედაცა. დესპანს იქნება ვერც კი შეემჩნია ეს გარემოება, რომ ვოლოდიევსკის მუჯლუგუნია არ წაეკრა და არ ენიშნებინა:

— თათრებმა წამიყვანონ ტყვედ, თუ ანუსია ამ ლიტველს მარგილს ზრ შესცქნავის.

— თვითონ იმას უთხარი ეგ ამბავი.

— ვეტყვი! კაი ცოლ-ქმარნი კი იქმნებიან, აი!

— ის ისე აყლაყუდაა და ქალი კი ისეთი თოჯაა, რომ იმის დოშლულის საკინძედ ძლივს გამოადგებოდა.

— ან იმის ქუდის ყალამადა.

ვოლოდიევსკი მივიდა ლიტველთან.

— ჰან პოდბოპენტა, — უთხრა ვოლოდიევსკიმ, — დიდი ხანი არ არის, რაც აქ მობძანდით და უკვე დაგვანახვეთ, რა წითელი კოჭიცა ბრძანდებით.

— რა წითელი კოჭი, სასურველო, რა კოჭი?

— ის კოჭი, რომ ლამის გადირიოს თქვენის სიყვარულით ყველაზედ ლამაზი ქალი ამ ჩვენის სასახლის ქალებში.

— ქაჯან! — და ჰან ლოგინუსმა ისე შემოიწყო გულზედ ხელები, თითქო ლოცვისათვის ემზადებო, — რას არ მოიგონებთ!

— აიგერა, შეჰხედეთ ანუსა ბოჟობოლატას (რომელსაც ყველანი ვემიჯნურებით აქა); თვალს აღარ გაშორებს. გაფრთხილდით მხოლოდ, რომ ისევე არ გაგაცუროთ, როგორც ჩვენ ყველანი გაგვაცურა.

ვოლოდიევსკი შემოტრიალდა წალის ქუსლზედ და მოჰშორდა ჰან ლონგინუსს, რომელიც სახტად დარჩა და საკვირველებიდან იყო გამოსული; უცბად ვერ გაჰბედა ანუსიასკენ შეეხედნა, მაგრამ ბოლოს მოიკრიფა გამბედაობა და, ვითომ უსაბედად შეჰხედა და... სულ ჟრუანტელმა დაუარა ტანში. კენიანა გრიხელდას მხრიდან მართლა ჩაცივებითა და ცნობის მოყვარეობით უცქეროდა კნიაჟნა თვისის შეწვიერის მაყვალვით შავის თვალებითა. „Apaga satanas!“ გაიფიქრა გულში ლი-

ტველმა და, სკოლის შეგირდით გაწითლებული მიიმალა და-  
რბაზის მეორე კუთხეში.

მაინც ცდუნება ძლიერი აღმოჩნდა. ის ეშმაკი, რომელიც  
კნენას მხრებს იქიდან გამოიყურებოდა, ისეთი მშვენიერი იყო,  
მისი თვალები ისე ბრწყინავდა ეშხითა, რომ პან ლონგინუსს  
გული აღარ უთმენდა და უნდოდა ერთხელ კიდევ შეეხედნა  
კნიაჯნასთვის. მაგრამ უცბად მოაგონდა თვისი აღთქმა, თვალ-  
წინ წარმოუდგა დიდებული სახე ზერვი-კაპტურისა, წინაპარის  
სტოვეიკო პოდბიპენტასი... და შიშმა შეიპყრო პან ლონგი-  
ნუსი. შეუმჩნევლად გადიწერა პირჯვარი და ცდუნება გან-  
ჰქრა.

მეორე დღეს, დილა აღრიან მივიდა პან სქშეტუსკისთან.

— მალე ვიომებთ, პან დესპანო? რა ისმის ომიანობისა?

— რას გეჩქარებათ აგრე? მოთმინება იქონიეთ, იმ დრო-  
მდე მაინც, ვიდრე ჯარში ჩავწერდნენ. პან პოდბიპენტას ჯერ  
არ დაუჭერია ადგილი განსვენებულის ზაქშევსკისა. პან ლონ-  
გინუსს უნდა ეცადნა, ვიდრე დაწესებული ვადა არ გავიდო-  
და, ხოლო ეგ ვადა თავდებოდა პირველ აპრილს.

ლიტველს აღბად სხვა რამ აუცილებელი საჭიროება ატა-  
ნდა ძალას და ამიტომ მან კვლავ განაგრძო გამოკითხვა:

— თავადს არა უთქვამს-რა შენთვის მაგ საქმის შესახებ?

— არაფერი. მეფე კი სიკვდილამდე ომიანობის ფიქრს არ  
დაუტყვევებს, მაგრამ რესპუბლიკას არ უნდა ომი.

— ჩიგირინში ამბობენ, რომ საშიშია, ყაზახთა ამბოხება  
არ მოხდესო?

— თქვენი აღთქმა გაწუხებთ ვგონებ ძალიან. რაიცა შეე-  
ხება ამბოხებას, იცოდეთ, რომ გაზაფხულზედ ადრე არ მოხ-  
დება, ახლა კი ზამთარია. მართალია, დიდი ზამთარი არ არის,  
მაგრამ მაინც ზამთარია. ეხლა მხოლოდ 15 თებერვალია, შე-  
იძლება ყინვა დაიჭიროს კიდევ, ყაზახი კი მინდვრად არ გავა,  
ვიდრე თოვლს არ აიღებს, ვიდრე დედა-მიწა არ გალხვება, ვი-  
დრე ლონისძიება არ ექნება თხრილი ამოიღოს და საფარი გა-  
იკეთოს. ყაზახნი, თუ სანგაჯი აქვთ, ისე ომობენ, როგორც

ლომნი, ხოლო მოტიტვლებულს მინდორში კი ომი არ შეუძლიანთ.

— მაშ ყაზახთა იმედი უნდა გვეკონდეს.

— რა გითხრათ პასუხად? ყოველ შემთხვევაში, თუნდა მაგ ამბოხების დროსაც იზოვოთ ის თქვენი ერთად მოსაკვეთი სამი თავი, მაინც კიდევ საექვოდ დარჩება, შეასრულეთ თუ არა თქვენი აღთქმა. აჯანყებულნი რომ ან ჯვარ-შემოსილნი იყვნენ, ან ოსმალნი, მაშინ სხვა იქნებოდა. აქ კი ყაზახნი არიან, შვილნი ერთისა და იმავე დედასანი.

— ო, დიდებულო ღჳერთო! ძალიან თავ-სამტვრევი საქმე გამიჩინეთ ეგა. რა უბედურებაა! იქნება ქსენძმა მუხოვეცკიმ გამომირკვიოს ჩემი იქვეულობა? თუ არა გავიგე-რა, ერთს წუთს ვერ მოვისვენებ.

— ალბად გამოგიკვევს; კაცი სწავლულია და კეთილ-მორწმუნე, მაგრამ არა მგონია კი, დამამშვიდებელი რამ პასუხი გაცეთ. *Bellum civile*—ძმათა შორის ომი!

— მემამოხეთ რომ სხვანიც მიეშველნენ ვინმე?

— მაშინ კი თავისუფლად შეგიძლიანთ შეასრულოთ თქვენი გულის-წადილი. მე კი ერთს გეტყვით: ელოდეთ, იმედს ნუ დაჰკარგავთ და იქონიეთ მოთმინება.

ვაი, რომ სხვას აძლევდა ასეთს რჩევას პან სქშეტუსკი და თვითონვე კი ნაკლებად ჰქონდა მოთმინება. თან-და-თან უფრო უძლიერდებოდა დარდი და აბეზრებდა თავს სასახლის ნადიმი და დროს გატარება, აბეზრებდნენ თავს ერთი და იგივე ნაცნობნი. ბოლოს პან როზვან ურსუ და პან ბოდძინსკი და ლიასოტაც წავიდნენ. ყოველივე დამშვიდდა და ცხოვრება თავისს ჩვეულებრივს კვალში ჩავარდა. თავადი ჩაუღრმავდა თვისის მოურავების ანგარიშების ჩხრეკა-განხილვასა, იჯდა სულ კაბინეტში და დროებით ჯარის წურთენა და აღლუმებიც კი გადასდო. სმა და ქეიფი აფიცერთა შორის, საცა გაუთავებელი დავა და ლაპარაკი იყო წარსულ ომიანობათა შესახებ, მეტად მოსწყინდა პან სქშეტუსკის; გადიგდებდა თოფს მხარზედ და გაუბრბოდა ამ ლხინსა და ქეიფს, მიდიოდა სოლონიცისაკენ,



საცა ოდესმე უშულკვესკიმ ისეთი საშინელი დღე დააყენა ლობოდას, ნალივიკას და კრემპსკისა. შებრძოლების კვალი ერთნაირად წაშლილიყო ადამიანთა ხსონაშაიაცა და თვით იმ ადგილებშიც, საცა ის შებრძოლებანი მომხდარიყო. მხოლოდ ათასში ერთხელ გამოჩნდებოდა ხოლმე მიწიდან თეთრი ძვლები ომში დახოცილთა და წყალ-გაღმა ამართული იყო თხრილი, რომლის მოფარებითაც ისეთის განწირულებით იბრძოდნენ იმიერ-ჭორომელნი ლობოდასი და ნალივიკას თავისუფალნი ჯარის-კაცნი, მაგრამ თხრილიც უკვე წვრიმალას დაეფარა. აი აქ ემაღებოდა სქშეტუსკი სასახლის ქლაფა-ქლუფსა, აქ მოიხსნიდა ხოლმე თოფს მხრიდან და ეძლეოდა თავის ფიქრ-ოცნებასა; აქ მის სულიერ თვალთ ცხოვლად წარმოუდგებოდა ხოლმე სურათი საყვარელის ქალისა; აქ, ამ მიყრუებულ ადგილას ნელ-ნელა ყუჩდებოდა მისი გულის-ტკივილი, ჰქრებოდა მისი ღარდი და ნაღველი.

გაზაფხული კი ამასობაში თან-და-თან ახლოვდებოდა. წვიმამაც, ძლიერმა, შხაპუნა წვიმამაც ხშირ-ხშირად დაიწყო მოსვლა: სოლონიცა ერთ გაუვალ ჭაობად გადაიქცა და დესპანს მოაკლდა ეს ერთად-ერთი თვისი სანუკვეშო ადგილიცა. ამასთანავე უფრო და უფრო ძლიერდებოდა მისი მოუსვენრობაცა. პირველში იმედი ჰქონდა, რომ კნენა კურცევიჩი მოახერხებს როგორმე და თავიდან მოიშორებს ბოგუნსაო და მოვლენ ლუბნში ისა და ელენეო, მაგრამ ახლა ეს იმედიც გაუქრა. უამინდობამ გააფუტა გზები და კარგადიდს მანძილზედ შეაკრა მისვლა-მოსვლა; უნდა ეცადნა, ვიდრე მინდორს არ გააშრობდა ცხელი მზე გაზაფხულისა. ამოდენა ხნის განმავლობაში ელენე უნდა ყოფილიყო იმისთანა ხალხის მზრუნველობის ქვეშე, რომელსაც სრულიად არ ენდობოდა, რომელსაც ათვალწუნებული ჰყვანდა თვით სქშეტუსკი, ერთის სიტყვით, მგლების ბუნაგში უნდა ყოფილიყო. მართალია, თავიანთ სასარგებლოდვე მოვალენი არიან არ გადავიდნენ თავიანთ სიტყვას და არც სხვა რამეზა ჰქონდათ; მაგრამ, ვინ იცის, იქნება გამოატყვრიონ რამე, იქნება გაჰბედონ რამე იმ საშინელის ტამანის ზედ-გავლენით, რომელიც



უყვართ კიდევ და რომლისაც ეშინიანთ კიდევ ერთსა და ერთსა ვე დროს?! ბოგუნს არ გაუჭირდებოდა, ძალა დაეტანებინა და წაერთმია ქალი; ამისთანა ამბავი არა ერთხელ მომხდარიყო. აი, მაგალითად, საცოდავის ნალივიკას ამხანაგმა ლობოვადამ ხომ ძალა დაატანა პანი პობლინსკისას, მე მომათხოვე შენი გაზრდილი ქალიო, თუმცა ამ ქალს გვარიც კარგი ჰქონდა და სულითა და გულითაც ეჯავრებოდა ატამანი. ხოლო თუ ზღაპარი არ არის, რომ ბოგუნს ურავალავი სიმდიდრე და ქონება აქვსო, შეუძლიან დაახარბოს ოქრო და ვერცხლი და საკმაოდ მისცეს კურცვენიებს ქალისათვისაც და რაზლოგის დაკარგვისათვისაც. მერე? მერე რაღაი?—ჰფიქრობდა გულში სქშეტუსკი,—შემატყობინებენ ვითომ გულ-მტკივნეულობითა ასე და ასე შეგვემთხვაო და თვითონ კი გასწვევენ ლიტვისა, ან მახოვეცკის ტყეებში, სადაც ყოვლად ძლიერი ხელიც კი ველარ მისწვდება ვისნვეცკისა.—პან სქშეტუსკი ფიქრობდა ამას და ხან აკივებდა, ხან აცხელებდა; ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით, სწყევლიდა სიტყვას, რომელიც კნენიას მისცა და არ იცოდა, რა ექნა, რა მოეგვარებინა. ისეთის ბუნების კაცი იყო, რომ იმის მხნეობისა და გამბედაობის ძალა სულ დუღდა და გადმოდიოდა. ამიტომ იმას კი არ უცდიდა, აცა ბედი რას მომიტანსაო; თვითონვე სწვდებოდა ყელში ბედს და იმას მოაქმედებინებდა ხოლმე, რაც თვითონ ჰნებავდა. ეს იყო მიზეზი, რომ იმისთვის უფრო აუტანელი იყო, ვიდრე სხვისთვის ვისთვისმე, ლუბნში ჯდომა ასე სოდომივით უმოძრაოდ, ასე ხელფეხ-შეკრული.

სქშეტუსკიმ გადასწყვიტა შესდგომოდა საქმეს. პატარა მხლებელი ჰყვანდა ერთი პოდლიასელი აზნაურშვილი, ესე თექვსმეტის წლის ყმაწვილი, მაგრამ ისეთი მარდი და ეშმაკი, რომ პირველ ოინბაზს და თვალა-მაქცს არაში არ ჩამორჩებოდა. სქშეტუსკიმ გადასწყვიტა, ამას გავგზავნი ელენესთან და ეს შემიტყობს, რა ყოფაშია საქმეო. თებერვალი გავიდა და წვიმებიც ისე ხშირი არ იყო; მარტის იმედი იყო, რომ უფრო



კარგს დარებს დაიჭერდა და მაშასადამე გზებიც ცოტაოდნად მაინც გაშრებოდა.

ჟენძიანი საგზაოდ ემზადებოდა. პან სქშეტუსკიმ მისცა წერილი და თან გაატანა ქალაქი და საწერ-კალამი, რადგან ახსოვდა, რომ რაზლოგში ამისთანების ხსენებაც არსად იყო. ყმაწვილს არ უნდა ეთქვა, ვინა ვარ და ან რისთვის მოვედიო. სთქვი, ჩივირინს მივდივარ-თქო; უფრო კი ეცადე გაიგო, სად არის ბოგუნი, ან რას აკეთებსო. ჟენძიანმა აღარ გაამეორებინა დანაბარები, ჩაიკეცა ქუდი, დაიხურა გვერდზედ, გაათხლავუნა მათრახი და ჰკრა ქუსლი ცხენსა.

პან სქშეტუსკისათვის დადგა ახლო დრო მოლოდინისა, რომელიც ისე ძნელი ასატანია. სწორედ ამ დროს კი ისეთი ფათერაკი შეემთხვა დესპანს, რომ კინაღამ წუთი-სოფელს არ გამოეთხოვა. ერთხელ დათვმა აიწყვიტა ეზოში, ვისნევეცკის დარბაზს წინა, დაჩეჩქვა ორ-ორი მეჯინიბე და მივარდა მერე დესპანს, რომელიც ამ დროს ცეხ-ჰაუზიდან მოდიოდა თავადთან სრულიად უიარაღო, მათრახის ამარა. დესპანის სიკვდილი აუცილებელი იყო, რომ პან ლონგინუსი არ შესწრობოდა. იმან შეასწრო თვალი ამ ამბავს, წაავლო ხელი თავისს მახვილს და გაექანა საშველად. ლიტველმა დააპტკიცა, რომ ღირსეული შთამომავალი იყო სტოვეიკოსი. ერთის შემოკვრით მოპკვეთა თავი დათვს და თან გაატანა თათიც, რომელიც ის იყო მოედერებინა და პან სქშეტუსკისათვის უნდოდა შემოეკრა.

თავადმა დაინახა ფანჯრიდან ყოველივე ესე და მაშინვე თავისთან დაუძარა პან პოდბიენტს კნეინას სამყოფელ ოთახში, საცა ანუსიაჲ ისე დაუწყო ყურება, რომ ლიტველმა საჭიროდ დაინახა მეორე დღესვე აღსარების სათქმელად წასულიყო. მას უკან სამს დღეს ციხე-დარბაზში აღარ მისულა; აღარ მივიდა მასუკანაც მანამდე, სანამ გულ-მხურვალე ლოცვით არ მოიშორა თავიდან ყოველივე ცთუნებანი.

გავიდა ათიოდე დღე და ჟენძიანი კი არსად არა სჩანდა. ჩვენი პან სქშეტუსკი ისე გახდა ამ ლოდინში, რომ ანუ-

სიამ აქეთ-იქით ჩუმად კითხვა დაიწყო, ნეტა რა ამბავია სქშეტუსკის თავსაო, ხოლო კარბონიმ, თავადის მკურნალმა რა-ღაცა წამალი დაუწერა სევდა-ნაღვლიანობისა. მაგრამ სქშეტუსკიმ იცოდა, რომ ყოველივე წამალი ამაო იყო, რომ იმის გულში დაესადგურებინა ძლიერს გულის-თქმას, რომლის დაძლიევა ყოვლად შეუძლებელი იყო.

ადვილად წარმოსადგენია, რა სიხარული იგრძნო პან იან-მა, როცა ერთს დიღას, განთიადისას იმის ოთახში შევიდა ჟენძიანი, დადლილ-დაქანცული, სულ ტალახში მოსვრილი, მაგრამ მხიარული; მხიარული იმიტომ, რომ კარგი ამბავი მიუტანა თავისს პატრონს. დესპანი წამოხტა ლოგინიდან, წაავლო მხრებში ხელი და აღელვებითა ჰკითხა:

— წერილი მოიტანე?

— მოვიტანე, ბატონო. აი.

პან სქშეტუსკიმ საჩქაროდ სტაცა ხელი წერილსა. დიდხანს იყო ექვში, ვაი თუ წერილი არ მომიტანოს ჟენძიანმაო, რადგან დარწმუნებული არ იყო, იცოდა ელენემ წერა თუ არა. განაპირა ქვეყნების მანდილოსნები ვერ დაიტრაბახებდნენ წერა-კითხვის ცოდნასა, ხოლო ელენე ამას გარდა განადირებულ ხალხშიაცა სცხოვრობდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ელენეს წერა სცოდნოდა: ალბად მამამ იზრუნა და ასწავლებინა წერა-კითხვა. ელენეს ოთხ ფურცელზედ გაეჭრელებინა თავისი ეპისტოლე. საწყალს ვერ მოეხერხებინა ლამაზად გამოეთქვა თავისი აზრები და ისე სწერდა, როგორც გული ეუბნებოდა:

„არასოდეს არ დაგივიწყებთ. უმალ თქვენ დამივიწყებთ, ეიდრე მე. გამოგონია, რომ თქვენ შორის, მამაკაცთა შორის, ცუდნიც თურმე არიან. მაგრამ თქვენ ამ სიშორეზედ თქვენი მხლებელი გამოჰგზავნეთ ჩემთან და ამიტომ ვხედავ, რომ თქვენც ისევე გყვარებდით, როგორც მე, რისთვისაც გულითა და სულით მაღლობას მოგახსენებთ. გახზოვთ, ნუ იფიქრებთ, რომ თამამად ვიქცევი, რაკი გწერთ მიყვარხართ-მეთქი. მართლის თქმა სჯობიან ტყუილსა, ანუ იმის დამალვასა, რაც გულში აქვს აღამიანსა. პან ჟენძიანს გამოგვიხე თქვენი ამბავი, მანდა-

ური გარემოება და, როცა იმან მიამბო, რომ მანდეთკენ ლამა-  
ზი ქალები თურმე არიან, ჯავრით ვიტირე...“

დესპანმა თავი დაანება წერილის კითხვას.

— რაები დაგირაშავს, სულელი?

— კარგის მეტი არა მითქვამს-რა.

დესპანმა კვლავ განაგრძო კითხვა.

„... იმიტომ რომ, აბა, მე როგორ მოვალ მაგათთანა? მა-  
გრამ თქვენმა მხლებელმა მითხრა, რომ თქვენ ხმასაც არავისა  
სცემთ რივიანად...“

— ჰოო! აი ეს კარგად გითქვამს!—წაიტუტუნა დესპან-  
მა.—ქენძინმა კარგად არ იცოდა, რისთვის რას ამბობდა მისი  
ბატონი, რადგან დესპანი ჩუმადა ჰკითხულობდა თავისთვის  
წერილსა, მაგრამ მაინც საჭიროდა სცნა ისე დაეჭირა თავი,  
ვითომ ყოველივე კარგად ვიცო.

„... ამიტომ მეც დავმშვიდდი და ღმერთსა ვსთხოვე, რომ  
იმან ჩავაგონოთ კვლავაც ისევე მოიქცეთ და გვაკურთხოს  
ორივენი. ამინ! მეტადა ვსწუხვარ თქვენს უნახაობას: ჩემი ნე-  
ტარება მხოლოდ ის იქნება, რომ თქვენა ვნახოთ...“

შემდეგ მშვენიერი კნიაჟნა იუწყებოდა, რომ, როგორც  
აშრება გზები, მე და ძალუა-ჩემი მოვალთ ლუბნსაო, რომ  
თვითონ ძალუა ჩქარობს წამოსვლასა, იმიტომ რომ ჩივირინი-  
დან მოდის ამბები, ყაზახნი ჰლელავენ და მოუსვენრობენო.

„ნამდვილი მისანი და გრძნეული ყოფილხართ,—სწერდა  
ელენე,—რომ ძალუა-ჩემის დამორჩილებაც კი მოახერხეთ.“

დესპანს გაელიმა; მოაგონდა, რა ღონის-ძიებითაც მოი-  
პოვა თანაგრძნობა ელენეს ძალუასი.—წერილი თავდებოდა მით,  
რომ ქალი არწმუნებდა დესპანს, საუკუნოდ თქვენი მოყვარული  
და ერთგული ვიქნებოდა. საზოგადოდ, წერილი გულ-უბრყვილო-  
ბითა და გულ-წარფელობით იყო სავსე. დესპანი კითხულობდა ამ  
წერილს და ამბობდა გულში: „ჩემო ძვირფასო! ღმერთმა მკით-  
თხოს, თუ ოდესმე მე შენ დაგივიწყო!“

შემდეგ დაიწყო ქენძიანის გამოკითხვა.

მოხერხებულმა მხლებელმა სრული ანგარიში მისცა ყველაფრისა. ძალიან ტკბილად მიმიღესო. მოხუცმა კნენამ გამომკითხა თქვენი ამბავი და ძალიან ესიამოვნა, როცა გაიგო, რომ ჩვენს მთავარს დიდად უყვარხართ და რომ საქებურის მხედარის სახელი გაქვთ გავარდნილი.

— იმანა მკითხა, ასრულებს თავის სიტყვას, რომელიც ჩვენ მოგვცაო! მე მოვასხენე: „კნენა, ის ცხენი რომ მე მყავდეს დაპირებული, რომლითაც გიახელით, ნამდვილად დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ მე აღარ ამცდებოდა...“

— დიდი ოინბაზი ხარ! — გაიცინა დესპანმა. — მეტი რა ღონეა. რაკი თავდებად დამდგომიხარ, მიჩუქებია ეგ ცხენი შენთვის. ჰო, მაშ მერე აღარა დამალე-რა, სთქვი, ვისგანაცა ვარ გამოგზავნილიო?

— ესთქვი, იმიტომა რომ საქირო აღარ იყო კეკემალულობა. მასუკან უფრო ტკბილად მომექცნენ და ბევრი მიაღერსეს, მეტადრე პანნამ... ღმერთო, რა საოცარი შვენიერებაა! ციდან ჩამოფრენილი ანგელოზია. ქვეყანა რომ დაიაროს კაცმა, უკეთესს ვერ იპოვის. როცა გაიგო, რომ თქვენი გაგზავნილი ვიყავი, აღარ იცოდა, რა ექნა. ცას დაეწია სიხარულითა, კითხულობდა თქვენს წერილსა და სიხარულის ცრემლს აფრქვევდა.

დესპანსაც სიხარულით ხმა წაუვიდა. მხოლოდ პატარა ხანს უკან ძლივს ჰკითხა მხლებელს:

— იმისი... ბოგუნისა არა გამოჰკითხე-რა?

— სახერხოდ ვერ დავინახე კნენასთვის ან პანნასთვის გამომეკითხა რამე, სამაგიეროდ, ერთს ბებერს თათარს, სახელიად ჩეხლის დავუშეგობრდი. თუმცა ურჯულოა, მაგრამ მაინც ერთგული ყმა თვისის ბატონებისა. აი იმან მიაბზო, რომ პირველში ძლიერ გული თურმე მოსდიოდათ თქვენზედ, მაგრამ მერე დამშვიდდნენ; მეტადრე მაშინ დაიმშვიდეს გული, როცა გაიგეს, რომ ის ამბავი, ვითომ ბოგუნი სავესე იყოს სიმდიდრითა, სულ ტყუილიაო.

— მერე საიდან გაიგეს ეგა?

— აი საიდან გაიგეს. სივინსკისა თურმე ემართათ ფული; ვა-  
და მოვიდა და მიჰმართეს ბოგუნს: გვასესხეო. იმან თურმე უთხრა:  
ოსმალური ნივთი და ვეჯი ბევრი მაქვს და ფული კი არ გახ-  
ლავთო. რაცა მქონდა, სულ დავხარჯეო. გაიგეს თუ არა ესა,  
მაშინვე აითვალწუნეს ბოგუნი და თვალი სულ თქვენკენ თურმე  
ჰქონდათ.

— ყოჩაღ! ყველაფერი კარგა გამოგიწვრილნია. მადლო-  
ბელი ვარ.

— ჰანე, ერთი რომ კარგა გამომეწვრილნა და მეორე კი  
არა, ამას მეტყობით: ცხენი რომ მაჩუქე, უნაგირი კი არ უნ-  
დაო. აბა, რა არის ცხენი უუნაგიროდ.

— ჰო, კარგი, კარგი; მიჩუქებია უნაგირიცა.

— ო, გმადლობთ! ბოგუნს პერეიასლავლს თურმე უკრეს  
თავი. მე ვიფიქრე; გავიგე თუ არა ესა: მოდი მეც იქ წავალ-  
მეთქი. ჰან სქშეტუსკი დამიმადლებს და ჯარში ჩემის ჩარიც-  
ხვის ვადაც შემეცირდება-მეთქი...

— შენი რიგი მერმისის დადგება, გაზატხულხვედ. მერე,  
იყავ პერეიასლავლში?

— ვიყავ, მაგრამ ბოგუნი იქ არ იყო. მოხუცი პოლკოვნიკი  
ლობოდა ავად არის. ამბობენ, რომ იმის შემდეგ პოლკოვნიკად  
ბოგუნი იქნებაო. ჯარის-კაცნი იქ ცოტანი-ლა არიან; დანარჩენ-  
ნი, როგორც ამბობენ, ბოგუნს გაჰყოლიან, ან არა და სეჩს  
გაქცეულან... ეს დიდი ამბავია, იმიტომ რომ რაღაც უკეთურ  
საქმისათვის ემზადებიან თურმე. ყოველივე მინდოდა გამეგო  
ბოგუნის შესახებ, მაგრამ იმის მეტი არა მითხრეს-რა, რომ რუ-  
სეთის მხარეს \*) წავიდაო. ჯანდაბას იმისი თავი-მეთქი, ვიფიქ-  
რე, რახან აგრე შორს ვადაკარგულა, მაშ ჩვენს ჰანანს ფიქრი  
აღარა აქვს-რა-მეთქი; ავდექი და დავბრუნდი.

— კარგად ავისრულებია ყოველივე მინდობილობა. გზა-  
ში ხომ არა შეგმთხვევია-რა?

\*) დნებრის მარჯვნივ რუსეთის მხარე იყო, ხოლო მარცხნივ—თა-  
თრებისა.

— არაფრისაგან არაფერი. მშინ მხოლოდ მეგლივითა.

ვენძინი გავიდა ოთახიდან, ხოლო დესპანმა, რაკი მარტო დარჩა, კვლავ დაიწყო კითხვა ელენეს წერილისა და დაუწყო კოცნა ასოებს, რომელიც, რასაკვირველია, ისე ლამაზები არ იყო, როგორც ხელი, რომელმაც ის ასოები დაწერა. გული კვლავ იმედით აღევსო და ასე ფიქრობდა: „გზები მალე აშრება. კურცვეიჩები, რაკი დარწმუნდებიან, რომ ბოგუნს არა აბადია-რა, უეჭველია მე აღარ მილალატებენ. რაზლოგს მივცემ და კიდევ ჩემსასაც ბევრს დაფუმატებ, ოლონდ. ის ჩემი სიცოცხლე მომცენ“.

საჩქაროზედ ტანთ ჩაიცვა და სიხარულისაგან გაბრწყინვალელებულმა და ბედნიერებით გულ-აღვსილიმა გასწია საყდარში, მადლობას შევწირავ ღმერთს ასეთის სასიხარულოამბებისათვისაო.

## VI

მთლად უკრაინასა და იმიერ-დნებრის მხარეს რაღაც შეშფოთება ეტყობოდა, რაღაც ყრუ ქუხილი ისმოდა იქიდან, თითქო წინამორბედი ნიშნებია ქარიშხალისა და გრიგალისაო; რაღაც უცნაური ქორები დადიოდა სოფლით-სოფლამდე, მეკომურიდან-მეკომურამდე, თითქო ბამბიქულა ანუ ბურბუშა აუგორებია ქარსა და ხან აქეთ გადიტაცებს და ხან იქითაო. ქალაქ ადგილებში ლაპარაკობდნენ, რომ დიდი ომი მზადდებოა, და თუმცა არავინ არ იცოდა, ვისთან და ან რისთვის უნდა ამტყდარიყო ომი, მაინც ჰაერში ლაშკრიანობის სუნი იდგა. ყველას რაღაც მოუსვენრობის ბეჭედი დასტყობოდა სახეზედ; მზვნელ-მთესველი უგულოდ გადიოდა მინდორში სახნავად, თუმცა ნაადრევი გაზაფხული იდგა, თბილი, მშვიდობიანი და ტოროლა უკვე თავისს გალობას დასძახოდა ცაში. საღამოობით სოფლის მკვიდრნი იკრიფებოდნენ ერთად, იდგნენ გზის პირად და იღუმალებით ლაპარაკობდნენ საშინელს ამბებს. უსინათლო მეფანტურებს ჩაცივებით ეკითხებოდნენ, ახალი ამბავი ხომ არა

იციო-რაო. ბევრნი იმასაც ამბობდნენ, რომ ღამ-ღამობით ცა-ზედ რაღაც წითელ ზოლებსა ვხედავთ და რომ მთვარე, უფრო გაწითლებული, ვიდრე ჩვეულებრივ არის ხოლმე, ტყიდან ამოდისო. წინასწარმეტყველობდნენ, რომ ან უბედურება რამ მოხდება, ან მეფე გადაიცვლება სადმეო. ყოველივე ესე მით უფრო საკვირველი იყო, რომ უკრაინა ძველადვე ჩვეული იყო მრავალ-გვარ უწესოებას, ომ-ლაშკრობას, მტრის შემოსევას და ამიტომ ადვილი არ იყო რითიმე მისი შეშინება. აღბად, მართლა განსაკუთრებული საჭირო-ბოროტო რამ საქმე იყო მოსალოდნელი, როცა შიშსა და ძრწოლას ყველა ასე ძლიერ შეეპყრო.

საქმეთა ვითარება მით უფრო სამძიმო იყო, მით უფრო აუტანელი, რომ არაეის შეეძლო ეთქვა სინამდვილით, რა იყო მიზეზი ასეთის მოუხვენრობისა, ასეთის შეშფოთებულის ყოფისა. შავ-ბნელ ნიშნთა შორის ორი ისეთი ნიშანი სჩანდა, რომელიც ცხადად ამტკიცებდა, რომ მართლა საშიში რამ უნდა მომხდარიყო. ჯერ ისა, რომ ქალაქებსა და სოფლებში მეტის მეტად ბევრი მთხოვარა მეფანტურე გაჩნდა, მათ შორის ზოგნი ისეთნი იყვნენ, რომელთაც არაფერი არ იცნობდა და ცხადი იყო, რომ განგებ ჩაეცვათ მთხოვარას ტანისამოსი. ეს მეფანტურენი დადიოდნენ ყველგან და იღუმალებით ავრცელებდნენ ხმას, დღე ღვთის მსჯავრისა და განკითხვისა მოახლოვებულიაო. მეორეც ის იყო, რომ ქვემოურებმა გამმაგებით გაუსვეს ხელი სმას. ეს უკანასკნელი ნიშანი უფრო საშიში იყო პირველზედა. სეჩი პატარა ქვეყანა იყო და ამიტომ არ შეეძლო ესაზრდოვებინა იქაურ მოსახლეთა რიცხვი, სათარეშოდა და სალაშკროდ ყოველ-დღე ვერ ივლიდნენ, გადაჭრელებული მინდვრები საკმაო პურს არ აძლევდა ყაზახებს და აი ქვემოურნიც მრავლად იფანტებოდნენ აქეთ-იქით სოფლებში, მეტადრე მშვიდობიანობის დროს. ქვემოურებით იყო საფე არა მარტო უკრაინა, არამედ რუსეთიცა. ზოგნი მაგნატების სამსახურში შედიოდნენ, ზოგნი ვაჭრობდნენ გზისპირებად დამართულ დუქნებში და ჰყიდდნენ არაყს, ზოგნი



კიდევ ხელოსნობდნენ სოფლებსა და ქალაქებში. თითქმის ყოველს სოფელში იდგა განაპირას გამარტოებული ქოხი იმიერ-ქორომელისა. ბევრს სახლობა ჰყვანდა და ხვნა-თესვა ჰქონდა გამართული. იმიერ-ქორომელი, ყველაფერში ნაცადი და ნაწურთნი, ნამდვილი ღვთის-წყალობა იყო სოფლისათვის. იმაზედ უკეთ ვერავინ დასჭედავდა ცხენს, ვერავინ გააკეთებდა ურმის თვალს; ფუთკრის მოვლის ხელიც იცოდა, თევზის ქერაცა, ნადრობაცა. ყაზახს ყველაფრის გაკეთება ეხერხება სახლის შენებიდან დაწყებული უნაგირის შეკეთებამდე. ეს კია, ყველგან მშვიდად არა სცხოვრობდნენ ამისთანა მოსახლენი, თუმცა ისიც კია, რომ დროც მოუსვენარი იყო მაშინ. ვისაც შურის-ძიება უნდოდა, სამაგიეროს გადახდა შეურაცხყოფისათვის, ან დარბევა მეზობლისა, ერთი კი დაეძახნა და ასი ყოჩაღი, მოსხებილი ვაჟკაცი მაშინვე თავს მოიყრიდნენ, თითქო ყვავ-ყორნები არიან მძოვრის საწიწკნელად შემოგროვილნიო. იმათს ყოჩალობასა და ძალ-ღონეს მიჰმართავდნენ და სარგებლობდნენ ხოლმე პოლონის თავად-აზნაურობაცა, მაგნატები, ხოლო როცა იმათი შემწეობა არავის არ ექირვებოდა, ყაზახნი ისხდნენ მშვიდად თავიანთ სახლებში, მუშაობდნენ შეუსვენებლივ და ოფლის წურვით შოულობდნენ ლუქმა-პურსა.

ასე მიდიოდა დრო და ჟამი, ერთი და ორი წელიწადი, მაგრამ მერე უცბად მოვიდოდა ამბავი, რომ დიდი ომი მზადდებოა, ანუ ესა და ეს ატამანი აპირობს თათრებს დაესხას თავსაო, „ლიახნი“ დაარბიოსო, პოლონის პანებს ააღინოს ზურგზედ ბოლი ვლახეთშიო,—და სასწრაფოდ ყველა ეს მკედელნი, მეფუტკრენი, და თვლების მკეთებელნი იღებდნენ ხელს თავიანთ მშვიდობიანს ხელობაზედ და პირველ ყოვლისა დაიწყებდნენ გაშმაგებით სმას უკრაინის ყველა დუქნებში. როცა სულ გამოეღეოდათ ფული, ნისიად მოჰყვებოდნენ სმას, ვალად, „იმითი კი არა, რაცა ჰქონდათ, არამედ იმითი, რაც ექმნებოდათ“. მოსალოდნელ დავლა-ალაფს უნდა გადაეხადნა ახლანდელის ლოთობის დანახარჯი და ნისია-ვალები.

ასეთი ამბავი ისეთის წესითა და რიგით განმეორ-განმესამდებოდა ხოლმე, რომ გამოცდილნი ასე ამბობდნენ ამისთანა შემთხვევაში: „ეჰე! ღუქნები ავსებით არის საფსე ქვემოურებით—მაშ, სჩანს, უკრაინაში რაღასთვისაც ემზადებიან“.

მეციხოვნეთა უფროსნიც უმატებდნენ ჯარის რიცხვს ციხე-დარბაზებში და გაფაციცებით აღევნებდნენ თვალ-ყურს გარემოსა, მაგნატები ჰკრეფდნენ ჯარებს, თავად-აზნაურობა ცოლშვილს ქალაქებში ჰგზავნიდა დასახიზნავადა.

ამ გაზაფხულზედ ისეთი ლოთობა დაიწყეს ყაზახებმა, რომ წინად ისე არას ღროს არ ულოთნიათ; შესჭამეს და შესვეს და მიჭვანტ-მოჭვანტეს ყოველივე ოფლით მონაგარი და ეს ამბავი იყო არა მარტო ერთს თემსა და მაზრაში, არა ერთს საერისთაო-სამოურავოში, არამედ მთელს თვალ-გადუწვდენელს რუსეთში.

მართლაც, რაღაც დიდი სჯქმე მზადდებოდა, თუმცა ქვემოურებმა თვითონაც არ იცოდნენ, სახელდობრ, რა. ლაპარაკობდნენ ხმელნიცკის ამბავს, სეჩს გავარდაო, მრავალი ყაზახობა გაჰყვა თან ჩერკასიდან, ბოლუსლავიდან, კორსუნიდან და სხვა ქალაქებიდანაო, მაგრამ ამასთანავე ერთად, ბევრს სხვასაცა ლაპარაკობდნენ. რამდენისამე წლის განმავლობაში დადიოდა ხმა, რომ დიდი ომი უნდა აუტეხონ ურჯულობესაო; მეფეს უნდოდა ამ ომის ატეხა, რათა მით შემთხვევა მიეცა თავისს ყოჩად ყაზახთათვის, დავლა-ალაფით ავსილიყენენ, მაგრამ ლიხები არიან წინააღმდეგნიო, ხოლო ახლა ყოველივე ეს ხმა და ქორი ერთმანერთში აირია და დაჰბადა საყოველთაო მოუსვენრობა და რაღაც არა-ჩვეულებრივის ამბის მოლოდინი.

ამ მოუსვენრობამ ლუზნის ზღუდეებამდეც მიადწია. აღარ შეიძლებოდა ყურის-მოყრუება, აღარ შეიძლებოდა ყურადღება არ მიჰქცეოდა ამ მოუსვენრობის ნიშნებს და არც თვით თავადი ერემია იყო ისეთი კაცი, რომ დიდ ხანს დაეტოვებინა ყოველივე ესე უყურადღებოდ. იმის სამფლობელოში მოუსვენრობა ჯერ შფოთვა-არეულობად არ გადაქცეულიყო, — შიში ჰქონდა ყველას და ის აკავებდა, — მაგრამ მალე მოვიდა ზედი-ზედ



ხმა უკრაინიდან, რომ აქა-იქ ყაზახობა ეწინააღმდეგება თავად-აზნაურობასა, ჰხოცავს ურიებს, ნდომობს ძალ-მომრეობით ჩაეწეროს ჯარში ურჯულოებთან სამირად და რომ თან-და-თან უფრო მრავლდება მათი რიცხვი, ვინც სეჩს მირბიანო.

თავადმა აფრინა შიკრიკნი და მსწრაფლ-მსრბოლნი: პან კრაკოვსკისთან, პან კალინოვსკისთან, ლობოდასთან პერეიას-ლაფლს, ხოლო თვით სკდილობდა შემოეკრიფა ჯარი სამზღვრებიდანა და ჯოგ-ნახირნი შორეულ მინდვრებიდან. ამ დროს მოვიდა ცოტაოდნად სანუგეშო ამბებიცა. ბატონი დიდი გეტმანი სწერდა ყოველსავე, რაც იცოდა ხმელნიცკის შესახებ და თან აუწყებდა, რომ არა მგონია ამ გარემობას რაიმე მღელვარება მოჰყვესო; მეორე გეტმანი სწერდა: „ათასი მილეთის ბრბო, როგორც ფუტკარი სკაში, ისე ირევა და ბზუის გაზაფხულობითაო“. მხოლოდ ერთმა მოხუცმა მედროშემ ზაცვილიხოვსკიმ მოსწერა წიგნი და ეხვეწებოდა, გაუიცებ ყოველსავე საფიცარს, სუბუქად ნურას ნუ მოეპყრობი, დიდი გრივალი ამოვარდება ყრუ-მინდვრებიდანო. ხმელნიცკიზედ იწერებოდა, რომ სეჩიდან ყირიმს წასულა და ყენისთვის შემწეობა უთხოვნიანო. „ჩემი მეგობრები მატყობინებენ სეჩიდან,—სწერდა ზაცვილიხოვსკი ვისნევეცკისა,—რომ უფროსნი ზედამხედველნი ყველა მხრიდან აგროვებენ აქ ჯარსაო და არავის კი ეუბნევიან, რად უნდათ ეს ამოდენა ხალხი. ჩემის ჭკუით ასე მგონია, რომ ეგ ქარტეხილი ჩვენ არ აგვცდება, ხოლო თუ თათრებიც მიეშველნენ, ღმერთმა ბრძანოს, რომ თუნდ მთლად სარუსეთო ქვეყნები უვნებლად გადარჩენილიყოს“...

თავადი ერემია ზაცვილიხოვსკის უფრო ენდობოდა, ვიდრე თვით გეტმანებს; მთავარმა იცოდა, რომ მოხუცი მედროშე ყველაზედ კარგად იცნობდა ყაზახებს და იმათი პოლიტიკაც კარგადა ჰქონდა აწონილი. თავადმა გადასწყიტა, რომ, რაც შეიძლებოდა ბლომად მოეგროვებინა ჯარი და ამასთანავე ერთად შეეტყო დანამდვილებით ყოველივე ვითარება საქმისა.

ერთხელ დილით უბრძანა დაეძახნათ პან ბიხოვეცისათვის, რომელიც ვლახეთის სადროშოს პარუჩიკი იყო.



— თქვენ უნდა წახვიდეთ ჩემ ელჩად სეჩს, — სთქვა მან, — ბატონ კაშევოი ატამანთან და გადასცეთ ეს წერილი, ჩემის ბეჭდით დაბეჭდილი. რათა იცოდეთ, როგორ უნდა გეკიროთ თავი, აი რას გეტყვით: ეს წერილი მხოლოდ საბაბია, გარნა ელჩობის კარგად შესრულება თქვენს უნარზედ იქმნება დამოკიდებული. უნდა ყოველივე დაათვალიეროთ, გამოიწვრილ-გამოძიოთ, კარგად გაიგოთ, რა ამბავია იქ, რამდენი ჯარი ჰყავთ შეიარაღებული, რამდენის შეიარაღებას აპირობენ კიდევ. მოგანდობთ განსაკუთრებით გაიგოთ ყოველივე ხმელნიცკის შესახებ, მართლა ყირიმს წასულა თუ არა თათრების შემწეობის სათხოვნელადა. ხომ გესმით, რასაც გეუბნევით?

— ასე მგონია სულ ხელის გულზე გადამიშალეს-მეთქი ყოველივე.

— ჩიგირინის გზაზედ წახვალთ; დასასვენებლად ერთი ღამე გექნებათ მხოლოდ. როცა მიხვალთ იქ, ეახლებით მედრო-შე ზაცილიხოვსკის და სთხოვთ, რომ წერილები მიგიწეროს თავისს მეგობრებთან სეჩს; ეს წერილები საიდუმლოდ უნდა გადასცეთ იმათ შემდეგ, უკან დაბრუნებისას. ჩიგირინიდან წყალ-წყალ ივლი კუდაკამდე, მოიკითხავ ჩემ მაგივრად პან გროდეცკის და ამ წერილსაც მიართმევ. ისინი გაგიყვანენ დნებრში, ისე რომ ქორომებმა არა გავნოთ-რა. სეჩს დიდხანს ნუ დაჰყოფთ: იყავით თვალ-გაფაციცებით, ყურ-მახვილობით და დაბრუნდით ისევ მალე, თუ ცოცხალი გადარჩით, რადგან სახუმარო საქმე არ არის.

— ჩემს სიცოცხლეს არ დავზოგავ. რამდენი კაცი წავიყვანო თანა?

— ორმოცი კაცი გეყოფა. სადამო-ქამზედ გახვალთ აქედან, ხოლო ვიდრე გზას გაუდგებოდეთ, კიდევ შემოიარეთ ჩემთან დარიგებისათვის. სამძიმო და ფრიად საყურადღებო მიწოდებლობას გაძლევთ მე თქვენა.

პან ბიხოვეცი აღტაცებული გამოვიდა თავადის კაბინეტიდან; იქვე მეორე ოთახში იყო სქშეტუსკი და რამდენიმე თაფჩი-აფიცერი კიდევ სხვები.

— რა ამბავია?—ჰკითხეს იმათა.

— დღეს უნდა გავუღდე გზას.

— სადა, სად?

— ჩიგირინს და მერე იქიდან უფრო შორს.

— წამოდით ჩემთანა,—უთხრა სქშეტუსკიმ და თავისს სახლში წაიყვანა.

— გამიგონე, მეგობარო,—დაუწყა დესპანმა,—რაც გინდა მთხოვე, თუნდა ჩემი ოსმალური ქურანი ცხენი,—ყველას მოგცემ, არას არ დავინანებ, ოღონდ კი თავადის მინდობილობა მე დამითმე. ჩემი გული სულ იქითკენ მიფრინავს. თუ გინდა, ფულს მოგცემ. დიდებას არას შეგძენს ეგ საქმე, იმიტომ რომ, თუ ვინიცობაა ომი ატყდა სადმე, რასაკვირველია აქ ატყდება; დაღუპვით კი შესაძლოა დაიღუპო. ამას გარდა, ვიცი, რომ შენ ანუსია მოგწონს. თუ წახვედი, გეფიცები, გავგიყვებ ჩემის სიყვარულითა, ისე შევაყვარებ თავსა.

ამ უკანასკნელმა საბუთმა უფრო გასჭრა და დააფიქრა პან ბიხოვეცი, თუმცა ვერ დაარწმუნა კი, რომ სწორედ ისე მოქცეულიყო, როგორც პან სქშეტუსკი ეხვეწებოდა. რას იტყვის თავადიო? რომ განრისხდესო? ასეთი მონდობილობა იმის ნიშანია, რომ თავადი განსაკუთრებულის ნდობით მეკიდებაო.

სქშეტუსკიმ მოუსმინა ყოველივე საწინააღმდეგო მოსაზრება, წავიდა მთავართან და უბრძანა მხლებელს, მოახსენე თავადს, რომ მისი ნახვა მინდაო.

მხლებელი მალე დაბრუნდა და უთხრა, რომ დასტურია, შეგიძლიან შესვლა და ნახვა თავადისაო.

ჩვენს დესპანს გულმა კანკალი დაუწყა, შეეშინდა, ვაი თუ მოკლედ მოჭრილი უარი მითხრას და მაშინ ხომ უნდა გამოვეთხოვო ყველა ჩემს ტკბილს იმედებსო.

— ამბავი, ხაბარი!—ჰკითხა თავადმა.

სქშეტუსკი ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა.

— ო, მოწყალეო თავადო! მოვედი შემოგვედროთ და გთხოვთ, რომ მე გამგზავნოთ სეჩს თქვენის მონდობილების ასასრულებლად. ბიხოვეცი დამითმობდა მაგ საქმეს,—ჩემი მე-



გობარია,—თქვენის ბრწყინვალეების რისხვისა რომ არ ეშინოდეს.

— ღმერთსა ვფიცავ,—ღალატების კილოთი სთქვა მთავარმა,—რომ თქვენს მეტს სხვას არც არავის ვავგზავნიდი, მაგრამ ვიფიქრე, ვაი თუ გულში არ ესიამოვნოს ამას ახალის მინდობილების აღსრულება-მეთქი, რადგან სულ ახლა-ხან დაბრუნდა ხანგრძლივის მგზავრობიდანა-მეთქი.

— მზადა ვარ, თუნდა ყოველ დღე ვიარო იმ ქვეყნისაკენ. თავადი დააცქერდა და დიდ ხანს უყურებდა თვისის შავის თვალებითა.

— რა ვაგჩენია იქა?—ჰკითხა მან ბოლოს.

დესპანი ისე იღვა თავადის გამჭირახის თვალთა წინაშე, თითქო დამნაშავეაო.

— ვხედავ,—სთქვა მან,—რომ უნდა მართალი გითხრათ; თქვენთვის დაფარული ვერა დარჩება-რა. არ ვიცი მხოლოდ, მოეწონება თუ არა ჩემი საქმე თქვენს ბრწყინვალეებას.

და დესპანი მოჰყვა, როგორ გავიცანი თავად ვასილის ქალიო, როგორ შემეყვარდა და როგორ მწყურთან იმისი ნახვა ახლა და როგორ მინდა შემდეგ, როცა სეჩიდან დავრუნდები, გზად გამოვუთარო და ლუბნში გადმოვიყვანო, რადგან, ვინ იცის, რა მოჰყვეს ყაზახთა მღელვარებას, თუ მართლა ახდა, რასაც ამბობენ და ამით გადავარჩინო აგრედვე ბოგუნის ძალ და ძალ ტრფიალსა და მიჯნურობასა. სქმეტუსკიმ არა სთქვა-რა მხოლოდ მოხუც კნენიას ოინბაზობისა, რადგან სიტყვა ჰქონდა მიცემული და სიტყვის გატება არ უნდოდა. თავადმა სიტყვა არ გააწყვეტინა და ბოლომდე ბოისმინა მისი ნაამბობი.

— უმაგისოდაც მოგცემდი ნებას სეჩს წასვლისას და კაცებსაც ვაგატანდი,—სთქვა მან,—ხოლო თუ ამ საქმეს ზედერთვის თქვენი კერძო ინტერესიცა, ამიტომ ნებას გაძლევ უფრო მეტის კმაყოფილებით.

თავადმა ტაში ტაშს შემოჰკრა და უბრძანა მხლებელს, პან მიხოვეცს დამიძახეო.

დესპანმა სიხარულით აკოცა ხელზედ თავადს; ისიც გადებოდა, აკოცა პან სქშეტუსკის და უბრძანა, გული დაიმშვიდო. თავადს ძლიერ უყვარდა სქშეტუსკი, გულადი მეომარი და აფეცერიო, ყველაფერში შეიძლება მიენდოს კაციო. ამას გარდა ისინი მტკიცედ იყვნენ დაკავშირებულნი იმ გრძობით, რომელიც აიძულებს ხელ-ქვეითს სულითა და გულით უყვარდეს და პატივსა სცემდეს თავისს უფროსს, ხოლო ამ უკანასკნელს ძალას ატანს აფასებდეს იმისთანა ხელქვეითს. თავადს გარს მრავალნი სხვა კარის-კაცნი ეხვივნენ, რომელნიც თავიანთ საკუთარის გამორჩენისათვის მსახურობდნენ, ხოლო ერგოთ თვისის არწივებრ მჭრელის თვალებით ცხადად ჰხედავდა ყოველსავე. თავადმა კარგად იცოდა, რომ სქშეტუსკის გული წმინდა იყო ბროლივითა, იცოდა ესა, აფასებდა ამისთანა აფიცერს და მადლობელი იყო თანაგრძნობისათვის.

ძალიან გაეხარდა, როცა გაიგონა, რომ მისს საყვარელს ხელ-ქვეითს შეჰყვარებოდა ასული ვასილი კურცევიჩისა, ვისწევრების ერთგულ ყმისა, რომლის ხსოვნა მით უფრო ძვირფასი იყო თავადისათვის, რაც უფრო სამწუხარო იყო მისი ხვედრი.

— იმიტომ კი არ მომდიოდა, რომ არ ვკითხულობდი მაგ ქალის ამბავს, ვითომ დავიწყებული მყვანდა, — შეჰნიშნა თავადმა, — არა. მისმა მზრუნველებმა ერთხელ არსად შემოიხედეს ლუბნში, საჩივარი მათზედ არავისაგან არ გამიგონია და ვგონებდი, რომ ყოველივე საქმე კარგად და მშვიდობიანად არისმეთქი. ახლა კი, რაკი მომაგონეთ, აღარ გადავივიწყებ და ისევე მეხსომება, როგორც საკუთარი ნათესავი.

— სქშეტუსკის უკვირდა და უოცდა გულ-კეთილობა და რბაისელის დიდებულისა, რომელიც თითქო თავისს თავს ემდურებოდა, იმ აუარებელ სხვა-და-სხვა საქმეებით შთანთქმულმა, რატომ დრო ვერ ვიპოვნე და არა ვიზრუნე-რა ჩემის მოხუცის მეომარის ასულისათვისაო.



კარი გაიღო და შემოვიდა პან ბიხოვეცი.

— ჩემს სიტყვას არ გადავალ,—სთქვა მთავარმა.—თუ ინდომებთ, თქვენ წახვალთ სეჩს, მაგრამ გთხოვთ ეგ საქმე სქშეტუსკის დაუთმოთ. საკმაოდ კანონიერი მიზეზები აქვს, რომ ასე ნდომობს დესპანი იქით წასვლას. ხოლო მე, ჩემის მხრით, ვეცდები სხვა რამ საქმე მოგანდოთ თქვენ.

— ჩემთვის თქვენის ბრწყინვალეების ბრძანებაც საკმაო იქნებოდა,—უპასუხა ბიხოვეცმა,—ხოლო თუ თქვენ ისევ ჩემზედ აგდებთ აგრე მოწყალედ მაგ საქმეს, მე არასოდეს არ გავატრუებ თქვენს იმედს და მოვიქცევი თანხმად თქვენის სურვილისა.

— გადუხადეთ მაშ მადლობა ამხანაგსა,—უთხრა თავადმა სქშეტუსკის,—და წადით და მოემზადეთ საგზაოდ.

სქშეტუსკიმ გულ-მხურვალეებით ჩამოართვა ხელი ბიხოვეცს და რამდენსამე საათს შემდეგ უკვე მზად იყო. ლუბნში ცხოვრება დიდი ხანი იყო მოსწყინდა, ხოლო ეს წასვლა შორს ყოველს მისს სურვილს აკმაყოფილებდა. პირველ ყოვლისა ელენესა ვნახავო, მერე... მართალია, დიდის ხნით უნდა გავშორდე, მაგრამ რა უშავს, სანამ იქიდან დავბრუნდებოდე, ხომ გზებიც არ გაშრება. ამაზედ აღრე კნენია ლუბნს ვერ მოვიდოდა და მეც ან ლუბნს უნდა ვმჯდარიყავ, ან რაზლოგში ვყოფილიყავ, ხოლო რაზლოგში ყოფნა საწინააღმდეგო იქმნებოდა იმ პირობისა, რომელიც მე და კნენამ დავდევითო; ამას გარდა, საქმე ის არის, რომ ჩემი იქ ყოფნა ეჭვს ააღებინებს ბოგუნსაო. ელენეს შიში აღარ ექმნებოდა მისი მხოლოდ ლუბნში და ამიტომ სქშეტუსკისთვის ბევრად სჯობდა, წასულიყო დროებით სადმე შორს, რათა მერე, უკან დაბრუნებისას, გზად გამოეგლო რაზლოგში და თან წამოეყვანა ელენეც ლუბნში მთავრის ჯარის-კაცთა შემწეობითა და მფარველობითა. სქშეტუსკიმ ჩაიღო უბეში წიგნები და წერილები ვისნე-

ვეცკისა, გაიფსო ქისა ფულით, რომელიც მთავრის ხაზინიდან მიეცა, და ჯერ დაღამებული საღ იყო, რომ გაუდგა დესპანი გზას ჟენძიანითა და ყაზახთა სადროშოს ორმოციოდე ჯარისკაცითა.

გ. ყ—ბე

(შემდეგი იქნება)



# სახალხო პოეზია

და

მისი საპედაგოგიკო და სასწავლებლო მნიშვნელობა

III \*)

ჩვენს მეორე წერილში განმარტებული საესტეტიკო ღირსება ჩვენის პოეზიისა, ნამეტურ ლირიკისა, გვაიძულებს გადავდეთ ამ პოეზიის შინაგან მხარეზედაც, ესე იგი შინაარსზედაც, და ისიც ისე დაწვრილებით განვიხილოთ, რადგან, სადაც ასეთი უმაგალითო ფორმა არის, იქ მისი საკადრისი მასალაც იქნება შიგ გამოხვეული. დავაკვირდეთ ახლა კილოს პოეზიისას, იდეებს, მასში აღძრულს საკითხავებს, იმას, თუ რამდენად დაკავშირებულია ეს კოლექტიური ნაწარმოები ცხოვრებასთან და რამდენად შეეხება ზნეობრივს, პოლიტიკურს, სოციალურს და ეკონომიურს მხარეს იმ ერის ცხოვრებისას, რომელმაც შექმნა ეს პოეზია.

ამ მხრით ყველაზე უწინ ჩვენს პოეზიაში იქცევს ჩვენს ყურადღებას მისი კილო. ეს კილო ცხადად გვიმტკიცებს, რომ ხალხს მართო ესტეტიკური მხარე პოეზიისა და ცხოვრებისა ვერ აკმაყოფილებს. ესტეტიკას იგი აქცევს ყურადღებას მას შემდეგ, როცა ცხოვრების კითხვას პასუხი მისცა და მოსვენებას მიეცა დროებით. პირველი საქმე ხალხის შეხედულებით თვით ცხოვრებაა, მისგან წარმოდგენილი საკითხავები და ამ მხრით ჩვენი ხალხი ზურგს აქცევს ცრუ იდეალისტებს და მხარში უდგია

\*) «მოამბე» №№ 11, 12—1894 წ.

რეალურს სკოლას, მაგრამ ამავე დროს უარ-ჰყოფს იმ ცალკერძ რეალიზმს, რომლის დევიზად გადაქცეულა: „ცხოვრება და არა ხელოვნება“! ხალხის პოეზია გვიმტკიცებს, რომ ცხოვრება და ხელოვნება ერთი-მეორეს არ სდევნის, არამედ ერთი-მეორის ნაკლს ავსებს, ერთი-მეორეს ხელს უწყობს და ხელ-ჩაკიდებუ-ლი მიდიან სასურველ მიზნისაკენ. )

ახლა ენახოთ, რამდენად არის ჩვენს პოეზიაში ჩვენის ერის წარსული ბედ-იღბალი და სულიერი თვისება გამოხატული, დასურათებული, დახასიათებული.

რომ ამ ცხოვრებას და ამ შინაგანს მხარეს ჩვენის ერის ბუნებისას ამ პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს, ამას გვიმტკიცებს, როგორც ზევით ვთქვით, კილო, მოტივი ამ პოეზიისა. ჩვენს ისტორიაში ძვირად შეხვდებით იმისთანა მომენტებს, როცა ჩვენს ერს ბედი სრულიად და სავსებით გაჭლიმებოდა. ჩვენი ერი არის მოწაშე სარწმუნოების და ნაციონალურის თვით-არსებობისა, ამ ორის უმაღლესის დედა-აზრისათვის ტანჯული და თავდადებული. ესე ყოველივე ატყვია ჩვენს სახალხო პოეზიას: აქ თქვენ წამ-და-უწუმ შეხვდებით კენესას, მოთქმას, საზოგადოდ, ელეგიურს გრძნობას; მგოსანი მუდამ შეწნატრის წარსულს დიდებას; მომავალს კი ხან იმედით და ხან სასო-წარკვეთილებით შესცქერის. გულში უღვიოდა მაღალი გრძნობა და წინ მისწრაფების სურვილი; მაგრამ ბედმა უმტყუნა, მიზანს ვეღარ მიაღწია. ამისათვის დაუქდევია ხელები გულზე და მოსთქვამს. ცოლი გაექცა, ან დაეკარგა — ამაზეც სტირის, შეხვდება დაქრილს მხეცს, ესეც მწარე გრძნობას იწვევს მის გულში; მგოსანი აღიჭურვება რაღაც მეღანქოლიურის მუზით და თანაუგრძნობს ლექსში ამ უბედო ნადირს და სხვ. მწარე ფიქრები მის გულში აღარ ეტევა, მღერის და თან ამ სიმღერაში ნაღველს ურევს:

განა ლალი ვარ, რომა ვმღერ? —

გულისა დარდას ვიქარვი!

ვინაც ჩემზედ სთქვას ლალია,

ესეთი ლალი ის არი!

რა დამართია საბრალოს! რას მოუშხამავს მისი გრძობანი?

ძმასაც მოუკვლენ ლეკები,  
 მამასაც მათი ისარი...<sup>1)</sup>).

ამ მოკლე პასუხით ხალხი გადმოგვეცემს იმდენს ისტორიულს ამბებს; იმდენს მოგვეთხრობს წარსულის ცხოვრებისას, რამდენსაც ვერ გვეტყვის უნიკო რომანისტი ორ-სამს ტომში!

აი კიდევ მგოსანი წარმოგვიდგენს იმ სცენას, რომ ლალი ჭაბუკი, მტრისკენ მიმავალი და აღჭურვილი როგორც იარაღითა, აგრედვე მხნეობით, მამაცობით, მდინარეში ველარ გასულა და ცხენიანად წყალს ჩაუნთქავს. ამ შემთხვევაში მგოსანი მიმართავს თვით წყალს, როგორც გაპიროვნებულს არსებას და შესჩივის:

სად მიხვალ, წყალო მდინარო,  
 ნაწურო მალლა მთისაო!  
 ჩამთქმელო ლურჯაისაო,  
 ზედ ლადის ჭაბუკისაო,  
 ნაპირზედ გამომტანელო  
 ქუდისა, მათრახისაო<sup>2)</sup>).

ნიქიერი ბელეტრისტი ისარგებლებს ამ მოკლე, მაგრამ ფრიად მდიდარი სიუჟეტით და მთელ პოემას შესძღვნის ხელოვნურ ლიტერატურას.

რა ბევრი მიტირებია,

განაგრძობს მწარე შემთხვევის მომგონი მგოსანი-რაინდი,

რა ბევრი ცრემლი მდინია...

მაგრამ როგორ გგონიათ? მგოსანმა გული გაიტეხა, ან თავი გადააქანჩალა და ლაჩრობას, მთვრალობას მიჰყვა ხელი? არა:

არც გული გამომიცვლია,  
 არც ამიღია ხელია!

<sup>1)</sup> ფშაური ლექსები 127.

<sup>2)</sup> ib. 129.

მაგრამ მგოსნის თვალ-წინ მეტად საზარელი სურათი წარ-  
 მოსდგა! იგი თავს წაადგა მტრებისაგან დასახიჩრებულს, უწყა-  
 ლოდ დაჩეხილ-დაკეპილს ქაბუქს. აბა, როგორ მოითმინოს,  
 რომ ერთი ლექსი არ უძღვნას და შიგ თავისი გულის პასუ-  
 ხი არ გამოჰხატოს? იგი მართლაც ვეღარ ითმენს ამ ტანჯვას  
 და მოსთქვამს:

ლომო, შენ, ლომის მოკლულო,  
 ხადხეორ ხაოს ძირსაო!  
 ვინ შეგიღება მხარბეკი  
 წითელი პერანგისაო?!  
 ვინ ამოგტეხა კბილები  
 თეთრები ბროლივითაო?! \*)

პასუხს მკვდარი გმირი არ აძლევს; იგი გულ-მოწამლუ-  
 ლი სდგას მინდორზე. ვის მიჰმართოს? კაცი არ ეახლოვება. მა-  
 გრამ მისთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს ამ შემთხვევაში  
 მისი მოსაუბრე. ამ დროს უსულო საგანიც სულდგმულდება  
 მის თანატაზიაში, უპიროვნო არსება პიროვანდება და შეუძლია  
 მის მოსაუბრედ გახდეს. ამას მიჰმართავს მტირალიც:

მარტო ვარ, მარტო ვიმდერი,  
 არავინა მყავს მობანე;  
 მაისის წვიმავ, ჩამოდი,  
 გული სევდისგან გაბანე,  
 ნიავო, წყნარად დაჰქროლე,  
 ფოთოლს ტაშ დააკვრევენე...

აი პოეზიით სავსე სურათი! აი სიცოცხლე! მაგრამ, ნე-  
 ტავ, რამ გამოიწვია ეს შესანიშნავი და მართლაც რომ ხელოვ-  
 ნურად დახატული სურათი! რას მოჰყვა ეს კვნესა-ტირილი,  
 რომლის გამოც მგოსანი შესჩივის ხე-ტყეს, მთა-ბარს, მიწა-ცას;  
 რომლის გამო მან გაასულდგმულა მკვდარი საგანი, უსულო  
 მოვლენანი ბუნებისა!

აბა მოისმისნეთ:

სწორის არ გამტანს, უფალო,  
 ცხვირი სადმე წააკვრევენე!

\*) id. 234.

აგერ კეთილზობილი, ფუფუნებაში გაზრდილი, ლაღობას დაჩვეული, რაღაც მიზეზის გამო გაკოტრებულა, ლუკმა პური აღარ მოეძევება. რაღა დარჩენია, უნებურად ჭკუაზე მოსულა და თითქოს თითონვე დასცინის თავის თავს:

ეს ტიალი სიღარიბე  
 ჩემზედ არის ასეული,  
 სადაც წავალ, თან დამყვება,  
 ტყავის კალთას გახვეული;  
 ტანზედ მაცვავ შალის ჩოხა,  
 მაუღს კი ვარ დაჩვეული \*).

ან კიდევ ეკონომიურად ძირს დაუწევია ხალხს; მისი მდგომარეობა შესაბრალოსია. ამ შემთხვევაში გლეხი, გულ-გატეხილი და იმედ-დაკარგული, მაგრამ მაინც სულის ძალით აღჭურვილი, ირონიულის კილოთი ასე აღწერს თავის სიღარიბეს:

სიღარიბეო ტიალო!...  
 მესამ-მეოთხე წელია  
 ერთ ახალღხი მცვიანო,  
 შიგ მომიკრუხდნენ ტილები,  
 წიწილეებსა ზრდიანო—  
 საკვირველ ნაშენობა აქეთ,—  
 თითოს ექვს ფეხი სხიანო.  
 დამართეს სასახლეები,  
 აღიან-ჩამოდინანო.  
 ჟვაჟ-კაცი არის, შარცხევაა—  
 იმასაც არ იტყვიანო!.. 5)

როცა მისი მდგომარეობა უმწვერვალესობამდე მისულა, გლეხი ასე ჰხატავს თავის ყოფას:

ცეცხლისა და წყალ შუა ვარ,  
 ორისავე ვარ ნებასა;  
 ცეცხლი მიპირობს დაწვასა,  
 წყალი—თან ჩაყოლებასა 6).

\* ) ფშაური ლექსები 159.

5) ib. 160.

6) ib. 204.



მაგრამ ამაზედაც მეტი რამ არის ჩვენს სახალხო პოეზიის შინაარსში, სახელდობრ ის, რომ იგი უფრო ახლო უკავშირდება ჩვენს ცხოვრებას და სამშობლოს ბედ-იღბალს. ამ პოეზიაში თქვენ უფრო ცხადად შეგიძლიანთ შეამჩნიოთ სხვადასხვა სოციალური, ეკონომიური და ზნეობრივი საგნები, რომელნიც მუდამ თვალ-წინ უდგა ხალხს და უღელვებს ცხოვრებას. ხალხი თვის ნაწარმოებში მუდამ ეხება ამ საგნებს და თავისს აზრსა და გრძნობას მათ შესახებ უზიარებს ყველას. აღჭურვილი ყოველნაირის ეპიტეტებით იგი მზად არის, რომ საქები აქოს და საგმობელი ჰგმოს და აძაგოს.

მაგალითებრ, ხალხს ყურადღების ღირსად უცვნია სამართლიანად თავად-აზნაურობის ცხოვრება და დამოკიდებულობა გლეხებთან. ჩვენი სახალხო პოეზია ამისათვის დაწვრილებით გისურათებთ ამ თავად-აზნაურობის ნებივრობას, სიზარმაცეს, გლეხის ოფლის წურვას და მის მწარე ლუქმას, იგი შეეხება აგრედვე ამ გლეხის საოჯახო ცხოვრებას, მის მიმზიდველ ძალას, სიალალ-მართლით მოპოვებულ ცხოვრების პატიოსნებას. აქ თქვენ შეხვდებით ბევრგან ისეთს რამეს, რომელიც სულ ცხოვრების გულიდან არის ამოგლეჯილი და ცხადად გითვალისწინებს ამ ორის წოდების ცხოვრების ღირსება-ნაკლულეგანებას, მიზეზს მისის დაქვეითებისას.

ამ პოეზიაში დასურათებული აზნაური ამბობს:

აზნაურობა მიყვარდა,  
 თოხი გამოვკარ ახოსა:—  
 აქეთ-იქით ვიხედები,  
 არავინ დამინახოსა.

აი ის გარემოება, რომელიც ძირს უთხრიდა და უთხრის ეხლაც ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობას. მერე რა ძვირფასის სიტყვებითა და მარგალიტებით არის დასურათებული ეს დამლუბველი მოვლენა! აქ ხალხი გამოდის სახელოვან პუბლიცისტად, რომელიც ჯერ აღნიშნავს სამწუხარო გარემოებას, თვალ-წინ გიშლის, მაგრამ თუ მანც კიდევ ვერ მიხვდი, მიწასთან გაგასწორებს, ისე საბუთიანადა და სამართლიანად კი, რომ

კინტსაც ვერ დასძრავ მის წინააღმდეგ. ჩვენ თვითონ ვაქედით ამას წინაღობა მოწამე ერთი შესანიშნავი გარემოებისა. კაცი ვენახსა თოხნიდა. ვერავისა ჰხედავდა და არც ეგულებოდა ვინმე ახლო-მახლო. უცებ ორი მგზავრი მოაქროლებს ცხენებით; კაცმა თოხი გაისროლა, არ დაინანა ახლად-გარეცხილი ახალუხი და გათოხნილსა და წვიმისგან გაქვითილ მიწას გაეკრა, სულ-განაბული; გეგონებოდათ კატორგიდან გამოპარულსა, თოფებით დასდევენ მოსაკლავად და ტყვიას ემალებათ! აი სამწუხარო მოვლენა და აი ეს ნიშნობლივი სამწუხარო ვითარება ჩვენის ცხოვრებისა გაჰკიცხა ხალხმა თვისის ნაწარმოებით. ახლა ვიკითხოთ, რომელს უფრო საყურადღებო სოციალური მოვლენა შეუნიშნავს და განუსამართლებია, ხალხს, რომელმაც ზემოხსენებული თვისება შეჰნიშნა ცხოვრებას, თუ იმ ბელეტრისტს, რომელიც დაწვრილებით (ქება და დიდება მას იმისათვის!) მოგიტხოვრებს, თუ ორმა კინტომ იარმუკაში როგორ გაუტეხეს ცხვირი ერთმანეთს? აქ ერთი (თუ გნებავსთ ორივე) ცხვირი გატყდა, ის ცხვირი, რომელიც ჩირადაც არა ღირს და ხალხის სიტყვიერებაში კი ისეთი ვითარებაა შემჩნეული, ისეთი სოციალური საკითხია აღძრული, რომელიც მთელს ერს შეეხება და დიდს, მოუწონებელს სენსაც შეადგენს. ამ სენმა გაგვალატაკა და ეს სილატაკე, თუმცა იქნება ჩვენს კუქს არ დასტყობია, მაგრამ მათელს კულტურას კი ღრმად დაეტყო, რადგან, სახელოვანის ბოკლისა არ იყოს<sup>7)</sup>, მშვიერი არაფერზედ აღარა ჰფიქრობს, გარდა კუქისა. ან როგორ უნდა ამუშაოს შემოქმედობითი ძალა (კაცმა თუ ხალხმა), „როდესაც იმასაც კი არ არის დარწმუნებული, ხვალინდელი დღე გამითენდება თუ არაო“<sup>8)</sup>. ამ მოვლენას ეკონომიური შედეგიც შესაფერი მოსდევს:

წინადა ახნაურშვილები  
უწრუწუნებდნენ ქორებსა;  
ახლა უჭირამთ კომბლები,  
დასდევენ სოფლის ღორებსა!

<sup>7)</sup> Бокль—Ист. англ. цивилизации. Пер. Бестужева. I. I. гл. 1. 1—15.

<sup>8)</sup> Пронх. русск. былинъ.—А. Розовъ. 108 стр.



ასეა გამოხატული ჩვენს სახალხო პოეზიაში შინაგანი, წმინდა ეკონომიური და სოციალური ვითარება ცხოვრებისა. ახლა განვიხილოთ, რამდენად დაეტყო ამ პოეზიას ჩვენის წარსულის საპოლიტიკო, რაინდულ ცხოვრების ფერი და ავკარგიანობა.

საუკეთესო მარგალიტი ჩვენის სახალხო ლირიკისა ჩვენ დავიმკვიდრეთ უკანასკნელ საუკუნოებიდან, უმეტეს ნაწილად, ირაკლი მეორის დროიდან, ან იმ ხანიდან, რომელიც მოჰყვა მის სიკვდილს, როცა პატარა კახის სახელი ხალხის ხსოვნაში კიდევ სრულად იყო დარჩენილი. ამ სახელოვანის გმირის ცხოვრება, მისი დრო ისეთი წუთია ჩვენს წარსულს ისტორიაში, რომ მამულის ყოველს ქეშმარიტს შვილს უნდა ღრმად ჩაჰბეჭდოდა გულში; აგრედვე სახალხო პოეზიაშიაც ღირსეული და შესაფერი ადგილი უნდა დაეჭირა.

კერძოდ ამ რეფორმაში შესანიშნავი გარემოება, რომელმაც შესცვალა ფიზიონომია ჩვენის ცხოვრებისა, არის კავშირის შეკვრა რუსეთთან 1783 წელს. ამ გარემოებას ხალხმა ქეშმარიტის თვალით შეხედა, სწორედ ისე, როგორც უყურებდა სოლომონ მსაჯული. როგორც სოლომონმა, ისე ხალხმაც ისე კი არ შეჰხედეს ამ გარემოებას, რომ ვითომ დროა ახლა კი მშვიდობა ჰნახოს საქართველოშიაო, არამედ ისე შეჰხედეს, როგორც შეეფერება ქეშმარიტს მამულის-შვილს, სამშობლო ქვეყნის სიყვარულით ღრმად გამსჭვალულს: ეს დაკარგვა თავისუფლებისაო, გაყიდვაა მისიო, ეგ ჩასვენებაა მზისაო. ხალხმა ნათლად დაინახა კრიზისი ჩვენის სახიერებისა და წინასწარმეტყველურის ნიჭით აღიმაღლა ხმა.

პირველ ფაქტორად ამ შემთხვევაში იყო შეხედულება ხალხისა თვით იმ გმირზედ, რომელმაც მთელი ციკლი დაჰბადა გმირ-რაინდებისა; რომელმაც გარს შემოიხვია მთელი დასი სახელოვანის მამულის-შვილებისა, ქვეყნის ინტერესების დამცველებისა, ესე იგი ასეთი ფაქტორი იყო ამ შემთხვევაში თვით ერეკლეს მამაცობა, გმირობა და ამ თვისებათა ნათლად გათვალისწინება ხალხის-მიერ. ერეკლეს გარშემო დედა-კაცებიც კი გა-

მხნევებულნი იყვნენ. ამას შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ ისეთი გმირი, როგორიც იყო ერეკლე, შეიქნებოდა ხალხის შემოქმედობის ძალისათვის ფანტაზიის დაუშრობელ წყაროდ! ასეთი როლი აქვს მართლა ჩვენს სახალხო პოეზიაში ამ უკანასკნელს ვარსკვლავს დიდებულის ბაგრატიდებისას, ამ უკანასკნელ გულის ფეთქას ტანჯულის ქვეყნისას. თუ რამ იგრძნო და ჰნახა ხალხმა მისი შესახები, ყოველივე გამოსთქვა.

ამ გრძნობათა და ფიქრთა წყალობით გამხნევებული გმირი ამბობს:

ვაქაცსა ცოლი რად უნდა,  
რა ომში გამოადგება,  
ჩაიცვავს წითელ-ყვითელსა,  
გამოვა, გარეთ დადგება;  
რამდენი ბიჭი შეხედამს,  
იმდენი კოწიაწდება...

დედა-კაცებიც გასულდგმულეზულნი არიან და გაიძახიან:

შენი ქმარი ჩემსა ქმარსა  
დავკიდოთ მოედანზედა,  
რომლისა ქმარი წაიქცეს,  
ლაფი დავასხათ თავზედა...

ან ხალხი ჰხვდავს მშვენიერს ჯაბუკს, რომელიც ნამდვილს დევ-გმირს მოგაგონებს; ამ დროსვე წარმოიდგენს ომიანობას, სამშობლოში შემოსეულს მტერს და გულ-გატეხილი ამბობს:

მუშა უნდა მუშაობდეს,  
ქარავანი — ქარავნობდეს, —  
ევგ შენისთანა ბიჭები  
ომში უნდა ფალავნობდეს.

აგერ გმირი დაუტყვევებიათ; იცის, რომ მისი ბედი გადაწყვეტილია. მაგრამ მაინც არ ივიწყებს, რომ გმირია და არა ლაჩარი; ამიტომ თვისის ღირსების შეგნებით უპასუხებს ურჯულოსა და უწყალო მტერს:

რათ არ იცი, უგუნურო,  
ლამთა როგორ იჭერს ბადე,

ხელ-შეკრული ტყვე განლავარ,  
 გამიშვი და გამოძცადე!

გამოდქით, ერენელნო!  
 გინდა ერთი, გინდა ორი;  
 თუ არ იცით, მე გასწავლით,  
 როგორ უნდა გმირთან ომი!

მხნე მეფის მაგალითით გამხნეებული გმირი ასე იქებს  
 თავისს თავს და იმავე დროს ბიჭობასაც იჩემებს:

ბიჭი ვარ გოგოლაჯრი,  
 ნუ მშინჯავთ ტალავარზედა,  
 წინ-წინ მე გადაფერინდები  
 ბახტრიონთ გალავანზედა...

ამასთანავე შეხედებით ასეთს ლექსებში, რომ გმირი მართლა გადაფერინილა მტრის გუნდში, უჯობნია და სწერს საყვარელს, როგორ ვაჭამე სირცხვილი მტერსაო; სწერს, რომ რკინის მტვრად ქცევაც არ გამიჭირდებაო; და სულ ლექსების თქმა-მღერით სჩადის ყველა ამ გმირობასა.

ასეთი რაინდული ხალხი რაინდულისავე შეხედულებისაა ყოველს კაცზე და მის ცხოვრებაზე. ასეთს ხალხს ვერც კი წარმოუდგენია, რომ, მაგალითებრ, მამული მტრისგან გაჭირვებაში, უკიდურეს ყოფაში იყო ჩაფარდნილი და ამ დროსვე შვილი მამულისა შინ იჯდეს და ცოლს ეალერსებოდეს:

ბრძოლად კაცს უნდი ფარხმალი,  
 გული და გამოცდილება;  
 მოიცლის,—ლამაზ გოგოსთან—  
 შეყრა და დაქორწილება.

ამ დროს იფიწყებს ყოველსავე და ეძლევა უმაღლესს და უწმიდეს სატრფიალოს—მამულის გამოხსნას: გადის ბრძოლის ველზე, იღებს ხელში იარაღს და მტრის მოლოდინში სტკებბა მისის ცქერით:

დალოცვილი ხარ, მკეარო,  
 მარჯვედ სახმარო ხელშია;  
 მთიდან მთას ტყვიის გამტყორცნო,  
 ვეფხვთა წამქცეო ლელშია!



ან მიუბრუნდება ამავე დროს თავისს გულს, გადაათვარიე-  
ლებს იქაურობას, აღნიშნავს ამა თუ იმ ფსიხოლოგიურს თეი-  
სებას და ასეთს ფილოსოფიურს აზრს ასკვნის:

ყმაწვილის გული ლალია,  
შორად გასტყორცნა ისარი;  
ვაჟი თუ სადმე შერცხვების,  
იმის სამარე ის არი.

ან კიდევ:

მთიულ ვარ, მთურად ნაჩვევი,  
მტერო, ვერ შეგიშინდები;  
შვიდს ვირჩევ, შვიდჯერ სიკვდილსა,  
ხელში არ ჩაგივარდები;  
ქუდ-მოხდილ ქვეყნად ვერ ვივლი,  
კლდეზევე გადავარდები!

ვინ დაათვასებს ასეთის მარგალიტების საპედაგოგიო მნი-  
შვნელობას ჩვენის ხალხისა და საზოგადოებისათვის დღეს, რო-  
ცა სამშობლოსა და ქვეშარიტებისათვის კლდეზე გადავარდება  
კი არა და ხელის გაქნევასაც კი არვინ კისრულობს! სულ-ქვეშ  
კი რომ ვთქვათ, ის გული და სული, ის სიმტკიცე ხასიათი-  
სა, რომელიც ზემორე ლექსებშია დასურათებული, დღეს უფრო  
საჭიროა ჩვენთვის, საჭიროა ისე, რომ იქნება არას დროს ისე  
საჭირო არ ყოფილა. დღეს ათასი ქურდ-ბაცაცები მრთელის  
სულისა და არა მარტო ცხენ-საქონლისა, გამრავლებულა ჩვენს  
საზოგადოებაში, ათასი უჩინარი ეპიდემია, ხოლერაზე უფრო  
დამაქცევარი და ერის გამჟღეტი გაჩენილა და გაძლიერებულა.  
და აი როცა საჭიროა ხმის ამოღება, სიმართლის დაცვა, ქე-  
შმარიტების ღალადება, როცა ესე ყოველივე უმთავრესი საჭი-  
როებაა დღეს, რაოდენის ჭკუის მასწავლებელია ზემოხსენებუ-  
ლი სახალხო პოეზია? ასეთი ლექსები რომ დღეს ჩვენმა ხალ-  
ხმა იკითხოს, ნამეტურ იკითხონ ქუჩისა, ბუღვრისა და ლუდ-  
ხანების გმირებმა, დიდს სარგებლობას მოუტანს, ბევრჯელ და-  
ფიქრებს. ან ჩვენი ბელეტრისტები რომ იმ წყაროს მიჰმარ-  
თავდნენ, მის დაუშრომლობას, სიცხოველეს და შინაგან მშვე-



ნიერებას, სიმდიდრეს შეიგნებდნენ, მაკარიოზების მაგიერ, და გვისურათებენ და განგვიხორციელებენ ჭეშმარიტს გმირებს და ღირსეულს მამულიშვილებს. მისის კითხვით ჩვენი ხალხი დაქსაქსისა, დაწვრილმანებისა და დალაჩრების მაგიერ გაიძლიერებს ნაციონალურს შემეცნებას, შემეცნებას წარსულ იდელებისას და მომავალში ახალ როლს მოჰკიდებს ხელს. დიალ! ეს ასეა და ძნელად თუ გაჰბედავს ვინმე ამ ჭეშმარიტების უარყოფას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ სოციალურს საგნებს, რომელსაც ეხება ხალხი თავისს პოეზიაში. ჩვენ ზევით დავინახეთ, თუ რა ცოცხლად არის დახატული ძველი ღროის რაინდობა, „ბიჭობა“, როგორც ეს სიტყვა ქართველებს გვესმის. მეორეს მხრით, ხალხი თავისს ლირიკაში დაწვრილებით შეეხება იმავე ღროის უბედურებასაც, შავ-ბნელ ვითარებასაც. ასეთ მოვლენად მან სცნა ირაკლი მეორის სიკვდილი და თავისუფლების, თვით-მდგომარეობის დაკარგვა. სახალხო პოეზია შემუქებულია ფერადებით ასურათებს იმ წყვედიადს, რომელშიაც იყო მაშინ ჩვენი ცხოვრება და საზოგადოება. ხალხი გულ-გახეთქილი, იმედ-დაკარგული მოსთქვამს სახელოვან „კახის“ საფლაოზე:

აღსდევ, გმირთ გმირა, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია,  
 : : : : : : : : : :  
 განიფრთხე ძილი, აღსდეგი, შთაიცვ წვრილთვალა რკინისა,  
 აღილე ხელთა მჟაერი, მტერთა დამბნევი ტვინისა.  
 : : : : : : : : : :  
 გათენდა დილა, ბატონო, დრო არის მტერთა დასხმისა...<sup>9)</sup>

ეს ლექსი მთელი გმირული პოემაა. თვითეული სიტყვა მისი მოგაგონებთ მე-XVIII საუკუნეს და მაშინდელ მდგომარეობას ჩვენს ხალხისას, გმირების გმირებთან შეჯახებას, ბრძოლას, „პატარა კახის“ ლოცვით და ლომებრ გრიალით მტრის რაზმში შერევას. მოგაგონებთ ალა-მამად ხანის მხეცობა-მტარ-

<sup>9)</sup> დ. ჩუბინაშვილის ქრისტომატია. სპბ. 1868 წ. II, 76.



ვალობას, მის აჩრდილს წინ დაგიყენებთ, ფშავ-ხევსურების  
შუბ-მაყარის ჩხრიალს გაგითვალისწინებთ და სხ. და სხ. ეს  
ლექსი არის მთელი „ილიადა“ და „ოდისეია“, მთელი „ვეფხის-  
ტყაოსანი“, შიგ იხატება ათასნაირი დრამა-ტრაგედია, სულის  
ბრძოლა-კვეთება და სხ... ამ ლექსში ირაკლისთან ერთად ხა-  
ლხი ეთხოვება მეფეს, თავისუფლებას, სულის ძალას, გვირ-  
გვინ-დროშას, დიდებას, ძლიერებას...

ამისათვის, მეორეს მხრით ხალხმა, რამდენადაც კი შეი-  
ძლო, გაადიდ-გააზვიადა ყოველივე სულიერი და ხორციელი  
თვისება „პატარა კახისა“, მისი გმირობა და გამოიყვანა თავის  
პოეზიაში გმირობის რაღაც მიუწდომელ მაგალითად, ლეგენ-  
დარულ არსებად:

ერეკლე ბატონიშვილი  
განა უბრალო კაცია?!  
საგურამოში ლეკისა  
ჯარ მარტო შუა გახია!

ასეთის გმირ-რაინდის სიკვდილს შეუძლია მთელი არსება  
ერისა შესძრას, მისი ბედ-იღბალი უკუღმა დაატრიალოს, რა-  
დგან მისნი მსგავსნი მალ-მალე არ იბადებიან.

ქართველებს ვერ გაგივით,  
რკინის შეგეხსნათ კარიო:  
მეფე ერეკლე აღარ გყავთ,  
ბაგრატიონთა გვარიო...  
აღარ გაქვსთ ბაირაღები,  
აღარ შტექს ზარბაზანიო<sup>10</sup>)...

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. აღლევებული ფანტაზია, ოც-  
ნება დაობლებულის ხალხისა ისეა გატაცებული, რომ არც კი  
სჯერა, ვითომც ერეკლე მომკვდარიყოს, როგორც ნემენცებს  
არა სჯერათ ფრიდრიხ ბარბარუსას სიკვდილი. ბარბარუსა მხო-  
ლოდ მიმალულია, წყალში არ დამრჩვალა, ჯერ არ ჩნდება,  
ისვენებს და, როცა სამშობლოს შავი დღე დაადგება, მაშინ  
ხელ-მეორედ აღიჭურვები გმირი, ახალს ძალას მოიციმს და

<sup>10</sup>) იხ. „თეატრი“ 1890 წ. № 7.



თავზარს დასცემს მტერს, იხსნის სამშობლოს და მინიჭებს ნაციონალურ ფიზიონომიასა და ავტონომიასო.

ქართველის ხალხის ოცნება უფრო შორს მიდის.

მეფე ერეკლეს სიკვდილი  
ვინა სთქვა, რა სათქმელია?

მაშ სად არის, თუ არ მომკვდარა?

მეფე ერეკლე ზეცას არს,  
ღმერთთან არს წილ-ნაყარია <sup>11)</sup>.

ამ სახით, როგორც ჰხედავთ ჩვენის განხილვიდან და მოყვანილ მაგალითებიდან, ჩვენს ხალხს აქვს დაუფასებელი და მეტად განვითარებული ლირიკა, განვითარებული შინაგანისა და გარეგანის მხრით. ამისათვის ჩვენ ამ ლირიკის გარჩევას უფრო გულ-მოდგინედ შევუდგებოდით, რომ ჩვენი სახალხო პოეზია შეკრებილი ყოფილიყო; მაგრამ რადგან, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის და, ვგონებ, არც აგრე ჩქარა იქნება, დავჯვრდით იმ ცოტაოდენს ნიმუშებს, რომელიც გვხვდება აქა-იქ, ან ცალკე კრებულებსა და ჟურნალ-გაზეთებში.

ახლა გვსურს გავხილოთ, შევხვით სახალხო დიდაქტიკას. მაგრამ ნება გვიბოძეთ ორიოდე საზოგადო მოსაზრებანი გავუძღვანოთ წინ ამ დიდაქტიკის გარჩევას, მოსაზრებანი შესახებ ჩვენის ეპოსისა.

როგორც ზევითა ვთქვით, ჩვენს ხალხს მეტად განუვითარებია ლირიკა. მეორე ფორმა პოეზიისა, რომელიც აგრედვე განვითარებულია, არის დიდაქტიკა. მაგრამ, როგორც ზოგიერთებმა შეჰნიშნეს კიდევ, ჩვენს ხალხს ვერ შეუქმნია, და თუ შეუქმნია, საკმაოდ ვერ განუვითარებია გმირული პოეზია, ეპოსი. ასეთი მოვლენა იშვიათი არ არის. იგივე მოვლენა გვხვდება ისპანელებისა, ებრაელებისა და არაბების პოეზიაშიაც. როგორც ამ ერთა, აგრედვე ჩვენის ერის ცხოვრების ისტორიული ვითარება ისეთი იყო, რომ სრულებით არ აძლევდა ნებას

<sup>11)</sup> ibid.

ეპოსის შექმნისას, ან ციკლის გაჩენისას. ჩვენს ერს ამ ვითარების წყალობით არ შეეძლო დაენიშნა ერთი ცენტრი და მის გარშემო შემოეკრიბნა ყველა მოქმედი პირნი, როგორც, მაგალითებრ, რუსების ვლადიმერი კიევიში, ფრანკების კარლოს დიდი, ბრიტების არტური და სხვები. ასეთი საყურადღებო მოვლენა ჩვენს სახალხო პოეზიაში აიხსნება მით, რომ ზემოთ დასახელებული ცენტრი თვით ჩვენს ცხოვრებაში არ იყო, და, თუ იყო ოდესმე, ძალიან მცირეს ხნით. თვით ჩვენმა ისტორიამ არ იცის ასეთი ცენტრი სამშობლოს ცხოვრებისა, სხვა-და-სხვა კუთხეებისა, ინტერესებისა. ჯერ საქართველოს მდებარეობა არ უწყობდა ამას ხელს და მერე მისი სხვა-და-სხვა ნაწილებად დაგლეჯა იყო მიზეზი იმისი, რომ ასეთი ცენტრი არ შეიქმნა.

გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, იმერეთი ლიხის მთითურთ მოწყვეტილი იყო ქართლ-კახეთსა, მთის ხალხი კიდევ უფრო განცალკევებით სცხოვრობდნენ,—ასე რომ, მაგალითებრ, გურიის გამირები თითქმის სრულებით უცნობი იყო ქართლელ მგოსნისათვის; ფშავ-ხევსურნი ნაკლებად იცნობდნენ იმერლებს, იმერლები კახელებს, აფხაზეთი ოსეთს, ოსეთი-აფხაზეთს, მესხეთს, გურიას და სხ. თვით მგოსნები ერთმანერთზე არათუ მარტო გეოგრაფიულად იყვნენ დაშორებულნი, არამედ ხშირად ინტერესებითაც, რადგან საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილი არა-იშვიათად ერთმანერთის ინტერესებს არ თანაუგრძნობდა. შესაძლო იყო განა ამ ვითარებაში ციკლის გაჩენა, საზოგადო პოეზიის შექმნა? ფშავ-ხევსურეთი თავის პოეზიაში თითქმის მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ამკობს, დასავლეთი საქართველო—თავის გამირებს და ასე ყველა თავისას. მხოლოდ ფარნაოზი, ვახტანგ გორგასლანი და ბოლოს დიდებული თამარ, ასე თუ ისე, საინტერესო გამირებად მიაჩნდათ ყველას, რადგან ყველგან იყვნენ ცნობილნი, მათი სახელი ყველგან გრგვინავდა. მათს სიკვდილს შემდეგ, რომ ბედ-იღბალი საქართველოსი არ შეცვლილიყო, როგორც მაგალითებრ VI—X და XIII—XVIII საუკუნეებში, მაშინ, შეიძლება, სახალხო პოე-



ზიას ან გორგასლანის, ან თამარის ციკლი გასჩენოდა, გმირებს მათ გარშემო მოეყარათ თავი, და ერთის ცენტრიდან მერე მოჰყენოდა მთელს მხარეს. აგრედვე ირაკლი მეორეც უფრო შეიქმნებოდა მამად გმირებისა, რომ მის შემდეგ საქართველოს ბედ-იღბალი არ შეცვლილიყო და ან ეს გმირი ყოფილიყო არა მარტო ქართლ-კახეთის მეფე, არამედ მეფე მთელის საქართველოსი, მაგრამ იგი ნაკლებად იყო ცნობილი და საინტერესო აფხაზეთისათვის და თითქმის იმერეთისთვისაც. ირაკლის სცემდნენ თაყვანს მხოლოდ აღმოსავლეთს საქართველოში, მთელს დასავლეთ საქართველოს მკონისათვის იგი თითქმის სულაც არ იყო არც ცნობილი, და არც საინტერესო. სულ სხვა არის, მაგალითად, ელადიმერი რუსთათვის. მისი ამბავი კიევიდან მეორე კვირაზედ მოაღწევდა ნოვგოროდს, რიაზანს და სხვა ისტორიულ ცენტრებს, რადგან გეოგრაფიული მდებარეობა ქვეყნისა და, ასე თუ ისე, ისტორიული ვითარებაც, სახელმწიფოს წყობილებაც ხელს უწყობდა საზოგადო ნაციონალურ შემეცნებას, საზოგადო ინტერესებს.

მესამე გარემოება, ხელის შემშლელი ჩვენის ეპოსისა, იყო ის მოვლენა, რომ ჩვენს ისტორიაში ისეთი საზოგადო საქმე არა მომხდარა-რა, ნამეტურ თამარის შემდეგ, რომელსაც ჰქონებოდა მნიშვნელობა საქართველოს ყველა ნაწილისათვის, რომელსაც მიჰქცეოდა ყურადღება მთელის ერისა. თვითვე კუთხე კარ-ჩაკეტილი იყო და ცალ-ცალკე ეწეოდა თავისს ჰაზანს. იმერელი თათარს ებრძოდა მაშინ, როცა ქართლ-კახელს შინ ეძინა; კახელი შუშისა და განჯის ხანს ეჩხუბებოდა მაშინ, როცა გურია-სამეგრელო იმერეთს ეომებოდა, რაჭველი — ლეჩხუმელს, აფხაზი — სხვას და ასე ნაგლეჯ-ნაგლეჯად. ეგონებ, ამ ვითარებაში არ შეიძლებოდა იმის შექმნა, რასაც ეწოდება ცენტრი ისტორიულის ცხოვრებისა, ნაციონალურის თვით-შემეცნებისა, გმირული ვრცელი ეპოსი...

სულ სხვა სახე აქვს მიღებული დღევანდელს ჩვენს ცხოვრებას. დღეს არა თუ მარტო საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილი, არამედ მთელი კავკასია ერთ კალაპოტში ტრიალებს.

დღეს ჩვენი ქვეყნისათვის შესაძლოა ასეთის ნაციონალური თვით-შემეცნების გაღვივება, რადგან, რაც ამბავია ერთს კუთხეში, იგივეა სხვებში; რაც ერთისთვის სავალდებულოა, ის ყველასთვისაც არის სავალდებულო. დღეს მთელი კავკასია წარმოადგენს არა წინანდელ დაქსაქსულ ნაწილებს სამეფოისას, არამედ ერთს დიდს ორგანიზმს, რომლის ნაწილები მკვიდრის კავშირით არის დაკავშირებული. დღეს რაც უნდა მოხდეს ჩვენში, რომელ კუთხეშიც უნდა მოხდეს, გურიაში, იმერეთში, კახეთში, თუ სხვადან, თუ კი იგი ამბავი შესანიშნავია, ყველას ყურებს აცქვეტიანებს, ყველა გულს შეიტკივნებს მისთვის, ღირსეულად შეამკობს და ახალს ხანაში სალაპარაკოდ, საქებად, შესამკობად გარდიქცევა, რადგან დღეს ყველას ერთი, საზოგადო ინტერესები გვაქვს... მაგრამ რადგან ასეთი ერთ-სულობა, ერთ-აზროვნება ძველს ისტორიაში ძალიან იშვიათი ამბავი იყო, ამისათვის, როგორც ზევითაც ვთქვით, ჩვენმა ხალხმა მიჰმართა პოეზიის იმ ფორმას, რომლის შექმნასაც ზემო-აღნიშნული ვითარებანი არ ეჭირვებოდა, ე. ი. შეჰქმნა ლირიკა, სადაც თვითეული თავისს შინაგანს გრძნობასა და შეხედულებას ჰხატავს და მეორედ—დიდაქტიკა, ე. ი. სახალხო ფილოსოფია, სიბრძნე, ჭკუა, საპედაგოგო და ცხოვრებაში გამოსაყენებელი მოსაზრებანი. ჩვენმა ხალხმა აქაც გამოიჩინა დიდი გამჭრიახობა და ძალა გონებისა, სრული ცოდნა ცხოვრებისა და მისი სხვა-და-სხვა მოვლენა-კერძობისა.

ზოგს ხშირად დიდად მოაქვს თავი ჩამომავლობით, კეთილშობილობით. ასეთის კაცის ცხოვრება, მისის შეხედულობით, არაფრით არ უნდა იყოს შევიწროებული, დაშხამული, მაგალითებრ, მუშაობით, შრომით. ვინც მსუქანია, ჯიბე სქელი და ამასთანავე სათუთი კანი, ხელები და წელი აქვს, მან არ უნდა იშრომოს; ეს მისთვის დიდი სირცხვილია. შრომა საჭიროებას, გაჭირვებას მოსდევს. ვისაც ჰშიან, მან ინტუნოს, მან ჰღვაროს ოფლიო. მაგრამ ეს კიდეც ცოტაა. მუშაკსა და კეთილშობილს შორის სასმელ-საქმელშიც განსხვავება უნდა

იყოს. მართლაც, როცა ამ ბუნებით გააზატებულს კაცს ბელღში პური უღებება:

იგი მაშინ „მკადს არა სჭამს“.

მაგრამ ხალხის სიბრძნე აქ სრულებით სხვა შეხედულებისა არის. ხალხის კოლექტიური გონება უყვედ სჭრის: როცა ვისმეს პური აქვს, მკადს თუ გინდა, ნუ სჭამს, მაგრამ პურს გამოლევაც შეუძლია, და მეორეს მხრით მკადის ჭამაც არ შეურაცხყოფს კაცს. თუ ცხოვრების ვითარება შეიცვალა და მოჰშივდა, მაშინ კიდევ სჭამს და არც კუჭს წაუხდენს. საზოგადო კანონია ცხოვრებისა, რომ,

თუ ხარი არ დამკლევდა, სახლი ისე ვერ გასუქდება;  
ვისაც ზაფხულში ტვინი არ უდუღდება თავში,  
ზამთარში ქვაბში არა უდუღდება-რა<sup>1)</sup>).

ამისათვის ყველა შრომის შვილად არის წოდებული; ყველამ ჯანი უნდა გასარჯოს, მიუხედავად წოდებისა, შეძლებისა და ჩინისა.

ჩვენი სახალხო დიდაქტიკი მეტს ყურადღებას აქცევს კაცის ზნეობრივ მხარეს. ჩვენის ხალხის შეხედულებით, საფუძველი ერის ცხოვრებისა, სოციალურ მდგომარეობისა და ოჯახის კეთილ-დღეობისა არის სვინიდისი, თავის ღირსების შეგნება და სულიერ ძალთა რიგიანად მოხმარება. ყველა არ არის კაცი, თუმცა კი იმათაც პეტრე და პავლე ჰქვიან.

ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან,  
ზოგსა კაცსა კაცუნათ

პირველი არის ის იდეალი, რომელსაც უნდა ვეტანებოდეთ ყველანი, მეორე კი მოკლებულია ყველა იმ ღირსებას, რაც ამკობს „კაცს“.

კაცებად, როგორც ნამდვილ ზნეობრივ-გონებრივ არსებად, შეიძლება გახდეს ყველა, მიუხედავად სქესისა და ჩამომავლობისა, რადგან

<sup>1)</sup> ეს ნიმუშები დიდაქტიკისა ეკუთვნის მთიულებს და არის ამოღებული უსლარის თხზულებიდან: „*Этнографія Кавказа*“.

~~მე~~ ლომი ლომია, ერთია,  
ძუ იყოს, თუნდა ზვადია.

მიუხედავად ჩამომავლობისა და სქესისა, ამ არსებათ უნდა შეამკობდეს ის, რასაც ეძახიან „კაცობას“, „ბიჭობას“. მისი გული, სადაც საჭიროა, კლდე უნდა იყოს, სადაც საჭიროა—ჩრვილი, მგრძნობიარე.

კაცის სიცოცხლე ზღვა არის,  
გაქანდებ-გამოქანდება,  
შეხვდება შავსა ღლებსა,  
გული იქ გამოაჩნდება.

მაგრამ, სადაც ამ გმირობას თან სვინიდიცი არ დასდევს, იქ ნამდვილი, სრული „კაცობა“ არ არის. შეიძლება, გმირი იყოს და იმავე დროს უსვინიდიცი, მტარვალის, იუდა, სულ-მდაბალი. გმირი უსვინიდიცი, კაცურ გრძნობას მოკლებული, შინ არ არის შესაშვები. მან მტრის დამორჩილება, დაპყრობაც უნდა იცოდეს, მაგრამ ამ დაპყრობილს მტერს მისი ღირსება არ უნდა წაართვას, არ უნდა შეუბღალოს; ამ გმირობასთან დიდ სულოვნებაც უნდა ამკობდეს და აბრწყინვალედეს მის ხასიათს, რადგან

ქალსა, თუ კაცსა ნამუსი  
რომ უნდა ჰქონდეს, ცხადია.

სადაც ეს ზნეობრივი სიკეთე მკრთალია, იქ გმირთა მხეცობასა ჰგავს, მტარვალობას ეღარება; ასეთს გმირს ხალხი უპასუხებს:

ბერი კაცი ვარ, რად მჩაგრავ,  
ყველა დაგიწყებს გამობასა,  
გაგწირავს თემი, ქვეყანა,  
ალარ ვინ გიზამს ძმობასა!

ვთუ შენს გაჩენის დღეს, შენს კაცობას, თუ თემმა გაგწირა, შეგაჩვენა, ცუდ, უღირს წევრად გიცნო. შენი სვინიდიცი მაშინ შავია, მუდამ დაგდევს უკან შავი აჩრდილი სვინიდიცისა, შენს რწმენას ფასი აღარა აქვს; მეტი ხარ კაცობრიობისათვის; მსჯავრს გდებს ხმა ხალხისა—ხმა ღეთისა, თემი, ქვეყანა.

„კარგი ვარ“—იმას ნუ იტყვი,  
 თავს ნუ დაუწყებ ქებასა.

რადღა? ჩვენც გიცნობთ, შენზედ უკეთ ვხედავთ მაგ შენს  
 კაცობას და პირუთნეველად დაგაფასებთ, რადგან

კარგი ჩვენც მოგვეწონება,  
 ცუდი—არც თავის ღედასა.

რადგან ამ საზოგადოების წევრობა ძვირფასია და ძნელი  
 დასამსახურებელი, ამისათვის შენ თვითონ ქვეშდრომიობას,  
 მელაქუცაობას იხმარ ხერხად, რომ შემოგვებარო და მერე გა-  
 იძვერაობა დაიწყო, მაგრამ

მოსული დაუპატიჟებელად  
 წავა უპურ-მარილოდა.

რადგან იგი:

ტუჩით გკოცნის,  
 კბილით კი გკბენს.

ამასთა:

აპრუწუნეს წამალი  
 პრასა და ნიახურია.

მაგრამ ხშირად უსვინიდილობას ბედი სწყალობს; დიდი  
 გასავალი აქვს; ხშირად პასუხის გამცემი არა ჰყავს; მაგრამ რა  
 გაეწყობა, ცხოვრებაში ბევრი რამ საკვირველება და სასაცი-  
 ლო რამ არის; ხშირად

ბედაურები იხოცებიან,  
 ბურთ-მოედანი ვირებსა რჩებათ.

ამან არავინ არ უნდა შეაშინოს; გული არავინ არ უნდა  
 გაიტეხოს, თავისს დანიშნულებას არ უნდა უღალატოს მაინც:

ჯავრს ნუ მიუშვებ გულზედა,  
 გულს ჟანგი მოეკიდება;  
 ჯავრის მიმყოლსა ვაეკაცსა  
 რა კარგი წაეკიდება?!

ასეთს მაგალითს თვით ხალხი გვაძლევს. მთელი მისი წა-  
 რსული ისტორია შემკულია ათასის დაფნის გვირგვინით. ბევ-

რი სიმწარე უნახავს, ბევრი უბედობა გამოუცდია. მაგრამ მწველად თუ მოსძებნოს კაცმა მაგალითი მისის სიმხდალისა, შეშინებისა, სასოწარკვეთილებისა. იგი არ ჩაიდენს, რაც უნდა გაჭირვება მიადგეს, იმ სამარცხვინო საქმეს, რომელსაც თავის კვლას ეძახიან და რომელმაც ახალს ცივილიზაციაში იჩინა თავი: გულში ათასს ტყვიის გატარებას ირჩევს, ვიდრე ამ სამარცხვინო საქმეს იკისრებდეს. ხალხის დიდაქტიკაში თავის კვლას სადედაბერო საქმეა და არა გმირობა, როგორც ეხლანდელი „გმირები“ ჰგონებენ. ასეთი ცრუ გმირები ამბობენ, რომ ამა და ამ კაცმა ისეთი მაგარი გული და ხასიათი გამოიჩინა, რომ სიკვდილსაც არ დაერიდაო!!! კარგი, მოკვდა; მაგრამ როგორია ეს სიკვდილი? სიკვდილს არ დაერიდა, მაგრამ უბრალო რამ უბედურებას რომ ვერ გაუძლო!? ხალხის შეხედულებით, ეს დონკიხოტობა არის. საყვარელმა წერილი არ მოგწერა და თავი უნდა მოიკლა? აქ გამოიჩინე მტკიცე ხასიათი, ნუ მიაქცევ ყურადღებას ამ წვრილმანობას, ამ უბედობას, შეაფურთხე ყოველსავე ამას და დაამტკიცე, რომ კლდე ხარ და ვერა გაგტეხს—რა, რომ შენ თვით ცხოვრებას შეეჭიდები და დაუმტკიცებ, რომ სათამაშო ბურთად ვერ გადაგაქცევს. ასე მსჯელობს ხალხი და ბრწყინვალეც არის ეს მსჯელობა; ეს ფილოსოფია უფრო მარგებელია და ნაყოფიერი, ვიდრე კაცობრიობის მკვლელი პესიმისმი შოპენჰაუერისა, ჰარტმანისა, ბუდდასი და ზოგაერთის სხვებისა...

სახალხო ფილოსოფია-პედაგოგიით, უმჯობესია,—თუ გონიერი კაცი ბრძანდები და მიხვდები,—მოერიდო ისეთს ადამიანს, რომლის უსვინიდილობა, გაიძვერაობა გადაიქცა მიზეზად შენის ტანჯვისა, უბედურებისა. უნდა მოშორდე, რომ შენც არ გაგრყვნას, რადგან

ხარც რომ ვირთან დააბა,  
ან ზნეს იცვლის და ან ფერსა.

ეს იმიტომ, რომ ორის არსების ერთად ცხოვრებას, უსათუოდ, რაიმე შინაგანი კავშირი მოსდევს.

ერთი ნახვა ცნობაა,

მაგრამ:

ორი ნახვა ძმობაა.

შეიძლება, თავი მოგაწონოს, სიტყვითაც მოგხიბლოს, სიმშვენიერითაც, მაგრამ კაცი არც ამან უნდა შეაცდინოს.

თაფლი ტკბილია,

მაგრამ ძაღლის გულაშია...<sup>13)</sup>

ამოდენა სიბრძნეა, ამოდენა ზნეობრივი და პრაქტიკული სასწავლო საგნებია ყველასათვის ჩვენის ხალხის სიტყვიერებაში. ნუ თუ ამ პოეზიის, ასეთის სასწავლოს, ასეთის სიბრძნის გაგება, კითხვა ვერავის მოუტანს სარგებლობას? ასე უნდა გვესმოდეს ჩვენ სახალხო კულტურა, სახალხო გონებრივი ნაწარმოები, მთელის საუკუნოებით შექმნილი სიტყვიერება?! ხოლო თუ ამ სიტყვიერებას საზოგადოდ და ასეთს სიბრძნე ფილოსოფიას ვისთვისმე უსათუოდ უნდა ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა, ყველაზე უწინარეს, ასეთი მნიშვნელობა ექნება იმავე ხალხისათვის, რომელმაც იგი შექმნა.

დასასრულ, რომ სასურველის სისრულითა და სავსებით წარმოვიდგინოთ ჩვენი სახალხო პოეზიის საპედაგოგიო მნიშვნელობა, გადავავლოთ თვალი ქართულს ზღაპრებსაც. ამ ზღაპრებში არა ნაკლები ჰკუის სასწავლო მასალაა ხალხისათვის, არა ნაკლები ჰკუისა და ზნეობის მასწავლებელი მაგალითებია. იმას გარდა, რომ ეს ზღაპარნი სავსე არიან იუმორით, სინაზით, სიცოცხლით, „მუდამ შეაქცევენ კაცს, ეხებიან შენს სიმპატიურს ნერვებს და გამოიწვევენ მსმენელთ შორის გულწრფელს და გულ-კეთილს ხარხარს“, იმას გარდა, რომ იგინი უმეტეს ნაწილად არიან პატარ-პატარანი<sup>14)</sup>, — მათში მოიძებნება იდეალებიც და ბევრი სიბრძნე-ზნეობაც.

ზღაპრებსა და ლეგენდებში შეხვდებით ნამდვილს, ჭეშმარიტს მამას, ჭეშმარიტს შვილს, თბილს, მხურვალე გრძნობას, ღრმა პრაქტიკულს ჰკუას, ძლიერს სიყვარულს, თავ-დავიწყებულს მეგობრობას, ქართულს სტუმართ-მოყვარეობას და სხვ.

<sup>13)</sup> იხ. ქართული ანდაზები დ. ჩუბინაშვილის კრისტომატიკაში. II, 166-180.

<sup>14)</sup> Бибурь — Грузинскія сказки. 1884 г. стр. 15.

ნაცარქექია მოგაგონებთ ქარაფშუტა, ცარიელ-ტარიელ კაცს და დაგაფიქრებთ, რომ ჭკუის მოპოებაა საჭირო, მეტის ღირსების შეძენა უნდა, მეტი სიბრძნე უნდა მოიმუშაკოთ, რათა მეტი ფასი დაგედოთ, მეტი სიმძიმე და დარბაისლობა გქონდეთ და საფარდულში ისე ვერ გახტეთ, როგორც ნაცარქექია. სამს ძმაში, ორნი, რომელნიც ცოლიებს ჰკლავენ იმ იმედით, რომ ცოცხლებში დასცვლიან, მოგაგონებენ ჭკუის სილაყეს, მესამე კი—მოხერხებას, პრაქტიკულს ჭკუას, ტვინის გამჭრიახობას. ბრძენი ვეზირი, რომელიც ყოველ შემთხვევაში ღრმად მოსაზრებულს პასუხს აძლევს თავისს მეფეს, გასურვებინებთ ჭკუის მახეილობას, სიბრძნეს. დედი-ნაცვალი და ტანჯული გერები დაგაფიქრებთ იმ არა სანატრელ მდგომარეობის გამო, რომელშიაც ხშირად სცვივიან დედ-მამისაგან დატოვებული ობლები.

ასეთი მდგომარეობა ობლებისა თვით ცხოვრებიდან არის ამოგლეჯილი. ხალხს არა ერთხელ შეუნიშნავს ასეთი მოვლენა და ეს ამბავი თავისს ნაწარმოებში მოუქცევია. მაშასადამე, ზღაპრებ-თქმულებშიაც ჰხატავს ხალხი არა თუ ცხოვრების სხვა-და-სხვა გარემოებას, არამედ სხვა-და-სხვა ტიპებსაც.

დიგორელებს, რომელნიც ერთ დროს ქართველ მეფეს ემორჩილებოდნენ და ამისათვის ქართულ კულტურის გავლენას ექვემდებარებოდნენ, ასეთი თქმულება აქვსთ დაცული ერთ ქართველ „პადცახზე“—ერეკინზე. მის სასახლეში ერთს დღეს გამართული იყო თურმე მეჯლისი. მეფეს ღვინო მიართვეს. მან ჭიქაზედ დასხმული ღვინო აიღო და რომ უნდა დაეღია, ამ დროს მოულოდნელად დარბაზში შევიდა გლახაკი, რომელსაც ცხვირი სულ მომპალი ჰქონდა და ზედა აყროლებული წბოლი გადმოსდიოდა. „პადცახმა“ უცებ ხელი შეაჩერა და ჭიქა ისე დაიჭირა; მერე მიუბრუნდა გლახას და სუფრაზედ დაიწვია. როცა გლახა მიუახლოვდა მეფეს, ცხვირიდან წბოლი გადმოვარდა და ჭიქაში ჩავარდა. ყველამ ურჩიეს ბატონს, რომ ეგ ღვინო, როგორც გაუწმინდურებული და მოწამლული, აღარ დაეღია. ბატონმა უარი სთქვა, აიღო ჭიქა



და ისე დალია, რომ ზიზღი გულშიც არ გაიტარა. იმ წამსვე ცა გაიხსნა, ჩამოეშვა ოქროს გვირგვინი და დაედგა კაცთ-მოყვარე ბატონს თავზე. ეს გვირგვინი შემდეგში მის შვილის-შვილზე გადადიოდა მემკვიდრეობით <sup>15)</sup>.

აბა ვიკითხოთ: როდესაც ხალხი ამ თქმულებას სთხზავდა, ჰქონდა თუ არა სახეში ზნეობრივი და სოციალური მოვლენანი? მიუქცევია თუ არა ყურადღება გაქირვებულ ხალხის მდგომარეობისათვის, ხალხისა და მეფის ურთიერთ-შორის დამოკიდებულებისათვის?

ასეთივე იდეალებია დახატული სხვებისაცა, მაგალითებრ, ვაქრისა, მღვდლისა, ექ მის და სხვათა. აქ თქვენ შეხვდებით მღვდლის ისეთს ტიპს <sup>16)</sup>, რომელთანაც შეგიძლიან მხარ-დამხარ დააყენო მოძღვარი ილია ქავკეძისა <sup>17)</sup> და ალ. ყაზბეგისა. ასეთს ნიმუშებს ხშირად შეხვდებით იქ, სადაც „საფაბრიკო ცივილიზაციას“ ჯერ კიდევ ვერ დაუჩენია კვალი ხალხის ცხოვრებაში და მის გონებრივს ნაწარმოებში.

შეხვდებით აგრედვე უღირსს ტიპებსაც, უსვინიდისობის მაგალითებსაც და ამ მაგალითების მშვენიერ დასურათებასაც. მაგალითად, მოვიყვანოთ ერთი პატარა ზღაპარი, სათაურად „მამის წინასწარმეტყველება“. იყო ერთი მოხუცი. ჰყავდა ერთი უღირსი შვილი, რომელსაც მამა ხშირად სცემდა, რომ ზნეობა გაესწორებინა მისთვის და ამასთანავე უწინასწარმეტყველებდა: „შენგან ხეირიანი კაცა თავის დღეში არ გამოვაო“. შვილმა ეს საყვედური ვერ აიტანა და გაიქცა სულთნის სახელმწიფოში, სადაც მალე ამაღლდა, ფაშობა მიიღო და გუბერნატორად იქმნა დანიშნული თავისავე ქვეყანაში. როდესაც გაემგზავრა დანიშნულებისამებრ, ოც და ათის ვერსის სიშორიდანვე აფრინა კაცები და უბრძანა: მამა-ჩემი მოძებნეთ და ქოჩრით მომიტრიაეთო. კაცებმა მამა იპოვეს ლოგინში მძიმე

<sup>15)</sup> В. Миллеръ. — Осетинскіе этюды I. 141. Преданіе о груз. коронѣ.

<sup>16)</sup> А. Веселовскій. — Разысканія въ обл. р. дух. стиха. СПб. 1883. VII, 260.

<sup>17)</sup> „გლახის ნაამბობი“.



ავადმყოფი. ბრძანებისამებრ, გადმოათრის ძირს და მიჰგვარეს შვილს. შვილმა დაინახა თუ არა მამა, მიუახლოვდა, გამოიჭიმა და უთხრა მრისხანედ:

— მიცნობ, ვინა ვარ?!

ბებერმა შეჰხედა, იცნო, ვინც იყო, და აღტაცებით უპასუხა დიდის ხნის უნახავს შვილს:

— ოჰ! ფაშა! შენ ხომ ჩემი შვილი ბრძანდები!

— შენ არ მიწინასწარმეტყველებდი, რომ შენს დღეში კაცად არ ივარგებო?!—მიუგო მრისხანედ შვილმა,—შემოჰხედე ჩემს ეპოლეტებს!!

— აბა მიბრძანე, თუ ღმერთი გრწამს, მე მართალს არ გიწინასწარმეტყველებდი, რომ შენ კაცად არ ივარგებ-მეთქი?! რომელი შვილი იკადრებს მოხუც და დავრდომილ მამის ლოგინიდან ქოჩრით ჩამოთრევას?! არა, შვილო! კიდევ გიმეორებ, რომ შენ ფაშობა მიგიღია, მაგრამ კაცობა კი მაინც ვერ შეგიგნია! ამიტომ შენ არც ახლა ხარ კაცი! <sup>18)</sup>.

რამდენად არის ეს შესანიშნავი ზღაპარი ცხოვრებასთან დაახლოვებული, მოგითხრობთ ერთს ნამდვილს ამბავს:

შვილმა სასწავლებელი გაათავა და ამხანაგებით ერთს ახლო-მახლო ქალაქში დაბრუნდა, სადაც კამპანია უნდა გადაეხადნა. საწყალმა მამამ, სრულებით გადატაკებულმა, შეიტყო ეს ამბავი, როგორც იყო, იშოვა ერთი საპალნე ღვინო და შვილს წაუღო ფსონისათვის. როცა ჩანჩურა მამა-მისის დაძონძილ ჩოხასა და დაბანდულ ქალამნებს თვალი მოჰკრა, შვილმა აფრინა ბიჭი: უთხარი მამა-ჩემს, რომ სირცხვილია შენი გამოჩენა, ჩემ ტოლებთან შევრცხვები-თქო; ამიტომ ღვინო გამომიგზავნე და შენ კი უკანვე გაიპარე-თქო. მამამ მწარე ცრემლები ვეღარ შეიკავა, მოიწმინდა თვალები ჩოხის კალთით და შეუთვალა შვილს: „შვილო! თუ ქალამნებისა და ჩოხის გრცხვენთან, „პოლსაპოშკები“ და კარგი სერთუკი შემიკერე და აღარ შევრცხვებო!“ შვილი რომ სვინიღისმა ამხილა

<sup>18)</sup> Бибуръ — Грузинскія сказки. 71.



ამის მოსმენაზე, შეუთვალა: „კარგი მოდი, მაგრამ იმას მაინც ნუ გაამხელ, რომ ჩემი მამა ხარო“. მამამ სასოწარკვეთილებით ქუდი ძირს დასცა და დაიღრიალა: „იმისი ოჯახი დაიქცეს, ვინც შვილი გამოზარდოსო!“


ამ მწარე სიტყვებს და სამწუხარო გავლენას, ვგონებ, განმარტება აღარ ექირვება. ის, რაც ზღაპარშია მოთხრობილი, ყოველ დღე შეგხვდებათ ჩვენს ცხოვრებაში. ამიტომ ამისთანა ზღაპარს ისეთივე ყურადღება უნდა მივაქციოთ, როგორც მშვენიერს საპუბლიცისტო წერილს იმავე საგნის შესახებ, ან მშვენიერს მოთხრობას, რომელშიაც დასურათებულია ასეთივე ტიპი ჩვენის დროებისა.

ამ რიგად, ჩვენ ვნახეთ მრავალი რამ შესანიშნავი, პედაგოგიურის მხრით, ჩვენს სახალხო პოეზიაში, ყველა მის ფორმებში, ლირიკაში, დიდაქტიკაში და ზღაპრებში; ვნახეთ მნიშვნელობა, როგორც მღაბიო ხალხისათვის, ისე ბელეტრისტებისთვისაც. აღენიშნეთ მათი ფორმალური ღირსება და შინაარსით ცხოვრებასთან დამოკიდებულება, კავშირი. ამ მოკლე მიმოხილვით ის უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენი სახალხო პოეზია იმდენად შესანიშნავია თვისის კილოთი, მოტივით, მუსიკალურის თვისებით, შინაარსით, ტიპებით, ფორმით, ე. ი. ენის სიწმინდით, საესტეტიკო სიცხოვლით, რომ იგი უნდა იყოს ჩვენის ხალხისათვის პირველი საკითხავი წიგნი, თუ გვსურს გავაგრძელოთ ხალხში წმინდა ზნეობა, მრთელი აზროვნება, მაღალი გრძნობანი, ცხადი თვით-შემეცნება, გამაკეთილშობილებელი გემოვნებანი და—უმეტეს ნაწილად—თუ გვსურს დავიცვათ და აღვზარდოთ ხალხში ნაციონალური მისწრაფება, ერთობა და ამ მხრით წინააღმდეგეთ იმ ლუდხანურს და ქუჩურს „ცივილიზაციას“, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში ფეხს იკიდებს და ჩვენს ხალხში, ზნეობით ყველგან ცნობილ-განთქმულში, სთესავს გარყვნილობასა, ნაციონალურ ელემენტისადმი სიძულვილს, ზიზღს. ჩვენ მოვალენი ვართ მივეშველოთ ხალხს

და მოშხამულის ლუკმის მაგიერ, ის წმინდა და ნოყიერი ლუკმა მივაწოდოთო, რომელმაც საქართველო მრავალი საუკუნე ზარდა, რომელმაც შეგვიქმნა ოქროს საუკუნეები; დავაყენოთ იმ ნაციონალურს ნიადაგზე, რომელმაც აღგვიზარდა შოთა, ყაზიბეგი, აკაკი, ილია, ვაჟა და სხვა ახალი და ძველი მგოსან-მწერალნი, ეს იმედნი და ნუგეზნი მომავალისა. მივხედეთ ბოლოს მაინც, რომ ჩვენში მრავალფერი ჭირი ჩნდება; ვიცნოთ, შევიგნოთ ის, რომ, თუ ხალხს გადაავიწყდა წარსული, გაუქრა მისი ხსოვნა, მისდამი სიმპატია, დაეკარგა ეროვნული შემეცნება, რომელიც არის პირველი ფაქტორი ერის ვანძლიერებისა და თვით-არსებობისა, რომელზედაც არის აგებული ყოველის ერის სიცოცხლე,—თუ ეს ყოველივე გამოჰქარდა ხალხის გონებიდან, მაშინ ველარაფერი ვერ დაიჭერს ქვეყანას დაცემისაგან, გათახსირებისაგან. ეს დაცემა იქნება უკანასკნელი, დიდი, სამუდამო, იქნება ძილი გაუღვიძებელი... თუ ხალხმა თავისი იდეალები, გმირები, პრინციპები დავიწყა, თუ წარსული ველარ წარმოიდგინა, ველარ გაიხსენა, იგი სრულიად მოკვდება, გაჰქრება, რადგან დღეს ვერაფერს ვერ ჰხედავს სანუგეშოს და რადგან ასეთი მდგომარეობა,—ერთის დავიწყება და მეორესი ძებნა და ვერ პოვნა,—შეუძლებელია; ამისთვის იგი იძულებული იქნება მიჰმართოს სხვას, სხვა მხარეს, სხვა ცივილიზაციას განსაკუთრებით (რადგან თავისი დავიწყებული ექნება), სხვის ტიპებს, სხვის იდეალებს, უცხო პრინციპებს და თვითვე გადააკეთებს, გადაამაიმუნებს, გარდაჰქმნის თავისს სულს, გულს, ცხოვრების ფიზიონომიას, კულტურას, რომ როგორმე გამოვიდეს ჯოჯოხეთურ მდგომარეობიდან. მაშ, მიეშველეთ ხალხს, მიჰხედეთ, შეიბრალებთ. ახლაა საჭირო დეზინფექცია, სანიტარები, რომ თავ-ნაჩენი ბაცილები, მკვლელნი არა ხორცისა, არამედ სულისა, ჯან-მთელი ორსებისა, არ გამრავლდეს მის პატარა, ჩაგრამ მარგალიტ ორგანიზმში. თუ გვაკლია საკუთარი ძალი, მივხედოთ, როგორ იქცევიან ამ შემთხვევაში სხვები; შე-

ვხედოთ, რა ჰქმნეს რომანტიკებმა, რა ჰქმნეს კერძოდ გრიმ-  
 მებმა, შლეგელეებმა, ვოლფებმა, გილფერდინგებმა, რიბნიკო-  
 ვებმა, კირეევსკებმა, ხამიაკოვებმა და სხვებმა, როგორ შე-  
 ჰკრიბეს სახალხო პოეზია და დაურიგეს ყველას საკითხავად,  
 წარსულის მოსაგონებლად და ეროვნულის ნიადაგის მოსამზა-  
 დებლად...

მ. კელ—ძე



# იმოლიხსია სლირიკო პოეზიისა სოგონამეთი

## მე-~~XIX~~ საუკუნეში

### III\*)

ერთხელ ღვთად მიხნეულ ვიკტორ ჭიუგოს წინააღმდეგ ეს-  
 ლა საფრანსეთში რეაქცია დაიწყო და მის შესახებ აზრი გამოი-  
 ცვალეს. ლემეტრი, ცნობილი საფრანგეთის კრიტიკოსი, ძალიან  
 ამცირებს ჭიუგოსა და ფრანკოლოგიას სწამებს; სწამებს ერთისა  
 და იმავეს გამოარებასა, სიტყვების რასა-რუნსა, აზრების სიღარი-  
 ბესა და სსვ. ამგვარს მსჯელობას, შეიძლება, როგორც რეაქციას,  
 ჭქონდეს თავისი საფუძველი, ხოლო როგორც სიმაართლის გამო-  
 მსახველს ვი, თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჭიუგო,  
 ვითარცა პოეტი, ისეთივე შესანიშნავია, როგორც მომქმედი საზო-  
 ლიტეო მოღვაწე და ნამდვილი ღვიძლი შეიღვი თავისი დიდებულის  
 მამულისა. წინააღმდეგი რეაქცია, ჩუენის აზრით, გვანჯენებს იმას,  
 დღევანდელი ფრანგები რამდენად შორს არიან იმ ფრანგებსე, რა-  
 მელსაც იცნობდა ქვეყანა 1870-იან წლებამდე. თუძცა ჭიუგოს აქვს  
 ნაკლულეკანებანი, როგორც ყოველს კაცს, რაც უნდა დიდებული  
 იუოს, მაგრამ იმისი პირადობა იმდენად დიდებულია, იმდენად შე-  
 სანიშნავია, იმდენად ბრწეინვალია, რომ ამ ნაკლულეკანებათა ჩსრეკა-  
 ძიება და ისიც იმიტომ, რომ ტალასი ესროლოს კაცმა—უღირსი  
 საქმა. მესხაც ვი აქვს შავი წერტილები, მაგრამ, რაცა მესხ ვუუ-  
 რებთ, პირველად მისს სინათლეს გვრმნობთ და რომ ვინმე გთხროთ  
 მზის თვისებათა აღწერა, პირველადვე შავ წერტილებზე არ მიუთი-  
 თებთ, რადგან ეს თვისება უმნიშვნელო თვისებაა მისი.

\*) „მოამბე“ № 12—1894 წ.



პირველი ლექსები ჭიუგოსი არც ფორმითა და არც შინაარსით არავის საშინაოს არას წარმოუდგენდა. მათი მიმართულება იყო კლერკალური და რუოიადისტური (ასე უწოდებენ საფრანგეთში ბურბონებისა და ორლეანელების გვარეულობის გამეფების მომსრეს). ფორმაც მისი ლექსებისა სრულადად კლასიკური იყო. მაგრამ თუ ჩაუვირდებით, მაინც ჭინახათ, რომ სხალს სუფს იმისი ლექსებისათვისაც დაუბრნია. მისი ძლეჯარე და შოფოთიანი ბუნება ოდნავ აქაც ისტება. ჭიუგო აგინებს, ჭლანძლავს, წყვეა-შეჩვენებს უძღნის თავისს საზოლიტიკო მტერებსა. აქვე ჭხედავთ უკვე, რომ ჰოკტი საომარს ჰოზინის იკაებს; ჭგრძნობთ, რომ იმის ბუნებას არ შეუძლია ეკლავიერს დაუმორჩილდეს, ეკლავიერს შეურიგდეს, ეკლავიერს დაკვირვებულდეს. უთოოდ უნდა ჭყადეს წინააღმდეგი ვინმე; სოლო რომ არ ჭყვანდეს, უსათოოდ ფანტახით მოიგონებს და თავისს რისხვას დასტემს თავსა. რა დიდი განსხვავება იმისა და ლმარტინს შუა! ჭიუგო რის კამარში არ დანავადობს, იქ არა ინტერესებს-რა, მისი ფრთები იდეალის ლავარდ რაში არ აღიტაცებენ თავისს ჰატრონს; (ჰოკტი არასოდეს არა სტოკებს დედა-მიწას. ჭიუგოს ოცნება არ უყვარს, მსოლოდ ცოცხალი სინამდვილე აღეკებს. მის ყურადღებას მიამერობს ისტორია, მსოლოდ თანამედროვე ჰოლიტიკაში ჭპოკებს თავისს გრძნობათა ამძლეუსა და აღმაშოფოთებულს საგანსა. ჰოკტს მსოლოდ ინტერესებს, რაც უნახავს და გაუგონია. მისი სამეუფოა კაცთა გნებათა-ლეკვა. კერავინ მის მსგავსად კერ იხმარს ამ სამეუფოსა. (ამასთან კასოცარს ძალას იხენს ლექსთა თხზვაში, იგი სრული ბატონია თვისის ხელოვნებისა. გენიოსურის ხელოვნებით აწეობს ლექს ლექსზედა. გაკვირვებული ხართ, საიდან არის ასეთი სიმდიდრე რიფათა. სწორედ მისმა ლექსებმა დაჭბადა უცნაური თეორია «ხელოვნების ხელოვნებისათვის». მისი ლექსების დიდებულება და სიმშვენური, მისი ლექსაგონის კასოცარი სიმდიდრე, და მისი კნის ჭანრავული მოწეობილება და თვადის მომტრელი ბრწევივანება— იმდენად ზე-აღმტაცი კჩვენათ ჰოკტებს, რომ ხელოვნების იდეალად ლექსის ფორმის სიმშვენური დასახეს. მაგრამ ჭიუგო პირველისევე ლექსებით სულ წინააღმდეგს თეორიას აღიარებდა. ჰოკტს შეუძლებ-



დად მიანინდა ხელოვნებისათვის ცხოვრებისა და მოქმედების დაშორება და ამას იძიებდა ეოკელთვის. უნდოდა მხოლოდ საოცარი ხელაგანი შექმნილიყო, რათა შესძლებოდა ეოკელისაკე თქმა, რათა ეკლასათვის გაეკონებინა, რის თქმაცა სურდა. იმისა ცდა სულ იმაზედ იყო მიმართული, რომ ხალხს არ დაეშორებო, ხალხისათვის ადვილი გასაგები მოძღვარი გაეყო. ეს მისი დაუნდობელი სურვილი იყო მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთი მისი ლექსი შროს და დახატისც კი ჭკარგადა, მაგრამ უფრო სძირად, თითქმის ეოკელთვის, მის სიდადაეს ჭმოწმობდა. ამას გამო კარგად მიხვდებით, რომ ჭიუგო ეკლას სხვა თვის დროინდელ ლიბეროსზე ნაკლებს ეურადღებებს აქრეკდა თავისთა შირად-გრძნობათა გამოხატვას; ჭიუგო არ სჯერდებოდა შინაგან, შირად მწუნარებისა თუ მხიარულების გამოთქმას, თუ იგი მწუნარება და მხიარულება საზოგადოებრივის ფერით არ იყო შეუბალი, თუ საზოგადოების გრძნობას არ შეეწონებოდა. ჭიუგო მედამ სხვისთვისა ჭიუქრობს, მისის ლექსების შინაარსი სხვისი ტანჯვა და ღხენას; მის ტანჯვას სხვისი ტანჯვა იწვევს; ჭიუგოს სხვისა დახატვას ალექსებს, სხვისა შირადობის ტანჯვისაგან განთავისუფლება ახარებს.

მართალია, სძირად ამტყუნებენ ჭიუგოს, სიღრმე აზრისა აკლია მის ლექსებსაო, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. ჩვენ ზეით მოვისუნეთ, რომ სალიბერო ტემების ამ თუ ამ გეარს განვითარებაში ინატება ფილანთოფიური მსჯელობის სიღრმე პოეტისა. ენახოთ, აკლდა, თუ არა ეს სიღრმე ჭიუგოს აზრებსა. ეკლას სალიბერო ლექსების ტემებზე იმას თავისებური, სხვაზედ არა ნაკლებ ორიგინალური შეხედულობა აქვს. სიკვარული მიანინა სწრაფად წარმავალ, ჩქარ, დაუღეგარ გრძნობად. თუმცა ასეთი წუთიერი ეს გრძნობა, მაგრამ მიანინ გაჭრობის შემდეგ სტოკებს სასიამოვნო, გულისა და სულის დამატებობელს ხსენას (La Tristesse d' Olympio). სიკვდილისა ეშინიან, ეშინიან ფასიკურად. მან იგრძნო ისე, როგორც არცერთს პოეტს არ უგრძნია, სინივე და საშინელება სიკვდილისა. ბუნება მისთვის რაღაც საიდუმლოებით არის მოცული, რაღაც «მიუწდომელია» დასადგურებელი ბუნების მოკლენათა შორის. ბუნება, ანუ ეკლას კოქათ, ზღვა, რომლის კიდებ-

ზედაც სწავლებდა იგი, სამშობლოდან განძეკების დროს, და რომლის გასაცნობადი აღწერილობით სჯესკა მისნი თხზულებანი, — ეს ზღვა ლურჯი და წყნარი, მისთვის სიუკარულით სჯესკა კი არ არის, არამედ ყოველთვის მოღუშულია, აღლუკებულა და აღმოეთებული, ყოველთვის მოღაღატა და როგორღაც განუყრელია სიკვდილის გრძობისაგან, სიკვდილისათვის საშინელია. ჭიუგო არ დასდევს ბერნანდენ დე სენ ჰიერსავით წვრილმანის აღწერას, იგი ბუნების სურათს თავისებურად გარდაჭმნის და თავისის ოცნების ნაშობი სინამდვილედ მიანხნა. ჭიუგოს განსაკუთრებული თვისება, რომელიც ღამარტინსკად და მიუსსესკად უფრო ძალა აყენებს, ის არის, რომ ამ საღირიკო ტემებს ერთმანეთში ურეკს, ერთმანეთს უხამებს და ამ ხაირის კომპინაციით დიდებულსა და საოცარს ეუქტებს უყენებს თვალ-წინ მკითხველებს.

1840-იან წლებში, ღამარტინისა არ იყოს, ჭიუგოს მუჟა მიხუდებდა. საღირიკო ჰოეზიას ახალი მიმართულება დატეუბა. მკრამ წარმოიდგინეთ საზოგადოების განცვიფრება, როცა ათისა თუ თერთმეტის წლის შემდეგ ჭიუგო ისევ გამოდის სტენანსკად. ეს განცვიფრება მით უფრო საფუძვლიანი და მით უფრო დიდი იყო, რომ მასინდელი მისი თხზულებანი, (*Les Châtiments*, *Les Contemplations* *La Légende des Siècles*), ექსორიობაში დაწერილნი, საუკეთესო და უძლიერესი ლექსებია, არა თუ კიქტორ ჭიუგოს თხზულებათა შორის, არამედ საფრანგეთის და ევროპის საღირიკო ლიტერატურისაშიც კი. სამშობლოს მოშორებულმა პოეტმა წამომდინარა იმდენი ხალკელი თვისს ლექსებში, გააგონა შორიდან თვისთა თანამემამულეთ ისეთი სიტუებები აღლუკებისა და სიძულვილისა ყოველისაგან, რაც კი კანის პირადობას ჭლასავს და არცხვენს, რომ მისი მსგავსი კანის ბავს არ წარმოუთქვამს. ამიტომაც ის მიმართულება ლიტერატურისა, რომელიც გოტიემ და დუკინიმ დაიწყო და რომელიც ნატურალიზმის დაწვევად უნდა ჩათვალეს, შეჩერდა. პოეტებმა და საზოგადოებამ ყური მიანერეს ამ საოცარს მგონსს, რომელსაც, რასაკვირველია, აღარ შეეძლო მარტო თავისის ლექსების შემწეობით რომანტიზმი კვლავ აღდგინა და ახალი მიმართულება სამუდამოდ შეეწვიტა. ახალ ლექსებში მან ღირიზმი

უმძლესს სარისხამდე აღიყვანა. თუ კი ლირიზმის განსაკუთრებული ბუნება თვისება არის პირად გრძნობათა გამოსატყა, თავისს დღეში ვერც ერთი ზოეტი ვერ შეედრება ჭიუგოს. მაგრამ ის კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავისს პირად გრძნობათა სახით ჭიუგო საზოგადოების გრძნობას გამოსთქვამს. ჭიუგო თავისის პირადობის დაცვით სხვას იცავს, წყევს-კრულავითა, ზარითა და რისხვით ეკვეთება არა თავისს პირადს მტრებსა, არამედ იმით, რომელთაც მასთან ერთად შეავიწროეს სხვებიც, ხალხიც, საზოგადოებაც, რომელთაც დასტანვეს ქვეყანა და ცრემლი აფრქვევინეს. იგი მხოლოდ პირადის გრძნობით ქმოსავს ყოველივესა, თვით განუგებულს საგნებსაც კი. ეს შესანიშნავი მსატყარი არა ჭხატავს მარტო სატყისათვის; ეს საზოგადოებრივი მგოსანი არაფერს გვიამბობს მარტო ჩვენს ყურის დასატყობლად. ყოველი სურათი და ყოველი ამბავი ამა თუ იმ აზრის დასამტკიცებლად უნდა, ყოველი სიტყვა ამა თუ იმ მისის გრძნობის გამოსათქმელად და შესატყობინებლად აქვს წარმოთქმული. მისი *La légende des siècles*-ი და *Les contemplations*-ი შეიცავს ყოველსავე, რაც კი რამ მოგონეს ასალი ზოეზიაში დეკონიმ, სენტობეკა, გოტიემ. ამათი მოგონილი სურსი და იარაღი მან ერთად შეჭკრა, ერთად შეადგულა და ამხარად მისი ლირიკა უფრო გულს-ჩამწვდენი, უფრო გულის-შემძვრელია.

ამ მესთა-მტყისის ზოეტის ლექსებს, რასაკვირველია, ავლია დიდებული სიმშვიდე და ნაზი სიდიადე, მაგრამ იმ ნაირს ვითარებაში მოქმედებდა, რომ ერთს წუთსაც არ შეეძლო მოსვენება გრძნობა და დაწინარებულიყო, ერთხელაც არ შეეძლო იმ ძალად ფარდებში გაფრენილიყო, სადაც შესაძლებელია მხოლოდ ამ სიდიადის და სიმშვიდის მოზოკება. პირველ ხანში სამშობლოდან განძეკებად, მისმა ბუნებამ მთლად ვერ იჩინა თავი; ჭიუგო თავისს პირველს ლექსებში ძლიან ცდილობდა თავისი ძველგარე სული და გული დაემშვიდებინა, რადგან ეძებდა სახელის მოსვენებას და, ცოტა არ იყოს, თამამობას ვერა ჭებდავდა. განძეკების დროსა და შემდეგ კი სიმშვიდეზე ფიქრი გვიან-და იყო.

ყოველივე შემოსვენებული ნებას ვკამდეკს მიუყინოთ ჭიუგოს ერთი უპირველესი ადგილთავანი არა თუ XIX საუკუნის, არამედ



ყოველ დროისა და ყოველ ქვეყნის უდიდებულეს მოცხანთა და შესანიშნავ ლირიკოსთა შორის. ნუ გავივირდებით კი, რომ მან სკოლა ვერ შექმნა, ვერაზინ დაიმონა. სკოლაგუნებაში მისი მიზანბუა შეუძლებელი იყო, გრძნობათა გამოხატვაში მისს მიდარებას ტყუილადან არაზინ ჭეუჭობდა. მისას ლექსების შემდეგ მსგავსისავე დაწერა მარტო მის ბრწყინვალესა და საოცარს გენიოსობას შექმლა. ამიტომაც მისმა ლექსებმა, თუმცა შესწერა ახალი მიმართულება სალირიკო ზოეზიისა, მაგრამ ვერ მოხდა კი.

მირველად, ცოტა არ იყოს, გავივირდებით, რომ სალირიკო ზოეზიის ეკოლოგიისაში ბრუნეტიერი აძლევს ადგილს სენტ-ბევს. სენტ-ბევი უმეტესად ცნობილია, როგორც შესანიშნავი კრიტიკოსი და მისი ორიადე ლექსი, არა თუ უცხოეთში, საფრანგეთშიაც კი მაგიწეებულა, მეტს ვიტყვი, ბევრნი არ მოიძებნებან არც საფრანგეთში, რომელთაც სენტ-ბევის ლექსები წაეკითხათ. ამას ავტორიც ჰმოწმობს. მაგრამ საქმე იმაშია, გვისხნის ავტორი, — რომ, როცა ლიტერატურის ეკოლოგიის გვითვალისწინებს კაცი, მაშინ მნიშვნელობა აქვთ ისეთს მწერალთაც, რომელნიც საუკეთესო წარმომადგენლნი არიან მის თუ იმ ფორმისა. ავრედვე გვერდს ვერ ახსევთ ისეთ მწერალთ, რომელთაც რაიმე ახალი ნართი ჩაურთეს სალიტერატურო ფორმის (რასაკვირველია, იმ სალიტერატურო ფორმის, რომლის ეკოლოგიისაც გვითვალისწინებს), მერე კადვე თუ მისმა ინოვაციამ იშოვნა მოწაფენი და მიმზადკელნი. სწორედ იმიტომ, რომ სენტ-ბევი ახალი ნართი ჩააქსოვა სალირიკო ზოეზიისაში, ისეთი ნართი, რომელმაც ბოლოს კარგი ნაყოფი გამოიღო, იგი უნდა ვასხენოთ ჭეუგოსა, ლამარტინსა, მათესესა და დევიანის შორის, თუმცა ამათზე ძალიან შორს იყოს.

სენტ-ბევი შეიტანა ფრანგულს ლიტერატურისაში ის სიბრალეული საწყალთა და გავირეებულთა, რომელიც სრულად ახალი სილი იყო. ფრანგული ლიტერატურა დიდ ხანს იყო კუთვნილება უმაღლესის წოდებისა და ამ წოდების გრძნობათა მსახური, მისის სიმბიტიისა და ანტიპატიის გამოხატვის მიმდევარი. ამიტომ სენტ-ბევი დიდის მადლობის ღირსია, კვრად-წოდებულ, სახადსო ლიტერატურის შექმნისათვის. ამ შემთხვევაში ეს მწერალი მიმ-

დეკარი იყო ინგლისელ მგოსნებისა კოპერნიკისა, გრანსი, კარდსუორტისა. მისთვის არ არსებობს უცნაური და უღიადესი რცხებანი, დაუგმაყოფილებელი და გაყური სურვილი სიუკარულისა, ანუ ბენიერებისა. სენტ-ბევი იძებს მხოლოდ მუდრო, მშვიდობიანსა და წყნარს ცხოვრებისა, მცირე, წვრილმანს სიამოვნებისა და მცირე, წვრილმანსავე მწუხარებისა. აქედან მომდინარეობს იმისი თანაგრძნობა, სიბრაღული ბედისაგან დაჩაგრულ მდაბიო, დაკნინებულ ადამიანისადმი. <sup>1)</sup> თუ ლამარტინი ცაში ჰნაჯარდობდა, თუ ვიქტორ ჰიუგო თავისის აღელვებულის ლექსებით მესთა-მტესს ზეკსს კმსგავსებდა და თუ მისი უშველებელი ძაღუმი გენიოსობა სიკვდილის შვილთათვის მიუწდომელი იყო, — სენტ-ბევი დეადმიწს არა შორდება, ცოდვილს ქვეყანს დაჭურბობა, იმ ქვეყანას, სადაც საცოდავნი და საბრალონი ასე მრავლად არიან. ამიტომაც მისი პოეზია ისეთი ბრწვინვალე და მშვენური არ არის, როგორც ლამარტინისა და ჰიუგოსი, მაგრამ სინამდვილესთან კი უფრო დახლოებულია, უფრო ჩვენას, სიკვდილის შვილთათვის მახლობელი, უფრო გასაგები ჩვენთვის, რადგან საერთო, საკაცობრივო მწუხარებისა და სიხარულის, ტანჯვისა და ბენიერების გამომსატველია. უნდა გამოკტვეთ კი, რომ მისი ლექსები მაინც ბევრად დაბლა სდგას კოდსუორტის ლექსებზედა, სწორედ იმიტომ, რომ ისეთის სიწიფელით არ არის გამსჭვალული, როგორც ლექსები ინგლისელ მგოსანთა. მისი სიბრაღული თითქო ნამაღადეკია, თითქო სელაგნურია, ხოლო მარტო ოდენ სელაგნება არა კმარა წიფელ გრძნობათა დასახატავდა, მერე ისეთ გრძნობათა, რომელნიც, ცოტად თუ ბევრად, ჩვენზედ დაბლა მდგარ ადამიანთა გრძნობანია. ანაირ გრძნობათა გასატებად საჭიროა სინაზე და მსურვალება გრძნობისა, გულ-ჩვილობა. ნიჭი უნდა გქონდეს და შეძლება შენის ბუნების უარის-ყოფისა, რომ მათი ბუნება უკეთ შეიგნო, უკეთ განიმსჭვალო ტანჯულთა და ტვირთ-

<sup>1)</sup> მკითხველი აქედან კარვად დაინახავს, რომ ეს სიბრაღული გაჭირვებულისა და საწყალის ხალხისა, რუსულ ლიტერატურიდან არა ჰქონია ნახსენები დღევანდელ ფრანგულ ლიტერატურას. იმათაც ჰყოლიათ ამ გრძნობათა გამომთქმელნი ლიტერატურაში და ბევრად უფრო ადრე ტურგენევისა, დოსტოვეკისა და ტოლსტოიხე, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ უკანასკნელი კრებული სენტ-ბევის ლექსებისა 1837 წ. დაიბეჭდა.



მძიძეთა გრძნობით. სენტ-ბუეკის ლექსებს რომ ჭკითხულობთ, ასე გგონიათ, უხარიახ, რომ იმ საბრალო ხალხს არ ეკუთვნის, რომლის ბედ-იღბალსა და გრძნობას გვიხატავს. ყოველისავე ამის მიზეზი ის იყო, რომ ამგვარი ზოგის მისის ბუნების მოთხრობილების წარმოქმნილია კი არ იყო, არამედ იყო შედეგი სხვა-დასხვა მიზეზებისა. ვერ ერთი, იცოდა, რომ ზირად გრძნობათა გამხატვის სთერაში ჭიუგად და ლამარტინმა აღარა დაუტოვეს-რამისა და იმნიარევე შინარსიანი ლექსები რომ დაწერა, კარგად ჭგრძნობდა, ვერ შესწავდებოდა იმის უნარსა. და აი ამიტომ სცადა ხალხი სთერა მოქანხა, რათა ამ სიხლით მინც მიეჭვია საროგადობის ყურადღება. მეორე, სენტ-ბუეკს თავისდღეში, ერთს წუთსაც კი არ დაუწეობია, რომ არტისტია, ლიტერატორი და თვისს აღწერილობას ისე უყურებს, როგორც ნობის-მოყვარეობის საგნისა, ხოლო ამის შედეგი კი ის იყო, რომ ვერც ღრმა სიყვარულით მოკვიდა იმით, ვის გრძნობათაც გვითვალისწინებს და ვერც ღრმად ჩაჭყდა ამ გრძნობათა სავალ-დასავალსა. მაგრამ მისი ღვაწლი ის არის, რომ სამიფრანგეთის სალირიეო ზოგისას ხალხი, მდიდარი და ანკარა წყარო აღმოუჩინა, რომელსაც სარბად დაწავია ეს ლანდელი ზოგტი ფრანსუა კოშხე.

ხოლო ერთი ნაკლულოკანება კიდევ აქვს სენტ-ბუეკის ლექსებსა. ამ ნაკლულოკანებამ უმნიშნელოდ არ ჩაიარა საფრანგეთის ზოგისიისათვის, ისე როგორც უმნიშნელოდ არ ჩაიარა ღირსებამა და კარგმა თვისებამა. ეს ის ნაკლულოკანებაა, რომ, ცოტა არ იყოს, შენაურობა დაეტყო ბოლოს და ბოლოს მის ლექსებსა. სენტ-ბუეკი ჭგრძნობს საშინელს გულ-ნატკენობას, იმიტომ რომ ვერ სწვდება მაშინდელ მოსხნითა სიმაღლესა და ამ გულ-ნატკენობას ერთი-ორად ამწვავებს მით, რომ რაღაც სიამოვნებით ეძლევა ამ გულ-ნატკენობის, ამ ჭრილობის გრძნობას. სენტ-ბუეკი საშინელი ხალხისტი შეიქმნა და დაიწყო რაღაც უნაურ და სნეულ გრძნობათა ჩხრეკვა-ძიება. ამში სენტ-ბუეკმა ბოდეურიც დაიმონავა. ერთის სიტყვით, მისი ზოგისა შეესა ამ თუ იმ ხალხს ვითარებას ცხრკრებისას: საბრალო, ბედისგან დახაგრულ ხალხის ფიჭრ-გრძნობასა. ამნიარად სენტ-ბუეკი უფრო უახლოედება სინამდვილეს, ნატუ-

რალიზმის თესლსა სთესავს სალიბერო პოეზიის. სწულში. მაგრამ, რადგან ამგვარი მიმართულება იმისის პოეზიისა არ იყო მთლად და ერთიანად მისის პირადის სიმპატიურ გრძნობათა ნაშობი, არამედ, ცოტა არ იყოს, თავმოყვარეობის ბრალი იყო, გამწველი სალიბერატორო ასპარეზზედ გამარჯვების წადილითა, ამიტომ ავად-მოფუფრი კენესა-ტირილი შეეპარა მის ლექსებსა და ამით იგი დეკადენტების პოეზიის წინამორბედი შეიქმნა.

ყოველ შემთხვევაში ერთი უნდა ვთქვათ სენტ-ბეკზედ: მის ლექსებს უფრო კერძობის ხასიათი აქვს და ამიტომ უფრო სუბიექტიურია. ჭიფოვს ლექსებში ბევრი რამ გვიფარავს მისს პირად გრძნობათა უღრმესად მიმალულ გუნტულებსა, სენტ-ბეკი კი ცდილობს ღრმად ჩაგვასკდოს თავისს გულში... ცდილობს-მეთქი, რადგან ზემოდან მოკახსენეთ, რომ მან ეს კერ შესძლო ფოკლადის საკუთებით, მაგრამ, სამაგეროდ, ეს შესძლო ალფრედ დე-მიუსსემ, რომელმაც სამაგალითოდ აღასრულა სენტ-ბეკის საწადელი, რაიც სენტ-ბეკმა აღარას გზით აღარ ამატივა მას ესა.

გარნა უნდა ვთქვათ, რომ, თუ მიუსსემ თავისს პოეზიაში შეაერთა, რაც კი ზოგაერთს გრძნობაში მოაზოგება «უფრო საზოგადო და უფრო პირადი, ინტიმური და უფრო მსოფლიო», შეაერთა არა მთლად თავისის ლექსებით, არამედ მათის ლექსთა უმცირესის ნაწილითა. ამისი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მიუსსეს პოეზიაში ბევრი სულ სხვა-და-სხვა გვარი მიმართულება იყო ერთად მოთავსებული და თვით მოკახსანი თითქო რამდენიმე კაცი იყო. პირველ ფოკლისა ის გახლდათ ღვიძლი შვალი პარიჟისა, ნამდვილი პარიჟელი და პარიჟელს კი, როგორც მოგესვენებათ, ისეთს კაცს უწოდებენ, რომელსაც აქვს, ცოტა არ იყოს, პრაქტიკული მიმართულება ჭკუისა, რაღაც თან-დაყოლილი სიმარჯვე და დარდიმანდობა, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, სკეპტიკია, ან-და, უკეთ რომ ვთქვათ, მედიდურად ექცევა უმადლესს საგნებსა. ალფრედ დე-მიუსსეს აქვს ირონიის ნიჭი, რომელიც ხანდისხან მასხარობის ნიჭს აგონებს კაცს, აქვს ნიჭი ღაზათიანის სიტყვა-პასუხისა, შინაინადა და სასიამოვნოდ მოაძბესი, უფვარს აგრედვე ბევრი ღაპარაკი, ხოლო ცოტას თქმა. ყოველსავე ამას მიუმატეთ

საშინელი მხვილ-გონიერება. ეს თვისებანი ძალიან მკენებელია სა-  
 ლირიკო პოეზიისათვის. ეს ჰარიული ყმაწვილი კაცი ისეთი განა-  
 თლებული იყო, ბავშვობიდანვე ისე კარგად შეისწავლა მამის შე-  
 მწილობით მე-XVIII-ე საუკუნის ისტორია და ლიტერატურა, რომ  
 ამისთანების ცოდნაში ბადალი არა ჰქონდა ლირიკოსთა შორის.  
 ლამარტინსა და ვიქტორ ჰიუგოს ვინღა ამბობს, სენტ ბუვიც კი  
 იმაზედ ბევრად უფრო გვიან შეიტყო იმ მწერალთა სახელები, რომ-  
 ელთა თხზულებანი მიუსსემ ზეპირად იცოდა. მაგრამ ამ ლიტერა-  
 ტურის ცოდნამ ერთი ზარალიც მოუტანა, ერთობ ადრე გარეხნა,  
 გაათამამა და თავ-გასულობა დაახეებინა. პირველშივე თუ ჰარიული  
 და თავ-სედი ყმაწვილი კაცი იყო, ბოლოს დენდით გარდაიქცა,  
 ხოლო უკეთუ, რა გვარადაც გინდა განმარტოთ დამახსიათებელი  
 თვისებანი დენდისა, მისი უმთავრესი თვისება მანც ყოველთვის  
 თავ-გასულობა და ცოტადენი სიბრევეკა, მაშინ კარგად მხვდუ-  
 ბით, რომ მიუსსე დენდი გახლდათ. მის ჰარიულობასა, თავ-გა-  
 სულობასა და დენდიზმს იმიტომ ვახსენებთ, რომ მის ლექსებზე-  
 დაც გაკლენ ჰქონდა ყოველ ამასა. თუმცა ზოგიერთს მისს ურცხვს  
 ლექსებში, თუ ღრმად ჩაუგვირდებით, გარეხნილების საფარველს  
 ქვეშ უფრო ღრმა გრძნობას დანახავთ, იგი როგორღაც ამაყობს  
 სინცხვლით, რაღაც ხორციელს, ფისიკურს სინარულსა ჰგრძნობს,  
 რომ ოცის წლისყმაწვილი კაცია და ბრღვებში სისხლი უჩუხჩუ-  
 ხებს. აფორედ დე-მიუსსეს დარდი არაფრისა აქვს, სრულიად არა-  
 ფერი არ აწიხებს ქვეყანაზედ, და მარტო სიამოვნებას მისდევს. ეს  
 ოცის წლის მკვლანი ნამეტანის თავხედურის, ბრეველთა და გარ-  
 დამეტებულთა დამოუკიდებლობის მოყვარე იყო. ამას ის მოჰყვა  
 შედეგად, რომ რომანტიულს სკოლასაც განზედ გაუდგა მით, რომ  
 მაშინ აღიარებული პრინციპი რითმითა სიმდიდრისა უარ-ქყო და  
 ჰიუგოს ღვთად და მოძღვრად დასახვა არ მოინდომა.

განსაკუთრებული თვისება მიუსსეს პოეზიისა ის არის, რომ  
 მისი ლექსები ყოველთვის სიყვარულს დასტრიალებს გარშემო.  
 მისს ლექსთა-გრებულია ეპიგრაფად ერთის წმინდანის: სიტყვა შე-  
 გუძლო დაგვიწერა: «სიყვარული არ გამოძინდა, მაგრამ მიყვარდა  
 სიყვარული და კეკუბდი საგანს სიყვარულისასა». პირველ ლექსებში,

როგორც ვთქვით, ურცხვობას ეტანება, მოსწონს სორცის დატკბობა, მხერგური, მაგრამ თან ბრწყინვალე გარეენილება; დონ-ჟუანობას მისი სატრფიალო და თაყვანსაცემელი საგანი. ალფრედ დე-მიუსსე უდიდესი ზოეტის საფრანგეთის თავ-გასულსა და თავსედე მგოსანთა შორის. მაგრამ შირველ ლექსებშივე სინანს წოფელი გრძნობა და ერთს დროს, როცა გაება სიყვარულის მახეში, მაშინ შეიტყო ნამდვილი გრძნობა, რომელმაც მრავალი ტანჯვა მიაყენა. მთელი მისი ლექსები ამ ეზოქისა ამ ტანჯვით გამოწვეულია და საოცარის წოფელისა და მსკერძეტეველის კენესით არის აღსავსე. ამ კენესამ ზოგიერთი მისი ლექსი უკვდავებით შემოსა (Lettre à Lamartine, des Nuits, Le Souvenir). მისს ლექსებს ავლია სიღრმე, ავლია საიდუმლოება, მისი ფანტაზია არ ესება საოქოლსა (L' au delà); ალფრედ დე-მიუსსეს ავლია ღამარტინის შნო და ჭოუგოს ძალა და სიმამცრე, მაგრამ ეს ნაკლულევენებანი შეესებული აქვს გრძნობათა სიწოფელით. ამ გრძნობათა შორის ერთი გრძნობაა, რომელიც ანათებს სხვასა, აცისკროკნებს მთლად ზოეტის არსებასა, ერთი გრძნობაა, რომელიც სტანჯავდა უზომოდ, მაგრამ თვით ტანჯვითაც კი ასამოკნებდა, ეს გრძნობა «წმიდა ტანჯვაა»—სიყვარულია. ამ გრძნობის გაგება, მისი შეენებითა და სიწოფელით გამოთქმა ისეთი ღირსებაა, რომ მიუსსეს ნებსა აძვეკს ადგილი დაიჭიროს საფრანგეთის დიდებულ მგოსანთა შორის.

შირად გრძნობათა გამოსატყამ მიუსსეს ზოეზიაში უმადლესს წერტილამდე მიაღწია. ამ სფერაში ამასედე მეტი სალიბრიკო ზოეზიას აღარ შეეძლო-რან. ახლა რეაქცია უნდა დაწვებულიყო და მართლაც 1850-იან წლებში წინსვლა რომანტულის ზოეზიისა ნელ-ნელა შეენრდება. ფილოსოფიისაში, ლიტერატურისაში, თვით ცხოვრებაში ისეთი საგნები წინა-შირველობს, რომელიც ძირს უთხრის ინდივიდუალიზმსა. ნუ თუ მართლაც,—კითხულობდნენ ლიტერატურები, (დე-კინი, ფლობერი, ლეკანტ დე-ლილი)—ლიტერატურა და კოლიზმი ერთი და იგივეა? ნუ თუ კაცის შირადი ტანჯვა და სინარული უფრო სანტერესობა და საყურადღებო, ვიდრე საზოგადოებისა და კანცობრიობისა? ლიტერატურაში ცვლილების დასამკვიდრებლად ნიადაგი მზად იყო.

## IV

ეს ცვლილება ერთის ადამიანის ნაწერებში დამკვიდრდა და ეს ადამიანი ქალი იყო, მაგრამ საუკეთესო ქალი ნიჭითა და გრძნობით მთლად მსოფლიოს მწერალ ქალთა-შორის. ჩვენ იმაზედ აღარას ვიტყვი, როგორ სწერს ჟორჟ-ზანდი, დაუფუეროთ მსოფლად ატორს, რომ თუმცა თავისს სინტაქსში ჟორჟ-ზანდს ლექსი არ დაუწერია, მაგრამ იმაზედ უკეთესის პოეტურის ენით კი თავისს დღეში არც ერთს მწერალს არ უწერია. ჟორჟ-ზანდის თხზულებანი იმითია შესანიშნავი, რომ ოცის წლის (1830—1850) აზრთა მსგავლობის სარკეა და მით უფრო საინტერესო სარკე, რომ ეს ოცი წელიწადი სანასკვროდ ისევ ინდივიდუალიზმის კმაქას ეკუთვნის, ხოლო სანასკვროდ რეაქციას ამ მიმართულებისა, ე. ი. კმაქას სოციალიზმისა.

აქ საჭიროა, გავარკვიოთ ინდივიდუალიზმისა და სოციალიზმის მნიშვნელობა მორალში, მათი ღირსება და ნაკლებეკენება, ვითარცა ჩვენის ეოფა-ქცევის პრინციპისა. ინდივიდუალიზმი კიდეც ვარგა და არც ვარგა ამ პრინციპადა. ვერ უარ-გუოფოთ, რომ ინდივიდუალიზმს აქვს თავისი საფუძველი და მნიშვნელობა. ვერ ერთი—აზრის თავისუფლება, აზრის ღირსება თხოულობს, რომ შევიწინართ და ვერწმუნოთ მსოფლად იმას, რაც პირადად ჩვენ აგვიწინადაგვიწინია, ჩვენის კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაგვიტარება და ჩვენის გონებით შეგვიგნა. მერე, ასეა თუ ისე, ჩვენს პირადს ზნეობრივსა, გონებრივსა და ქონებრივს განვითარებათ, წარმატებას ყოველთვის გამოიყენებს ჩვენი თანამომე და თანამემდეგე. მაგალითად, თუ რომელიმე მსედართ-მთავრის ცოდნა, თავ-მოყვარება და დიდების მოყვარება, მისი სურვილი უკედავ სასელის შემოსვისა არის სშირად მოტივი და მიზეზი მტრის დამარცხებისა და ამით სამ-შობლოს დაცვისა და ქვეუენის სასელის განდიდება-მოპოვებისა, მაშინ ინდივიდუალიზმი სანატრელი რამ არის. არ შეგვიძლია ინდივიდუალიზმს არ მავსცუთ მნიშვნელობა კიდეც იმიტომ, რომ საზოგადოება განყენებული რამ საიდუმლოება სომ არ არის, ვა-

შია, კრებულთა შერთებულ ინდივიდუუმთა, და ამიტომ შირადი გან-  
 ვითარება სასარგებლოა საზოგადოებისათვის, რადგან ჯერ არავის  
 უნსაცხს, რომ ჯამს არ მოჰმატოდეს, თუ კი ერთ-ერთ შესაერთ-  
 ბელს რიცხვს ემატება რამე. შირადოვნების განვითარება მხოლოდ  
 იმ შემთხვევაში არის უწყინარი, თუ არ დაგვიწყებთ, რომ ჩვენს  
 ბუნებაში დამკვიდრებულა იმდენივე თესლა ბოროტებისა, რამდენიც  
 საკეთისა, რომ კაცი ბუნებით კეთილია და ანგელოზი არ არის  
 (ყოველთვის მოკებაში ვაქნებით, თუ ჩვენს თავს ვატარა ეჭვის  
 თვალით შევხედავთ). ამასდა მისევეთ, შირადი განვითარება იმას  
 კი არ ნიშნავს, რომ ყოველსავე ჩვენს ბინძურს ინსტიქტს სადავე  
 მივუშვათ, და არც ამას, რომ გეჭმნდეს უფლებს თვათ უსამართლო  
 ვნების და გულის-თქმის დავიყოფილებისა, მხოლოდ მიტომ, რომ  
 იგი ჩვენია და ჩვენს შირადობას ეკუთვნის. არ უნდა დაგვიწყოთ,  
 რომ ჩვენი ბედი და იღბალი უფრო სშირად არის დამოკიდებული  
 იმ საზოგადოებაზედ, რომელსაც კეუთვნით; რომ ჩვენი თავისუ-  
 ფალი და უშიშარი ცხოვრება არის შედეგი იმისა, რომ ჩვენს ვართ  
 წვერი საზოგადოებისა, რომელიც გვიცავს შინაურსა და გარეშე  
 ძტრისაგან. გარდა ამისა ერთი ნაწილი ჩვენის შირადობისა, ის,  
 რომელიც არის შედეგი მემკვიდრეობისა და აღზრდისა, ეკუთვნის  
 წარსულს საზოგადოებასა, ხოლო მეორე კი, — ჩვენი დღევანდელი  
 მოქმედებანი, — მომავლის საზოგადოების საკუთრებაა. როგორც  
 განვითარება ენისა და აზრისა, ისე განვითარება შირადობისა შეუ-  
 ძლებელია თვინიერ და გარეშე საზოგადოებისა. ვინც ივაწყებს,  
 რომ ის არის შირველ ყოვლისა მოვალე საზოგადოებისა და მხო-  
 ლოდ მერე — მისი კრედიტორი, ის ინდივიდუალშით ჭფარავს  
 და ამართლებს თავისს ეგოიზმსა. ასეა ხოლმე: ინდივიდუალშით  
 თავჯანსმცემელი ყოველთვის იმით დაიწყებს, რომ იცავს შირადს  
 უფლებასა, რომელიც კითომ დაზადებასათანავე დაჭყოლია და  
 იმით ათავებს, რომ უარ-ჭყოფს ყოველსავე უფლებასა, წესსა და რიგ-  
 სს, სამართალსა და სოციალურ სამართლესა. ყოველმა კაცმა უნდა  
 იცოდეს, რომ თუ ცხოვრებისათვის ჭიდილი, მეტოქობა, განსა-  
 რებული ბრძოლა ერთმანერთს შორის არის კანონი ბუნებისა ანუ  
 შირტუკთა ცხოვრებისა, იგი არ არის კანონი კაცთა ურთიერთ-

ბისა. იგი ბუნებრივი კანონია და არა აღნიშნული, ამის დასამტკიცებლად ისიც კმაზა, რომ სამართლს უოკელს დროსა და უოკელს საზოგადოებაში ერთი საწინააღმდეგო ქმნდა: სუსტის დაფარვა ძაღმამრეობისაგან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადოების წინააღმდეგ იმ იარაღით არ უნდა აღვიჭურვოთ, რომელიც მისგანვე გვაქვს მოცემული. ამ აღჭურვას მაშინ ვსჯავთ, როცა ამა თუ იმ ქონებას, ან ამა თუ იმ ძაღს, რომელიც საზოგადოების წყალობით შეგვიძენია, მოვისმართ პირად აღვირ-წახსნილ სურვილთა დასაკმაყოფილებლად. ჩვენ უნდა გადავუხადოთ ვალი იმათ, ვინც ალგოზარდა, ვინც ჩვენთვის იზრუნა, ვინც მშვიდობიანი ცხოვრება დაგვიძველდა. ასე შესძინო, ამბობს ავტორი, სოციალიზმი და ამხარად გაგებულ იგი სწორედ მოზალის პრინციპია, ხოლო ამ მოძღვრების სხვა კერძობას აქ არ შეეხებოთ.<sup>2)</sup>

ჟორჟ-ზანდი პირველს თავისს ნაწერებში (Valentine, Indiana, Jacques) უძალესი ღირიკოსია და, რაკი ღირიკოსია, ინდივიდუალურის ფილოსოფიის ძალიანებელიცაა. წარჩინებული რომანისტი ქალი გვიამბობს თავის ნაწარმოებში თავისს სასოწარკვეთილებასა და მწუნარებასა, თავისს სეკდასა და ქმართან ცხოვრებით გამოწვეულ უსიამოვნება-გაგლახას; ალგოვიწრს თავისთა რცხებათა, უჩივის უბედობასა და გვიმტკიცებს თავისთა მოთხოვნილებათა კანონიერებასა. იგიც, მიუსუსესი არ იყო, „ვნებათა უფლებას“ დაქმდერის, ესე იგი თხოულობს, რომ თვითუფს ადამიანს, ინდივიდუმს მიეცეს უფლება თავისს ვნებათა მისევეთ იმოქმედოს, მიეცეს ნება წინააღმდეგ და არ დაემორჩილოს საზოგადოებისაგან დადგმულს უფლსა. არას დროს ინდივიდუალიზმი არცერთს მწერალს ამ წერტილამდე არ აღუყვანია, თავის დღეში ავტორს არ გაუბედნია „მე“-სათვის ამდენი უფლება მოეთხოვა და „მე“-ს უსამართლოება ამდენზედ გაემართლებინა.

ჟორჟ-ზანდი ქალი იყო და, როგორც ქალი, ძლიან ადვილად ემორჩილებოდა სხვა-და-სხვა გავლენას. თუ პირველ ხანში ინდივიდუალიზმი გაიტაცა, მერე უნებად სოციალიზმის მოსარჩლე კანდა-

<sup>2)</sup> იხ. გვ. 305—308 და 315—318. L' évolution de la poésie lyrique-იხ.

ახლა სულ სსკა ჰანგზე დაიწყო მღერა: «უნდა შემოფარგლო, შეს-  
 მცირე და ალაგმო სიყვარული თავის თავისა... ვისაც მარტო  
 თავისს თავისათვის უფიქრია, ის ჰირუტყვია; ჩვენის ზოეტისა  
 არ იყო, «მოკდეს კაცი, თუ ჰირუტყვს დაეღაროს». ახლა ყველა  
 და ყორყ-ზანდიც მათთან მისკდა, რომ კაცს მოტუებულა სიყვა-  
 რულისა და დამარცხებული თავმოყვარობის გარდა სსკაც ბეგრი  
 აქვს სატანჯველი და საფიქრებელი; გაიგეს, რომ გარდამეტებული  
 ინდივიდუალიზმი რაღაც რენის კანონის თავიანთს მტემლად ხდის  
 კაცსა და სობრალულსა, მოწყალეობასა და კანთმოყვარობას აძე-  
 კებს მისის გულიდან; გაიგეს, რომ ჩვენის უფლების საზღვარი  
 მარტო ჩვენი ძალა არ არის. ყორყ-ზანდი ესლა, როგორც შეშვე-  
 ნის უნგარო სიყვარულით აღვზნებულის გულის ჰატრონსა და  
 ცოცხლის ბუნების ჰატრონს ადამიანსა, გატანებული მეომარი  
 შექმნა ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ და რდილობდა კანობრიო-  
 ბის დაცვასა, ტანჯვა - წვალებისა და მწუხარებისაგან გამოწვეულ  
 მის ცრემლის მოწმენდას. (Consuelo, la Comtesse de Rudolstadt,  
 Le Compagnon du tour de France, le Péché de M. Antoine და le  
 Meunier d' Angibault). ამ რომანებს ესლა საფრანგეთში აღარ კი-  
 თხულობენო, ამობს აკტორი, მაგრამ რუსეთსა და ინგლისში კი  
 დიდის აღტაცებით ეწაფებიან და ყორყ-ზანდის ამკარმა ნაწერებმა  
 დიდად იმოქმედეს როგორც დოსტოევსკისედა, ისე ჟორჟ კლი-  
 რატსედა.

ნატურალისტურის ლიტერატურასაც დიდი ღვაწლი დასდო  
 ყორყ-ზანდმა, თუ არ დავიწებთ, რომ იგი გვისურათებს თავისს  
 რომანებში ისეთებსაც, რომლებსაც წინად უურადლებს არ აქცე-  
 დნენ. მუშა ხალხი, გლეხ-კაცები, დურგლები, მჭედლები—ყველა  
 ესენი ჰირველად მან გამოიყვანა სტენანჯედა, სოლო ესენი ხომ ნა-  
 ტურალისტურის რომანის ჩვეულებრივი გმირნი არიან. თავისს  
 ლიტერატურულის მოღვაწეობის შესამე ხანაში ყორყ-ზანდმა შექმნა  
 ისეთი რომანები (François le Champi, Jean de la Roche, Marquis de  
 Villemer), რომელნიც ძლიან უახლოვებიან ნატურალიზმის  
 იდეასა. ჰირველ ხანაში ხომ საღირიკო რომანებსა სწერდა,  
 მეორეში სოციალისტურის რომანებს მიქყო ხელი, რომელთაგანაც



მწერლის პირადობა ვერ კიდევ არ იყო განდევნილი, მაგრამ ამგვარ რამდენიმე დაწერისთვის საჭირო იყო მდებარე ხალხის ცხოვრებისთვის თვალ-ყურის დაკვირება, მისი დაკვირება. ამ დაკვირებამ ჟორჟ-ზანდი მიანიჭა თავისი პირადობის ჩრდილში დაუქნებსა და ამგვარად ნატურალისტურის ესტეტიკის აღმასრულებელი შეიქმნა.

1850-ში ლამარტინისა, მიუსესა და ჭიუგოს პოეზია ჩაწერებული იყო. ახლა მხოლოდ სენტ-ბევი თავისი კრიტიკითა და ასტორიულის ნაწერებით და ჟორჟ-ზანდი თავისი რომანებით იმეორებდნენ საზოგადოების ყურადღებას. მაგრამ ჟორჟ-ზანდმაც სომ უღალატა ლირიზმსა, რასაკვირველია, იმიტომ, რომ დრომაც სულ სხვა აზრები და სხვა მიმართულება მოიტანა. ესაა ინდივიდუალიზმიც თან და თან ნიადაგსა ჭკარგაკს და ჟორჟ-ზანდისაგან დაწვეული «ლიტერატურიდან მწერლის პირადოვნების განხილვა» (l'impersonnalité dans l'art) ახალ მიმართულების ლიტერატურის პრინციპად იქმნა აღიარებული. ბალზაკის ნაწერებში თითქმის სრულიად აღარ აქვს ადგილი ავტორის «მეა»-სა, ხოლო ფელდერი თავისი ნაწერებიდან, არა თუ ყოველსავე პირად გძნობას აძეებს, იმისაც კი ცდილობს, ის გამოჰსატოს, რაც მისი წინააღმდეგია. ამგვარი რეაქტია ფილოსოფიაშიაც იქნეს თავს: ინდივიდუალისტურ ფილოსოფიის (ეკლექტიზმის) წინააღმდეგ პოზიტივიზმი გამოდის. პოეზიის წარმომადგენლებიც ახლა იმისთვის კი აღარ ჭიუჭობენ, რომ თავიანთი გრძნობანი გამოხატვან ლექსებში, ან და თავიანთი მწერნარება და სიამოვნება გაუზიარონ მკითხველებსა, არამედ კაცობრიობასა, მისს ბედსა და იღბლს დასტრიალებენ თავსა. პოეზია ცდილობს დაკვანახოს ადვილებულება კაცის ტანჯვა-წამებისა, რომლის გამოშისტეული დე-ვინი შეიქმნა. რადგან პირადნი გრძნობანი ალაგმულ უნდა იქმნას, ლექსის ფორმასაც თავისუფლება ეკვერება, ახლა ლექსით თხზვის კანონები სასტიკად დაცვას მოითხოვს. ამას კადემ თეოფილ გოტიე ტვირთულობს.

უნდა მართალი აღვიაროთ, თუ კი ვინმეა ღირსი პოეტ-ფილოსოფოსის სახელისა, ეს განსაკუთრებულად დე-ვინი. საფრანგეთის ლიტერატურაში მის ლექსებზედ უკეთესი ფილოსოფიური ლექსები არ მოიპოვება. დე-ვიანს ერთი მიზანი ჭქონდა; ეს ის წა-

დიდი იყო, რომ სხვა-და-სხვა გვარ სიმბოლოთა შემწეობით საზოგადოების გასაგებად გამოეთქვა თავისი თვითმართებური შესუბრალებების იმ მძიმე საგნების შესახებ, რომელთაც ყოველის გონიერის ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. ამასთან დევიანობა დაბადებითვე, ორგანიულად შესიამსტი იყო. ჩვენ არ შეგვიძლია მისი შესიამსტი ნიუთონის სიღარიბით, ან და სხვა რაიმე შემავიწროებელ გარემოებით ავსნათ. ეს გარემოებანი, შეიძლება, ხელს უწყობდა მის ბუნებრივ შესიამსტს. როგორც შესიამსტს, დევიანის საზოგადოების გონებისა და გრძნობის განვითარებაზედ ლეონარდისა და შოპენჰაუერსზედ ნაკლები გავლენა არა ჰქონია. პირველად მისი შესიამსტი გამოურყვეულია, მაგრამ დღითიდღე, ყოველს ახალს ლექსში უფრო ნათლად სჩანს, რომ თანდათან უკეთესმის, რაში მდგომარეობს არარაობა და უბედურება ცხოვრებისა. მისთვის ბუნება კეთილი და მხუგეშებელი დედა არ არის, როგორც ლამარტინისათვის იყო. დევიანის ბუნება «უგრძნობელ თვატრად მიაჩნია, რომელსაც თავის ნებაზე მსახიობთა თვლების განძრევაც კი არ შეუძლიან». ბუნებას «არ ესმის არც ჩვენი კვება და არც ჩვენი ტირილი»; «უბრა ჰგრძნობს და არ ესმის კაცობრიობის კომედია, რომლის დეკორაციადაც თვით მსახურებს»; იგი დედა კი არა, არამედ «საფლავია კაცისათვის» (La Maison du berger). იქნებ სიყვარულს მაინც შეეძლოს ჩვენი ნუგეში? არა, სიყვარულიც ცბიერია, იგი მსხვა, რომელსაც საუკეთესო ადამიანთ უკებს რაღაც დამცინავი ძალა; იგი მხოლოდ ტანჯვის დედაა; მასგან გამოწვეულს წუთიერს სისარულს სამინელი წამება მოსდევს. თვისდა უნებურად ქალიც ისეთივე უმოწყალოა, როგორც ბუნება. არა-რა მოიპოვებარა ქვეყნაზედ ჩვენი მხუგეშებელი; თვით ზენაც ცარიელია, ზენაც მუნჯია და ყრუ; არც იმას ესმის კაცთა ტანჯვისაგან გამოწვეული კვება, ხოლო თუ ესმის, ზისუსს მაინც არ გვაძლევს (Christ au mont des Oliviers). გარნა იმას კი ნუ იფიქრებს ვინმე, რომ ასეთს შესუბრალებას ენა დაუბას და ხელები შეაკრას დიდებულის ზოგისათვის. სასოწარკვეთილება ნამდვილს შესიამსტს როდი შეჭყურის და ამგვარ გზას არ დასდგომია არცერთი შესიამსტი საკიამუნინდან დაწყებული შოპენჰაუერამდე.



ბუნებისა და ზეცის სისასტიკეს ჯერ კი იმით უფრო ზნაშნაშნა  
 ჰოქტმა, რომ დიდებულის თაგგანწირულებით დაემორჩილა, მაგრამ  
 ეს სამი მარტო თვისის თავის დაკმაყოფილება და ეს მისთვის არ  
 კმარადა. საზოგადო ტანჯვის შეგნება და ე-გინის აგრძობინა მისი  
 კავშირი საერთოდ კანცობრიობასთან, აგრძობინა და შეუყვარა «დი-  
 დებულება კანცობრიობის ტანჯვისა»<sup>3)</sup>. გვეჩნდეს სიბრალოლი ეკე-  
 ლასი (ესეც ე-გინის შემოღებული ყოფილა). ჩვენი უბედურება არ  
 არის ერთად-ერთი რამ ამავე, ჩვენი ტანჯვა არ არის რაღაც გან-  
 ცხადებულები გარემოება; მთელი კანცობრიობა იტანჯება, მთელი  
 კანცობრიობა მონაწილეა ჩვენის უბედურებისა. ჩვენი ტანჯვა, ჩვენი  
 უბედურება მხოლოდ უმცირესი ხაწილია კანცობრიობის ტანჯვისა  
 და მწუხარებისა. ვეცნადოთ ამ ტანჯვა-წამების შემსუბუქებისა, ვეცნ-  
 დოთ მის მოსაზრებას; ადამიანთა კრებულს შეგვიძლიან ეს; ამას  
 კანცობრიობის ისტორია ჰმოწმობს. ბუნება დღეს გვთვალავს და  
 გვსრესავს, მაგრამ სვალ ვეღარ გავსრესავს, ვიპოვოთ მის ას-  
 ლაგმავს იარაღსა. თუ დიქრთი ყურადღებას არ გვაგნვეს, ჩვენ თავს  
 ჩვენვე მოუყაროთ. კანცის ძალა და ღონე, მისი საშუელი მის გონე-  
 ბასა, ჭკუასა და აზროვნობაშია; ბუნების დასამორჩილებელი და კა-  
 ცის გამაღწიებელი იარაღი მენიერება (La Routeille à la mer).  
 აი ეს არის ე-გინის ფილოსოფია, სეკდის მომკვრელი, ამაყი,  
 სტოიკური და თან მანუგეშებელი ფილოსოფია. როგორც ჰსედავთ,  
 საღირაყო ჰოქნიაში მან შეიტანა ღრმა ფილოსოფია და ღრმა  
 გრძობა, რომელსაც აქამდის იგი მოკლებული იყო. მისი ლექსნი,  
 რომელთაც საზოგადო სახელი—les Destinées ეწოდებოთ და რომე-  
 ლთაც შემოხსენებული ლექსებიც ეკუთვნის, ჰსაკადის «ზრებს»  
 (les Pensées) უღრის სიღრმითა და სიდადიით. გარდა ამისა, ე-  
 გინიმ რომანტული ჰოქნიაც დაამარცხა, მით, რომ ჰიარაღი გრძობ-  
 ბანი განაძევა ლექსებიდან და მხოლოდ კანცობრიობის ტანჯვის გრ-  
 ძობა წამოაყენა წინ. როგორც მოკისსენეთ, ე-გინი თვისის

<sup>3)</sup> ერთგულ კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა დოსტოვესკის აწერენ ამ  
 «კანცობრიობის ტანჯვა-წამების» სარწმუნოების გავრცელებას, მაგრამ, როგორც  
 ე-გინის პოეზიის განხილვა გვარწმუნებს, საფრანგეთის ლიტერატურის ჰევრად  
 უფრო ადრე სცოდნია ეს მოძღვრება. ეს ლექსები და ეს აზრები, «დღიურში» გა-  
 მოთქმული, დაწერილია 1833—1844 წწ.

ღრმად ფილანთოფიურ აზრების გამოსასატავად სიმბოლოებს მიჰქმნის-  
თავდა სოლემე და ამ მხრით ესტანდელ სიმბოლისტიკის წინამორ-  
ბედი და მოძღვარია.

დეკინიმი ფორმა ლექსებისა კერ განმსუბუქა იმდენად, რომ  
ყოველისავე აზრის თავისუფლად, ძალ-დაუტანებელი და ადვილად  
გამოთქმა შესძლებოდა. ეს საქმე გოტიემ აღასრულა.


თეოფილე გოტიეს ლექსებს აზრიც აკლია და აზრ სიასლე  
და ორიგინალობა ემხნევა მის აზრებსა. იმის ყურადღება დასშეული  
იყო გარემოს მოკლენათათვის; ტყუილად კი არ უწოდებდნენ უგრ-  
ძნობელსა და ციკ-გულსა. ნამეტანი სისასტიკე კი იქმნებოდა იმის  
თქმა, რომ იმისი ლექსება სრულიად მოკლებული იყოს აზრსა.  
მის ნაწერებსაც ემხნევა სკედის კვლი, იმასაც ხან-და-ხან სელო-  
ნებასედ თითქმის იგივე შესედულება აქვს, რაც შოპენჰაუერსა და  
დეკინის. ცხოვრების არარაობაში ჰოეზია მიანდა თავის გასარ-  
თობ და სკედის უკუმურელ ღონის-ძიებად; ცნობილი მოძღვრება  
«სელოკნება სელოკნებისათვის» თითქმის მისი შემქნალია. გოტიეს  
არა აქვს გამოთქმილი არავითარი აზრი არც სიკვდილზედა, არც  
სიყვარულზედა და არც ბუნებასედ. გოტიეს მხოლოდ ისა აქვს სა-  
ნატრელად, რომ თვით უმარტივესი გრძნობა კარგად გამოჰსატოს,  
ცარგად დასურათოს. ამ მოსახსნ ისე თვისის გრძნობის გამო-  
თქმა არ სსადასებს, როგორც მისი ზღასტიკური გამოსატვა. თუ  
წინანდელი ჰოეტები გარეშე ქვეყნის ამ თუ იმ მოკლენას გვიხა-  
ტავდნენ, მას შემდეგ რაკი თავის გრძნობასა და გონებაში გადა-  
ადულებდნენ მისგან გამოწვეულს შთაბეჭდილებასა, თუ ჰოეტე-  
ბი ბუნებას იმორჩილებდნენ, გოტიე ესლა აღიარებს გარეშე ქვეყნი-  
სა და ბუნების უფლებასა, რომელსაც, იმის აზრით, ჰოეტი უნდა  
დაემორჩილეს. მისი ფილანთოფია ჭლადღებს, რომ ცხოვრებაში  
საინტერესო არა არის-რაო და ამიტომ სსჭირთა სელოკნებამ შე-  
ქმნას რაიმე საინტერესო, ცხოვრება სელოკნურად გამოჰსატოს,  
შეასამოს სსკა-და-სსკა ფერადებით და ამით ცხოვრების უბადრუ-  
კობასა და არარაობას მოგვამოროსო. სელოკნება ცხოვრებას კი  
არ უნდა გვიხსნიდეს, მის მოკლენათა მიხედვებს კი არ უნდა ები-  
ებდეს, არამედ სიმშენიერე უნდა განასოცვილოს და ამით თავი-



სი დანიშნულება აღასრულოს. ამნაირ აზრების შედეგი იყო მისი გარდაბრუნებული გატაცება ფორმით, რომელიც საზოგადოდ ამ დროინდელ ჰოეზიის განსაკუთრებულს თვისებას შეადგენს. \*) გოტიე აღიარებდა აგრედვე ჰოეზიიდან პირადობის განდევნის თეორიას, ეს მისის აზრების ლოგიკური დასკვნა იყო. მართლაც, რამდენადაც უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევს ჰოეტი გარეგან ფორმას, იმდენად უფრო დიდ უურადლებას აქცევს გარეგანის ცხოვრების გამოხატვას და, რა კი გარეგანის ცხოვრების გამოხატვას მიიხსენებს კაცის უმთავრესს საქმედ, მაშინ პირადობა უკან რჩება და პირად გრძნობათა გამოხატვას ადგილი აღარ ექმნება.

თუმცა გოტიეს თეორია ფორმის შესახებ ბევრში მკვნიებული აღმოჩნდა, მაგრამ იმასაც დიდი წილი უდევს ნატურალიზმის განსაკითარებლად ნიადაგის მომზადებაში, და აი ამასია მისი დამსახურება ლიტერატურის წინაშე.

კიტა ახაშიძე



\*) დასაბრტყილებლად ისიც კმარა, რომ ის ოცდაათი „პარნასელი“ ჰოეტო იყო, რომელნიც ფორმის სიმშვენიერის გარდა არაფრისთვის არა ფიქრობდნენ.

# რ ძ მ

და

## მისი სხვა-და-სხვა მხარად გამოყენება

ჩვენს ორგანიზმში მუდმივი ცვლა არის ნივთიერებათა; ერთი ნივთიერება გადაგვარდება და გამოეცლება და მაშინვე მის მაგიერი ახალი ჩნდება; ეს არის სიცოცხლის და სიმრთელის ნიშანი. თუ ესე მუდმივი ნივთიერებათა ცვლა არა ყოფილიყო, მაშინ არც სიცოცხლე იქნებოდა. ორგანიზმის ნივთიერებათა შეუცვლელობა და განსვენება სიკვდილის ნიშანია. რაში მდგომარეობს ნივთიერებათა ცვლა და რისგან არის გამოწვეული?

ყოველი ეგრედ-წოდებული თბილ-სისხლიანი ორგანიზმი და მაშასადამე ჩენიც ერთგვარ ტემპერატურაზე არის გამთბარი და ეს სითბო გამოწვეულია იმ ნივთიერებათა დაჟანგვით, რომლებიც ჩვენ გვშორდებიან ამოსუნთქვის დროს. ფიზიოლოგია გვაუწყებს, რომ ამ მხრით ორგანიზმი ერთ დღესა და ღამეში 940 გრამ ნახშირ-მჟავეს ჰკარგავს და ამაში 250 გრამი ნახშირმბადია <sup>1)</sup>. თუმცა შედარება ცოტა ზედ-გამოჭრილი არ არის, თორემ შეიძლება ვთქვათ, რომ ორგანიზმი გაჩაღებული ბუხარია, სადაც მუდმივ და შეუწყვეტლად ნახშირი იწვის, და თუ გვსურს, რომ ბუხარში მუდმივ სიცხოვლე იყოს, საწვავი ანუ ნახშირის მასალა არ უნდა მოვაკლოთ. მაშ საჭიროა ორგანიზმს დაუბრუნდეს ის ნაკლი, რომელიც მისმა გათბობამ გა-

<sup>1)</sup> ეს რიცხვი, რასაკვირველია, მხოლოდ დაახლოებულია და სხვა-და-სხვა გარემოებაში ცოტა მეტ-ნაკლები იქნება.



მოიწვია, ესე იგი ის ნახშირი, რომელიც დაიწვა მისისავე სითბოს შესაგებად.

ამ ნაკლს სხვაც ემატება, ნახშირის დაწვას აზოტის შემცირებაც მოსდევს, თუმცა კი სხვა მხრივ და სხვა გვარად: როგორც ვიცით, ჩვენი ორგანიზმი, ჩვენი სისხლი უფრო აზოტიურ ნივთიერებათაგან არის შემდგარი და რადგანაც სუნთქვის დროს ესენიც უანგდებიან ანუ იწვიან, ამისთვის, ნახშირის სიმუხვის გარდა, იმისთანა სხეულებიც ჩნდებიან, რომლებიც ნაშთია ამ დაქანგვისა ანუ დაწვისა. ეს ნაშთი შესდგება სხვა-და-სხვა გვარ უფრო მარტივ აზოტიურ სხეულებისაგან, რომელიც ორგანიზმისათვის გამოსადეგი აღარ არის ზ რომელიც ეცლება შარდის შემწეობით (კრეატინი, კრეატინინი, შარდივანი (urine) და შარდივანის სიმუხვე). ამ მხრით აზოტის კლება შეადგენს დღეში 15 გრამს და ამას ემატება ის ნახშირიც, რომელიც აზოტს მისდევს, არა ნაკლებ 10 გრამისა.

ამას ისიც დავუმატოთ, რომ ჩვენი ორგანიზმი კიდევ ბევრს იკლებს სხვა ნაირადაც, ესე იგი იმ შინაგანის მუშაობის გამო, რომელიც მიუცილებელია სიცოცხლის მიმდინარეობისთვის. როგორც ფიზიოლოგები ამბობენ, სიცოცხლე დანგრევა და აშენებაა დანგრეულისა, რომ კიდევ დაინგრეს და ისევ აშენდეს და ასე ბოლომდის, ვიდრე ორგანიზმები ცოცხალია. ამაშია წყარო სიცოცხლისა ანუ ეს არის სიცოცხლის მიმდინარეობა (circulus vitae). აქედან წამოსდგება ის საჭიროება საზრდოსი, რომელსაც ჩვენი ორგანიზმი მუდმივ გრძნობს და რომელსაც მუდმივვე აკმაყოფილებს შეძლებისა დაგვარად. მაშ მიუცილებლად საჭიროა—ორგანიზმს დაუბრუნდეს მისი სიცოცხლისაგან გამოწვეული ნაკლი; უამისოდ, ადრე თუ გვიან, წუთის-სოფელს გამოეთხოვება.

როგორც ვხედავთ, ყოველ ცხოველის ორგანიზმს თავისი შემოსავალი და გასავალი აქვს და მიუცილებლად საჭიროა, რომ მათ შორის სრული თანასწორობა სუფევდეს; თუ ორგანიზმის საჭიროება კანონიერად არის დაკმაყოფილებული, მა-

შინ სიცოცხლის მიმდინარეობა ნორმალურია და თუ არა განსაცდელში ჩავარდება.

რადგანაც ჩვენის ორგანიზმის ხარჯი ორგვარია: ნახშირისა და აზოტისა, ამისათვის იმ საზრდოში, რომელიც ამ ნაკლის შესავსებად არის დანიშნული, ეს ორივე გვარი ნივთიერება უნდა მოიპოვებოდეს და იმ სახისა, რომელსაც ორგანიზმი კარგად და ადვილად ითვისებს; მაშ საჭიროა როგორც ნახშირ-წყლოვანი (სახამებელი, შაქარი და სხვ.), ისე ცხიმოვანი (ერბო, ზეთი და სხვ.) და აზოტიური (ალბუმინი, პროტეინი და სხვ.) ნივთიერებანიც. თუ ორგანიზმის ნაკლის შესავსებად იმისთანა საზრდოს მივმართავთ, რომელშიაც მათი რაოდენობა ამ ორგანიზმის ხარჯს კარგად არ შეეფერება, მაშინ თანასწორობა შემოასავლისა და გასავლისა დაირღვევა. მაგალითებრ, თუ ჩვენის ორგანიზმის მოთხოვნილება მარტო პურით დავაკმაყოფილებთ, მაშინ ზემოხსენებულ 15 გრამის ნაკლის შესავსებად იძულებულნი ვიქნებით დღეში 1350 გრამი ვკამოთ; ამაში 400 გრამი ნახშირმბაღია და ჩვენ ხომ 260 მეტი არა გვჭირდება; ნამეტანი 140 გრამ ნახშირის დასაწვავად ან ბევრი მუშაობა და სუნთქვა დაგვჭირდება და ან ნამეტანად გავსუქდებით, რაიცა ხშირად ჯანმთელობის ნიშანი არ არის. თუ პურის მაგიერად ხორციით ვისურვებთ ნაკლის შევსებას, მაშინ 260 გრამი ნახშირის ბაღლად 2270 გრ. ხორცი დაგვჭირდება და ამაში 90 გრამი აზოტია და ამის გამო საჭირო აზოტზე 75 გრ. გადამეტებული იქნება და ამ ნამეტანს ან ვერ მოვიწილებთ და, თუ მოვიწილებთ, მაშინ მთლად ვერ მოვიცილებთ ორგანიზმიდან მათის დაქანგვის ნაშთებს და ეს გახდება მიზეზი სხვა-და-სხვა გვარის ავადმყოფობისა (ნიკრისი).

აქედან ცხადია, ჩვენი საქმელი ისეთი ნარევი უნდა იყოს ამ ორისავე გვარ საზრდოსი, რომ ნაკლის შევსების დროს თანასწორობა არ დაირღვეს; ამისათვის ურჩევნ 200 გრამ ხორცსა და 800 გრ. პურსა, რომლებშიაც შემდეგი რაოდენობა იქნება საჭირო ნივთიერებათა:

800 გრამ პური 240 გრამი ნახშირია და 9 გრამი აზოტი  
200 — ხორცი 20 — — — 6 — —

მაშ 1000 გრამში იქნება 260 გრ. ნახშირი და 15 გრ. აზოტი.

ცხადია, რომ კარგად შეზავებულ საკმელში ერთი მეოთხედი აზოტიური ნივთიერება უნდა იყოს და სამი მეოთხედი ნახშირ-წყლოვანი და ცხიმოვანი; რასაკვირველია, აქ ნაჩვენები უთრეიტარსი რაოდენობა შეიძლება ცოტაოდნად შეიცვალოს; ან აზოტიურმა ნივთიერებამ ცოტათი გადაამეტოს ამ მიჯნას და ან ნახშირ-წყლოვანმა—ეს დამოკიდებულია ორგანიზმის წლოვანობასა და მის მუშაობაზე; ჩჩვილი ორგანიზმისთვის აზოტიური ნივთიერება ერთი მესამედი იყოს და ხნიანისა ერთი მეხუთედი; მაგრამ ამ მიჯნებზე ძლიერ დაშორება კი უეჭველად მავნებელი იქნება.

რძეც ერთი უმთავრესი საზრდო-ნივთიერებაა ჩვენის ორგანიზმისთვის, მეტადრე ჩჩვილობის დროს და, თუ იმის შედგენილებას შევეუდარებთ ჩვენის ორგანიზმის მოთხოვნილებას, დავრწმუნდებით, რომ რძე სწორედ ისეა შედგენილი, როგორც მოითხოვს ორგანიზმის ნაკლი: ძროხის რძეში 12,5% ექსტრაქტული ნივთიერება არის და ამაში 3—3,5% აზოტიური ნივთიერება, მაშასადამე მეოთხედზე ცოტა მეტი; დანარჩენი კი შაქრისა, ერბოსა და მარილებიდან შესდგება, ესე იგი იმ სხეულებისაგან, რომლებიც მარილების გარდა უფრო ნახშირის მასალას შეადგენენ. აქედან ცხადია, რომ რძე, როგორც საზრდო მასალა, ძალიან დაახლოვებულია იმ ნორმალურ საკმელზე, რომელიც მიუცილებლად საჭიროა ორგანიზმის ნაკლის შესავსებად.

ამის გამო რძეს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში; თითქმის პირველი ადგილი უჭირავს იმ საკმელ ნივთიერებათა შორის, რომელნიც საზოგადოდ არიან დანიშნულნი. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ, როგორც პური ცალკე, ისე ხორციც, სრულიად საკმარისი არ არის ჩვენის სხეულის ნაკლის შესავსებად,—უეჭველად ერთმანეთში უნდა იყოს არეული. რძე კი, სხვა ნივთიერების შეურევველად, სრულიად საკმა-

რისია ჩვენის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამას გარდა ცხოვრების მოთხოვნილებამა და მრეწველობამ სხვა-და-სხვა გზა იპოვა რძისგან სხვა-და-სხვა მასალების მოსამზადებლად, ანუ მის გასანაწილებლად აზოტიურ და ნახშირ-წყლოვან სხეულებად, რომელთა ცალ-ცალკე გამოყენება შესაძლებელია და, მაშასადამე, გამოსაყენებელია პურთან თუ ხორცთან შესარევადაც. ერბოსა, კარაქსა და ნაღებში ის სხეულებია, რომელიც უფრო პურს მიემსგავსება და ყველსა და შრატში კი—ხორცისა. აქედან ცხადია ჩვენის წერილების საგანი: ჩვენ ჯერ ვეცდებით მკითხველებს განვუზიაროთ ის ცნობანი, რომელნიც მეცნიერებას შეუძენია რძის შესახებ: მის თვისებასა, ვითარებასა და შედგენილებაზე; მის წარმომავლობასა, შენახვასა და საკუთრად მოხმარებაზე სხვა-და-სხვა გვარად. ამას შემდეგ ამასვე დავუმატებთ ნაღების მოხდას, რძისა, ნაღებისა ანუ მაწონის შედღვებას კარაქის მოსამზადებლად და უკანასკნელ სხვა-და-სხვა გვარ ყველის მომზადებას და უკანასკნელ შრატის მოხმარებასაც.

ამ ბოლოს დროს წველა-ღღვების საქმემ, მისმა მრეწველობამ დიდი ნაბიჯი წასდგა წინ; ძველებურმა სიბნელეში ხეტიალმა და საუკუნოებით შეძენილმა ჩვეულებამ ადგილი დაუთმო ახლანდელს მეცნიერებაზე დაფუძნებულ წარმატებასა და განვითარებას; ძველებური ცალ-ცალკე და განკერძოებულ მუშაობა შეიცვალა საზოგადო შრომით კარგად მოწყობილ სარძევე ქარხნებში, საზოგადო შრომამ და ურთიერთის შემწეობამ პირველი ადგილი დაიჭირა. ამის გამო რძისაგან მომზადებული საზრდო-ნივთიერებანიც კარგის ხარისხისა და თვისებისაა და ამით ძველებური შემთხვევითი ავ-კარგობა საქმისა სრულიად გამოიკვალა. დიდი ხანი არ არის, რაც რძის წარმოების საქმეში კაცი თვალ-დახუჭული იყო და სიბნელეში მოქმედობდა და ნება-უნებლიედ შემთხვევას ემორჩილებოდა. ახლა კი ყოველს თავის წარმოებაში გაკვალულ გზას ადგია და ცხადად გაგებულნი აქვს ყველა ის მოქმედება, რომელიც მიუცილებელია ამ საქმის წარმოების დროს; ახლა ყველაფერი

გაუმჯობესდა გამოჩენილ სწავლულების გამოკვლევათა წყალობით, რომელთა შორისაც პასტერმა და დიუკლომ საფრანგეთში, ფიორდმა და შროტმა დანიაში და ფლეიშმანმა გერმანიაში ისე გაანათლეს წყვიდადი სიბნელე, რომ ეხლა ყველასთვის ცხადია თვითეული ნაბიჯი რძის მრეწველობაში. ერთის სიტყვით, მთლად ამ წარმოებამ ბევრად ისარგებლა და სამეცნიერო ნიადაგზე დამკვიდრდა. მეცნიერების წყალობით ეხლა შეგნებულა და გაგებულა იმ პაწაწინა ცხოველების მნიშვნელობა, რომლებიც უთვალავია რიცხვით და მრავალი გვაროვნობით ჩვენს ატმოსფერაში, ჩვენს გარეშე მყოფ ჰაერში; ეხლა ცნობილია, რომელი ამ პაწაწინა ცხოველთაგანი სასარგებლოა და რომელი მავნებელი რძის მრეწველობისათვის. ამ მხრით მეცნიერებამ იმდენი ძალა და შემძლებლობა გამოიჩინა, რომ ეხლა ყველას შეუძლიან სასარგებლო ბაქტერიების და სოკოების ცალკე ამორჩევა, ცალკე აღზრდა, გამრავლება და, რასაკვირველია, ამასთანავე საჭიროების დაგვარად გამოყენებაც. ცნობილია, რა გარემოებაში უფრო კარგად სცოცხლობენ და ჰმოქმედობენ ეს ცხოველები და რა უშლის, ან რა უმართავს ხელს მათს მოქმედებას. ამ ცნობათა მეოხებით განსაკუთრებით კარგად ისარგებლა ყველის წარმოებამ, ფეხი მოიმაგრა და დამყარდა სამეცნიერო საფუძველზედ. ახლა ყოველი ყველის გამკეთებელი ცხადად ჰხედავს თავის მოქმედების მნიშვნელობას და შეცდომისა აღარ ეშინიან. ამას გარდა, ამავე მეცნიერების გამოკვლევამ ბევრი სარგებლობა მოუტანა თითონ რძის რძედვე მოხმარებასაც. ძველ დროში უცოდინარობის გამო რძის დიდს ხანს შენახვა გაუფუჭებლად ძნელი მოსახერხებელი იყო და ახლა კი შესაძლებელია მისი საღად და შეურყვევლად შენახვა, არა თუ რამდენისამე დღით, არამედ რამდენისამე თვეობითა და წლობით.

ამას ისიც დაეუმატათ, რომ ამ ახალ დროში მოგონილია და გაკეთებული მრავალი ახალი და სასარგებლო მანქანები, რომელიც მუშაობას აადვილებს და რომელიც დიდად სასარგებლო გამოდგა ერბოსა და ნაღების მოსამზადებლად; ამ მან-

ქანების წყალობით (ცენტრიფუზის) და ბაქტერიოლოგიის განვითარებით რძის მრეწველობა სრულიად ფეხზე წამოდგა და სამეცნიერო საფუძველზედ დამყარდა.

ამ წერილებში ვეცდები, შეძლებისა დაგვარად, მკითხველებს განუზიარო ყველა ის საგანი განვითარებისა და გაუმჯობესობისა და მეცნიერთა გამოკვლევისა, რაც კი რძის მრეწველობას შეეხება. დარწმუნებული ვარ, ჩვენს სამშობლოში რძის წარმოების ფეხზე წამოყენება შესაძლებელია და სასარგებლოც; ამ მრეწველობას ბევრს ჩვენს ადგილებში დიდის ეკონომიურის სარგებლობის მოტანა შეუძლიან, თუ მეტადრე ჩვენში გავრცელებული ხანჯლობა უფრო გავრცელდება და მტკიცე ეკონომიურ კვალში ჩადგება და ამასთანავე ჩვენი სოფლები ერთად შეამხანაგდებიან, საზოგადო საძმევე-ქაჩხნებს დააფუძნებენ და საზოგადოვე ხარჯითა და შემწეობით მოიპოვებენ ყველა იმ ჭურჭელს და მანქანებს, რომელიც საჭიროა რძის წარმოებისათვის. თუ კი რძის მრეწველობამ ფეხზე წამოაყენა და თითქმის გაამდიდრა ისეთი ღარიბი ქვეყნები, როგორიც ღანიაა, შვეიცია, ნორვეგია და ჰოლლანდია; თუ კი ყველის წარმოებამ სული ჩაუდგა ისეთს ხრიაკს, მთაგორიან და თოვლიან-ყინულიანს ქვეყანას, როგორიც შვეიცარიაა, უეჭველია, რომ ჩვენს ყოველ-მხრით მდიდარს ბუნებაში ჩვენის აუარებელის ცხვრების ფარებითა და ძროხის ნახირებით უფრო მეტის იმედი შეგვიძლიან ვიქონიოთ, თუ, რასაკვირველია, ჩვენც ჩვენის მხრით ვეცდებით და ფეხზე წამოვაყენებთ ჩვენს მრეწველობას. ჩვენი საძოვრით განთქმული მთები და თრიალეთი თვისის ნოყიერის ბალახით, ჩვენი გურია-იმერეთი თვისის ნახისა, თბილისა და ნოტიო ჰავითა და ტყეებით—ესე ყოველივე ისეთი გარემოება-ვითარებაა, რომელშიაც რძის მრეწველობა აყვავებული და განვითარებული უნდა იყოს. ჩვენც ჩვენის დავრდომილ ეკონომიურ მდგომარეობის აღსადგენადაც მხოლოდ ცოდნა და სურვილი-ღა გვაკლია.

II

რ კ მ

მისი თვისება, შედგენილება, წარმომავლობა და გარემოებანი, რომელთაჲ იმის თვისებასა და შედგენილებაზე რამე ვაველენა აქეთ.

ა) რძის თვისება და შედგენილება.

ძროხის რძეს თეთრი ფერი აქვს. ცოტათი მოყვითანო; იმისი სუნი თითონ ძროხის სუნს მოგვაგონებს, მაგრამ საზოგადოდ კი, თუ ძროხა სუფთად არის შენახული, მისის რძის სუნი ნაზი და სასიამოვნოა და აგრედვე მისი გემოც. რძე უფრო სქელია, ვიდრე წყალი და ამის გამო უფრო მძიმე; ერთი ლიტრი რძე ჩვეულებრივ იწონის 1029—1033 გრამს, მაშ წყალზე 29—33 გრამით ყოფილა გადამეტებული. ახლად მოწველილი რძე ჩვეულებრივ სრულიად ნეიტრალია, მაგრამ ძალიან ჩქარა მჟავდება (სიმჟავის რეაქცია დაეტყობა) და აიჭრება ან შედედდება, თუ განსაკუთრებით შესანახავი ჭურჭელი და ადგილი სუფთა არ არის.

თუ რძეს ვიწრო ჭიქის ჭურჭელში ჩავასხამთ და რამდენისამე ხნით (ერთი დღე და ღამე) ესე შევიწახავთ, მაშინ იმაში ერთგვარი მექანიკური განაწილება მოხდება ნივთიერებათა: პირზე მოექცევა უფრო მოყვითანო ნივთიერება, რომლის სიმალღეც თანდათან მატულობს ერთ მიჯნამდინ—ეს ცხიმოვანი ნივთიერებანი არიან, რომლებშიაც ცოტა რძე არის შერეული, ეს ნაღებია (crème). ნაღებ ქვეშ რძე ისე ყვითელი აღარ

არის, როგორც წინადა იყო, ახლა უფრო მომწვანო ფერი ეძლევა, ეს ნაღებ-მოხდილი რძეა. როცა რძეს ვათბობთ, იმას პირზე კანი ეკიდება, რომელიც დუდილის მოახლოების დროს ისე გასქელებულია, რომ ორთქლს არ შეუძლიან გაატანოს; ამის გამო რძის პირი აქა-იქ აბურცდება, თანდათან გაიბერება და ბოლოს ქვაბიდან გადმოვა. მაშ რძეში კიდევ რალაცა ყოფილა, რომელიც დუდილის დროს ეცლება—ეს აზოტიური ნივთიერება არის, ეგრედ-წოდებული ხაქო (კახეინი).

ამ გამოცდილებათა შედეგის დამტკიცება ძნელი არ არის: ნაღები რომ მართლა ერბოა, ამისთვის საკმარისია ეს ნაღები კარგად შევანჯღრიოთ, შევდღვიბოთ; ამ შემთხვევაში უქველად ერბო მოგროვდება. ეს ერბო წინადა გაბნეული იყო თითონ რძეში, რძეში ტივტივებდა პატარა-პატარა წვეთებად ანუ ბურთებად, რომელთა დიამეტრიც ძალიან პატარაა; ძლივს მილიმეტრის რამდენსამე შეათედს შეადგენს. რძის ერთი წვეთი რომ მიკროსკოპით გავსინჯოთ, ვნახავთ (სურათი 1) ამ ერბოს სფერების დაუსრულებელ სიმრავლეს. თუმცა ერბოს წვეთების სიმჭირხნე უფრო დაბალია, ვინე მის გარეშემო მყოფ ნივთიერებათა, მაგრამ მათი დიამეტრის სიპატარავეს გამო ისინი მაინც შიგ რძეში ტივტივებენ, როგორც მტვერი ჰაერში. მაშ ცხადია, რომ ნაღები ერბოს ნაწილებია. რაც შეეხება მეორე სხეულს, აზოტიურ სხეულს, ამის არსებობას გვიმტკიცებს როგორც რძის დუდილი, იმისი აქრა ანუ შედედება, ისე ქიმიური ანალიზიც. ეს აზოტიური ნივთიერება ძალიან რთულია და კვერცხის ცილის ხასიათი და თვისება აქვს; გაცხელებით კვერცხის ცილასავით იჭრება და სიმყავეთა ზედმოქმედებით შედედდება.—ამათ გარდა გამოცდილება კიდევ გვიჩვენებს რძეში ერთ სხვა სხეულს, ეგრედ-წოდებულს რძის შაქარს ანუ ლაქტოზას და ამასთან ცოტაოდენ მინერალურ ნივთიერებასაც, რომელშიაც ფოსფორის სიმყავის კირიან მარილს დიდი ადგილი უჭირავს.

ამ ნივთიერებათა ურთიერთი რაოდენობა ყოველ რძეში ერთი არ არის და მისი შედეგნილება იცვლება სხვა-და-სხვა

გარემოების ზედ-მოქმედებით; საზოგადოდ ეს დამოკიდებულია ძროხის აგებულობასა, ჯიშსა, წლოვანობასა, საკვებავსა და ადგილის ტემპერატურაზე.

აქ მოკლედ გავარჩიოთ ყველა ეს ნივთიერებანი და მათი თვისება:

1) **ცხამოვანა** ნივთიერებანა, ეწმხ. თუ რძეს მიკროსკოპით გავსინჯავთ, ცხადად ვნახავთ, როგორც წინადაც ვთქვით, რომ შიგ ტივტივებს მრავალი რიცხვი პატარ-პატარა ბუშტებისა, რომელთა დიამეტრიც ერთგვარი არ არის და იცვლება მილიმეტრის ერთ მეათასიდან ათ მეათასამდე ( $\frac{1}{1000}$ — $\frac{10}{1000}$  მილიმეტრისა). როგორც უკვე ვთქვით, ეს ბუშტები ერბოა. მიკროსკოპი იმასაც გვიჩვენებს, რომ ყოველი ბუშტი რაღაცა ბრწყინვალე კანშია გახვეული, თითქო ყოველ ბუშტს თავისი გარსი ჰქონდეს და ისე იყოს შედგენილი, როგორც ყოველი ბუტკი ანუ უჯრედი. ეს მოვლენა ჯერ კარგად გამოკვლეული არ არის და გარსის არსებობა სრულიად გადაწყვეტილი არ არის, თუმცა კი ამას დიდი მნიშვნელობა აქვს; გარსის ყოფნას შეუძლიან ძირეულად შესცვალოს ერბოს მომზადება. რძის შედღვევით ანუ შენჯღრევით ერბოს მომზადება დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდე ჯერ კარგად არ არის შეგნებული და გაცვლელი. ის გარემოება, რომ ერბოს ბუშტები რძეში ერთიერთმანეთზე ძალიან ახლო-ახლოა და ერთი-ერთმანეთს კი არ უერთდებიან, თითქო ამტკიცებს გარსის არსებობას; ამას გარდა, არის ზოგიერთი ქიმიური რეაქციებიც, რომელთაც თითქო გვარწმუნებენ, რომ ერბოს ბუშტებს გარსი აქვთ: ყველამ კარგად იცის, რომ ერბო ეთერში კარგად იხსნება, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს ამის წინააღმდეგს; თუ რძეს ცოტაოდენს ეთერს მივუმატებთ და შევანჯღრევთ, ამ ეთერში ერბო მაინც არ გაიხსნება; თუ ამასთან ცოტაოდენ ნაცრის ტუტსაც მივუმატებთ, მაშინ კი მთელი ერბო ეთერში გადავა. ერბოს ბუშტების გარსის მომხრენი შედღვევით ერბოს მოკრეფას და ტუტის შემწეობით ეთერში გახსნას იმით აგვიხსნიან, რომ პირ-

ველ შემთხვევაში, ესე იგი შედღევების დროს, ამ ბუშტებს გარსი უსკდებათ და განთავისუფლებული ერბოს წვეთები ადვილად ეკვრებიან ერთი-ერთმანეთს და გროვდებიან; მეორე შემთხვევის ასახსნელად, ესე იგი ტუტის მონაწილეობას ერბოს გახსნის დროს ეთერში იმას აწერენ, რომ ვითომ ტუტი ხსნიდეს ან არღვევდეს ვარასს და განთავისუფლებული ერბო ადვილად იხსნებოდეს ეთერში. ეს ადვილი მისაღები იქნებოდა, თუ ამის წინააღმდეგი არა ყოფილიყო-რა და ან ამ მოვლენათა ახსნა სხვა ნაირად არა ყოფილიყო შესაძლებელი. მართლა-და, თუ ერბოს წვეთები გარსში ყოფილიყო გახვეული, მაშინ ძნელი ასახსნელი იქნებოდა ტემპერატურის მნიშვნელობა შედღევების დროს; გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ 10<sup>0</sup>-ზე დაბლა შედღევების დროს ერბო არა გროვდება და არც 20<sup>0</sup>—25<sup>0</sup>-ზე მაღლა. ერბოს რომ გარსი ჰქონოდა და მისის დასკდომის შემდეგ შეკრებილიყო ერბო, მაშინ რატომ 10<sup>0</sup>-ზე ქვეით არ იკრიფება? განა ამ ტემპერატურაში კი არ დასკდება გარსი? ამას გარდა, ერბოს მოკრეფა რომ გარსის დასკდომაზე იყოს დამოკიდებული, მაშინ რატომ მაღალ ტემპერატურაში არა გროვდება ერბო, როცა გარსის დასკდომა უფრო ადვილი მოსალოდნელია.—აქედან ცხადია, რომ ერბოს ბურთებს არავითარი გარსი არა აქვთ და მათი ერთი-ერთმანეთზე გაშორება დამოკიდებულია მხოლოდ მათ ერთგვარ ფიზიკურ მდგომარეობაზე. ის გარემოება, რომ ერბოს წვეთები ეთერში არ იხსნება, ადვილი შესაგნებია, თუ კარგად გამოვიკვლევთ ეთერის მოქმედებას რძეში მყოფ აზოტიურ ნივთიერებაზე, ხაჭოზე, რომელიც ამის გამო იჭრება და ილექება; ამ აჭრის დროს ერბოს ბუშტები ხაჭოში რჩება გახვეული და ეთერი ამისთვის ვეღარ ჰმოქმედობს, ვეღარა ჰხსნის. რაიცა შეგხება იმ მოვლენას, რომ ნატრის ტუტი შველის ერბოს ეთერში გახსნას, ესეც ადვილი წარმოსადგენია, რადგანაც ყოველი ტუტი ხაჭოს ხსნის, ერბო მაშინ თავისუფალია და ადვილად იხსნება ეთერში.

აქედან ცხადია, რომ ერბოს მდგომარეობის შესაგნებად გარსის მყოფობა სრულიად საჭირო არ არის. აქ საქმე მხო-

ლოდ იმით აიხსნება, რომ ერბო ძალიან განაწილებულია, მისი წვეთები ძალიან დაწვრილებულია და ამგვარად ტივტივებენ შიგ რძეში, რომელიც ცოტაოდნად წებოვანია; ერბოს წვეთები ამ წებოვან სხეულშია გახვეული და სფერულის მდგომარეობის გამო დიდ ხანს რჩება ამ მდგომარეობაში. მაშ აქსრულიად მატერიალური ანუ ფისიკური მოვლენაა; ამ შემთხვევაში ერბოს წვეთები მარტო ზედაპირის მიმზიდაობის (tension superficiele) ქვეშ არიან, რომელიც წარმომდგარია კაპილარულ ძალთა მოქმედებით; ეს არის მიზეზი მათის სფერული მდგომარეობისა. ამავე მდგომარეობაში იქნება ყოველი ჩხინტი სხეული, როცა მასზე სიმძიმე (pesenteur) არ მოქმედობს. ამის გამო ფიცარზე დასხმული ვერცხლის წყალი წვრილ სფერებად იქცევა ხოლმე და აგრედვე ბურუსში მყოფი წყლის წვრილ-წვრილი წვეთები. ესევე ზედაპირული მიმზიდაობა უშლის ერბოს ბუშტების შეერთებას. მხოლოდ ძალ-დატანებით, შედღვებით ანუ შენჯღრევით შეიძლება მათი შეერთება.

ის გარემოება, რომ შედღვების დროს ერბო არც დაბალ და არც მაღალ ტემპერატურაში არა გროვდება, იმით აიხსნება, რომ დაბალ ტემპერატურაში ერბო იყინება, მაგრდება და ერთი ერთმანეთს ვეღარ ეწებება; ესევე შეწებება და მოგროვება შესაძლებელი არ არის მაღალ ტემპერატურაშიაც, რადგანაც გამთბარ ერბოს წვეთები შენჯღრევის დროს ისევ გასცილდება, ისევ მოშორდება ერთმანეთს. მაშ შესაძლებებ რძეს ისეთი ტემპერატურა უნდა ჰქონდეს, როცა ერბო არც გამაგრებულია და არც დამღნარი, არამედ ცომივით რბილია; მხოლოდ მაშინ ერთი-ერთმანეთის მოხვედრით ერთმანეთს მიეკვრება და, რადგანაც შეწებების ძალა კარგა ძლიერი იქნება, შემდეგის დღეებით აღარ განშორდება ერთმანეთს.

ამგვარის წარმოდგენით ძალიან კარგად და ნათლად აიხსნება ერბოს ყველა ის თვისება, რომელიც ზემოდ განვმარტეთ და ამის გამო გარსის არსებობაც საჭირო აღარ არის.

ყველას შეუძლიან თვითონ მოამზადოს ხელოვნურად იმისთანა რძე, რომელიც როგორც გარეგანის შეხედულობით, ისე


ერბოს მარცვლების თვისებით და სახით, სრულებით მიემსგავსებოდეს ბუნებურს რძეს. საჭიროა მხოლოდ წყალში ისეთი რამ წებოვანი ნივთიერება გავხსნათ, რომელიც თვისის გარეგანის თვისებით მიემსგავსება რძის ხაქოს. ამისათვის ხმარობენ ბევრ სხვა-და-სხვა ნივთიერებას და მათ შორის საპონი უფრო გამოსადეგია; საპნის წყალი რომ ავიღოთ და შიგ ცოტაოდენი ზეთი ჩავასხათ ან გამდნარი ერბო და ძალიან შევანჯღრიოთ, ეს საპნიანი წყალი გარეგანის შეხედულებით სრულიად რძეს დაემსგავსება და, თუ ამის ერთ წვეთს მიკროსკოპში ვნახავთ, ერბოს წვეთებს აქაც ისეთივე შეხედულობა ექნება, როგორც რძეში. ამასთან ზოგიერთი გარეგანი თვისებაც რძის გვარი იქნება: რამდენისამე ხნის შესვენებით ამასაც პირზე ნაღები მოექცევა. ერთის სიტყვით, ესე ხელოვნურად მომზადებული ემულსია ძნელი-ლა გასარჩევი იქნება რძისაგან. ყველამ კარგად იცის, რომ საპონი ადვილად ქაფდება; რა არის ამის მიზეზი? რასაკვირველია ისა, რომ საპნიან წყალის ნაწილებს დიდი მიზიდულება აქვს ერთმანეთისადმი და ამის გამო ამ წყალში გახვეული ჰაერი შიგვე რჩება მომწყვდეული და აქაფებს (საპნიან წყალის ზედაპირის მიმზიდობა რომ ძლიერია, ეს იმ ყმაწვილების თამაშობიდანაცა სჩანს, რომელსაც ბუშტაობას ეძახიან: საპნიან წყალში ჩალის მილებს ასველებენ და ბუშტებსა ჰბერავენ; ამ შემთხვევაში ბუშტების გარსი ისე თხელია, რომ ბუშტები ჰაერში აღის და ტივტივებს). აირძის ამ გვარი წებოვნება ანუ გარეგანი ნაწილების ერთმანეთთან მიზიდულება არის მიზეზი, რომ ერბოს წვეთები სფერებად არის გადაქცეული; ესევე ძალაა იმის მიზეზიც, რომ ეს წვეთები ვერც ერთი-ერთმანეთს უერთდება და ვერც სიჩქარით ეცლება რძეს; შესაერთებლად დიდი შენჯღრევა და შესაფერი ტემპერატურა არის საჭირო და პირს მოსაკრეფად (ნაღება, ჩუმა) შესაფერი ღროს განმავლობა. ახლა საკითხავი ეს არის: რძეში ერბო რა მდგომარეობაშია? როგორც ვიცით, თბილ-სისხლიან ცხოველს და, მაშასადამე, ძროხასაც ტემპერატურა 37° აქვს და ამ ტემპერატურაში ერბო უეჭველად გამდნარია. მოწველის შემდეგ ესევე რჩე-



ბა თუ მაგრდება? ჩვეულებრივ ტემპერატურაში ერბო რეზული უნდა იყოს. თუმცა ერბო ერთ რომელსამე ტემპერატურაში არა დნება, მაგრამ მაინც  $23^{\circ}$  ქვეით ყოველთვის გამაგრებულია. ერბო ერთბაშად არა დნება, ჯერ დარბილდება ცომივით და შემდეგ თანდათან დადნება;  $33^{\circ}$ -გრადუსზე ერბო სრულიად გადნება და თავისთავადვე გამაგრდება, როცა იმისი ტემპერატურა  $23^{\circ}$ -დინ დაიწევს. მაშ ჩვეულებრივ ტემპერატურაში, ესე იგი  $20^{\circ}$ -ქვეით გამდნარი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა კი მიკროსკოპი სულ სხვას გვიჩვენებს; ამ ტემპერატურაშიც გამდნარია? რა არის ამისი მიზეზი? ფისიკა გვასწავლის, რომ ზოგიერთი სხეულები ზოგიერთ გარემოებაში გაცივებით არ დამაგრდება, თუნდ რომ მათის დადნობის ტემპერატურაზე უფრო დაბალ ტემპერატურაში იყოს გაცივებული. ამ მოვლენას გერმანიელები გადაჭაგებას ეძახიან (im Unterkühlten Zustande) და ფრანგები ზეგადადნარობას (l'état de Surfusion). ამის დასამტკიცებლად შეიძლება ასეთი საქმე განვაცადოთ: ხვერდის ნაჭერს რომ წყალი შევაშაპუნოთ, ეს წყალი პატარ-პატარა წინწყლებად დაიყოფება და თვითუღოს დარგვალეული, სფერული შეხედულობა ექნება. როგორც ვიცით, წყალი იყინება ანუ მაგრდება  $0^{\circ}$ , მაგრამ ამ ხვერდზე მყოფის წყალის გაცივება შეგვიძლიან უფრო დაბლა— $5^{\circ}$  და მაინც ისევ წყლად დარჩება. ეს არის გაცივებული ანუ ზეგადამდნარი მდგომარეობა. თუ ეხლა ამ მდგომარეობაში მყოფ წყალს ძლიერ შევანჯღრევთ, მაშინვე გაიყინება, გამაგრდება. ამბობენ, რომ ერბოც ამავე მდგომარეობაშიაო თვისის სფერულის მდგომარეობის გამო; თუმცა ის ჩვეულებრივს გარემოებაში და რძისაგან გაშორებული  $23^{\circ}$  მაგრდება, მაგრამ რძეში კი თითქმის ყოველ ტემპერატურაში გამდნარი რჩება. თუ შევანჯღრევთ ძალიან, მაშინ მოსალოდნელია მისი გამაგრება.—როგორც სოქსლეტი გვარწმუნებს, ესევე უნდა მოხდეს შედღვების დროს და ამის გამო ერბოს წვეთები ერთი-ერთმანეთს ეწებება და ერბო გროვდება.—ეს აზრი ადვილი შესაწყნარებელია, თუ შედღვების დროს რძის

ტემპერატურა მაღლა იწევს, ესე იგი რძე თბება ერბოს მოგრძობის დროს. გამოკვლეულია, რომ როცა რომელიმე სხეული ჩხინტოვან მდგომარეობიდან მაგრობის მდგომარეობაში გადადის, უეჭველად სითბო ჩნდება; მაშ გამდნარ ერბოს გამაგრების დროსაც სითბო უნდა გაჩნდეს; სამწუხაროდ, ეს ჯერ არავისგან არ არის შენიშნული; პირიქით, ერთმა ფრანგმა მსწავლელმა ლეზემ (Lezé) შემდეგი განიცადა: აიღო და ერთ საღებვებელში 500 ლიტრი ნაღები ჩაასხა (crème) და მეორეში ამდენივე წყალი და ორივე სდღვია ერთის ხნის განმავლობაში, ე. ი. ერბოს მოგრძობამდე. ამ შემთხვევაში რძეც და წყალიც ერთ გვარად გათბა, ტემპერატურამ ორსავე საღებვებელში მარტო 2<sup>0</sup>-ზე აიწია. მაშ ამ სითბოს ამაღლება მარტო მოძრაობას უნდა მიეწეროს. ეს გარემოება იმას უნდა მიეწეროს, რომ ერბოს დნობის ტემპერატურა ძალიან მცირეა და ამასთან ერბო არც ერთბაშად გადადის მაგარ მდგომარეობაში. რაც უნდა იყოს, მაინც ცხადი ის არის, რომ ერბოს წვეთები გროვდება და იკრიფება მხოლოდ შედღებებით და შესაფერ ტემპერატურაში.

რძეში ერბოს წვეთები დარგვალეზულია ბურთებივით, რომლებიც ისე პატარებია, რომ თვალით არა სჩანს. რძე რომ გამჟღავნებული არ არის, ეს ამ ერბოს წვეთების სფერულ (ბურთებივით რგვალ) მდგომარეობის მიზეზია. მიკროსკოპით გასინჯვის დროს ჩვენ ვნახავთ, რომ ეს სფერები სხვა-და-სხვა ტანისაა (სურათი 1); ზოგი კარგა მოზდილებია და ზოგი კი




სურათი 1.

ძალიან პაწაწინები და მათში ამ უკანასკნელების რიცხვი უფრო გადამეტებულია; ყველაზე დიდონ ბურთების დიამეტრი უდ-


რის  $0,01$  მილიმეტრისას და წვრილებისა კი მხოლოდ  $0,0016$  მილი-

მეტრს, ასე რომ დიდრონ ბურთების დიამეტრი  $6,25$  ჯერ უფრო დიდია, ვიდრე წვრილებისა. მათი ურთიერთი შედარებითი ტანი შეიძლება აქ მოყვანილ სურათით (სურათი 2) გამოვხატოთ. რძეში ყველა ერბოს ბურთები რომ დიდი ტანისა ყოფილიყო, მაშინ მათი რიცხვი ერთ ლიტრ რძეში იქნებოდა დაახლოვებით  $80,000$  მილიონი, მაგრამ რადგანაც წვრილი ბურთები უფრო გადამეტებულია, ამისათვის მათი რიცხვიც მეტია აქ ნაჩვენებ  $80,000$  მილიონზე; სულ რომ წვრილი ბურთები ყოფილიყო, მაშინ მათი რიცხვი  $20$  ბილიონამდინ აიწვედა.










სურათი 2.

თუ ახლა ქიმიურად გავსინჯავთ ერბოს, დავრწმუნდებით, რომ ერთი სხეული არ არის, არამედ შესდგება სხვა-და-სხვა სიმჟავეთა გლიცერინის ეთერებისაგან და ამასთან ყველა მათგანი ერთგვარად არის აშენებული. რადგანაც გლიცერინი სამ-ატომიანი ალკოგოლია, ამისათვის მას უერთდება სამი ნაწილი სიმჟავისა სამ ნაწილ წყალის გამოცლით. ერბოც, ქონიც და ზეთიც ამგვარადვეა სიმჟავეთა და გლიცერინის შეერთებით აშენებული; მაგალითად ავიღოთ სტეარინის სიმჟავე და გლიცერინი:



რადგანაც, როგორც ვთქვით, სამი ნაწილი სიმჟავისა და ერთი ნაწილი გლიცერინისა ერთმანეთს უერთდება სამ ნაწილ წყალის გამოცლით, ამისათვის ქიმიაში ამ ეთერებს იმგვარი სახელი დაარქვეს, რომ იმათის შედგენილების გაგება შეიძლებელი ყოფილიყო იმათივე სახელით. ტრისტეარინი (tristéarine), ტრიპალმიტინი (tripalmitine), ტრიოლეინი (trioléine) და სხვანი. ესევე ეთერები, როგორც უკვე ვთქვით, ქონშიაც და ზეთშიაც არის ხან სამივე ერთად, ხან უფრო მეტი და ხან

მარტო რომელიმე. ერბო ქონისა და ზეთისაგან მხოლოდ იმითი განიჩნევა, რომ ერბოში მოიპოვება ამათ გარდა ადვილად ასაორთქლებელი ცხიმოვან სიმჟავეთა გლიცერინის ეთერები, რომელიც ქონსა და ზეთში ძალიან იშვიათია. გენცის გამოკვლევა გვაუწყებს, რომ ერბოში 9 ეთერი არის ანუ ცხრა ტრიგლიცერიდი:



ამათში შერეულია კიდევ ცოტადენი მირისტინი და კაპრინი.

ქიმიურად ერბოს სრულიად განსაკუთრებული შედგენილება აქვს, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, ადვილად ასაორთქლებელ ცხიმოვან სიმჟავეთა გლიცერიდებიც ურევია, თუმცა კი ამ უკანასკნელთა რაოდენობა ბევრი არ არის და შეადგენს მხოლოდ 9<sup>0</sup>/<sub>100</sub> სხვა გლიცერიდებთან შედარებით; მაშ სხვა გლიცერიდების რაოდენობა 91<sup>0</sup>/<sub>100</sub> იქმნება; რაც შეეხება გლიცერინისა და სიმჟავეთა ურთიერთ რაოდენობას, ანალიზი გვაუწყებს, რომ სიმჟავეთა რაოდენობა ერთად აღებული უდრის 94,5<sup>0</sup>/<sub>100</sub> და გლიცერინისა კი მხოლოდ 4,5<sup>0</sup>/<sub>100</sub>.

აი ერბოს შედგენილება:

ოლეინი = 42,2<sup>0</sup>/<sub>100</sub>

პალმიტინი, }  
სტეარინი და } = 50,0  
მარგარინი }

ბუტირინი, }  
კაპროინი და } = 7,8  
კაპრილინი }

აქვე საჭიროა ვთქვათ, რომ ყოველ ძროხის ერბოს და ყოველ დროს ესეთი შედგენილება არა აქვს; დიუკლოს გამოკვლევა გვაუწყებს, რომ ზოგიერთი ძროხის ერბოში უფრო ბევრია ადვილად ასაორთქლებელ ცხიმოვან სიმთავეთა გლიცერიდები. ამ განსხვავებაზე დიდი გავლენა აქვს როგორც კერძოდ თვითეულ ძროხის აგებულებას, ისე საკვებას და წველის პერიოდს. სამწუხაროდ, ძროხის ჯიშის გავლენა ამ მხრით ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული, თუმცა კი ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ ერთგვარ კვების დროს და ერთგვარ გარემოებაში, ზოგიერთი ძროხის ერბო, როგორც ფერით, ისე გემოთი, ცხადად განიზრჩევა სხვა ძროხის ერბოსაგან. მაშინ განსხვავება სრულიად დამოკიდებული უნდა იყოს ძროხის აგებულობასა და ჯიშზე. ამ მხრით საგულისხმოა გეტყვეს გამოკვლევა სამი ძროხისა, რომელთა შორისაც ერთი სიმენტალის ჯიშისა იყო, მეორე — ოსტფრისლანდიისა და მესამე — ჯერსეისა; ეს სამივე ძროხა ერთგვარად იყვნენ ნაკვები და მოვლილი და ამის მიუხედავად მათს ერბოში დიდი განსხვავება იყო: ზოგის ერბო უფრო მალე დნებოდა და ზოგისა კი — გვიან. ამას გარდა, თითონ რძეში ბურთების დიამეტრი სხვა-და-სხვა იყო: ჯერსეის ჯიშის რძეში ამ ბურთების დიამეტრი იყო 0,0009 — 0,0042  $m/m$ , ოსტფრისლანდიის ძროხის რძეში ეს დიამეტრი უდრიდა 0,0068 — 0,0021  $m/m$  და სიმენტალისაში 0,004 — 0,0027  $m/m$  და ამასთან ჯერსეის ძროხის ერბოს უფრო ნაზი გემოდა დიდი არომატი ჰქონდა, ვიდრე სხვა ძროხების ერბოსა.

რაც შეეხება საკვებავის ზედ-მოქმედებას ერბოზე, არც ეს არის კარგად გამოკვლეული; კირხნერის გამოკვლევიდან კი სჩანს, რომ თუ ძროხას ხველი თივა ეძლევა, იმის ერბო უფრო დაბალ ტემპერატურაში დნება და მაშასადამე უფრო რბილია, ვიდრე ნედლი ბალახით ნაკვების ძროხისა, თუმცა კი იმისთანა გამოკვლევანიც არის, რომელიც წინააღმდეგს ამტკიცებს.

წველის პერიოდის გავლენა იმაზედ ეტყობა, რომ ახალდედის ძროხის ერბოში უფრო ბევრია ადვილად ასაორთქლე-

ბელ გლიცერიდების რაოდენობა და ამის გამო ერბო უფრო რბილია და რამდენადაც დრო გადის, იმდენად ამ გლიცერიდების რაოდენობა მცირდება და ერბო უფრო მაგარი ხდება.

ერთის სიტყვით, ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული, რა გარემოება უფრო მოქმედობს ამ ადვილად ასაორთქლებელ ცხიმოვან სიმეფეთა რაოდენობაზე ერბოში. მაგრამ ამასთან ეს კი ცხადია, რომ ერბოს გემო და სუნნელოვანება ამ გლიცერიდებზეა დამოკიდებული; რამდენადაც ბევრი იქნება ეს გლიცერიდები ერბოში, იმდენად ერბო უფრო ნაზია და სუნნელოვანი.

?) რძის აზოტაურა ნავთიერებანა. ერბოს შემდეგ რძეში აზოტიური ნივთიერებანია უმთავრესი და საქარო ნაწილი; ამბობენ, რძეში ოთხგვარი აზოტიური ნივთიერება არისო: კაზეინი (ხაჭო), ალბუმინი, ლაქტოგლობულინი და ლაქტოპროტეინი, თუმცა კი ზოგნი, როგორც მაგალითად დიუკლო, ამის წინააღმდეგნი არიან. დიუკლოს აზრით, რძეში მარტო ხაჭო (კაზეინი) არის, თუმცა კი სამ სხვა-და-სხვა მდგომარეობაში: ერთი ნაწილი რძეშია გახსნილი, მეორე გაქვნილია სახამებელის ბუბკასავით და მესამე კი ისე ტივტივებს რძეში; ზელდერი და ზებელინი კი ამის წინააღმდეგ ამტკიცებენ, რომ, თუ ყველა არა, სამი სხვა-და-სხვა გვარი აზოტიური ნივთიერება მაინც არისო. რომელი მათგანი უფრო მართალია, ჩვენ ამის გამოკვლევას არ შევუდგებით, რადგანაც ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მეტადრე უფრო იმიტომ, რომ სამ უკანასკნელ აზოტიურ ნივთიერებათა რაოდენობა ისე მცირეა, რომ ყურადღების ღირსიც არ არის; ალბუმინის რაოდენობა შეადგენს  $0,6\%$ , ლაქტოგლობულინი მხოლოდ რამდენიმე მილიგრამია ლიტრში და ლაქტოპროტეინი მხოლოდ  $0,18\%$ .


ამის გამო ეხლა ჩვენ მხოლოდ ხაჭოს თვისებას და შედგენილებას გავარჩევთ და შემდეგ თავის ადგილას, განსაკუთრებით ყველის მომზადების დროს, სხვებსაც შევცხებით.

საჭო ანუ კაზეინი. თავისუფალი ხაჭო წყალში არ იხსნება და მისი შედგენილება კვერცხის ცილას მოგვაგონებს, თუმცა

კი უფრო ნაკლებს აზოტს შეიცავს, ვიდრე კვერცხის ცილა-  
 ხაჭოს ქიმიური შედგენილება ძალიან რთულია, მრავალ ელემენტებისაგან არის შედგენილი, რომელთა რაოდენობაც შემდეგია:

ნახშირმბადი	= 53,0 %
წყალმბადი	= 7,12—
აზოტი	= 15,65—
ქანგმბადი	= 22,60—
გოგირდი	= 0,78—
ფოსფორი	= 0,85—
	<hr/>
	100,00

ამ რიცხვების გამო ხაჭოს შედგენილება ასე უნდა გამოიხატოს ქიმიურ ფორმულით:



ხაჭო ადვილად უერთდება სხვა-და-სხვა ტუტეს და მარილის დაგვარ სხეულს იძლევა და ამ მდგომარეობაში წყალში კარგად იხსნება; ხაჭო აგრედევე კარგად იხსნება სიმჟავე-მიმატებულ წყალშიაც, თუმცა კი სუსტ ანუ ძლიერ დანელებულ სიმჟავეთა ზედ-მოქმედებით, დედის ან ღვრიტის მიცემით კი იჭრება ანუ ხაჭოვდება; აგრეთვე გავლენა აქვს ზოგიერთ მარილოვან სხეულს, ალკოგოლს და ეთერს; თუ რძეს წინად მიმატებული ჰქონდა რომელიმე ტუტი, მაშინ ან სულ არ აიჭრება და ან ძალიან დაგვიანდება აჭრა. პირ-იქით სითბო კი ხელს უმართავს სიმჟავეთა და ღვრიტის ზედ-მოქმედებას.

ერთის სიტყვით, რძის ხაჭოს ისეთივე თვისება აქვს, როგორც წყალში გახსნილ კვერცხის ცილას. ამ ხაჭოს მრეწველობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს არის ყველის მოსამზადებელი მასალა.

ჩვენ წინად ვაქვით, რომ ერთი ნაწილი ხაჭოსი რძეშია გახსნილი და დანარჩენი კი არ არის გახსნილი და ამ უკანასკნელში ერთი ნაწილი აღუღებული სახამებელივით გაჟღენთილია რძის ნივთიერებით და დანარჩენი კი შიგ რძეში ტივ-

ტივებს. ხაჭოს ამგვარი მდგომარეობა დიუკლომ და სხეულებში  
 ზევრმა ცხადად დაამტკიცეს; აი დიუკლოს გამოკვლევა: მან  
 რძე აადულა, ჩაასხა მაღალ კიქაში და ისე შეინახა დიდ ხანს,  
 რომ არ აპრილიყო და არ შედედებულყო. რამდენისამე ხნის  
 შემდეგ რძემ პირზე ნაღები მოიგდო და ძირს დაილექა თეთ-  
 რი ნივთიერება; ამ ლექის რაოდენობა უდრიდა ადებულის რძის  
 ნახევარს. ახლა ცალკე გამოიკვლია როგორც ლექის შედგე-  
 ნილება, ისე ამ ლექზე მყოფის რძისაც. ამ ლექის 10 კ. ს.  
 დააშრო და ასწონა; ამის წონა უდრიდა 12,5% (ექსტრაქტი);  
 ზედა რძიდანაც აიღო 10 კ. ს. და ესეც დააშორა და ასწო-  
 ნით გამოვიდა 8,5% (ექსტრაქტი); მაშ პირველის ანუ ლექის  
 ნაშთი გადამეტებული იყო 3,5%-ით. ამ ორივე ნაშთში შეი-  
 ტყო ხაჭოს რაოდენობა და ლექის ნაშთში ამოჩნდა 5,5% ხა-  
 ქო და მეორეში კი მარტო 2,3%; მაშ ლექში 3,2% მეტი ხა-  
 ქო გამოჩნდა. რადგანაც ორისავე გასინჯულ რძეს (ლექისა და  
 ამაზე ზევით მყოფის რძისა) ტანი ერთი და იგივე იყო (10 კ.ს.)  
 და ჭურჭელშიაც მათი რაოდენობა თანაბარი იყო, ამისა-  
 თვის რძეში მოტივტივე ხაჭოს რაოდენობა უნდა შეადგენდეს  
 1,6% (ლექში ხაქო გადამეტებული იყო 3,2% და რადგანაც  
 ამის ნახევარი დაწმენდილ რძეს უნდა ეკუთნოდეს, ამისათვის  
 $\frac{3,2}{2} = 1,6$  იქნება). ამასთან ამავე რძის ნიმუშში დალექის წი-  
 ნად იყო შეტყობილი ხაჭოს რაოდენობა და უდრიდა 3,4%,  
 ამისათვის რძეში მოტივტივე ხაჭოს რაოდენობა გამოვა  $\frac{2}{5}$  ანუ  
 $\frac{4}{10}$  მთლად ხაჭოსი. ნაღებ-მოხდილი რძე რომ საწურავ ქალაღ-  
 ში გავწუროთ, ქალაღზედაც დარჩება რაოდენიმე ხაქო და  
 ეს თავისის თვისებით და რაოდენობით მიემსგავსება დალექილ  
 და, მაშასადამე, არა გახსნილ, მოტივტივე ხაჭოს.

ქალაღში გაწურული რძე, როგორც დალექით დაწმენ-  
 დილი, შეიცავს ერთგვარ ხაჭოს, რომელიც რძეში გახსნილი  
 არ არის, თუმცა კი ქალაღის ფილტრში გადის. ქალაღში  
 გაწურული რძე მაინც სრულიად გამჭვირვალე არ არის და გა-  
 თობობის დროს ისევე იკეთებს კანს, როგორც გაუწურავი რძე.  
 თუ ამ რძეს მივუმატებთ ერთ გვარ მარილს, კირიანი ქლო-

რის მარტოს, რამდენისამე ხნის შემდეგ სრულიად შედედდება ელექტრონიკით. ქალაქში გაწურული რძე ან დაწმენდილი რძე რომ თიხის ფილტრში გაწურვით, გამოეცლება რაოდენიმე ხაჭო, რომელიც ფილტრზე დარჩება; ეს ხაჭო ძმრის სიმკვავეში კარგად იხსნება; აგრედვე თუ ამ ხაჭოს წყალში კარგად გავსრესთ, ეს წყალი რძეს დაემსგავსება. თიხის ფილტრიდან გამოსული რძე ცოტად მღვრივეა, მოთეთრო ფერი აქვს, ძმრის სიმკვავის ზედ-მოქმედებით იჭრება და, თუ ძმრის სიმკვავეს მეტს მივუმატებთ, აჭრილი ხაჭო ისევ გაიხსნება. თუ ფილტრზე დარჩენილ ხაჭოს კირის წყალს მივუმატებთ, ის იმ წყალში კარგად აირევა და სრულიად რძეს მიემსგავსება შეხედულებით. აქედან ცხადია, რომ იმ ხაჭოს გარდა, რომელიც რძის ქალაქში გაწურვის დროს ქალაქზე დარჩა, რძეში არის იმისთანა ხაჭოც, რომელიც ქალაქის ფორებში გადის და თიხის ფორებში კი არა. ამ უკანასკნელსაც გარეგანი შეხედულობა ისეთივე აქვს, როგორც რძეში მოტივტივე ხაჭოს. თიხის ფილტრზე დარჩენილი ხაჭო კალიდია ანუ გაყვანილი სახამებელის ბუბკის დაგვარი. ამ ორისავე ხაჭოს რაოდენობა, ესე იგი ქალაქსა და თიხაზე დარჩენილისა, შეადგენს  $\frac{9}{10}$  რძის მთელ ხაჭოსას.

როგორც ვთქვით, თიხაში გაწურული რძე ცოტა მღვრივეა, მაგრამ მაინც გამჭვირვალეა და ოდნად შეღებილია თეთრად. აზოტიურ ნივთიერებათა რაოდენობა ამ ნაწურში შეადგენს მხოლოდ  $\frac{1}{10}$  მთელის ხაჭოსას რძეში. აქ არის მოგროვილი ალბუმინი, ლაქტოპროტეინი და ხან პეპტონიც. თუ ამ ნაწურს გავაცხელებთ, აიღვრევა დუღილის წინად და მით გვიჩვენებს, რომ კვერცხის ცილის თვისება აქვს, ალბუმინისა; თუ გათბობის დროს ცოტაოდენ ძმარს მივუმატებთ, უფრო ადვილად აიჭრება და უფრო დიდ ლექს იძლევა; თუ ძმარი გადაემეტა, მაშინ ლექი ისევ გაიხსნება. ეს გარემოება, ესე იგი ლექის ხელმეორედ ძმარში გახსნა, იმას გვიბტკიცებს, რომ ეს ლექი ხაჭო არის, მაშ თიხაში გაწურულ რძეში კიდევ დარჩენი-

ლა ცოტაოდენი ხაჭო. გაცხელებულ და ამღვრეულ ნაწურის ხელმეორედ გაწურვის შემდეგ რომ ალკოგოლი მივუმატოთ, ეს კიდეც აიზღვრება და დაილექავს. ეს ლექი ლაქტობროტენია. როგორც წინადაცა ვთქვით, დიუკლო ამის წინააღმდეგია და ამტკიცებს, რომ ეს სხეულებიც წმინდა ხაჭო არის და მართლა ბევრის მაგალითებით ამტკიცებს, რომ ამ სხეულებსაც ხაჭოს თვისება აქვს; იმის აზრით, თუ ამ სხეულთა და ხაჭოს შორის რაიმე განსხვავებაა, ეგ განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ეს სხეულნი წყალში არიან გახსნილნი. მართალია თუ არა დიუკლოს აზრი, ამაზე ჩვენ ვერას ვიტყვი, მხოლოდ კიდეც გავიმეორებთ, რომ ბევრი სწავლული ამის წინააღმდეგია და ამტკიცებენ, რომ ეს უკანასკნელები ხაჭო კი არ არის, არამედ ნამდვილი ალბუმინი და ლაქტობროტენი. ასეა თუ ისე, ეს ჩვენთვის დიდ საჭიროებას არ შეადგენს, მხოლოდ ის კი უნდა დავხსოვოთ, რომ რძის შედედების და აჭრის შემდეგ შრატში კიდეც რჩება ცოტაოდენი აზოტიური ნივთიერება, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია და, მაშასადამე, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს.

ის გარემოება, რომ ხაჭო ანუ ბევრი ნაწილი ამ ხაჭოსი რძეში გახსნილი არ არის და მხოლოდ რძით არის გაყვანილი, რძეს ერთგვარ თვისებას აძლევს, რომლის გამოც რძე ცოტაოდენად წებოვანია, რაც თავის მხრით ჰმოქმედობს ერბოს წვეთებზე და ნებას არ აძლევს ერთად შეკრეფისას. სიმჟავეთა ზედმოქმედების გამო ხაჭო გაჟღერითილ მდგომარეობას ჰკარგავს და ილექება; აგრეთვე გავლენა აქვს დვრიტასაც. დალექილი ხაჭო არც წყალში იხსნება და არც წყალით განელელებულ სიმჟავეებში: სხვა-და-სხვა ტუტეში და მაგარ სიმჟავეებში კი იხსნება; გამშრალი ხაჭო თეთრია და რუხი. ხაჭოს სუტის სიმჟავის თვისება აქვს და კარგად უერთდება ტუტეთა ჟანგეულობას. დიუკლოს აზრით, ის ნაწილი ხაჭოსი, რომელიც რძეშია გახსნილი, შეერთებულია კირთან, ასე რომ 100 ხაჭოს ნაწილზე 1,55 ნაწილი კირი მოდის. ამ კირთან შეერთებულ ხაჭოს ხსნილი რძესავით თეთრია და გამჭვირვალე არ

არის. მაშ ის გარემოება, რომ თითონ რძეც გამჟღავნებული არ არის, მარტო ერბოს არ უნდა მიეწეროს; ამაში მონაწილეა ხაქოს ხსნილიც.


ის გარემოება, რომ სიმჟავის მიმატებით რძე იჭრება, იმით აიხსნება, რომ მიმატებულა სიმჟავე კირს უერთდება და ხაქო თავისუფალი რჩება და ამისთვის რძეს ეცლება და ილე-ქება; ამბობენ, რომ ხაქოს გაჟღერებული მდგომარეობა გამო-წვეულია კირის ზედ-მოქმედებითაო. ამის გამო რძის თავისუ-ფლად დამეფების გამო, როცა სიმჟავის რაოდენობა  $0,8\% - 1\%$  ნაკლები არის, რძე აიჭრება და ან შედედდება.

შმიდტის გამოკვლევიდან სჩანს, რომ შენახულ რძეში ხა-ქოს რაოდენობა მცირდება და ამის მაგიერ პეტონი (გადა-გვარებული აზოტიური ნივთიერება) მატულობს, მეტადრე თუ ტემპერატურა შენახული რძისა მაღალია,  $40^{\circ}$ ; ამ სწავლულის სიტყვით, 8 საათის განმავლობაში ამ გარემოებათა შორის ხა-ქომ იკლო  $0,25\%$  (რძეში იყო  $2,21\%$  ხაქო), მაშ  $10\%$ -დან დაუკლია. ეს გარემოება გვაუწყებს, რომ ყველად გადასაკეთე-ბელი რძე დიდ ხანს არ უნდა შეინახოს.

3) **ძმას შაქარა ანუ ლაქტოზა.** ლაქტოზა ერთგვარი შა-ქარია, რომლის რაოდენობაც რძეში ხან  $3\%$  ხან  $5\%$  და ხან ამ რიცხვთა შორისი. ეს შაქარი რომ ჩვეულებრივი ქარხლის შაქარი ან ყურძნის შაქარი ყოფილიყო, რძე გემოთი ძალიან ტკბილი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ვიცით, რძეს სიტკბო ძლივს ეტყობა და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ამ სხეულის რაოდენობა ძალიან გადამეტებულია. რძის შაქარი თვისის შე-დგენილებით ძალიან კი უახლოვდება ქარხლის შაქარს; აი იმი-სი შედგენილება:


ნახშირმზადი	=	$40,0\%$
წყალმზადი	=	$6,1$
ჟანგმზადი	=	$49,8$
წყალი	=	$5,0$

აქედან ამ შაქრის შედგენილება ასე უნდა გამოიხატოს:






ეს სხეული კარგად კრისტალდება და წყალში და ალკოგოლში ადვილად არ იხსნება. აი ეს გარემოება (რძის შაქარი რომ ძნელად იხსნება წყალში) არის მიზეზი, რომ იმას ტკბილი გემო არა აქვს. თუ ამ შაქარს 140<sup>0</sup>-დინ გავაცხელებთ, თავის წყალსა ჰკარგავს და დარჩება C<sup>12</sup>H<sup>22</sup>O<sup>11</sup>; ამ შაქრის ხსნილი ისევე მოქმედობს ფელინგის ხსნილზე (სპილენძის ჟანგს სპილენძის ჟანგულად აქცევს), როგორც ყურძნის შაქარი, თუმცა კი ამას უფრო ბევრი სპილენძის ჟანგი უნდება. ზოგიერთი ფერმენტის ზედ-მოქმედებით ეს შაქარიც ნაწილდება და ალკოგოლს და ნახშირის სიმკვავეს იძლევა; სხვა ფერმენტის ზედ-მოქმედებით ეს შაქარი სხვანაირად ნაწილდება და ამ განაწილების შედეგი რძის სიმკვავე არის. რძის დამკვავების დროს სწორედ ეს სიმკვავე ჩნდება, რომელიც რძის აჭრის მიზეზია. ეს რეაქციები ასე გამოიხატება:



რძის შაქარ. წყალ. ნახშ. სიმ. ალკოგ.

ამ რეაქციაზე არის დაფუძნებული ერთგვარი სასმელის კუქმასის მომზადება.



ლაქტოზა. წყალი. ძმრის სიმე.

4) რძის ნაცარი ანუ მანერალურა ნავთაერებანა. თუ დაშვრალ რძეს ანუ მის ექსტრაქტს ძალიან გავახურებთ და დავწვამთ, ორგანიული ნივთაერება დაიწვის და ამას შემდეგ დარჩება თეთრი მარილი, რომლის რაოდენობაც ერთ ლიტრ რძეში შვიდ გრამზე ცოტა მეტია. ამ მარილში ნახევარზე მეტი ფოსფორის სიმკვავის კირიანი მარილია და ამის გამო შესაძლებელია, რომ ამ მარილს რამე მნიშვნელობა ჰქონდეს რძის ფისიკურ მდგომარეობაში; როგორც ბევრნი ფიქრობენ, იქნება ეს მარილი შეერთებულიც იყოს ზოგ ნაწილ აზოტიურ ნივთიერებასთან. ამგვარ მარილთან შეერთებული აზოტიური ნივთიერება ნაპოვნია ხორბალში და ზოგიერთ ხილშიაც. ეს მარილი რომ ხაჭოსთან არის შეერთებული, ამას ის ამტკიცებს, რომ რძის თიხის ფილტრში გაწურვის დროს, თიხაზე

დარჩენილ ხაჭოში ეს მარილიც მოიპოვება; თუ ეს მარილი ხაჭოსთან შეერთებული არა ყოფილიყო, მაშინ ისიც გავიღოდა ფილტრში, როგორც რძის შაქარი გავიდა. ამ მარილს გარდა, რძის მინერალურ ნივთიერებაში ეხლახან ლიმონის სიმჟავის მარილიც იპოვეს; ამ უკანასკნელს რა მნიშვნელობა აქვს და ან საიდან არის გაჩენილი, ამაზე გადაწყვეტილი ჯერ არა ითქმის-რა; დანარჩენი მარილები შესდგება ქლორისა და სხვადასხვა ჟანგეულობის მარილებიდან. აქ მოვიყვან გენკელის გამოკვლევას ამ მარილების შესდგენილებაზე; მისგან გამოკვლეულ რძეში ლიტრში 9,056 გრამი მარილოვანი სხეულები იყო, რომელიც ასე იყო შეზავებული:

	ერთ ლიტრ რძ. გრ.	რძეში %	ნაცარში %
ნატრიანი ქლორი	0,962 გრ.	0,093 %	10,58 %
კალიანი ქლორი	0,830 —	0,081 —	9,22 —
ერთ-კალიანი ფოსფორის სიმჟ. მარილი	1,156 —	0,112 —	12,74 —
ორ-კალიანი ფოსფ. სიმ. მ.	0,835 —	0,081 —	9,22 —
კალიანი ლიმონ. სიმჟ. მ.	0,495 —	0,048 —	5,46 —
მაგნეზიანი ფოსფ. სიმჟ. მ.	0,386 —	0,038 —	3,75 —
მაგნეზიანი ლიმ. სიმჟ. მ.	0,376 —	0,036 —	4,10 —
კირიანი ფოსფ. სიმჟ. მჟავე მარილი	0,677 —	0,068 —	7,39 —
ნეიტრალი ფოსფ. სიმჟ. კირიანი მარილი	0,806 —	0,078 —	8,87 —
კირიანი ლიმ. სიმჟ. მარ.	2,138 —	0,207 —	23,55 —
კირი ხაჭოსთან შეერთებული	0,465 —	0,045 —	5,12 —
ჯამი . . .	9,056 —	0,879 —	100,0 —

გასინჯულ რძის სიმჟიერხნე იყო 1031 და ამაზე იყო გამოანგარიშებული ამ რძეში მარილოვანთა სხეულთა რაოდენობა.

ერთმა სწავლულმა შრომელმა რამდენისამე ძროხის რძე გამოიკვლია, რომელთა შორის ზოგი ახალ-დედა იყო და ჰნახა, რომ ახალ-დედა ძროხის რძეში კალიქვის რაოდენობა უფ-

რო ბევრი იყო, ვიდრე დიდის ხნის მოგებულების რქეში; ამას გარდა, მან ისიც შეჰნიშნა, რომ კირისა და ფოსფორის სიმ-  
 ჟავის რაოდენობა ხაქოსთან შედარებით ახალ დედა ძროხის  
 რქეში უფრო მომეტებული იყო, ვინემ მეორეთა რქეში, რომელიც ხშირად ნორმალური არ იყო; რადგანაც, როგორც უკვე ვიცით, ფისიკური მდგომარეობა რძისა მჭიდროდ დამო-  
 კიდებულია ხაქოს ფისიკურ მდგომარეობაზე და ესეც თითონ კირის რაოდენობაზე, აქედან ცხადია კირის დიდი მნიშვნელობა რქეში.

5) ღაჭების რაოდენობა რქეში. რაც შეეხება ღაჭების რაოდენობას რქეში, ამათგან მაში მოიპოვება 0,1<sup>0</sup>/<sub>0</sub> ჟანგმბადი, 7,5<sup>0</sup>/<sub>0</sub> თავისუფალი და 0,01—0,02<sup>0</sup>/<sub>0</sub> შეკავშირებული ნახშირის სიმჟავე და 0,75<sup>0</sup>/<sub>0</sub> აზოტი.

რქეში ნაპოვნია აგრედვე შარდივანი (urine), ლეიცინი, კრეატინი, ტიროზინი და სხვანი—ყველანი ძალიან მცირე რაოდენობისა; ეს უფრო მარტივი აზოტიური ნივთიერებანი, როგორც უკვე ვიცით, საკვებავის ნაშთია და, მაშასადამე, მოსალოდნელია.

ამით ვათავებ რძის შედგენილების აღწერას და აქვე მოვიყვან სხვა-და-სხვა ცხოველების რძის შედგენილების სქემასაცა:

	დედაკ. რქე.	ძროხის რქე.	ცხვრის რქე.	თხის რქე.	კამეჩის რქე.	ცხენის რქე.	ვირის რქე.
წყალი	87,02 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	87,5	82,5	87,2	82,4	90,5	89,68
ექსტრაქტი	12,98	12,5	17,5	12,8	17,6	9,5	18,37

ამ ექსტრაქტის ნივთიერებანი ამ რაოდენობით არიან რქეში:

ერბო	4,04	3,4	5,8	4,5	7,8	1,1	1,5
ხაქო	0,94	3,2	5,0	2,8	4,8	1,2	2,15
ალბუმინი	1,28	0,6	1,5	0,5	—	0,7	—
ლაქტო პროტეინი	—	0,1	0,1	—	—	—	—
რძის შაქარი	6,28	4,5	4,8	4,2	4,4	6,1	6,4
მარილ. ნივთიერ.	0,45	0,7	0,8	0,8	0,8	0,4	3,82

ცხვრას რქე. ცხვრის რქეს მოყვითანო ფერი აქვს და ექსტრაქტის რაოდენობა ძროხის რქეზე ბევრად გადამატებულია.



ლი, განსაკუთრებით ერბო და ხაჭო. ცხვრის რძის სიმჭირხნე ხშირად უდრის 1,0867. ზოგიერთი გამოკვლევა გვაუწყებს, რომ ცხვრის რძის შედგენილება ყოველთვის ერთგვარი არ არის და დამოკიდებულია წველის პერიოდზე, ესე იგი იმაზე, თუ რამდენმა დრომ გაიარა ბატკნის დაბადების შემდეგ; რამდენადაც ბევრი დრო გადის ამ ხნიდან, იმდენად თანდითან მატულობს ექსტრაქტულ ნივთიერების რაოდენობა და განსაკუთრებით ხაჭოსი და ერბოსი; შაქარი კი კლებულობს. იმის შესახებ თუ ცხვარი რამდენ რძეს იძლევა, გამოკვლევა ძალიან ცოტა არის. ერთი მერინოსის ცხვარი, რომლის წონაც 35 კილო იყო, დღეში თითო ლიტრ რძეს იწველიდა და სამის თვის განმავლობაში მოწველილ რძის რაოდენობა ცოტ-ცოტაობით 600 გრამამდინ ჩამოვიდა; საფრანგეთის მთის ცხვარი მთელი წველის პერიოდში თავის წონაზე 4—7 ჯერ მეტს იწველის, ასე რომ თუ ცხვრის წონა ოთხი ფუთია, მთელ ზაფხულში მოიწველის 16—28 ფუთამდე; ფრისლანდიური ცხვრები ხუთის თვის განმავლობაში იწველიდნენ 121,50—112,80 ლიტრ რძეს და, მაშასადამე, დღეში 794—737 კუბიკურ სანტიმეტრს (ლიტრის  $\frac{3}{4}$  ცოტა მეტს თუ ნაკლებს).

**თხას რძე.** თხის რძეს წმინდა თეთრი ფერი აქვს და ერთგვარი სუნი, რომელიც უფრო თხის ოფლის სუნია; თხის რძეც უფრო მდიდარია ექსტრაქტულ ნივთიერებით ძროხის რძეზე და განსაკუთრებით ერბოთი და ალბუმინით; მისი სიმჭირხნე საშუალოდ უდრის 1,088. თხა ცხვარზე ბევრ რძეს იძლევა და მისი რაოდენობა წველის პერიოდში 10—12 გადაამატება თხების წონას; მაშ თუ ოთხი ფუთი წონა აქვს, იმისი რძე მთელ წველის პერიოდში 40 ფუთს გადაამეტებს.

**ცხენის რძე.** ცხენის რძეში ძალიან ცოტაა ექსტრაქტული ნივთიერება, მაშასადამე, უფრო წყლიანია და სხვა ნივთიერებაზე შაქარი უფრო გადამეტებული აქვს, რის გამოც ტკბილი და არომატული გემო აქვს. მისი სიმჭირხნე საშუალოდ უდრის 1,085 და ტუტის რეაქცია აქვს.

### გ. ჰეტრანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## გიგლიშობრაფია

М. Плохинский—Поселение грузинъ въ Малороссіи въ XVIII в.  
(по архивнымъ документамъ). Харьковъ 1893.

საგანს, რომელსაც იკვლევს ბ. ზლოხანსკი, შირველად შეეხო ბ. თედორეოსკი. ამან დაბეჭდა 1888 წ. კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთის გამომცემის «Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племень Кавказа» ზატარა სტატია «Страничка изъ жизни грузинъ поселенцевъ въ Малороссіи». როგორც ბ. თედორეოსკის, ისე ბ. ზლოხანსკის ერთსა და იმავე ადგილას უზოგონათ წყარო თავიანთ გამომკვლევისა, სსსკლდობრ—ხარკოვის საისტორიო არქივში, სადაც ინახება მალოროსიის კოლეგიის საქმეები (дѣла бывшей Малороссійской коллегіи). ხოლო ბ. თედორეოსკის განუხილავს 5 საქმე და ბ. ზლოხანსკის კი 45.

ბ. ზლოხანსკი ორად ჭყოფს თავის შრომის საგანს: ჯერ აგვიწერს ქართველების დასახლებას მალოროსიაში და მთავრობისაგან მათთვის მიწა-ადგილის დარიგებებს და შემდეგ შეეხება ამ ქართველებისა და მკვიდრთა ურთიერთ განწყობილებას.

ქართველები, როგორც ვინცთ, შირველად გადაჭყენენ ბლომად ვანსტანგ მე-VI, რომელიც წაჰიდა რუსეთში ჰეტრე დიდის დროს. ვანსტანგს თან გაჭყვა მისი სახლობა და აგრევე 6 კემასკოპოსი, 14 არქიმანდრიტი და ბერი და 1185 სსხვა-და-სსხვა წოდების კანი.

ქართველების გადასახლება რუსეთში ამით არ დამთავრებულა და იმავე მე-XVIII საუკუნეში ქართველების რიცხვი რუსეთში თანდათან მატულობდა. როგორც ვანსტანგ მეფესთან მოსულ ქართველებს, ისე შემდეგ გადასახლებულებს ეძლეოდათ რუსეთის მთავრო-

112003



ბისაგან ჟამაგირი, ფქვილი, ქერი, თივა და შეშა. იმპერატორმა ახსნა ივანოვს დროს გადასახლება უღმა ქართველებმა მოისურვეს რუსეთის ქვეშევრდომობა და სამხედრო სამსახურში შესულა. იმპერატორმა თანაუგრძნო მათს სურვილს და მათთვის განსაკუთრებით დააარსა გუსართა პოლკი, რომელშიაც, როგორც ვინცთ, მსახურებდა სსკათა შორის ჩვენი გამომჩინილი პოტი დავით გუგუშვილი. სამსახურისათვის დაენიშნათ ჟამაგირი. გარდა ამისა ურანში დაენიშნათ მიწა-ადგილი და გლეხები, რათა ამ საშუალებით თავა ერჩინათ იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მათგანი სამსახურს ვერ შეიძლება. თავადს ეძლეოდა 30 კომლი გლეხი, ახნაურს 10. თუ მან განკარგულებაში არ იყო მოხსენებულა, რომ არა-ახნაურთ გლეხები მიეცემა, მაგრამ საქმით კი რამდენიმე მკვლელი იყო, რომ არა-ახნაურისათვისაც გლეხები მიეჩნათ.

1738 წ. გამოვიდა უქაზი, რომ ქართველებს მისცემოდათ ძალღრმობაში სასაზინო სოფლები. 1740 მეორე უქაზი გამოვიდა, რომლის ძალით მკვიდრთა ნება ეძლეოდათ ქართველებისათვის მიეყიდათ მიწა-ადგილები და გლეხები. სასაზინო სოფლები და გლეხები მხოლოდ მას შემდეგ მიეცემოდათ გადასახლებულ ქართველებს, როცა ესენი ფიცს მიიღებდნენ, რომ სამუდამოდ რუსეთის ქვეშევრდომნი იქნებიან და საზღვარს გარედ არ გაკლენ უშასპოროტოდ. მიჩენილი მამული ქართველებს ეძლეოდათ სრულს საკუთრებად, ისე რომ შეეძლოთ შვილებისთვის გადაეცათ და გაეყიდათ კონდერ.

მამულებს დასარიგებლად ცალკე ჩინოვნიკები იყენებდნენ დანიშნულა. ჩინოვნიკები ხშირად უკანონოდ იქცეოდნენ, ქრთამს იღებდნენ და ავიწროებდნენ ქართველებს. ქართველების საჩივრების გამო ზოგიერთი მათგანი გადაუწებულ იქმნა.

ქართველებს სულ დაურიგდათ ბ-ნ პოლხინისკის გამოანგარიშებით 5000 კომლი გლეხი პოლტავის გუბერნიაში. ამ ქართველებს შორის ვბოულობთ თავადების გვარებს: ამილახვრებს, ბარათაშვილებს, თურქისტანიშვილებს, კაკასიძეებს, ორბელიანებს, სააკაძეებს, ფხეიძეებს, ქობულაშვილებს, ციციშვილებს, წერეთლებს, სერხუელიძეებს, ჟაკახიშვილებს და სსკ. ახნაურების გვარებს ვბოუ-

ლობა: ზედგინიძეებს, თულაშვილებს (ТУЛОВЫ), ზედაურიშვილებს, ოდეშელიძეებს, ტყეკაძეებს და სხვ. მრავალი გვარი, როგორც სწავს ან დამახინჯებული უნდა იყოს თავი დოკუმენტებში და ან ბ-ნ ზღოხინსკის ვერ ამოუკითხავს სწორად.

დავით გუგუშვილისათვის მიუცნიათ დ. მიტროპოლიტი 80 კომ-დი გლეხი და სოფ. ზუბოკაში 10 კომლი.

მაღოროსიაში დასახლებული ქართველები კალდეულნი იყვნენ, უქაზის ძალით, რომ ქქონდათ მედამ, როგორც ომის დროს, ისე მძვიდობიანობის უამს მუნდარი, თოფი და ყოველივე სამხედრო იარაღი და მოწყობილობა და აგრევე ქყოლოდათ ცხენები, სულ თავის სარჯით, ისე რომ საზანსაგან არავითარი შემწეობა არ უნდა მოეთხოვებოდა. ომის დროს ყელანი უნდა გამოესულაყვნენ ღამ-ქარში, ისე რომ სასლში მარტო ქალები უნდა დაჩენილიყვნენ და «ბრვიკაშვილები», მამულის გამკეხი.

ქართველები, როგორც ზევით ვთქვით, გუსარის პოლკში მსახურებდნენ, თუძცა სხვა პოლკებშიც შეეძლოთ შესულიყვნენ. შემდეგ სამოქალაქო სამსახურშიც შედიოდნენ. მათი შვილები სწავლას იღებდნენ მოსკოვში უცხო ენათა სასწავლებელში. ზოგს კი კადეტების კორპუსებში იღებდნენ სენატის განკარგულებისამებრ.

არც შეესება ქართველების და მკვიდრთა ურთიერთობას, ბ-ნი ზღოხინსკის აზრით, გლეხობისათვის სულ ერთი იყო, ქართველი იქნებოდა მებატონე თუ მაღოროსი. სოლო თუ დაუფუქრებთ ადგილობრივ მოსელებს მოსსენებს, ქართველები ძლიერ ავიწროებდნენ გლეხებს.

მაღოროსიის აზნაურობა კი ძლიერ გულანწყენი იყო ქართველების დასახლების გამო. მათის აზრით ქართველებისათვის მაღოროსიაში მიწა-ადგილების და გლეხების მიცემა იქაური მკვიდრი აზნაურების უბირატესობის უარყოფა იყო. ამისათვის ეს აზნაურობა უკმაყოფილებას აცხადებდა ქართველების მაღოროსიაში დასახლების გამო და უმადლეს მთავრობას სთხოვდა, რომ ქართველები მაღოროსიიდან გადაესახლებინათ. 1742 წ. უქაზი გამოკიდა, რომლის ძალით ქართველობა უნდა გადაესახლებინათ ორენბურგის ციხე-



სიმაგრეებში. მაგრამ ეს უჭაწი სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი, და ქართველები დარჩნენ ძაღოროსიაში.

ქართველების და ძაღოროსიის მკვიდრი აზნაურობის ურთიერთის განწყობილების შესახებ ზღოხინსკი და ბ-ნი თედორეკსკი სრულ სხვა-და-სხვა აზრისანი არიან. თედორეკსკი ამბობს, რომ მკვიდრი აზნაურობა სწავრავდა ქართველებსაო, და ზღოხინსკი კი ამტკიცებს, რომ ეს აზრი შეცდარაო, რადგან საბუთებიდან სჩანს, რომ ხან ქართველი სწავრავდა მკვიდრს აზნაურსო და ხან მკვიდრი — ქართველსო. ეს დამოკიდებული იყო პირადს ძალაზე ერთისა და მეორისაო: თუ ქართველი იყო უფრო ძლიერი, მაშინ გამარჯვებულნი იგი რჩებოდა, და წინააღმდეგ შემთხვევაში კი — მკვიდრი აზნაური იმარჯვებდა და ქართველი იჩაგრებოდა. მართლაც: ბ-ნი ზღოხინსკის თავის შრომაში ჩაურთავს ერთი დოკუმენტი (Донoшение управителя мѣстностей гр. Р. Л. Воронцова въ генеральную войсковую канцелярiю объ обидахъ, причиненныхъ грузинами подданнымъ графа), რომლიდანაც სჩანს, რომ კორნეიკის მოურავი სჩაივის, ქართველებმა, სხედლობრ: თავადიშვილებმა როსტომ და დავით ბარათაშვილებმა და შადიკაშვილმა და აზნაურებმა მანკელიშვილმა და ტატიანე იაგორის ასულმა მარზინევისამ (მარჯანოვისამ?) მამულები და გლეხები წაგვართვესო.

რამდენად ვეროვანად ისარგებლა ბ-მა ზღოხინსკიმ არქივის დოკუმენტებით? გამოარკვია მან ყველა ის ვითხეები, რომელთა გამოკვეთა შესაძლო იყო იმ დოკუმენტების შემწეობით, თუ არა? ყველამ ვითხეებზე, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერავითარს ზასუსს ვერ მივსცემთ ჩვენს მკითხველებს, რადგან თვით დოკუმენტები არ არის გამოქვეყნებული. საჭიროა, რომ ეს დოკუმენტები სრულ თუ არა, უმთავრესები მანინი დაიბეჭდოს.

იმედი ვიქონიოთ, რომ ბ.ბ. თედორეკსკის და ზღოხინსკის შრომით არ დაბოლოვდება ამ საგნის კვლევა-ძიება. ამ კვლევა-ძიების გაგრძელება კისრად უნდა იდგან ხარკოვის უნივერსიტეტის საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტის ქართველმა სტუდენტებმა, რომელთა საჯარდებულ შრომას და სწავლას ასეთი მეტადნიეობა ხელს თუ შეუწყობს, თორემ სრულებით არ შეუძლის. იფრიად სანინ-

ტერესო იქნება, რომ გამოიკვეს, თუ შესაძლო იქმნა, შეიტანეს ქართველებმა მალაოროსიაში ახლა რამე კულტურის მხრივ, თუ არა? დარჩნენ ევკლანი სამუდამოდ მალაოროსიაში, თუ რამდენიმე ნაწილი დაბრუნდა შემდეგში ისევე საქართველოში? ვინც კი დარჩა სამუდამოდ მალაოროსიაში, იმათი რომელი თაობა შეუერთდა სრულიად მალაოროსებს? ამ კითხვებთაგანის ზოგის გამოსარკვევად საჭირო მასალა უნდა მოიძებნებოდეს პოლტავის გუბერნიის აზნაურობის დეპუტატთა კრებულში და აგრძედე თვით ქართველების ჩამომავალთა კერძო ოჯახებში.

Е. Такайшвили — Сигель грузинскаго царя Ваграта IV (1627—1672).  
Санктпетербургъ, 1894.

ეს ბროშურა წარმოადგენს ცალკედ გამოღებულს ბ. ექ. თაყაიშვილის სტატიას, რომელიც დაბეჭდილია რუსულს ეურნალში Записки Восточ. Отдѣла Имп. Русск. Археологическаго Общества. სტატიაში მოყვანილია ქართული ტექსტი მეფე ბაგრატ მეოთხის სიგელისა რუსულის თარგმანითურთ და თან განმარტებულის იგი ისტორიულის და პალეოგრაფიულის მხრივ. ამ ბროშურაშივე ჩართულია სიგელის პალეოგრაფიული კობილა.

სიგელის შინაარსი შემდეგია: 1058 წელს მეფე ბაგრატ IV სწირავს შიო მღვიმელის მონასტერს, ნაცვლად იმ დასაკლისისა, რომელიც მას მიადგა ლაშქრობის დროს, ბორცვის-ჯვრის მამულს, სკეში, და, როგორც ჩვეულებად იყო ამისთანა შემთხვევებში, მეფე ათავისუფლებს ხსენებულს მამულს ყოველგვარის სახელმწიფო და საბატონო გადასახადისაგან და მხოლოდ მონასტრის სამსახურს აკისრებს. ამ შეწირულობას ჰმოწმობს და ამტკიცებს გიორგი კათალიკოზი. აგრძედე ამტკიცებს მეფის სიგელს «მათი მონა და მათის მეფობის მიწა» ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის შვილი იოანე. ისტორიულის მხრივ ეს სიგელი მაინცა და მაინც დიდის მნიშვნელობის მქონე არ არის, რადგან ის არაფერს უმატებს იმ ცნობებს, რომლებიც აქამდის გვეჩვენებდა ბაგრატ მეფესა და მის დროზე. არა სწინს სიგელიდან, მაგალითად, თუ რომელის ლაშქრობის

დროს დასაჩაღებულა შიო მღვიმელის მონასტერი, ან რა უფლებით ამტკიცებს ერისთავთ-ერისთავის ლეპაჩიტიის შვილი იოანე მეფის სიგელს. ბ-ნს თაყაიშვილს, რამდენადც შეიძლება, სიგელი კრცვად აქვს განმარტებული ისტორიულის მხრივ.

სიგელი შესანიშნავი უფრო პალეოგრაფიულის მხრივ. იგი დაწერილია მხედრულის ხელით, მაგრამ ისეთის მხედრულით, რომელიც არ არის ჯერ სრულად განსხვავებული ხუცურის ხელისაგან, რომელიდანაც იგი სწარმოებს. ბეერი ასო ჯერ კიდევ ხუცურია, ბეერსაც მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი გადაუდგამს მხედრულის სასიათის მისაღებად და მხოლოდ ზოგიერთი წარმოგვიდგენს სრულებით მხედრულის ასოების სახეს. ამის გამო ამ ნაწერის წაკითხვა საკმაოდ ძნელია და მოითხოვს დაკვირვებას და გამჭრიახობას. ამ მხრივ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნს თაყაიშვილს ჩინებულად წაკითხა ეს ძნელად წასაკითხი ხელი და სრულის სინამდვილით გადმოუწერია.

თუ რამდენად ძნელი ყოფილა ამ ნაწერის გარჩევა და რამდენად უშრომია ბ-ნ თაყაიშვილს ძველის ნაწერის გასარჩევად, ეს სჩანს შემდეგიდან. იგივე სიგელი დაბეჭდილი აქვს ბ-ნს ყორღანის თავის «ქრონიკებში». როგორც რუსულის ყურნალის რედაქციის შენიშვნადან სჩანს, თაყაიშვილის სტატია მას მიღებული ჰქონია, როდესაც ბ-ნის ყორღანის შრომა დაიბეჭდა. ამ ნაირად ამ ორს არსებულს თითქმის ერთსა და იმავე დროს წაუკითხიათ, ცალ-ცალკე ცხადია, ეს ძველი სიგელი. ამიტომ მათის წაკითხულის ერთმანერთთან შედარებით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თვითულის მათგანის დახელოვნება ძველის ნაწერების კითხვაში. შედარებამ დაგვანახა, რომ იმ დროს, როდესაც ბ-ნს თაყაიშვილს წაუკითხია ხსენებული სიგელი თითქმის უშეცდომოდ და გადმოუწერია შესანიშნავის სისწორით, ბ-ნს ყორღანის მოსკლთა ფრიად ბეერი შეცდომა კითხვაში და მეტის-მეტად დიდი დაუდევრობა გამოუჩინა ტექსტის გადმოწერაში.

ბ-ნს თაყაიშვილს, ჩვენის აზრით, წაკითხვის დროს მოსკლთა მხოლოდ ორი შეცდომა: პირველად ის, რომ ბაგრატ მეფის მიერ შეწირულის მამულის სახელს კითხულობს ბურცუის ჯვრად, რო-



დესაც რომ უნდა იკითხებოდეს ბორცვის ჯვრად, მეორედ ის, რომ იგი სწერს და კითხულობს ვინცა ჰნხოთ, როდესაც რომ უნდა იკითხებოდეს ვინცაღა ნახოთ. ბ-ნს ჟორდანას კი იმას ვარდა, რომ ბეკრი სიტყვა ვერ წაუკითხია სწორედ (მაგ. მიღვრით, უნდა კი მითია; უფლისა, უნდა ღთისა; და გადებულისა, უნდა დაბადებულისა; იკითხოთ, უნდა ნახოთ; მოსჯოლი, უნდა მოსაჯოლი, და სს.), ფრად დაუდევრად გადმოუწერია, ასო-მეტსაკლებად. მაგალითად, სიგელის ნაწერის ერთი უმთავრესი ორთოგრაფიული შესამჩნევა მხარე ის არის, რომ სშირად ასო ო იმხარება უ-ს მაგიერ და უ—ო-ს მაგიერ. ესეთი არეკ-დარეკა არ არის შემთხვევათი. ეს მოკლენა ღირსია გამოკვლევისა. ამიტომ გადმოწერს უთუოდ უნდა სისწორით გადმოეწერას. თაყაიშვილიც ასე მოქცეულა. ბ-ნს ჟორდანას კი არ დაუდენია და სშირად დენის ასო გადმოწერის დროს შეუცვლია. ამიტომ ჩვენ კურჩვეთ ვეკლას, ვინც ბ-ნის ჟორდანას „ქრონიკებს“ სწავლობს, უთუოდ თაყაიშვილის შრომაც გააჩნოს და ბავრატის სიგელის შესწავლის დროს ისევე მძვინვარელოს ამ შრომით.

ბ-ნს თაყაიშვილს კი შეგნიშნავთ ერთსა. განა არ მოხერხდებოდა, რომ მას თავისი ნაშრომი ისე შორს არ გაეგზნა და იქ არ დაეკვდიანებინა? იმ უურნალს, რომელშიაც იგი ბეჭდავს თავის არქეოლოგიურს და ისტორიულს სტატიებს, ჩვენში თითქმის სრულებით არავინ კითხულობს და ამიტომ მისი სტატიებიც უნაყოფოდ რჩებიან ჩვენთვის. ამ მხრით არ იქნება ურიგო, რომ მან მივაბდომს ბ-ნს ჟორდანას და ქართულს ენაზე ბეჭდოს საქართველს საისტორიო და საარქეოლოგიო მასალები.

**წმ. დიდი მარტყოფი, კახეთის დედოფალი ქეთევანი.**

ქუთაისი, 1894 წ. 8 გვ.

წმ. ქეთევან დედოფალი ორნაირად არის შესანიშნავი. ჯერ ერთი როგორც ჭკვიანი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც მონაწილეობას იღებდა საქართველს საქვეყნო საქმეების მართვაში, მეორედ როგორც საწმიტოებისთვის წამებულა. ამიტომ დიდად საჭირო იყო, რომ მისი ცხოვრების აღწერილობა უოფილიყო შედგენი-

ლი სსსრკ-ის საკითხავად და დაბეჭდილი იაფ-ფასიანს წიგნაკად. პატივცემულს «მწეემისს» რედაქციას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ პირველად იმან გამოსცა ამ შესანიშნავს დედოფლის ცხოვრება ცალკე წიგნაკად, რომელიც თავის სიიაფის გამო (ღირს 3 კაპ.) უეტველია გავრცელდება ხალხში და მოაგონებს მას ღვაწლს ამ შესანიშნავის ქართველის ქალისას.

სამწუხაროდ, ამასთანავე უნდა შევნიშნოთ მწეემის რედაქციას, რომ მის მიერ გამოცემულს წიგნაკში მოაპოებინა ისეთი შეცდომები, რომლებიც მას უოკელსავე ღირსებას ანთმევენ. პირველად უნდა აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტიკური შეცდომები:

ერთს ადგილას წიგნაკის შემდგენელი ამოხბს: ქეთევანი რცხა იგი კახეთის მეუის დავითის მეუღლედ გახდა, განაგებდა სასულძოიო საქმეებს ნაცვლად თავისი უნიჭო მეუღლისა და კიდევ მოიყვანა სასულძოიო საქმეები წესიერებაში. ქეთევანმა დაამშვიდა ურჩი და მუამბოხე დიდკაცობა, დაიფარა თავისი სამეოფო გარეშე მტერთაგან, აღმოუჩინა მთარველობა ქრისტეს ეკლესიას და სასული გაითქვა ქველმოქმედებით». ამ სტრიქონების კითხვის დროს კაცს ეგონება, რომ ქეთევანმა ვეკლა აქ სამოთვლილი საქმეები გააკეთა მამინ, რცხა იგი დავით მეუას მეუღლედ შეიქმნა და კიდევ დავითი მეუობდა. ნამდვილი კი ის არის, რომ როდესაც ქეთევანი დავითის მეუღლედ გახდა, დავითი იყო ბატონიშვილი და არა მეუე. იგი გამეფდა მხოლოდ თავის სიცოცხლის უკანასკნელს თვეებში და იმეუა მხოლოდ ექვსს თვეს, როგორც თვით შემდგენელიც სწერს. არც ერთი საისტორიო წყარო არ გვეუხება იმას, თუ რა გააკეთა ქეთევანმა თავის ქმრის მეუობის დროს და არც არის საფიქრებელი, რომ ქეთევანს ქმრის მეუობის დროს რამე მონაწილეობა მიეღოს სასულძოიო საქმეებში; მით უმეტეს არ არის წარმოსადგენი, რომ ამ ხანში სასულძოიო საქმეები წესიერებაში მოეყვანოს, რადგან თვით მის ქმრის გამეფება და მეუობა უწესობა იყო.

მეორე ადგილს სწერია წიგნაკში: «რადგან მეუე ადექსანდრე იყო მოხუცებული და მისი მემკვიდრე გიორგი ძლიერ ასაღვახდა, ამიტომ სპარსეთის შაჰიმ აბბას I მოინდომა ესარგებლ-

ბია ამ შემთხვევით, დაეპყრო კასეთი და გავერცელებია იქ მაჭმადის საწმუნოება. მართალია, რომ ალექსანდრე მოხუცებული იყო იმ დროს, რომელსაც იგულისხმებს ავტორი (1605 წ.), მაგრამ მისი შექვიდრე გიორგი კი არ უოფილა ისე ძლიერ ახალგაზდა, როგორც ავტორს ჰგონია. გიორგი ბატონიშვილი მაშინ, სულ ცოტა რომ ვსთქვამთ, 35 წლისა მანინ იქნებოდა. ამას გარდა სპარსეთის შაჰის კასეთის მეფეზე გადაკიდებისა და გამოლანშქრების მიზეზი იყო სულ სხვა გარემოება და არა მისი სურვილი მაჭმადის ნობის გავერცელებისა. [შაჰბახმა იცოდა, რომ ალექსანდრე მეფეს რუს-სელმწიფეებთან კავშირი და მოციქულობა ჰქონდა. იმას ეს მალან მაკნებლად მიანდა თავის სასელმწიფოოსთვის და ამიტომ მოინდომა თავის ერთგულის კოსტანტინე ბატონიშვილის გამეფება.]

მესამე ადგილს სწერია: «შაჰმა წინადადება მისცა თეიმურაზს შეერთო მას ცოლად ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის ქალი, სოლო თვაითნ კი სურდა ლუარსაბის მეორე ქალის ცოლად აყვანა. აქ ამკარა შედგომია. ლუარსაბი მაშინ იქნებოდა 15—19 წლისა და საიდან ეოლებოდა რი გასათხოვარი ქალი? [თეიმურაზმა და შაჰბახმა შეართეს ლუარსაბის ქალები კი არა, არამედ დები.]

იმას გარდა რომ წიგნაკის შემდგენელს ანაირი ფაქტიკური შედგომები მოსვლია, იგი სრულებით გაუსუჯლად იმეორებს სოლოერთის ისეთს თქმულებას, რომელიც არ არის დასაჯერებელი. მაგ. ის თქმულება, რომ ვითომ შაჰბახს თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ გამოლანშქრების საბაზად გაესადოს თეიმურაზისაგან ლუარსაბის იმ ქალის (თუ დის?) შერთვა, რომელიც მას უნდოდა ცოლად, სრულებით ჭკუაში მოსასვლელი არ არის. საზოგადოდ შემდგენელს არ გამოუძიებია კრიტიკულად იმ წყაროს სინამდვილე და სისწორე, რომლითაც უსარგებოდა. ამას გარდა მას არ უსარგებლია ეგელა იმ წყაროებით, რომლებიც შეეხებიან ასე თუ ისე ქეთევან დედოფალს, რის გამოც წიგნაკში არ არის მოხსენებული ქეთევანის ცხოვრების ბეჭი ამბავი.

ამ ნაკულევენებსთან წიგნაკი დაწერილია უხეირო ქართულით. ამის მაგალითად აი წიგნაკის შირველი სტრიქონები: «წმიდა დიდი მოწამე ქეთევანი იყო ასული აბოთისა (თუ აბოთანისა?), ძფლო-

ბელი თავადის ბაგრატიონ-მუხრანსკისა. სიურმიდგანვე ქეთევანი იყო დიდი ღვთის მსახური და მტკიცე სსსიათისა, რომელთა წყალობით მან ბოლოს მოახვეჭა მოწამებრთა გვირგვინი. მფლო-ბელი თავადი არც ერთს ქართულს წყაროში არ იხმარება. ეს სიტყვები გადმოთარგმნილია რუსულიდან და ქართულს სრულიად არ შეშენის. ჩვენში არ ყოფილან „მფლობელი თავადები“, არ ყოფილან აგრედვე ბაგრატიონ-მუხრანსკები იმ დროს, როდესაც წმ. ქეთევანი ცხოვრობდა. მუხრანსკები განდნენ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში. ეს გვარი დაერქვათ მუხრან-ბატონების ჩამომავალს თავადებს. ქეთევანი იყო ასული ახთან მუხრან-ბატონისა. საკვირველია, საიდან გაჩინა წიგნაკის ავტორმა მეუქვსმეტე საუკუნეში ის, რაც მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში განდა. ის კი გაგანილა, რომ წინაპრების გვარს ირქმევდეს ჩამომავალი, მაგრამ რომ ჩამომავლის გვართ იხსენიებოდეს წინაპარი, ეს კი არსად გაგანილა. საუბედუროდ, ასეთი შეცდომა მარტო წიგნაკის ავტორს არ მოსკლია. სშირად სხვა ჩვენს ისტორიკოსებსაც მოსდით ასეთი მიუტკეპელი შეცდომა, მაგ. ზლ. იოსელიანს, დ. ფურცელაძეს და ზოგიერთს სხვებს, ასე გასინჯეთ ალ. ხახანაშვილსაც კი. განა ახლა რომ გვარებს ვიმახინჯებთ არ ვმარა, რომ ჩვენს წინაპრებსაც არ დაუუმახინჯოთ?

ავტორს, ეტუობა, წიგნაკის შედგენის დროს სულთ ქქონა სასკლმძღვანელოდ რომელიმე რუსული წიგნი, რომლის გაკლენითაც ზოგიერთი საკუთარი სასკლები რუსულს ყაიდაზე დაუწერია, მაგალ. აბბასი (შაჰაბაზის მაგაერ) და ისპაგანი (ისპაანის მაგაერ). ერთს ალაგს ავტორს ოსმალეთის მაგაერ აქეს ხანმარი სათათრეთი, რაინა დიდი შეცდომაა, რადგან სათათრეთი ქქიან იმ ქვეყანას, სადაც თათრები ცხოვრობენ და არა ოსმალეთს.

სასურველია, რომ მწეემის რედაქციამ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ხოლმე მის მიერ გამოცემულის წიგნების, როგორც შინაგანს ღირსებას, ისე ქართულის ენის სისწორეს.

დ. კარიჭაშვილი

Б. Н. Влгичевъ — Разведение чайнаго куста на Кавказѣ.  
Тифлисъ, 1893 г.

წიგნაკი, რომელიც რედაქციამ მიიღო ავტორისაგან, დაბეჭდილია 1893 წ. ავტორი შეჯახება ფრანგ საყურადღებო საგანს ჩვენის მოძავლის მრეწველობისას—ჩაის ხის დაგვას საქართველოში და გავრცელებას, ადგილობრივ ჩაის მსგავს მცენარეს და სსკ.

მცენარებაში ჩაის, უვას და კაკაოს უწოდებენ გამომხარულელებელ და მომსურთელებელ უსპირტო სასმელს. თუმცა ეს სასმელები ევროპაში გვიან შემოიღეს, მაგრამ ხალხი მანინ მალე შეეჩვია და ბერსაც ხმარობს, რადგან ხშირად სპირტის სასმელების მაგივრობას უწევს, სასიამოვნო სასმელებია და არც ისე მავნებელია ჯანმრთელობისათვის, როგორც უკანასკნელი. შესანიშნავი კიდეც ის არის, რომ სსკ-და-სსკ ადგილებში, მაგ. ინდოეთში, იაპონიაში, სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ადგილებში და სსკ., თავის-თავად იქნა შემოღებული ადგილობრივი ჩაის მსგავსი მცენარის ხმარება. არც ერთი მხარის ჩაი, ანუ ჩაის მსგავსი მცენარე არ შეედრება ჩინეთის ჩაის არც სუნით, არც გემოთი და გარეგანი მოყვანილობით, თუმცა ფიზიოლოგიურ თვისებით კი თითქმის არ ერჩევან ერთმანეთში. თუ ჩვენში ჩაის სმა ისე არ არის გავრცელებული, როგორც რუსეთში, ან სსკ-გან, ეს აიხსნება იმით, რომ ჩაი ძვირად ღირს და დაბალი ხალხის ჯიბე ვერ აიტანს ამ ხარჯს, მით უფრო, რომ ჩვენი ხალხის ორგანიზმი შეჩვეულია ლეინოსაც. თუ ხალხი, სადაც კი შესაძლებელი იქნება, ჩაის ხეებს ახარებს, ცხადია ეს დიდ შემწობას აღმოუჩენს მათ. ამისათვის დიდის სიამოვნებით უნდა მივუკებოთ ყველა იმთ, ვინც ბეჭდვით თუ სიტყვით გააცნობენ ხალხს ახალს წყაროს მათის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რუსეთში ჩაის ხის შემოტანი და გამავრცელებელი უიბრწყ. მ. ს. კორნინოვიცია, ამბობს წიგნაკის ავტორი, რომელიც 1833 წ. გამოიწერა ჩინეთიდან ოციოდე ძირი ჩაის ხისათ. ზოგი უიბრწყ. გავსავს, თავისს საკუთარ მამულში, ზოგი გაუგზავნა სოხუმში პრაოვეს. მოგონიერებისათვის, რომელსაც მანინ სოხუმის საბატონიკო ბაღი ებარა, და დასარჩენი—ქიმიანში სომეხთა პატრიარქს ნერსეს მე-V-სათ.



ამისთანავე რადგან თავ. კორნეილიძის სრულიად არ იცოდა ჩინის დასავლეთისა და მოყვანის ხელი, ამისათვის მიჭმართა სასკელმწიფო ქონებათა სამინისტროს, რათა შესაფერი დაწიგება გამოეკზანათ, მაგრამ სამინისტრომ ვასუსად მსოფლოდ დიდი თანხარძონობა მოსწერა, რადგან თვითონაც ხელთ არა ჰქონდა არავითარი ცნობანი ამის შესახებ. ვატრიარქის ნერსეს კი არ მიუგოდა კორნეილიძის მიერ გაგზავნილი ჩანის ძირები, რადგან ის გეში, რომელითაც გაგზავნა იგი, ზღვის ფრთონამ დამისხვრია და გარეუა რზურგეთთან. აქ თავ. გურიელმა აკრეფინა დახეული ძირები და დარგა თავისს ბაღში, რომელიც შემდეგ სასკელმწიფოს დარჩა. ამ ბაღში ძირებმა მშენიერად ისარეს და რმორც და ათ წლებში, ურამის რმიანობას, რმდენიმე ძირი თავ. ერისთავის გადარგა თავისს ბაღში, სოფ. გორაში სტ. ჩონატაურის მასლობლად სამტრედიასა და რზურგეთს შუა, სოფო დანარჩენი თავ. მინგრელსკიმ გადარგა თავისს მამულში, ზუგდიდის მარაში. თავ. ერსთავი გულმოდგინებით უვლიდა თავისს ბაღს და 1864 წ. წარუდგინა კიდევ კავკასიისს სამეურნეო საზოგადოებას ნიმუშები თავისს ჩანის, მაგრამ არ გამოდგა კარგის ღირსებისა.

სოხუმისს საბატანიეო ბაღშიაც ჩანის ძირებმა კარგად ისარა; 1870 წ. იქ 18 ძირი იყო, მაგრამ, როდესაც რსმალეთ მიატრკეს სოხუმი, ბერი დიატარეს და ადგილობრივ მსოფლოდ რთხა ძირი დარჩა.

ავტორისს სიტყვით, 1885 წ. ხანეოულამ რდესაში გამოწერილ იქმნა 12000 რქა და რთხა ყუთი თესლა. კერძო პირებმაც გამოიწერეს ჩანის ხეების ძირები და ბათუმისს ახლო დარგეს. 1886 წ. კავკასიაში კიდევ რმდენსამე ადგილას სცადეს ჩანის ხის დარგვა. კანეთში ბ. ამირალოვს დაურგავს მთელი ბაღი ჩანის ხისაო, მაგრამ ავტორი არ ამბობს სად, რა ადგილას დაურგავს და შედეგი რა ყოფილა.

კავკასიაში ყველს ადგილებს ბათუმისს არე-მარე სჯობია ჩანის ხის დასარგველად, როგორც ჰავით, აგრედვე ნიადაგის თვისებითაო. აქვე მოჰყავს ანალიზება მიწისა ბათუმისს არე-მარეში ალუბულისა, ჩინეთისა, იაპონიისა და ინდოეთისა, იმ ადგილებისა,

სადაც ჩაის ხე ხარობს. თუ დაკუჭვრებთ ჩვენში გაკეთებულ ანა-  
ლაზებს ნადაგისას—აღმოჩნდება, რომ ბაჟუმის ნადაგი უფრო  
ინდოეთის ნადაგს მიაგავს, სადაც ჩაი წინადაც უოფილას ტყე-  
ველად, და ასეა ინგლისელების თაოსნობით გაუქმდებოდა-  
ნათ. აკტორს, ჩვენის აზრით, ჩაის ანალიზებში შეცდომა  
შეჭმარვია და არც სახსებითა აქვს მოყვანილი ჩაის შემადგენარ  
ნივთიერებათა რაოდენობა. შეცდომა იმაშია, რომ ესრედ-წოდე-  
ბულ უმთავრეს მოძქმედ ქიმიურ ნივთიერებას ჩაისას, რომე  
ლიც 1827 წ. აღმოაჩინა ბ. უდრიმ—თენის, აკტორი კოფე-  
ინად იხსენიებს, მაშინ როდესაც ეს ნივთიერება ქიმიური მოძქმე-  
დი ნივთიერებაა ყავისა და აღმოჩენილია შვიდის წლის წინად,  
ე. ი. 1820 წ. ბ. რუნგეს მიერ. თუმცა ბ.ბ. ჯობსისა და მუღდუ-  
რის აზრით ეს ორივე ნივთიერებანი ერთნაირ მოძქმედნი, ერთ-  
თვისებოვანნი არიან, მაგრამ ანალიზებში მანც თენის ჩაის ანალი-  
ზში ხმარობენ და კოფეინს ყავისაში.

საზოგადოდ წიგნაკი მარტავისა და ადვილად გასაკების ენით  
არის დაწერილი, თუმცა ფრად მოკლედ ვა, ასე რომ, ვინც ჩაის  
საქმეს მარტო ცნობის მოყვარეობით არ უყურებს და მეტს უყრ-  
დებას აქცევს, იმას ეს წიგნაკი ვერ მისცემს საზრდოს ჩაის სა-  
ქმის შესასწავლად. საჭირო ვა არის, რომ უფრო გრძელად და სა-  
ესებით იუოს აღწერილი ზოგიერთი მხარე ამ სამეურნეო მრეწვე-  
ლობისა.

# შინაური მიმოხილვა

## ძარტული მწერლობა

მწერლობის საკირო მასალა. — ქართველს კაცს ხელმძღვანელი აკლია. — ჩვენი მწერლობის ამაგი. — საზოგადოებამ მწერლობას გაასწრო ზრდაში. — ორი ტიპი გაზეთებისა. — ჩვენ პარტიული გაზეთები გვეჭირვება ეხლა. — მათი ავი და კარგი. — აშკარა ბრძოლა კი არა, მელური ჰრყენის მწერლობას. — მობრძანდით, იბრძოლეთ!

ჩვენი «შინაური მიმოხილვის» უმთავრესი საგანი — როგორც მკითხველი ადვილად შეამჩნევდა — ჩვენის ზრდისა და წარმატების გამოკვლევა — რა ძალა, გზა და იარაღი უნდა ამ წარმატებას, რომელი გვაშორებს და რომელი გვანახლებს, — სულ ამაზე გვაქვს თვალი მიჩერებული. ამ ძალთა შორის, რომელნიც ერს ზრდიან და ამაღლებენ, მწერლობას ერთი უპირველესი ალაგთაგანი უკავია. სსკვ, უფრო განვითარებულ, ქვეყნებში ბევრი სხვა იარაღი აქვს ერს, მწერლობაზე ბევრად უფრო ძლიერი და ადვილად სასმარია: სრული თვით-მმართველობა, წარმომადგენლობა, ყრილობანი და სსკ. და სსკ. ჩამოქვეითებულ ქვეყნებში კი, სხვა თითქმის ერთიანად დასუსტებულ ელემენტს სსკვ გზა განვითარებისა, მწერლობა ერთადერთი იარაღია საზოგადო საკუთის დაცვისა და შემსუბუქებისათვის. ჩვენც ამ მდგომარეობაში ვახლავართ, როგორც მოგვხსენებთ. მაშასადამე, დიდად საჭიროა მოვიკითხოთ ხოლმე, თუ როგორ ვმძარბობთ ამ იარაღს, ვმძარბობთ, თუ არა, ჩვენის საჭიროების დაგვიანად, გუანახლებით, თუ არა, მისის შემწეობით ჩვენს მიზანს, და სსკვ.

ამგვარ გამოკვლევას სულ სხვა საგანი აქვს, ვიდრე კრიტიკას. სალიტერატურო კრიტიკა საკუთრივ სამწერლო საგანსა და კერძობას სინჯავს: ნიჭს, ცოდნას, ხელოვნებას, ზნეობას, გავლენას და სხვ. ჩვენი საგანი კი სულ სხვა გვარია: როგორს მწერლობას მოითხოვს, ჩვენდა სსსაკეთოდ, ჩვენი ესლანდელი მდგომარეობა? რამდენად შეუფერება ამ მოთხოვნადავებს ჩვენი ასლანდელი მწერლობა? ეს საკრიტიკო კი არა, საზოლიტიკო მსჯელობაა მწერლობაში.

სხვა ქვეყნებში, საცა კრის ბედი მისს უმჯობესს წარმომადგენელთა ხელშია, უმთავრესი გონებრივი გავლენა ხლხსა და საზოგადოებაზე თვით ამ წარმომადგენლებს აქვთ, და არა მწერლებს, ანუ მწერლობას. იქ მწერლობა მართო გამავრცელებულია პოლიტიკისა და მეცნიერების მოღვაწეთა, ანუ მოთავეთა, შესხედულობისა. მაგრამ იქაც ვხვდავთ, რომ უზირველესი მეთაურები, უზირველესი მეცნიერები ზირდაზირს მონაწილეობას იღებენ მწერლობაში, თვით გაწეთებსა და ყურნალებსა ჰბეჭდავენ, თვითვე სწერენ შავ, ან თვითვე გამოდიან და ჰხელმძღვანელობენ მწერლობის ორგანოს. იქაც მწერლობა ისეთი აუცილებლად საჭირო არაღია, ურომლისოდაც კრს გზა და კვალი დაებუვა, ზნეობრივი ერთობა დაკარგება. თუ ასეა ისეთ ქვეყნებში, საცა ეველსაგან ცნობილ და სახელმწიფო ძალით აღჭურვილ მეთაურებსაც კი საჭიროდ მიანხიათ მწერლობაში შრომა, თვისის მიმართულების დასაცველად და გასავრცელებლად კრში, რაღა ითქმის ჩვენზე? უმეტესი ნაწილი ჩვენის არა თუ კრისა, თვით წარჩინებულ საზოგადოებისა, ყოველგვარ ზნეობრივ, გონებრივ და საზოლიტიკო ხელმძღვანელობას მოკლებულია, როცა დედა-მიწაზე რამე ახალი და დიდ-მნიშვნელოვანი მოკლენა მოხდება, ყოველმა იტალიელმა, ინგლისელმა, გერმანელმა, უნგრმა და სხვ. და სხვ. იცის, ვისკენ მიანუყრას თვალი და ყური, რომ გაიგოს: რა თვლით უნდა უცქიროდეს ამ ახალ მოკლენას; სიკეთეს, თუ სიაკეს, უნდა მოკლოდეს მისგან თვისის მამულისათვის; რა უნდა ჰქნას თვითონ, და რა გზას დაადგეს, მისის სიკეთის მოსახმარად და კნების ასაცდენად, და სხვ.

ყოველ წისამარს დილას რჩეული გავეთი მოუტანს მისის  
 ქვეყნის უმჯობეს, ნარჩვე წარმომადგენელთა და მეცნიერთა აზრსა და  
 გადაწყვეტილებას ამ ახლის მოკლენის შესახებ. რასაკვირველია,  
 ამისთანა კაცს არც გზა დაეხებება, არც სამშობლო ინტერესების და-  
 რჯა გაუჭირდება. რასაკვირველია, კიდევ, ამისთანა ქვეყნებში ერთი  
 დედა აზრი სუფიერს, ერთი მიმართულება, ერთი «ერთობა», ის ერ-  
 თობა, რომელიც ქვეყნის ძალ-ღონეს და რომელიც მთელს მხარეს  
 სხსელს სძენს, და კერძოდ ყოველს მის შვილს კი—კეთილ-  
 დღეობასა უმატებს. ჩვენში კი, მიბრძანეთ, ვის უნდა მივმართოს  
 ჩვენებურმა გონიერმა და სვინიდიანიმა მამულის მოყვარემ, სადმე  
 კახეთში, ლენსუმიში თუ სამურძაყანოში მშრომელმა? ვისა აქვს  
 ჩვენში—გინდ სსკაგან—დრო და საშუალება საკუთრივ თავისთავად  
 თვალ-ყური ადევნოს დღეკანდელს ცხოვრებას, და თავისთავადვე  
 რიგიანი აზრი შეადგინოს ყველა მის ახალ-ახალ მოკლენაზე? ვისი  
 მეცნიერება, გამოცდილება, მეცადინეობა გაუწვდება ამ შრომას, რომ-  
 ელსაც სსკაგან რაღაც დახელოვნებული მცოდნეს შეერთებულია მუ-  
 ყაითობაც კი ძლივს ასდის? და რაკი ჩვენში სრულიად არავის  
 არ შეუძლია კერძოდ, ცალკე, რიგიანად უკვირდებოდეს თანამედროვე  
 ცხოვრებას და თავისი ქვეყნის მდგომარეობას, არც არსად ისეთი  
 ორგანო მოკვებებება ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, როგო-  
 რიც განათლებულ ერთს დღეს ყველგან საკმაოდ აქვთ, ცხადია, რომ  
 ჩვენებურს კაცს თვალ-ყური ახვეული, დახშული უნდა უჭონდეს და  
 საქმის მიგნებაც უნდა უჭირდეს ყველაფერში, რაც შეეხება ამ დროის  
 საზოლიტიყო ცხოვრებას, ზრდას, წარმატებას და საჭიროებას.  
 ვერ ერთი ეს, რომ ახალ მოკლენათა ამბავიც თუ მიუყვას, ისიც  
 ათასში ერთი, გადაკრულ-გადმოკრული. მეორე ის, რომ მისის მნი-  
 შვნელობის ამსხნელად არავინა უყავს, და მესამე ის, რომ არეუ-  
 დარკვით გაგონილ მოკლენაზე, ვეროვან ახსნის, შესედულებას,  
 მიმართულების უჭონველად, თვითი კაცი სსკა-და-სსკა გავრად  
 სჯის და მთელს ქვეყანას, ამის გამო, აღარავფერი საერთო, საზო-  
 გადო აზრი არაფერში არ მოკებებება.—ჩვენის დაფანტულობის,  
 ჩვენის უაზრობის, ჩვენის უზეტრონობის დედა-მიზეზი ეს კაც-

ლაკსთ, თუ მისი ფესვის გამოკვლევა გნებავთ. ამ მიზეზითაა, რომ ვერ, მართალი რომ სთქვას კაცმა, ერთი არ დაგვერქმის...

თვითეული ჩვენგანი, ვინც უნდა იყოს, ძველელი თუ ერისკაცი, თავადი, თუ გლეხი, შემძლე, თუ ღარიბი, ჭკობნობს ესლანდელ გარემოებათა გაგება-გაცნობის საჭიროებას. უწინდელს დროში «ამინდის» მეტი როდი რამ აფიქრებდა კაცს. მისი ავი და კარგი ამინდზე—ესე იგი ღმერთზე—იყო დამოკიდებული. კაი ამინდი კარგს მოსავალს მისცემდა, ცუდი—ცუდს. დღეს სშირად მოხდება ხოლმე, რომ კაი მოსავალს ცუდი გასავალი აქვს, რის გამოც ცხოვრების საშუალება გვიძირდება. სშირად ისეც მოხდება ხოლმე, რომ მოსავალიც კვარიათა, გასავალიც—რივანია, მაგრამ ოჯახს მანაც უბედურება სთვრუნავს: აქ შეიძლება გამოაგდეს სასწავლებლიდან, იქ სამსახური ვერ იშოვას გამოხრდილმა და სხვ. და სხვ. რისგან მოკვდის ესეები? ამ საგანმა ყველა დაგვაფიქრს, ყველა აღგვაშეოთა, ყველა მიგვანგედოს, რომ მართლ ამინდზე როდი ყოფილა დამოკიდებული ადამიანის ბედი. ბევრ სხვა გვარ შემთხვევით შევიგნეთ აგრედვე, რომ ზოგერთი რამ საკუთრივ მიტომ გვჭირს, გვჭირს ან გვეძირება, რომ ქართველები ვართ, და სხვ. აქედან სწარმოებს საყოველთაო ხალხის გაწყობის კითხვისა. მაგრამ, როცა ჩვენი კაცი რუსულს თუ უცხო გაწყობებს აკვირდება, მალე ჭკობნობს, რომ საკუთრივ მის გულის ტკივილს, მის დარდს და ნაღველს არც ერთი ზასუსს არ აძლევს, არ აკმაყოფილებს. იმათ თავიანთი დანიშნულება აქვთ, რომელსაც ასრულებენ ვიდრე, კარგად თუ ვადა. სულ სხვა დანიშნულება უნდა ჭკობნდეს ქართულს მწერლობას, რომელიც ქართველ მეითხველის ხალხის უნდა აკმაყოფილებდეს, ქართველობის ინტერესების სასწორზე უნდა სწონდეს თანამედროვე ცხოვრების მოვლინებას, ქართველის წარმატების მოდარავე და გზის მანკენბელი უნდა იყოს, და სხვებს ქართველობის სახელით უნდა აძლევდეს ზასუსს. მტერი და მოყვარე უნდა მიეჩვიოს იქ ეძიოს ქართველობის აზრი, გამოკვლეული, აწონილი, შეუცდომელი. რასაკვირველია, ეს აზრი უნდა იყოს ნარჩევი, მოწინავე, აზრი და მსჯელობა უმჯობეს მეთაურთა, თუ გვინდა, რომ მოყვარე არ შესცდეს და მტერმა არ დაგვიძრახოს. ამისთანა უურნალ-გაწყობა აქვს



ყოველს მშრომელს ერს, წარმატების გზაზე დამდგარს. ჩვენთვის.  
ამ მხრივ ჩვენ ერთობ დაქვეითებულნი ვართ სხვებთან შედარებით.

ჩვენს ყურნალ-გაზეთებს, და, საზოგადოდ, მთელს ჩვენს მწერლობას, ეჭვი არ არის, დიდი ამაგი მიუძღვის ქართველობის წინაშე. გინის შემუშავებასა, ეროვნულ გრძნობის აღძვრასა, სინათლისა და სიმართლის გავრცელებაში დიდი წილი უდევს. უცხოელი ვინმე განკითხარებული კრიტიკოსი ესლანდელ ჩვენს მწერლობას რომ დაუკვირდეს, ანუ ვი დაიჯერებს, რომ, სულ ორმოც და ორი წელიწადი არ გასულა მას აქეთ, რაც პირველი წიგნი პირველი ქართული ყურნალისა გამოვიდა 1852 წ. ვინც ესლანდელ ჩვენს ყურნალ გაზეთებს იმასთან შეადარებს, თუ რა იყო ჩვენი ყურნალ-გაზეთები ამ ოც და ხუთის, ამ ოცის, ამ თხუთმეტის წლის წინანდ, 1869 წ. ან 1874, ან 1879 წ. ის, უეჭველია, დიდს წარმატებას შექნამნავს, დიდს დაწინაურებას დაინახავს. დიეტრატურულ, კრიტიკულ, პედაგოგიურ და ბევრ სხვა მხრივ ჩვენმა მწერლობამ დიდად დიდად წაიწია წინ ამ უგანასკნელ ხანებში. ღვთის მადლით, პოეტებიც ბევრი გვაყავდა, ბელეტრისტებიც, კრიტიკოსებიც, ისტორიის მწერლებიც, პედაგოგებიც და პუბლიცისტებიც. მათის მკითხველების რიცხვიც გამრავლდა, მათი გავლენაც გავრცელდა. ეს უეჭველია. მაგრამ აქ ჩვენ კრიტიკულ მსჯელობას ვი არ ვამყარებთ თანამედროვე ქართულ მწერლობაზე, მართლ იმას ვაველეკეთ, ჩვენი ქვეყნის ესლანდელი საზოგადოებრივი მდგომარეობა და საჭიროება როგორს მწერლობას მოითხოვს, ან რამდენად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს თანამედროვე ჩვენი მწერლობა? ვინც ამ თვალთ დააკვირდება ქართულ საზოგადოებას და ყურნალ-გაზეთებს, მაშინვე იმას დაასკვნის, რომ ქართულ მწერლობაზე ბევრად უფრო მეტი ზრდა ქართველ საზოგადოებას დამჩნევია, და რაც ამ საზოგადოებას განსაკუთრებით უჭირებს მწერლობაში, იმას ჯერ ვიდრე ვერ ვხედავთ შიგან: საზოგადოებრივი, საზოგადოებრივს ხელმძღვანელობასა.

რასაკვირველია, ეს ნაკლი თვით მწერლობას ბრალი რადია. იმდენად, რამდენადაც მწერლობა კერძო კაცთა ნაშრომს წარმოადგენს, ქართულ მწერლობასაც დღეს ჩვენში სრულიად დაუძინებელია თავისი

ღვაწლი. საზოგადოება კერძო რედაქტორებისაგან, კერძ. მწერლებსაგან—სუბინდიანით რომ განუსაჯოთ—ვერც კი მოითხოვს იმაზე მეტს, რასაც ქართველი რედაქტორი, ქართული მწერალი აძლევს. როცა ჩვენს ქვეყანაში განათლება გავრცელდება და როცა განათლებულები გაიგებენ, თუ რამდენად მძიმე და მხელი ყოფილა ჟურნალისტის შრომა და ღვაწლი, მაშინ—თქმა არ უნდა—ძეგლ-მატურების ღირსად ჩასთვლიან იმ მოღვაწეებს, ვისაც უარაზოდ, აზარათისაგან, მარტოხელობით, შეუქნაით, დაუარსებიათ ჩვენში და შესამჩნევ იარაღად გაუხდიათ ის ძვირფასი და აუცილებლად საჭირო ძალა, რომელსაც ქართული ჟურნალისტიკა ჰქვია.—გიმეორებ, ქართველმა რედაქტორებმა და მწერლებმა ჰქმნეს, რაც შეეძლოთ—და მეტიც—ქართველის მწერლობის ასამაღლებლად და გასამდიერებლად. რაც წარიყლის ხელით, ნიჭით, შრომით თუ თავ-განწირვით შეიძლებოდა ექმნათ, ჰქმნეს. მაგრამ დღევანდელი ქართველი საზოგადოების მოთხოვნილება ჟურნალ-გაზეთებისაგან იმდენად დიდი და კრცელაია, იმდენად დიდი და კრცელი უნდა იყოს, რომ მარტო ხელი მწერალი, რაგინდ უმძლესის ნიჭის პატრონი იყოს, რაგინდ თავ-განწირული იყოს, კერ ახსრულებს, კერ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილების მქასედ ნაწილსაც, არა თუ მის ნახევარს... ამ მოთხოვნილებას დღეს კერძო კაცი ვეღარ გასწვდება: მარტო რიგიანი ორგანიზაცია, მტკიცედ დამკვიდრებული შეერთებული ღონე და შრომა გაუძლებს.

(სალიტერატურო ჟურნალებსა და, საზოგადოდ, მწერლობის სალიტერატურო კერძობასზე სულაც რომ არ ვილაპარაკოთ, და მარტო საზოგადოებო გაზეთებს რომ მივაქციათ ყურადღება, უნდა გვასწავლოს, რომ ეს გაზეთები ორნაირია. ზოგი გაზეთი პარტიულია: მისი დანიშნულება და შინაარსი, მისი სიკეთე და ძალა ის არის, რომ ის ერთ და ერთ მომჭმედ პარტიის აზრის გამომთქმელია ყოველ გავრსაგანსა და მოკლენასზე, რომელიც კი ქვეყნის თვალწინ მოხდება. ამგვარი გაზეთი თავისი პარტიის პოზიციას და მოჭმედებას იცავს, და წინააღმდეგ პარტიების საქციელს თუ აზრს ებრძვის. თვითუფ პარტიას თავისი გაზეთი, თავისი «ორგანო» აქვს, რომელშიაც მტერი და მოყვარე ეძებს და პოულობს ამ პარტიის შესჯდულობას ყველა საზოგადო საქმეზე თუ მოკლენასზე. ამგვარ



პარტიული ორგანოების არსებობა დიდად საჭირო, დიდად სასარგებლოა ქვეყნის ზრდისა და წარმატებისათვის, რადგანაც საზოგადოება ამ აზრების შეხლა-შეთაკებით ეხვევა ჭეშმარიტების გამოკვლევას და სწორე გზას არჩევას. ზოგი გასეთი კი შინაურ პარტიების ბრძოლაში როდი ერევა, ზემოდან დასცქერის მათს მოქმედებას და მსაჯულობასა კისრულაბს მათის სამართლისას, სამშობლო ინტერესების სახელით. ორივე ეს ტიპი გასეთებისა განიხივებს ერთმანეთისგან მარტო შინაურ საქმეების განსჯით. რაც კი შეეხება უცხოეთის ცნობებს, უცხოეთთან დამოკიდებულებას, ორისავე ტიპის გასეთები თითქმის სრულიად ერთნაირად სჯიან საქმეს. ამ მხრივ მკითხველი სშირად ვერც კი დაინახავს განსხვავებას, არა თუ სხვა-და-სხვა ტიპის გასეთს შუა, თვით მოპირდაპირე და ნიადაგ მებრძოლე ორგანოთა შორისაც კი. მონაჩქიული, რესპუბლიკური, რადიკალი და ნეიტრალი გასეთები საფრანგეთში სრულიად ერთნაირად, ერთისა და იმავე კილოთი სწორენ გერმანიასა, ინგლისსა, იტალიასა და რუსეთზე, აგრედვე ოგორ ინგლისში—ლიბერალური, კონსერვატიული და ობიექტიური გამოცემისი ერთნაირად სჯიან სოლიე უცხოეთზე. საზოგადოდ მიღებულია ყოველგან, უმეტეს ნაწილ შემთხვევაში, რომ შინაურობაში გინდ გაბრძოდე, ერთისა და იმავე აზრისა, შესედულებისა და საქციელის მომხრენი უნდა ვიყვნეთ უცხოელების შესახება...

ამგვარი ყოველგან საპოლიტიკო მწერლობის ხასიათი და ვითარება. შევადროთ ახლამს ჩვენებურის მწერლობის მდგომარეობა. გვახდადა პარტიული ორგანოები? ვერაჟინ იტყვის, რომ პარტიები არ გვეყვდეს, გამწარებით, დაუსოგველად მებრძოლენი ერთი მეორის წინააღმდეგ. მიბრძნეთ, რომელი ორგანო გავგახჩნია, მათის პრეგრამების, მათის განზრახვის, მსჯულობის, აზრის, კრიტიკის გამოძიქმელი? წავიკითხავთ ორდისმე, სადმე, ქართულად, გინდ დამკვლარი, გინდ გაკრული აღსარება, თუ კრიტიკა, ერთისა თუ მეორე პარტიის მოქმედებისა, განზრახვისა, წინადადებისა, და სხვ.? შინაურ საქმეებში ჩვენ მწერლობა ნიადაგ და ერთიანად მუნჯისა და სულ ხმას არ იღებს ეველა ჩვენს საზოგადო გარემოებასა და უთანხმოებაზე. ოცის წლის შემდეგ რომ ვინმე ჩვენს ესლან-

დელს გასეთებს ჩაუფდეს, ჩვენის ჰარტიების ბრძოლის გამოსკვლევად, მის ნიშნისაგან ვერ იპოვნის ჩვენს გასეთებში. არც ერთი საზოგადო კითხვა, არც ერთი საგანი ჩვენი ვითომ ჰარტიების უთანხმოებისა თუ შეტაკებისა არ ისინჯება ჩვენს მწერლობაში, არ ირჩება, არ ხდება მის მსჯელობის საგნად, ისე რომ ხალხი ბრძოლას კი ჰხედავს, კენჭის რასა-რუხს კი ესწრება, მაგრამ მის საგანს ვერ ჰხედავს, ვერ იგნებს, ვერ ითვისებს. ამის გამო არც ამ ბრძოლას, არც, საზოგადოდ, ჩვენის შინაურის საქმეების მსჯელობას, არც აქვს მასზე არავითარი გამწვრთნელი და ამდღომინებელი გავლენა. მისთვის ეს ბრძოლა გონებისა და პოლიტიკის სკოლად კი არა, უბრალო სკივრად არის გადაქცეული, როგორც უწინ კრივი, ან ჭიდაობა და ჯიროთი იყო. ეს უწინდელი სკივი შესაფერად იყო იმ დროის ვითარებისა, რადგანაც მამინ მამულის სამსახური და დაცვა ბუმბერაზობასა თხოულობდა, და ბუმბერაზობას «საბუმბერაზო თამაშს» აჩენდა და ზრდიდა, ესლანდელი სამსახური კი მამულისა სულ სხვა რიგ განვითარებას მოითხოვს და ამ განვითარების ასპარეზს როდი აძლევს ქართულს კაცს დღევანდელი ქართული მწერლობა თანამედროვე ბრძოლის საგნების საფუძვლიან გამოსახვით და განჩევით.

— როგორა, — შემომიტყეს მკითხველი, — ნუ თუ არ გვეყოფა ესლანდელი პოლიტიკა, კრიტიკების წერა ერთმანერთზე, ერთი-საგან მეორის თრევა და გინება? იმის მაგიერ, რომ მწერლობაში მშვიდობიანობის შემოღება ისურვო, იმას სჩივი, რატომ შიგ ბრძოლა არ არის გაცხსარებული!

(მოგესსენებათ, რა არის რძი, განსაკუთრებით რძი სამშობლას ინტერესების დასაცველად. მოგესსენებათ, რძი ეს რძი ღიკსუელი, დიდებული საქმეა. — მოგესსენებათ, აგრედვე, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი ჩინებული ახალგაზდა, უსაქმობის გამო, სშირად იმიღშლებს ხოლმე სანჯაღს ჰარტიოსან სმა-ჭამის დროს, და ყოვლად-უმიზეზოდ, სრულად უბრალო აჩხლობით, სჭრის ან ჰკლავს თავის: მუხობელს, მოძმეს, სშირად ნათესავსაც. — ესეც ბრძოლა და სი-სხლის ღერა გახლავს, და ისიც, რომელიც რძის დროს იმართება, მამულის დასაცველად. მაგრამ ნუ თუ ერთნაირად სანდოძი, სსარ-



გებო და სასახლათა ორივე ეს სისხლის-ღვრა? აგრედგა სამწიკ-  
ლო ბრძოლის საქმეც. პარტიულ ბრძოლასთან იღვრება მეღანი, და  
უმიწიგნელო მწერლებს შუა შინად კინკლანობასთან უმიწიგნელოვე სა-  
გნებისათვის. აქაც, და იქაც, პოლეტიკა იმართება, პასუხისათვის პა-  
სუხი იწერება, მოისმის დანინება, შემუსვრა, იქნება მკვასე სიტყვაც,  
იქნება ღანძლავაც. მაგრამ შედეგი კი ერთი და იგივე არ გასლავს  
ჭკუენისა და მისის მომავლისათვის. პირველი ბრძოლა, პარტიული,  
საგნიანი, აზრ-მოსილი ნათელსა ჭიენს ჭკუენაში, სწორს გზას  
ჩვენს, საზოგადო აზრსა წრდის და აძლიერებს, ერთობას აფუძნებს,  
მაშინ, როდესაც მეორე, პირადი, უმიწიგნე, მარტო მდაბიო და კარბო  
უკინილანობასე დამუარბული, ადამიანის ხასიათს რყენის მხლოდ,  
ადამიანს აძაბლებს ჭკუენაში, სახელს უტყეს მწერლობას...

ამ თვლით რომ შეხედოთ ჩვენს მწერლობას, ვახსავთ, რომ  
შიგ პარტიული ბრძოლა ჯერ კიდევ ალაგს ვერ ჭზოულობს, რად-  
განაც პარტიების მეთაურები და ორგანიზაციები ვერ ჭბედავენ ჯერ  
მწერლობის ასპარეზზე გამოსვლას და თავიანთ იდეალებს, პროგრამ-  
ის, თუ კრიტიკის ნათლად და გარკვევით გამოთქმას მთელის  
ჭკუენის წინაშე. ამ პირდაპირი მოქმედების მაგიერ—რომელიც მარტო  
შეფერება რიგანს მოქმედს და რიგანს პარტიას—ჩვენ გსუდავთ,  
რომ მწერლობაში პარტიული ბრძოლა იპარება ხოლმე მალეულად და  
ჭურღულად, უგანა კიბიდან, სსკა-და-სსკა გვარ ოინებით. უოკულ-  
თვის, უკულა მსრავ, ამ ჭურღულ შეპარვას ერთი და იგივე ხასია-  
თი აქვს: მოწინააღმდეგეს პირადობის გმობა—ეუპატოოსნო კანია,  
ჭურღლიაო. თითქო არც სსკა იარალი გკქონდეს, არც სსკა ნაკლი  
გვეცნოს, არც სსკა მსარეების შეგნება შეგვეძლოს. ამის გამოთქმა-  
საც ვასრნებთ მარტო ფარულად, გადაკერით, თვალის-ქნევით, ინ-  
სინუაციით, და არა პირდაპირის პატოოსნურის გამოტუნებით, ფაქ-  
ტების დასახელებით, როგორც შეფერება ღირსეულს ბრძოლას  
საზოგადო ასპარეზზე თვით პირად საგნების შესახებ. თითქმის  
მთელი ჩვენი ვითომ ბრძოლა მწერლობაში აი ამ საურთიერთო ცილის-  
წამებაში მდგომარეობს, და თან ისეთს უსაგნო ცილისწამებაში,  
რომ მკითხველს, მწერლობასთან ახლოდაც მდგომს, არც კი ესმის,

თუ ვის ან რას აბრალებენ. ჭკრძნობთ მხოლოდ ავს სუნს, მძაგ-  
რის სუნს, რომელიც თან-და-თან მთელს არე-მარეს ედება...

რადგანაც პარტიები გვეყვას, რადგანაც მათს შორის ბრძოლა  
განაღებულა—კენჭის ურის დროს—მათი პირდაპირი მოკალეობაა,  
მათი პარტიანების ვალია—მწერლობაშიაც იქონიონ ღირსეული  
ორგანოები თავიანთ მიმართულებას და შესედეულების დამცველად  
და გამომთქმელად. თვით ამ პარტიებისათვისაც სამარცხენო ის გარე-  
მოება, რომ მწერლობაში, აზრების რიგთან და პარტიოსანი ბრძო-  
ლის მაგიერ სადავო საგნებსე, ბეშეური კინკლაობა ან მდაბიო  
ღანძვლა ჭეხულობს ხოლმე ადგილს. (პარტია, რომელიც საჭიროდ  
არ სთვლის ქვეყნის წინ ნიადაგ იქონიოს მისის აზრის, მიმართუ-  
ლების და შესედეულობის გამომთქმელი და გამაგრელებელი ორგა-  
ნო, ღირსიც არ არის პარტიის სახელისა. ის უბრალო ბრბოა ად-  
გილის თუ ჯამაგირის მეძიებლებისა, რომელსაც არც საკუთარი პლა-  
ნი ჭქონია საზოგადო საქმეების დაწეობისა, არც ახალი მიმართუ-  
ლების დამყარება შესძლება ქვეყნის შრომისა და მოქმედებაში. თვი-  
თონ პარტია, თავისი შტაბითა და მეთაურებით, უნდა უკლიდეს  
თავის საკუთარს ბეჭდვის ორგანოს, ისე რომ შიგ დაუფიქრებელი  
ან განუხომელი არა იბეჭდებოდეს—რა, თორემ მისი შეცდომა თუ  
ჩირქი მთელ პარტიას ავნებს და მოეცნება. ამ გვარად, საშინაო სა-  
პოლიტიკო ცხოვრებისთვის, მას შემდეგ, რაც პარტია იმართე-  
ბა ქვეყანაში, მწერლობა, უმრავლეს შემთხვევაში მანინ, კერძო პი-  
რის დაწეობად და საქმედ კი აღარ ჩაითვლება, როგორც თავდა-  
პირველს პერიოდშია ხოლმე, არამედ გადაიქცევა პარტიების აზრე-  
ბის გამომთქმელად, და იმართვის „დასის წესით“. თვითუფს გა-  
ზეთს, საკუთარი რედაქტორს და თანამშრომლებს გარდა, მიმართვლად  
ცალკე საბჭო ჭყავს, რომელსაც შეადგენენ პარტიის უმთავრესი  
მეთაურები. ისინი, რასაკვირველია, სტატუტებს კი არა სწევენ, მარ-  
ტო იმ უმთავრესს საგნებსა და საკითხავებსა სჯიან და სწევეტენ,  
რომელსედაც გაზეთის მიმართულებაა დამოკიდებული. როცა ჩვენს  
გაზეთებსაც ეღირსება ამგვარი წეობილება, ამ გარემოებით არა თუ  
მარტო მწერლობის ხასიათი ამაღლდება, დღევანდელთან შედარებით,  
არა თუ მარტო გაზეთების შინაარსი გაუმჯობესდება, თვით ჩვენს



პარტიულს ბრძოლასაც მადლი მიეცხობა. შემდეგ ამისა საზოგადოებას მართო გამოკვლეული, განსაზღვრული, წინადაწინაღობა აზრები და ღონისძიებანი მოხსენდება, მართლადღე ღირსი მისის ურადღებისა, განხრევისა და მსჯელობისა, და არა დღეებანდღეებურად ვუკლავთ, რაც კი გაუკლებს თავში სხვა-და-სხვა კრების დამსწრეს...

— აღბად მწერლობის ღირსების დამდაბლება გისურვებია, მეტყვის მეთისეული, თუ თანხმა ხარ, რომ მწერლობა პარტიების ადვოკატობას შეუდგეს. ჩემის აზრით, მწერლობა პარტიების ადვოკატი კი არა, მსაჯული უნდა იყოს.

თუ ასე გსურს, ჩემო ბატონო, ვინ გიშლით ისეთი ორგანო დაარსოთ მწერლობისა, რომელიც არც ერთს პარტიას ეკედლებოდეს, არც მეორეს, და ყოველთვის პირუთენელ მსაჯულად გამოდიოდეს მათის ბრძოლისა და მოაზრებისა? ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, თუ ისურვებთ და შეიძლებთ ამგვარ ორგანოს დაარსებას და გაძლიერებას. ხალხი ჩემი აზრისა და მოკვლეობა საუმიჯობესო იდეალების სატკაში კი არ მდგომარეობს: ოცნებით ქართულობა უნებოდეს ერთობ მდიდარია. მართო შესაძლო, დღეებანდელი მდგომარეობის შესაფერი და მოსახდენი ღონისძიებანი უნდა ვუძიოთ, თუ არ გგსურს დრო ღაუბობაში გაკატაროთ. დღეს ჩვენი საზოგადოება — ქართლ-კახეთშია, იმერეთ-სამეგრელოშია, — ისეთს მდგომარეობაშია, რომ ქართული გაზეთისათვის უპარტიობა ვიანაც არის, და ადრეც. ღვთის მადლით, გამოვიდა ეს ჩვენი საზოგადოება იმ თავდაპირველ ბავშვურ მდგომარეობიდან, როცა ორიოდ-სამი კაცის მეტი არც კი არავინ იღებდა ღრმა და გულწრფელ მონაწილეობას ქვეყნის ბედისათვის ზრუნვაში, ქვეყნის საქმეების მართვაში. დღეს ამ საქმეებზე ბევრს აქვს მტკიცედ შედგენილი აზრი და შესედელობა. დღეს მათი წაყვანა და მართვა ზოგს ასე სურს, ზოგს ისე, და ყოველდღე უფრო და უფრო მატულობს, როგორც საგანი საზოგადო მსჯელობისა, ისე რიცხვი ამ საგანზე მსჯელობის მსურველთა. ამ მიზეზით ქართული გაზეთი, რომელიც გვერდს აუკლავს ამ კითხვებზე სჯას, რომელიც მათზე ვუკლავს თავისს გადაჭრად, დასაბუთებულს აზრს თუ გადაწყვეტილებას არ გამოსთქვამს,



სამუდამოდ უგაკლენო იქნება დღევანდელს ქართველობაზე. რაკინდ მარდად აკესოს ამგვარიმ გასეთმა თავისი ფერცლები ახალ-ახალის ამბებით და ცხელ-ცხელი შენიშვნებით, ყოველი ქართველი, რომელსაც კი გული მართლა შესტკიავს საზოგადო საქმეებისათვის, მართლ სსსეიროდ თუ იკითხავს იმას, მეტად აჩა. როგორც კი ამნიირ გასეთს გვერდით ამოუდგება პარტიული გამოცემა, რომელსაც გარდა ახალის ამბებისა, ნიადაგ მზა-მზარეული ექნება გადაჭრილი მსჯელობა ყველა თანამედროე საკითხებსა და მოვლენებსზე, მკითხველების უმრავლესობა მასინე არჩევს და შეითვისებს ამ უკანასკნელს, რადგანაც შიგ მართლად ძალა, მართლად ცოდნა იქნება მოთავსებული... შემდეგ კი დროთა ვითარებისაგან, ქართველი მკითხველი დახელოვდება, გამოიხდება, გაიგებს, რომ პარტიული გასეთები ხანდახან, სმირდაც, ჭეშმარიტებს ხან ერთს კუთხეს მოჭეკნეტენ, ხან მეორეს, ხან ოთხივეს. მასინ საზოგადოებაში თან-და-თან გამრავლება ისეთების რიცხვი, ვისაც პარტიის ინტერესზე უფრო მდლად ჭეშმარიტების და სამართლიანობის კანონი მიაჩნიათ. აი, როცა ამათთანა მკითხველების რიცხვი რამდენსამე ათასს კაცს შეადგენს, მასინ, მართლ მასინ, შესაძლო შეიქნება ჩვენში, პარტიულ გასეთებს გარდა, მიუდგომელ და პირუთენელ ორგანოს დაარსება. ჩვენ ჟურ შორსა კართ ამისთანა დროზედ \*). თუ საფრანგეთში ან ინგლისში ამგვარი გასეთები ძლივს სწარმოებენ დღეს, არც ჩვენ გვიშავს რამე, თუ უმართოდ გაუძღებთ. ჩვენთვის დღეს ბეკრად უფრო საჭირო, სასურველია პარტიული გასეთების რიგთანა დაარსება, ისე, რომ მკითხველი საზოგადოება, ამ გასეთების ნაწილის შედარებით და სასწორზე აწონით, თავისთავად შეეჩვიოს ჭეშმარიტის მსჯელობის შედგენას საზოგადო საქმეებსა და საზოგადოების მეთაურებსზე, თუ მომქმედებსზე.

\*) საჭიროდ მიგვიჩნია შევნიშნოთ ჩვენს პარტიულ თანამშრომელს, რომ, ჩვენის აზრით, თუმცა სასურველია პარტიული გასეთების ქონვა ჩვენში, რათა პარტიებს შორის ბრძოლა სწარმოებდეს აშკარად, საჯაროდ და არა ფარულად და ენატანობით, მაგრამ მართლ პარტიული გასეთების არსებობა მვენებულად მიგვიჩნია, თუ იმავე დროს დამოუკიდებელი ორგანოებიც არ გვექნება. უმისოდ შესაძლოა, როგორც თვით ავტორიც ბრძანებს, მეტად «შირად ჭეშმარიტების ხან ერთი, ხან მეორე და ხან ოთხივე კუთხეც მოეკვნიტოს».

როცა საზოგადოების თვალში გაზეთის სიტუციის და მსჯელობის  
 ზასუსის-მეგობრად კერძო და უცნობი მწერალი კი არა, მთელი დიდი  
 ზარტია გამოვა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ, ადრე თუ გვიან,  
 ეს გარემოება უეჭველად გაამდიდრებს და გააუმჯობესებს გაზეთის  
 შინაარსს. დღეს ჩვენი გაზეთები ღარიბი-უღად, მათხოვრულად სცნო-  
 ვრობენ. მიხატვას მათი ხასიათი; შემთხვევას მათი მეუფე. არავითარ  
 ნიკთიერი საშუალება არა აქვთ ისე შეასრულონ თავიანთი მო-  
 ვალეობა ქართველობის წინაშე, როგორც სურთ ან საჭიროდ მი-  
 ხნათ მათ მოღვაწეებს. გაზეთი დღეს მარტო მწერლის მოღვა-  
 წეობით ან თავ-დადებათ კი ვერ წამოადგება ფეხსე. ამას დიდი სა-  
 შუალება უნდა, ფული, ხელის გამართვა. რამდენისაჲ წლის განმა-  
 ვლობაში უნდა აუაროს ფული გამომცემელმა თავისს გაზეთს, თუ  
 უნდა, რომ ოთხი, ხუთი, ექვსის წლის შემდეგ მისი გამომცემის  
 შემოსავალი გასავალს უდრიდეს. რომელს ჩვენს მწერალს აქვს სა-  
 შუალება ამგვარ საზღვს გაუძლოს იმ დღემდე, სანამ ქართველობა  
 გაზეთს გაიწიროს, შეითვისებს და დაიბარებს რამდენსაჲ ათასს  
 ეგზემპლარებად? როგორც უცხოეთში, აუცილებლად საჭიროა, რომ  
 ჩვენშიც შეერთებულას თანხით, შეერთებულის შრომით ავამაღლოთ  
 ჩვენი ჟურნალისტიკა იმ სიმაღლემდე, რომელიც შეეფერება ესლან-  
 დელ ჩვენის საზოგადოების საჭიროებას და სარგებლობას. იმ ორ-  
 სამ ზარტიას, რომელნიც გვეყავს, ადვილად შეუძლიანთ გამოიღონ  
 ხელი და ეს საქმე ისე გამართონ, როგორც მათს საკუთარს ინ-  
 ტერესს შეეფერება. ქართველს საზოგადოებას მეტი არაფერი სჭი-  
 რია, ჯერ-ჯერობით, გარდა ამისა, რომ იმათ, ვინც მის მეთაურო-  
 ბას სჩემობენ, ვინც ეძებენ მისის ნდობისა და სიყვარულის ღირსნი  
 შეიქმნენ, ვინც მზად არიან ხელმძღვანელები და გადამწვევები განდენ  
 უკვლამისის საქმეებისა, იმ ზირებს თუ ზარტიებს დაავალონ ხელ-  
 მძღვანელობა ჩვენის მწერლობისა, ჩვენის ჟურნალ-გაზეთებისა, ჩვე-  
 ნის ორიოდე გაზეთისა. რაკი საზოგადოება ამას მოსთხოვს ჩვენს  
 ზარტიებს, და მტკიცედ მოსთხოვს, მწერლობას არა თუ საშუალება  
 მიეცემა, უკეთესად შეასრულოს თავისი ვალი და დანიშნულება, მა-  
 შინვე ბლომად შეეძინება საკმაო გონებრივი და ზნეობრივი ძალა.  
 რაც კარგი და თვალსაჩინი რამ ექნება ზარტიას, უკვლავდგეს მწერლო-

ბისკენ მიმართავს, თვისის გონებრივისა და ზნეობრივის ძალის თუ სიმიდობის გამოსახენად ქვეყნის წინაშე. თვითიული შეცდომა ზარტიულის გაზეთისა სირცხვილით გააწითლებს ზარტიის მეთაურებსა და მომხრეებს. ყველანი ეცდებიან მეორეჯერ აღარ შერცხვენ, და სხვა და სხვა. მალე საქმე ისე მოიძარება, რომ, რაც კი რამეა ჩვენი ქვეყანაში ღონიერი, ყველა ასე თუ ისე მიიღებს მონაწილეობას მწერლობის აღორძინებასა და გაძლიერებაში. მარტო მაშინ კელირსებით ამ იდეალს, რომელიც არასოდეს არ უნდა გვაკვივდებოდეს: მწერლობა, როგორც საზოგადო საქმეების მართვა, მარტო მანამდეა ქვეყნისთვის სასიარო და სასიქადულო, სანამ ერის უმჯობესს, უნიჭიერესს შვილებს ახარია... რომ, რაკი ზარტიები ზასუხისძებლები შეიქმნიებიან ხალხის თვალში თავიანთ გაზეთების ხასიათის და შინაარსისა, ისინი მწერლობის ხელმძღვანელად წინ წამოაყენებენ უმჯობესს მწერლებს, და მათ, ღვაწლის შესასრულებლად, საკმაო საშუალებასაც დაუმზადებენ, შესაფერის ასპარეზსაც მიუჩენენ.

დღეს ერთობ შორსა ვართ ამ სურათზედ. წოცრა ჩვენში საზნაურო ზანკები გაიძარია, 1876 წ., ზოგიერთმა მათმა მომქმედმა ზირმა განიზრახა ბეჭდვის ორჯანოს შექმნა. ამ განზრახვის ნაყოფი გასლავს «იურიის» დაარსება 1877 წ. მაშინვე «დროებაში» ის აზრი გამოსთქვა, რომ თუ ზირდაზირობით და ზარტიოსნად არ იქნა ეს საქმე წარმოებული ჩვენში, შესაძლოა მწერლობა გაიფერნესო. დღეს, რასაკვირველია, ვერჯინ იტყვის, რომ გარყენილება მოჭრედეს ჩვენს მწერლობას, ზანკების გამოისობით. მაგრამ ვერც იმას უარჯუოფს ვერჯინ, რომ გვარინად არ გადახაროს ქართული გაზეთების ხასიათი იმ ფარულს გაკლენას, რომელიც ზანკის ბრძოლას მწერლობაზე აქვს ჩვენში. ზანკის საქმე, მისი მართვა, ზანკში სამსახურის ძებნა, იქ შესკლის თუ დარჩენის სურვილი სამძახსი და სამაღავი როდია, რომ ესე ყოველივე მწერლობაში ზირ-და-ზირ, ზირახლით, ნათლად არ ისინჯებოდეს. მწერლობას ამგვარი სჯა არა თუ არ ამცირებს, კიდევ ამალლებს და ამლიერებს, როგორც ყოველი შრომა, ქვეყნისათვის გამოსაღვო. საჭიროა მხოლოდ, რომ ამგვარად, ნათლად, ზირახლით განისჯებოდეს ამგვარი საგანი მწერლობაში, და არა ქურდულად, გადაკვრით,



ვითომ სულ სსკა ღრმა საგნებზე იყოს მსჯელობა, ვითომ ზარ-  
ტიული ბრძოლა კი არ მოქმედებდეს აქ, არამედ ლიტერატურული  
კრიტიკა ან სსკა ამგვარი მაღალი განზრახვა. გარყვნილება მწერ-  
ლობისა ის კი არ არის, რომ ბრძოლაში გაერიოს: მთელი ქვეყ-  
ნის მწერლობა მეტს არას აკეთებს, ამ ბრძოლას გარდა. გარყვნილე-  
ბა ფარული საქციელია, როცა მწერლობა მკითხველს საზოგადოების  
წინაშე თავს მოაკატუნებს, ბრძოლა რა ჩემი საქმეა, ბრძოლაში  
ხელს როგორ გავისვრიო, უფრო უმაღლეს საგნებს ვემსახურები,  
მარტო ჭეშმარიტების ძიებაში ვარ, მარტო შენის სიკეთით ვხელ-  
მძღვანელობო და სსკ., და საქმით კი ან უოველ თავისს სიტყვას,  
ან უმთავრესს საგნებზე თავისს მსჯელობას კენჭობის ინტერესს  
უჭვემდებსებს. ეს ფარული, ქურდული, მელური საქციელია მწერ-  
ლობის გარყვნილების ბუდე და წყარო. ღმერთმა აშოროს ქართულ  
განუთებს ეს მართლაც სათაკილო და მომშხამველი საქციელი. ის  
მარტო იმ გარემოების მიხეენებელია, რომ ჩვენი საზოგადოების  
ქსლანდელი მდგომარეობა მოითხოვს მწერლობის გარეკას საზოგადო-  
საქმეების მართვაში და იმ ბრძოლაში, რომელიც ამ მართვის გამო  
გამართულია ჩვენში. რაკი, ჯერ-ჯერობით, ზარტიები ვერ ასერსე-  
ბენ თავიანთ ბრძოლის გადატანას უურნალ-განუთების ფურცლებ-  
ზედ, აქა-იქ ძალა-უნებურად შეიპარება ხოლმე ბრძოლის აუცილებელი  
თვისება ხან ერთს განუთში, ხან მეორეში. შეპარვა, რასაკვირვე-  
ლია, სწარმოებს ბნელაში, ძალუფლად, ათასგვარის მინკე-მონკეით  
და კუდის-ქინით. ჭიშკარი დაკუთვლოთ ბრძოლას, დაკუთმოთ მას  
უძვობესი ალაგი ჩვენის მწერლობისა, თუ გესურს ჩვენის ღირსე-  
ბის დაცვა და საზოგადო ინტერესის სიკეთე. ვნახოთ, ვის რა  
აქვს სათქმელი!

ნ. ნიკოლაძე

# ჩემი დღიური

## საახალწლო

კარგი ჩვეულება.—ნუ წავბაძავთ.—როგორ მოვიდა წარსული წელი.—ბნი გუნია და მისი კალენდარი.—ჩვენი „მოღვაწენი“.—რით არიან თურმე ისინი შესანიშნავი.—წინასწარმეტყველებანი ახალის წლის გამო.—ახალი ქარი და მისგან აღძრული იმედი.—მისამკვლევო.

ერთი კარგი ჩვეულებაა უცხოეთში. წლის დამლევს იქაურნი ყურნაღ-განკეთობა სცდილობს თავლი გადაჯვალს მთელის წლის ცნობებს, გაითვალისწინოს მისი აკვარგებობა და აღნიშნოს, რა მოხდა საიმედო და რა გულ-საკლავი მთელის წლის განმავლობაში და ამგვარად სრული სურათი დაუნატოს მკითხველს. სადაც ცნობება ისე რთულია და მღელვარებით სავსე, როგორც სამშლავარ გარედ, ეს ჩვეულება, კომეორება, მეტად კარგი და მოსაწონი ჩვეულებაა. დრო—ვინ არ იცის?—ყოველის მეტრი და შემეუსურებია, ის დრო, რომელიც, ძველთა ბერძენთა სიტყვით, თავის ღვიძლ შვილებსაც კი ჰყვანავდა თურმე. მაშ რა გასაკვირვებია, რომ მან არ დაჰზოგოს ჩვენი მესსიერებაცა და წარსოცოს ჩვენს ხსოვნაში ზოგიერთი იმისთანა რამე, რას წაშლას და დავიწყება მეტად ცუდი და მკენებელია. აი ამისთვისაა მიღებული ის ჩვეულება, რომელსედაც მოგახსენეთ ზემოდ. ამისათვისაა-მეთქი, რომ ეკრძაბილნი არ სცდებინ, როცა ხანდახან თავს გადაჯვლებენ ხოლმე წარსულს, არ სცდებინ, ამიტომ რომ, თუ აწმყო მომავლის აღმზრდელია—და ეს სომ ჭეშმარიტებადაა ცნობილი—ანგარიში ყოველთვის საჭიროა, ანგარიშს თავი არა სტკივა...



მიუხედავად ამისა მე მაინც არ წავბაძავ ამ ჩვეულებას. მაგრამ ის გახლავთ, რომ მე და მკითხველს — რაღა დავძლავ! — არაფერი არა გვაქვს სახანგარიშო და კიდევ რომ გვქონდეს, არც ამ ანგარიშოდან გამოვა რამე. არარასაცან არარაი იქნებაო, — ნათქვამია ძველად და მამ რისთვის შევიწუხეთ თავი?

ხოლო, გარდა წარსულისა, არის კიდევ მომავალი. რას გვიქადის იგი, რას შეგვიქნის? რას უნდა მოველოდეთ მისგან?

სანამ ამის შესახებ მოგცემდეთ, ნება მიბოძეთ გავახსენოთ, თუ როგორ დადგა და როგორ მოვიდა აწ, თხზენისამებრ თვისისა, სამსახურიდგან გადამდგარი წელიწადი.

მხატვრები და პოეტები — ეს ფანტაზიისა და შემოქმედობის შეილები — თავისებურად წარმოგვიდგენენ ხოლმე ახალ-წლის მოკლინებას ქვეყნად. იგი ან ჩვილია, მეტად ლამაზია და ოქრო-ქაზიანია უმწვილია, ან-და შეენებოთ სავსე, გულის წარმეტანი და სულის აღმაფრთოვანი მანდილოსანი. ორსაკე შემთხვევაში ახალ-წლის გარეგნობა მომხიბვლელი და სასიამოვნოა, მისი სტუმრობა სასურველი და სანატრელი სტუმრობაა. ჩვენში კი, ახალი წელიწადი არ ჭკადრულობს არც ამჟრის შეენებას, არც ფეიას ელფერს და ბანკის მსახურისაგან ტყუედ-პერობილი ეჩვენება ქვეყნიერობას. მე მოგახსენებთ ბნ გუნიაზე, რომელიც არა თუ ჩინებული დრამების ავტორი და საოცარი მსახიობია, არამედ მასთან ერთად ბეგრ სხვა თანამდებობათა და საზოგადო მოკალეობათა აღმასრულებელიც. სხვათა შორის იმაზეა დამოკიდებული, როგორ და რა აღთქმით, რა საიმედო დაპირებით უნდა გამოგვეცხადოს ახალი წელი.

შარშან იგი მოგვეკლინა ეგრედ-წოდებული «საქართველოს კალენდრით», რომელშიაც სრულიად იყო მოთავსებული ყოველივე, რაც კი ეჭირება ან დასჭირდება ქართველობას. ჩვეულებრივ საკალენდარო და სასტატისტიკო ცნობათა გარდა, იმასაც კი გვასწავლიდა, თუ როგორ უნდა მომზადდეს სხვა-და-სხვა საჭმელები. «მლოკი», «კვერცხები», «კეიტრის მწინელი გოგრაში», «აღუბლის ან კრიჟოკინის მწინელი», «ფშაური სინკალი», «საზაფხულია მუკე საჭმელი», — ეს სულ კალენდრის საშეალობით მოსვლისათანავე გვიწვალობა ახალმა წელმა. მართალია, ჩამოთვლი-



ღი საჭმელები მანცა-და-მანც ვერ მოჭკვრიან ნურწყეს მკითხველს და ვერც ისე გრძელ სიას შეადგენენ, როგორც, შეიძლება, სასურველი იყო მრავალთათვის, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ღორ-მურცლობა არასოდეს არა უფიქროს მოსაწონი და ამას გარდა «არა ჰურიანთ მარტო სცხონდეს კაცი». მართლაც ისიც, რომ ბ-ნ გუნიას სამზარეულო უფრო ფშაურ კუჭისთვის არის გამოზომილი, მაგრამ ერთი რომ ფშაური კუჭიც კუჭია და მასაც საკვები უნდა და მეორედ ის რომ, «კალენდრის» შემდგენელს სრულიად ირ დავიწყებია ეს სახიფათო და საშიშარი გარემოება. კინიტობა, «კალენდრის» საჭმელებს ვერ შეითვისებდით ისე, როგორც საჭირთა ჯანმრთელობისათვის, უნდა მიგეშურებიათ იმავე ბ-ნ გუნისათვის, რომელიც გადაგიშლიდათ «ძველ კარაბადინს» და გასწავლიდათ «შინაურ წამლობას ზოგიერთ ავადმყოფობათაგან». ამ შემთხვევაში «კალენდრის» გამომცემელის თავაზიანობა იქამდის მიდის, რომ «პაწია შინაურ აფთიაქსაც» კი უფეშქაშებს თავის მკითხველებს. «სიქან-ჯუბინიო,» — მოგვიტხრობს იგი — უბარი წამალია შემდეგი სატკივრებისათვის: ვისაც შარდი შეკრული და შესუთული აქვს და ან მუცელიზედ შემოწოლილი ჰქონდეს საქმელი რომ, გაჭსნის და მოახლებს». წყლისა და სახსრების ტკივილისათვის უბარი წამალია აქლემის ხორცი; უნდა მოხარშოთ ცხარე ძმარში და ისე სჭამოთ რამდენჯერმე, გაასუქებს კიდევ კაცს» და სხვა. ეს კიდევ არაფერი, ბ-ნ გუნიას ხოლერისაც კი ეფიქრება თავის «სამზარეულოს» გამო და ამისათვის გრძელ დარბეობას იძლევა, თუ როგორ უნდა დაიფაროს კაცმა თავი ამ სენისაგან... აი რა რჩევით, რა აზრით, რა დარბეობით ეტყვიანო შარშან ახალი წელი!.. მაგრამ, შეიძლება, იფიქროთ, რომ გარდა მდოკვისა, მწინლის, ფშაურ ხინკლის და სიქან-ჯუბინისა არაფერი იყოს «კალენდარში». ძლიერ შესტავებით! ბ-მა გუნიამ კარგად იცის, რომ გარდა არსობისა ჰურისა საჭირთა კიდევ კერედ-წოდებული სულიერი საკვები და აი მისს წიგნში მოთავსებულია ამგვარი განმც. «ანკდლოტობა», «ორი აბესინური მოთხრობა», «რომ გიყვარდე» და სხვა და სხვა, სულ ამავე ხარისხის სალიტერატურო თვალ-მარცვლიტები... მაგრამ ყველა უფრო შესანიშნავია ის ნაწილი «კალენდრისა», სადაც მოთავ-



სებუღია კერძ-წოდებული «სურათების აღსნა» კვ სურათებში შეიცავენ ჩვენს ჰანტონს, ჩვენს დიდებს, ჩვენს სიამაყეს! ბ-მა გუნიამ შეჭკრიბა ერთად რაც კი რამ იყო შესანიშნავი ჩვენში და თვითუღ მათგანის ჟანმრთელობაზე გვაუწყებს საიმედო ამბებს. მაგალითად, ერთი მათგანი «დიდად განათლებული და განვითარებული, ჯან-ღონით, სიცოცხლით და პატიოსნებით სავსეა თურმე, მეორე „სრულებით ჯან-სალი კაცია და 48 წელიწადი სრულებით არ ეტყობა მის ვაჟკაცურ და იმედებით და რწმენით აღტაცებულს სავსე (?) ბუნებას“, მესამე... მესამეც «ჯერ სრულებით ჯანსალი და ძალღონით სავსე კაცია და, იმედია, რომ კიდევ დიდ ხანს ემსახურება ამ საზოგადოებას, რომელიც მას ასე პატივს სცემს და ჯერ უყვარს», მეოთხე „მხოლოდ ახლა შედის სრულ ასაკში“ და სხვა და სხვა... ერთის სიტყვით, რაღა გავაგრძელოთ, გონების, ჭკვის და ფისიკურა მშვენიერების წარმომადგენელნი სულ ერთად შეუვრება ბ-ნ გუნიას და ვეკლანი ჟან-საღნი და ძალ-ღონით სავსენი არიან... დიად! ბ-ნმა გუნიამ, «დიდად განათლებულმა, ჟან-ღონით, სიცოცხლით და პატიოსნებით სავსე» გუნიამ დიდის ამბით მიგვაგება შარშან ახალწელიწადს და დიდის ამბითვე ჩააბარა მას ჩვენი თავი. ეს იყო, კიმეორება, შარშან და რატომ არ უნდა ვიგუფისხმოთ, რომ განმეორდება წელსაც. დიდება, მასსადაძე, მას, ჩვენს წინასწარმეტყველს, ჩვენს მეცნიერს, ჩვენს კრიტიკოსს, ჩვენს მსახიობს, ჩვენს შექსპირს, ჩვენს არ ვინც ვის? დიდება და ვაშა ვაშა აწ და მარადის!..

ეხლა, ამ შესხმისა, ამ ხშირი ხოტბისა და ქებათა-ქების შემდეგ, მეც მიხდა გავგუნიავდე, ესე იგი დაგუმტივრო მკითხველს, რომ თუძიკა კალენდარს არა ვებჭდავ, არა ვწერ დრამებს, არ ვარაგებ დიდ-კაცობის და «ფრად განათლებულობის» დიპლომებს, — საზოგადოდ არ «ვისიქან-ჟუბინობა» ქართულ მწერლობაში, მაინც მეც არა ვარ მოკლებული წინასწარმეტყველობის ნიჭს. ეს მით უფრო ადვილია, რომ როგორც ქვეყანამ უწყის, მუუელეტონე იგივე წინასწარმეტყველია, მხოლოდ უდროყო დროს დაბადებული და — ეჭა — არ ცნობილი უგუნურთავან. დასამტიკივლად, ნება მიბოძეთ მოგუფინონათელი ბნელს, განვანათო, რაც გარემოცულია დროთა ბურჟისთ



და თვითუფლად მოგიტოსრათ ყოველი, რითაც იჩენს თავს მომავალში 1895 წელიწადი.

მაშ სმენა, ბატონებო, და გაგონება!

პირველ ყოვლისა მომავალ წელიწადში იქნება ის, რომ მომავალი წელი მოკა. ამ წელს ექნება სამის სამოც და ხუთი დღე და ამდენივე ღამე. ღამეები იქნება ბნელი, თუ მთავარად უმტყუნს და დღენი ბრწყინვალე, თუ ღრუბელმა არ შეუშალა სული. ამ წლის განმავლობაში ბევრი მოკვდება, ბევრი დაიხადება და ბევრზე ბევრი იცხოვრებს და დარჩება ცოცხალი. ამ უკანასკნელთა რიცხვში, მოკვებით, რასაკვირველია, მე და მკითხველიცა. მე—მისთვის რომ ასე მსურს, მკითხველი—მისთვის რომ ასე ჰსურს და ორიენი—მისთვის რომ ასე გვსურს.

ქალაქებში მომავალი წლის მობრძანებას ყველაზე უმაღლეს კებენ კირთხები და მსახურები. კირთხებს წინდაწინვე გადაკითხული ექნებათ გუნიას «კალენდარი» და ახა რაღა გამოკვანარებათ ამის შემდეგ, სოლო მსახური სიფხინჯეს გამოიწვევს მათივე მოკვლობა. როგორც მოკვსენებათ, სწორედ თორმეტ საათზე, როცა ძველი წელიწადი იბრუნებს პირს და ახალი შემოვა ტერ ჭეშ, ყოველ «კვლუბში», ყოველ საზოგადო კრებაში, თითქმის ყოველ სახლში გაიხსნება შიმშანურისა თუ არა, უბრალო კახურის ბოთლი მაინცა. ბოთლს საზოგადოდ ხსნის მსახური, ხსნის იმ დროს, როცა მოდის ახალ-წელიწადი და მაშასადამე ყველაზე ადრე ის იკებს მისს მოსვლას...

მოსვლისათნავე შეიქნება ერთი აღიარება, ფარისკვლობა და ხეწან-ღრეჭა. ჯერ ყველანი დაკლკოთ სტუმრის სადღეგრძელოს და მერე, თითქო უკვე მოკვსეიდეთო, მოკვებით მათხორბობას. რას არ ვიტყვით, რას არ მოკვინდომებთ სოლო: ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიძლიდრეს, ჩინს, ორდენებს, სხვისას და ჩვენსას, მისთანა რამესაც კი, რაც ჯერ აჩავის ქჭონია და არც ექნება. გამოანგარიშებულა თურმე, რომ რასაც ვთხოვთ, ყოველივე რომ მოგვიტანოს ახალმა წელმა, რაც ჭეყვანაზე სარ-კამეჩია, ისიც არ ეყოფა საზიდად... კარგი კიდეკ, რომ სტუმარი ჭკვიანია და არც გერე იტესს თავს მსპინძლების დასაკმაყოფილებლად...



ყველასე უფრო რიგანი თსოვნს სოფელელების თსოვნასა მით  
 რი, ღვინო, მშვიდობა,—აი რა უნდათ და რას ეძუდარებიან ასაღ  
 წელს. სანდასან, ამ თავი და თავი თსოვნის გარდა, სხვა რამეც გამოს-  
 ჭვირს სოფელს. იმერელს, მაგალითად, როგორ შეუძლია მოათმი-  
 ნოს, რომ საჩხო-სახადებელთან ერთად «მუქთი ადვოკატი» და  
 «ღვინის ქაღალდიც» არ სთსოვოს ასაღ წელს. მეგრელი და აფხა-  
 ზი უდადო და უნატრონო ცხენსაც გაიკლებს გულში, რაჭველი—  
 ლოცს, გურული—ყაჭს, ფშაველი და სეკსური—მტარზე გამარჯვებს  
 და სხვა. ყველასე უფრო უზომო ნატრება, სახალსო ღექსების სი-  
 ტყუით, ქართლელს სჩვევია თურმე. გასსოვო?

ნეტავი რამე მანატრა,  
 ეს ნატვრა ამიხდინაო:  
 ჩვენი მტკვარი დღოთ მიქცია,  
 გორის ციხე ჯამათაო;  
 იალბუზი შიგ ჩაჰყარა,  
 გადმიქცია ქადათაო;  
 მცხეთის ხილი ამიყუდა,  
 ხელში მომცა კოვხათაო;  
 ისეთი მუცელიც მქონდეს,  
 რომ მეყოს მე სამხრათაო...

რა გასაკვირველია ამას შემდეგ, რომ ასაღი წელიწადი უეუ-  
 რადღებოდ სტოკებს ბეჭის თსოვნას, სტოკებს მაუხედეკლადან  
 იმისა, რომ ჩვენ მაინც არ ვკარგავთ იმედს და წლიდან-წლამდე  
 ეიმეორებთ ერთსა და იმავეს...

მაგრამ გაიკლავს რამდენიმე ხანი, ასაღი ძველად იქცევა, ჩვენი  
 ნატვრაც გასუნდება და ჩვეულებრივი ცხოვრება ისევ თავის კვალში  
 ჩავარდება, აღარც კი გავკასსუნდება მერე, რასა კოფიჭობდით, რას  
 ვნატროულობდით ადრე. იგივე ძილი, იგივე სიზმრები, იგივე არა-  
 რაობა და არარაობის ძებნა...

ამ ძილიდგან გამოკვავსიზლებს ერთიღა მარტო ის სიზმარა,  
 თუ ვინიხლობა მოგვეზმან, რომ ლუკმა გაჩნდა და ამ ლუკმას  
 ეტანებიან სხვებიო. მაშინ ყველანი გამოკვებებით სოროებიდან და  
 შეკქმნით შენ-ჩემობიანს. ყველას თავისი დასა აუჩნდება, ყოველს დასს



თავისი მადა ექმნება, ყოველ მადას დაქმნაყოფილება უნდა და მასში სიდაძე თავისი მისხვერპლიც სჭირია. ჯანსდება მიეთ-მოეთობა, სიტყვის მიტან-მოტანა, ერთმანერთის ლანძვას და თრევა. გაზეთები დასტოვებენ პოლიტიკას და შეუდგებიან ბასრულ წრდილობის გაგრელებას. ეს «პოლიტიკა», ეს ჩვენებური მშობლიური «პოლიტიკა» აღტარებაში მოიყვანს ყველას, ვისაც თავისი დიდება სსკების დაძვრებაზე დაუფუძნებია. ატუდება ომი, ბძოლა, ენისა და თოფიანრადის უთავბოლა ტრიალი...

ეს მოხდება «საერთაერთო კრედიტის» აჩვენებზე, ამას უნდა მოკლადეთ ჩვეულებრივ «ბანკობის» დროს. ეს კანონიერი მოკლენა ჩვენში, ასე ყოფილა და ასე იქმნება დიდ ხანს.

მერე?

მერე ის, რაც «არ ხსალა, ძველია». მთელი ზაფხული და შემოდგომა გვიძინება სილათას ძილით. ძველა-მოხილნი, თუ დამარცხებულნი შეკჩერდებით ერთ წერტილზე და მიეცემით ოცნებას. რას არ ვითეჭრებთ ამ დროს, რას არ გაივლებთ გულში? და ამ თეჭრში, ამ გულის-თქმაში იქნება მანაც იგივე შურა, მტრობა და ერთმანერთის სიძულვილი.

ზამთარში, კვლავ, შევიკრიბებით ჩვენს საჭიანჭველში და ჩვეულებრივ დაბალ გრძობებს გაუჩნდება კვლავ საზრდო. ყოველი ნაპერწკალი მასინ გადაღდადებულ ტენსიის მომასწავებელი იქნება. იტყვის ვინმე სიტყვას და ეს სიტყვა გამოიწვევს «პოლიტიკას», რომელსაც არც თავი მოეხსება, არც ბოლო, რომელიც მოაზერებს თავს დიდსაც და პატარასაც, მოხდება აეს სუნს მიდამოს ას ვერსზე ირგვლივ. დაწყებს ვინმე საქმეს და ყველანი იმის ცდაში ვიქნებით, რომ გამოკერათ ფეხი, შეგუშალოთ ხელი. თეატრი, სხვადასხვა საქველმოქმედო «საზოგადოებანი», მწერლობა, სკოლა, — ეს სულ სიფლავანო ასპარეზად შეიქნება, რომელიც უნდა შეიბღალოს, შეიგინოს უსათუოდ, თუნდა იმისთვის მარტო, რომ გამართლდეს პოეტის გოდება:

და მას წმინდასა ალაგსა, თავიანთსა ცემსა ღირსებით,  
გლახ-უმეცრება ფერხქვეშე სთრგუნავს გულითა უგრძობით!

ამ ვითომ და ჟაფთაში, ამ ჭანან-წყვეტაში ვერც კი შეენიშნავთ, როგორ დალექს სულს ახალი წელიწადი, როგორ მძიერულებს ნეტარსა და მისობას ვისრად იღებს მისი მემკვიდრე... კიდევ ნატურა, სეეწნა, სელის-გაწვდენა, მოწყალების თხრობა. შემდეგ იგივე მტრობა, იგივე წვრილმანობა, იგივე აზარაობა, სანამ არ გაეცვლებით სრულიად, სანამ არ შეგვიმოკლდება «მოუთმენელთა სავალნი დღენი»!...

— ნუ თუ ეს ჩვენი მომავალი ცხოვრების სურათიაო?—იკითხავს ვინმე.

— ჭოცა და აზრი! ვუზსუხებ მე. «ქა» მისთვის, რომ ავრთია იყო აქამდის ის ჭანან-წყვეტა, რომელსაც ჩვენ ცხოვრებას ვემხროდით და «აზრა», ვინაიდგან ვგრძნობთ, რომ

დაჰბერა ქარმან ციურმან,  
 თან მოიტანა ყვავილი,  
 მაცხოვრებელი სულისა,  
 სუნელებითა აღვსილი!

—

ეს დღიური დაწერილი იყო, როცა გამახსენდა, რომ ახალ წელიწადს მივკვლევას ჩვეულებად მიღებული. საუბედუროდ, ჩემი მუზა შინ არ გახლდათ და ამისათვის სხვებს დავესესხე ღირსეულთა დასაჯილდოებლად. დეე! მიიღონ, რაც ეკუთვნისთ და კმაყოფილ იყვნენ მცირესა ზედა. დიდი აზრა ზვარაკი, მაგრამ წრთელის გულითაა შემოწირული. აი ეს საკვლევი:

„ივერის“ და „კვალის“ თანამშრომლებს

გონების ბრწყინვას,  
 აზრების ელვას,  
 წმინდისა გულით კეთილის თესვას,  
 ნეტავი მისვდეთ,  
 ნეტავი მისწვდეთ  
 მაღალსა ცაში შავარდნის ფრენას!...

„საურთიერთო კრედიტის“ კანდიდატებს

როცა ახალ სახლს აშენებ,  
შენ აღარ დაგეტყვიანო,  
სანამდი შიგ დასდგებოდე,  
ბუჩები დაბზუიანო...

ზოგიერთს ჩვენს მოღვაწეს

აწ სად არიან,  
აღარ ისმიან  
თავისუფლების ძალაღ-ფრასები!..  
„მოუკასს—შეწეება,  
ბორცისა—დეება,  
საზოგადობის სულით აღდგენა!...  
ერთობა, ძმობა,  
ზნეთ ამალება,  
მამულისათვის თავის გაწირვა!...  
სიტყვა სიტყვა,  
საქმე კი—სხვაა...“

? ?

წახდნენ უამნი და დრონია  
სადღაა . . . . ქართუელი?  
სხვა გარდა თავი მოწონია!..  
წიგნების კითხვა ეშლება,  
არც ესმის ტიბიკონია;  
დათუურად ბლავის და ჭიფიჭრებს,  
რომ ტკბილი იადონია,  
ხატს წმინდა სანთელს არ უნთებს,  
შიგ გარკული ქონია.

ვ. მ—ძეს

შენ რისთვისაც ხვანდარიკობ,  
კი შეგატუკეთ, არ კართ ბრძაო.

## მ. მ—ელს

სიტყვა-პასუხს ისე ხმარობ,  
 როგორც კაი ვაფარაო.  
 შენი ჭკუის აღმასწავლებელი  
 უკუღმა ვინ დაჯდარა?  
 პურის ნაცვლად მოგიძვია  
 ლელაღუნტა, ფამფარაო.

## „ნეიტრალებს“

ზოგი რას ელას, ზოგი რას?  
 ზოგს კიდევ რა ენატრება?!  
 უცდიან მატრამ ჯერ კი ზღვა  
 არც იწკის, არც სღუეს, არც შრება!

## იონა მეუნარგიას

ეს რა ცეტხლში ჩაკვარდნილვარ, სადა ვარ?  
 გული მეწკის, სასიკვდილოდ მზადა ვარ!

ილ. ხონელს ზემოხსენებული პირები

. . . . . ჩემო ძმაო!  
 რად ათითებ ტყვიას სხვებსო?  
 შენს თავზე რომ დაისვლო,  
 მე ვგონებ, ის აჯობებსო.

ილ. ხონელი ზემოაღნიშნულ პირებს

სიყვარულმა მათქმევინა,  
 თორემ მე ვინ? ლექსი ვინა?

ილია ხონელი

# უცხოეთის მიმოხილვა

## წარსული წელიწადი

ბევრი სხვა-და-ხხვა გვარი ცვლილება მოხდა შარშან კაცობრიობის საპოლიტიკო ცხოვრებაში; ბევრგან, უმთავრესს სახელმწიფოებში, იცვალა მმართველების სახე და სახელი, მაგრამ, მაინც, ისტორიაში შარშანდელი წელიწადი არსად არ ჩაინიშნება რაიმე ახალ ეპოქის დასაწყისად. მარტო ერთ ადგილს — შორ-აღმოსავლეთში — სამუდამოდ ჩაიბეჭდება მისი ხსოვნა, რადგანც ამ დროიდან იწყება იქ მთელი ახალი ერა იქაურ ერთა ურთიერთობა-განწყობილებისა. შესაძლოა და მოსალოდნელიცა, რომ იაპონიის და ჩინეთის ბრძოლა, რომლის ხასიათი და მნიშვნელობა საკმაო სისრულით გავაცანით „მოამბის“ მკითხველს მეცხრე წიგნის „უცხოეთის მიმოხილვაში“, ევროპიულ სახელმწიფოთა შორისაც შებრძოლების მიზეზად შეიქმნას. მაგრამ, თუ ეს ცვლილება მოხდა, იგი ცვლილება ახლად დამდგარს 1895 წელს უნდა მიეწეროს, და არა წარსულს 1894 წელს, რადგანაც ამ უკანასკნელის განმავლობაში ამ საგანზე ჯერ არ ატეხილა — თვალ-საჩინოდ მაინც — არავითარი დავა განათლებულს სახელმწიფოებს შუა. მათ შორის წლის დამლევს იმნაირივე განწყობილება და დამოკიდებულებაა, ყოველის უცვლელად, როგორიც წლის დამდევს იყო.

როგორც მოგეხსენებათ, ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებს შუა ორი მოპირდაპირე და წინააღმდეგი კავშირი არსებობს: ერთის მხრივ დგანან რუსეთი და საფრანგეთი, მეორეს მხრივ — გერმანია, ავსტრი-უნგრეთი და იტალია. ამ უკანასკნელს



კავშირს საზოგადოდ „სამთა-კავშირს“ უძახიან. ყველამ აგრედვე, რომ ამ „სამთა-კავშირს“ სრული იმედი აქვს, გასაქირის დღისთვის, ოსმალეთის, ინგლისის, რუმინის და სერბიის სიმპატიისა და ზნეობრივის დახმარებისა, იქნება მეტიც. ეს მდგომარეობა და განაწილება ევროპის სამეომრო ძალისა სრულიადაც არ შეცვლილა წარსულის წლის განმავლობაში, ისე, როგორც შეუცვლელადვე დარჩა უკანასკნელ წლებში. ორივეს მხრით არწმუნებენ ქვეყანას, რომ ჩვენი კავშირის საგანი და მიზანი მარტო მშვიდობიანობის დაცვაა, მარტო მტრის თავიდან მოგერებაა და არა მტრის თავზე დასხმაო. ყოველს შემთხვევაში ევროპა შეეჩვია ამ მდგომარეობას და უწინდელის შიშით აღარ უცქერის ორივე მხრით დამარაგებულ ჯარების მილიონებს. უმჯობესი მაჩვენებელი ევროპის აზრისა, ამგვარ საქმეებში მისი აღებ-მიცემობის და ბირჟის მოძრაობაა. ამ მხრივ მეტად შესანიშნავია ეს გარემოება, რომ უკანასკნელ თვეების განმავლობაში, როგორც ინგლისში, აგრედვე ევროპის კონტინენტზე და თვით რუსეთშიაც თითქო რაღაც ახალი ფრთები შეესხა ეკონომიურ მოქმედებას. ფული აღარ იმალება, უწინდებურად და თან და თან უფრო და უფრო იაფდება. ახალი საქმეები იწყება, დიდ-ძალი ფულის მომთხოვნი, და ყველანი ყოველგან, რამდენიც სჭირიათ, იმდენს სერმიას შოულობენ. ასე გასინჯეთ, რუსეთს ცოტაოდენი ფული დასჭირდა, სასესხებელი, ძველი, მძიმე-სარგებლიანი რკინის-გზის აქციების დასახსნელად და ევროპამ ორმოცჯელ უფრო მეტი ფული შეაძლია სამ-პროცენტ-ნახევრად, ვიდრე საჭირო იყო. მეორე ამკარა მაჩვენებელი ევროპის გულ-დანდობილობისა და მშვიდობიანობის დაურღვევლობისა ის გარემოებაა, რომ ახალი ამხანაგობა შესდგა საფრანგეთში, პანამის არხის დასასრულებლად და ამ ამხანაგობასაც ერმა იმდენი ასი მილიონი ფული მიუტანა ანუ დაჰპირდა, რამდენიც საქმეს დასჭირდებაო. ომიანობის ფიქრი რომ ვისმე ჰქონდეს ევროპაში, ან ეს ფიქრი ხალხსა და ბირჟის მეუფეებს ჭკუაში მოსასვლელად რომ მიაჩნდეთ, ამგვარი ოპერაციები ყოვლად-შეუძლებელი იქნებოდა.

ორ გარემოებას აწერენ, განსაკუთრებით, პოლიტიკის მკოდნენი ამ გულის დაშოშმანებას ევროპის საზოგადოებისას, შესახებ ომის მოლოდინისა. ყველა ჰხედავს, რომ შორ-აღმო-საველეთში რაღაც დიდი, უზარ-მაზარი ცვლილებანი მზადდება, მეტად საინტერესო რუსეთისა და საფრანგეთისათვის, და, ამის გამო, აღარავის სჯერა, რომ ეს სახელმწიფონი თავიანთ ჯარსა და ღონეს ევროპაში საომრად დააბანდებენ, როცა აქ ბრძო-ლაც ბევრგან უფრო საძნელოა და საშოვარიც ბევრად უფრო საეგებიოა, ვიდრე ჩინეთში. ყველა ჰფიქრობს, რომ ყოველად-შეუძლებელი საქმეა რუსეთმა და საფრანგეთმა ესოდენ დაი-ვიწყონ თავიანთი ცხოველ-მყოფელი ინტერესები ჩინეთის სა-მზღვრებზე, პირველმა ციმბირისა და მეორემ ტონკინისთვის. მეორე გარემოება, რომელსაც აგრედვე მნიშვნელობას აძლევენ ევროპაში, ის ცვლილებაა, როგორც ამ ორის თვის წინად მოხდა თვით რუსეთში. ახალ იმპერატორის ტახტზე ასვლას ევროპაში ყველა იმ თვალთ უცქერის, რომ, უეჭველია, ცო-ტათი მაინც არ შეიცვალოს ის მწვავე გრძნობა, რომელიც განსვენებულს ხელმწიფეს გულში ჩარჩენილი ჰქონდა და რომელიც უფრო პირად შთაბეჭდილებას მიეწერება, ვიდრე სა-ხელმწიფო ინტერესების გადუხრელ მოთხოვნილებას. ბისმარკ-მა ჩვეულებრივი თავისი „გულ-გადახსნილობით“ გაკვრით გან-მარტა ეს კერძობა საქმისა, როცა სთქვა, რომ რუსეთის ახა-ლი თვითმპყრობელი არ მოსწრებია 1866 — 1870 წლებს, ამიტომაც გონებაში ჩაბეჭდილი არა აქვს ძველის გერმანიის უძღურება, როცა ეს ქვეყანა მცირე და გაცალცალკავებულ სამთავროებისაგან იყო შემდგარი, და ფინების გროვასავით ჩრდილოეთიდან ელოდა საზრდოს და ბრძანებასო. ახალ, ძლი-ერ გერმანიის ურჩობა, ამიტომ, აღარ გაამწარებს, გულს არ მოაყვანიებს რუსეთის ახალს მბრძანებელს, როგორც არც ალექ-სანდრე პირველს, არც ალექსანდრე მეორეს, არც ალექსან-დრე მესამეს არასოდეს არ სწყენიათ, მაგალითად, ინგლისის თუ ავსტრიის ურჩობა და რუსეთის ნებაზე სიარულის უარი... მართალია ეს მოსაზრება, თუ შემცდარი, ვინ იცის. ყველა კი

სრულებით დარწმუნებულია ევროპასა და რუსეთში, რომ ახალი ჩვენი ხელმწიფე თავისს პოლიტიკაში საკუთრივ რუსეთის სახელმწიფო ინტერესების ანგარიშით იხელმძღვანელებს და მარტო ამ ინტერესების მიხედვით მომართავს თავისს ურთიერთობას სხვა-და-სხვა თავისს მეზობლებთან, და მეტოქეებთან. ამ რწმენის შედეგია ის საყოველთაო გრძნობა, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში მშვიდობიანობის დაცვაზე ევროპა ბევრად უფრო მეტად გულდაჯერებულია, ვიდრე როდისმე სხვა დროს ამ უკანასკნელ თხუთმეტის წლის განმავლობაში...

ამ ურთიერთ შორისს განწყობილებიდან საკუთრივ კერძო სახელმწიფოების შინაგანს მდგომარეობას რომ გადავაგლოთ ოდნავ თვალი, ვერსად ვნახავთ მეტად შესამჩნევ ცვლილებას.

ინგლისში მდგომარეობა მარტო იმ მხრით შეიცვალა, რომ მმართველ ლიბერალთა დასის მოთავემ, სახელოვანმა მოხუცმა გლადსტონმა, საპოლიტიკო ასპარეზს თავი დაანება. მიზეზად მან თავისი ღრმა მოხუცებულობა და მხედველობის სისუსტე დაასახელა. უფრო დასაჯერი კი ის არის, რომ თავისს სიცოცხლეშივე სურდა შეეჩვია თავისი დასი და ქვეყანა ახალ მეთაურის მიყოლას. ლიბერალთა დასს ბევრი წარჩინებული და სანდო წარმომადგენელი ჰყავს, როგორც ლარკური, შორლე, როზბერი და სხვ. საუბედუროდ, არც ერთს ამ შედარებით ახალგაზდა მოღვაწეს არ დაუმსახურებია ჯერ ქვეყანაში ის საყოველთაოდ განთქმული სახელი, რომელიც თავისუფალს ქვეყნებში საჭიროა მართველობის მოთავესათვის. მოპირდაპირე კონსერვატულ დასს მეთაურად ჰყავს მოწიფული მეცნიერი სოლსბერი (ან, როგორც ევროპაში გამოსთქმენ, სალისბიური), რომლის სახელი განთქმულია, არა თუ მარტო ინგლისში, მთელს ევროპაშიაც. ლიბერალურ დასს კი, გლადსტონს გარდა, არავინა ჰყავს ჯერ მსგავსისავე სახელის პატრონი. როგორც მეფენი, საპოლიტიკო დასთა გონიერი მეთაურნიც წინაღვე სკლილობენ ღირსი მემკვიდრე დაიმარაგონ და დაუტოვონ თავიანთ დასს, რათა მათმა სიკვდილმა ობლად



არ დასტოვოს და ცხვრის თარასავით არ გაჰფანტოს ნახევარი მთელის ერისა. ამ სახით, დერბიმ დიზრაელი დაამზადა და დასტოვა, დიზრაელმა—სოლსბერი... საზოგადო აზრია, რომ ამავე აზრით გლადსტონმა მმართველობას ხელი შეუშვა, რათა ქვეყანა შეაჩვიოს როზბერის ხელმძღვანელობას.

ინგლისის პარლამენტი (საკუთრივ დეპუტატების კრება) გლადსტონისობასაც თითქმის შუაზე იყო გაყოფილი: ნახევარზედ ცოტა მეტსა ლიბერალები შეადგენდნენ, და მეორე ნახევარს, ან ცოტა ნაკლებს, კონსერვატორები. განსხვავება სულ 40—48 კენჭშია. სხვა-და-სხვა მიზეზით ამ უკანასკნელ დროში საქმე ისე წავიდა, რომ მართველობის (თუ ლიბერალების) უმრავლესობა ეხლა მარტო ან 12, ან 20 ან 21 კენჭს უდრის. ინგლისის კონსტიტუციის ძალით, როცა რომელიმე დეპუტატი მმართველობაში ჯამაგირიან ადგილს მიიღებს, მაშინვე ხელახლად კენჭი უნდა ეყაროს ხალხში. ზოგი ამ მიზეზით, ზოგი დეპუტატების სიკვდილის გამო, წრეულს რამდენიმე კენჭის ყრა მოხდა ინგლისის სხვა-და-სხვა თემში, დეპუტატების ასარჩევლად. ყოველგან, ლიბერალების მაგიერ, კონსერვატორები აირჩია ხალხის უმრავლესობამ. ინგლისში ამ დამატებითს კენჭის ყრას დიდს მნიშვნელობას აძლევენ ყოველთვის, როგორც იმ ნდობის მაჩვენებელს, რომელიც ერსა აქვს ამა თუ იმ დასისა. უკანასკნელი არჩევნების გავლენა ინგლისში ისეთია, რომ ყოვლად შეუძლებელია მოკლე ხანში ბოლო არ მოელოს ეხლანდელ პარლამენტის არსებობას. უეჭველია, 1895 წლის განმავლობაში საზოგადო კენჭის ყრა მოხდება მთელს ინგლისში, ახალ პარლამენტის ასარჩევლად, და, რასაკვირველია, ამ არჩევნების შედეგს დღეს ვერავინ გაზომავს. ჟურნალ-გაზეთობა კი წინასწარმეტყველობს, კონსერვატორების ხელში გადავა მმართველობაო, და სოლსბერი დაიკავებს როზბერის ადგილსაო. ამ ცვლილებას, თუ კი მოხდა, დიდი მნიშვნელობა ექნება ინგლისის საკუთრივ შინაგან პოლიტიკისათვის. ხოლო რაიცა შეეხება ინგლისის განწყობილებას სხვა სახელმწიფოებთან, ინგლისის გარეშე პოლიტიკას, ინგლისის მდგომარეობას

და საქციელს გარეშე ქვეყნებში, ამ მხრით სრულიად არავითარი ცვლილება არ შეიძლება რომ მოხდეს, ლიბერალებს ებარება მმართველობა ინგლისში, თუ კონსერვატორებს. მათ შორის განსხვავება მარტო საშინაო საქმეებშია, უცხოეთისთვის კი ლიბერალი და კონსერვატორი სულ ერთი და იგივე ინგლისელია.—მართალია, ერთხანს, სანამ კობდენს და ბრაიტს (მანჩესტერის მოძღვრებს) დიდი გავლენა ჰქონდათ ლიბერალთა დასზე, ეს უკანასკნელი იმ პოლიტიკას ადგა, რომ ინგლისი უცხოეთის საქმეებში სრულიადაც არ უნდა ერეოდესო. მაგრამ 1877 წლიდან ეს პოლიტიკა მიტოვებულ იქმნა. თვით გლადსტონმა, რომელიც მისი მომხრე იყო ერთ დროს, ბოლოს სრულებით შეიცვალა აზრი ამ საგანზე. მისგან როსბერის დაყენება ჯერ გარეშე საქმეების მინისტრად და ბოლოს პრემიერადაც სრული მომასწავებელია ამ ცვლილებისა.

საფრანგეთში წარსულ წელიწადს მარტო ის შესამჩნევი ცვლილება მოხდა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტად, მოკლულ სადი-კარნოს მიგიერ, პარლამენტმა კახიმირ-პერიე ამოირჩია. ამ გარემოებას სრულიად არაფერში არ შეუცვლია არც საშინაო პოლიტიკის მიმართულება, არც გარეშესი. როგორც წინად, დღესაც საფრანგეთში მმართველობა ეგრედ წოდებული „ზომიერი რესპუბლიკელების“ ხელშია, რომელნიც გამბეტას თაოსნობით გამოვიდნენ საპოლიტიკო ასპარეზზე, მის პროგრამით მოქმედებენ და მის გზას ადგიან. ეხლანდელ პარლამენტში იმათ საკმაო უმრავლესობა ჰყავთ, იმსიდიდე, რომ ყოველთვის, როცა უნდათ, შეუძლიანთ თავიანთი კაცები, სადაც სურთ, დააყენონ. მათ წინააღმდეგ მოქმედებს სოციალისტებისა და ანარქისტების სხვა-და-სხვა ფერი წრენი, რომელთაც გავლენა აქვთ მარტო დიდრონ ქალაქების მუშა-ხალხზე. ამ ორს ბანაკს შუა აქეთ-იქით ქანაობს ეგრედ-წოდებული რადიკალთა დასი, რომელსაც სურვილი აქვს გავლენა ჰქონდეს დიდრონ ქალაქების მუშაკებზე და ამის შესაფერ მოქმედების პროგრამა კი ვერ მოუძებნია, ცარიელი სიტყვების რახა-რუხის მეტი. საპოლიტიკო მდგომარეობა საფრანგეთისა, შინაგან დასთა ბრძო-



ლის შესახებ, „მოამბის“ მკითხველს გაცნობილი აქვს მერვე წიგნის „უცხოეთის მიმოხილვიდან“ („საფრანგეთის საქმეებზედ“). გარეგანი მდგომარეობა საფრანგეთისა და მისი განწყობილება მეზობლებთან ამ წლის განმავლობაში ცოტაოდნად შეიცვალა იმ მხრივ, რომ გერმანიასთან ომის შიშს თუ მოლოდინს დღეს ბევრად უფრო ნაკლები გასავალი აქვს, ვიდრე უწინ. აგრე რომ არ ყოფილიყო, ექვი არაა, საფრანგეთი არ მოისურვებდა თხუთმეტი ათასი ჯარის-კაცის დაბანდებას და ნწ მილიონის დახარჯვას მადაგასკარის დასამორჩილებლად. უეჭველია, საფრანგეთის მმართველები ერთიანად დარწმუნებულნი არიან, რომ მადაგასკარის დაპყრობამდე ევროპაში საფრანგეთს არავითარი შებრძოლება და უთანხმოება არ მოუხდება გერმანიასთან. თორემ, ნამცეცა ექვი რომ ჰქონოდათ, როდი გაბედავდნენ იმ სიშორედ ომის გამართვას. მარტო ინგლისთან ვერა აქვს დღეს საფრანგეთს კეთილი მეზობლობა. ამ სახელმწიფოსთან საფრანგეთს დედა-მიწის ყოველს კუთხეში ბევრი დახლართული ანგარიშები და დაუბოლოვებელი სადავო საქმეები აქვს; განსაკუთრებით მწვავეა მათი ურთიერთობა ეგვიპტის საქმეების შესახებ. ეგვიპტეში საფრანგეთს რამდენიმე მილიარდი ფული აქვს ჩაყრილი, ზოგი სუეცის არხის გაჭრისათვის ზღვების შესაერთებლად, ზოგი რკინის-გზებსა და ბანკებში, ზოგი სხვა-და-სხვა ნაირ ქარხნებსა და წარმოებაში. ამას გარდა საკმაო „ისტორიული სიმართლედ“ მიუძღვის საფრანგეთს ეგვიპტეში, ზოგი ამ საუკუნის დასაწყისიდან და უფრო მეტი 1832—1840-დან, როცა საფრანგეთმა რამდენიც კი შესაძლებელი იყო, იმოდენა დახმარება გაუწია ეგვიპტის მფლობელს მამედ-ალი-ფაშას და მის შვილს იბრაჰიმს, ეგვიპტეს გასათავისუფლებლად ოსმალეთის მონებისაგან. მას აქეთ ეგვიპტე ყოველთვის საფრანგეთის გავლენის და მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, 1882—1884-მდე, როცა ინგლისმა ეგვიპტის შინაური არეულობა დაიხვია ხელზედ და შიგ ჯარი შეიყვანა, ვითომ-და წესიერების აღსადგენად. მაშინ ინგლისმა საფრანგეთს და ევროპის სხვა სახელმწიფოებს ალთქმა დაუდვა, ჯარს უკანვე წავიყვან, რაკი ეგვიპტეში წე-

სიერება აღდგენილი იქნებაო. ხშირად აგონებს, მას აქვთ, საფრანგეთი ამ დაპირებას ინგლისს, ხშირად სთხოვს ეგვიპტეს თავი დაანებო, მაგრამ ინგლისი მაინც თავისას არ იშლის. არც საფიქრებელია, რომ ნებით ვისმე დაანებოს ის ქვეყანა, რომელიც კლიტედ ითვლება ინგლისის გზისა ინდოეთისაკენ. ადრე თუ გვიან, უეჭველია, დიდი შებრძოლება უნდა მოხდეს ინგლისსა და საფრანგეთს შუა ეგვიპტის თაობაზე, რადგანაც სუეცის არხი ორისავე ამ სახელმწიფოებისთვის აუცილებლად საჭიროა და მისი დაკეტა ერთისაგან თითქმის გაანახევრებს მეორის ძლიერებას. ეგვიპტე და სუეცის არხი ორთავისთვის ისეთი საგანია, რომლისთვისაც ღირს ბრძოლის კისრად-ღება, რაგინდ მწარე და ხანგრძლივი იქნას იგი ბრძოლა. მადაგასკარის დაპყრობა საფრანგეთს ამ ბრძოლისათვის ამავრებს, მაგრამ თან ამ ბრძოლას აუცილებლადაც სახავს...

გერმანიაში იმპერატორმა ვილგელმ მეორემ თავისი კანცლერი კაპრივი თანამდებობიდან დაითხოვა, და მის მაგიერ ჰოხენლოე დანიშნა. ორივე ეს კანცლერი უფრო მორჩილი ამსრულებელი არიან იმპერატორის სურვილისა, ვიდრე თავის-თავად მომქმედნი. ამათ ბისმარკისა არა სცხიათ-რა, რომ თვისი რამ შეიტანონ საპოლიტიკო მოღვაწეობაში და საკუთარი ბეჭედი დაჰკრან ეხლანდელ ისტორიას. ახალ კანცლერის წარსული შესანიშნავია საკუთრივ მით, რომ ეს მოხუცი მეტად გამოცდილ დიპლომატების რიცხვში ითვლება. ამ უკანასკნელ დროში იგი მართავდა ელზასს-ლოტარინგიას (საფრანგეთისაგან შენაძენს პროვინციებს), და ისეთის მოხერხებით, ისეთის მშვიდობიანობით და გონიერებით ჰმართავდა, რომ ბევრს მკვიდრს საფრანგეთის მოშორების სიმწვავე დაავიწყა და გერმანიის მონობის უღელი მოუვარაყა. გერმანიის გაზეთები არც ნამეტანს სიკეთეს, არც არავითარს სიავეს არ მოელოან ჰოხენლოეს ამალღებისაგან შინაგან პოლიტიკაში... გარეშესაქმებში კი ყველამ იცის, რომ იმაზე სრულიად არაფერი იქნება დამოკიდებული, გარდა მისვლა-მოსვლისა და მიწერ-მოწერის ზრდილობიანად და წესიერად წარმოებისა. იმას კი ყვე-

ლა მოელის, რომ საფრანგეთთან ახალს კანცლერს მეტად ზრდილი და გულ-ჩხვილი მეზობლობა ექნება, რადგანაც, მისი აზრით, გერმანიისთვის ერთობ სასარგებლოა საფრანგეთთან შებრძოლებას გვერდი აუხვიოს... ეს აზრი ჰოხენლოემ ორჯელსამჯერ კიდევ ხმა-მალა გამოსთქვა: დარწმუნებული ვარ, შესაძლებელია საფრანგეთს და გერმანიას შუა კეთილის მეზობლობის დამკვიდრებაო.

ავსტრი-უნგრეთი, ეხლანდელ ევროპის სახელმწიფოებს შუა სწორედ რომ ბაბილონის გოდლის-შენობას წარმოადგენს. სხვა სახელმწიფოები ყველა წინ მიდის, იზრდება, მატულობს, მდიდრდება, კოლონიებს იკეთებს და სხვ. მარტო ეს ერთი ქვეყანა (ოსმალეთი სანგარიშო როდია) სდგას თავისს ალაგას, და თავისს თავს, ან თავისს მკვიდრს, ებრძვის. მთელი მისი ძალა და ენერჯია, მისი უმჯობეს შეილები გონება და მოაზრება მარტო შინაურ, შინაგან ბრძოლაში ილევა. ამ ბრძოლას არავითარი მსგავსება არა აქვს იმ გამზრდელ და გამძლიერებელ ბრძოლასთან, რომელიც ყველა განათლებულ ქვეყნებში სდულს იმის თაობაზე, თუ რა წესი გვიჯობს, რაგვარი მართვა, რა კანონი და წყობილებაა? არა, ბრძოლა აქ აზრებს შუა კი არაა ატეხილი, სხვა-და-სხვა ერსა და ტომს ამ ერთისა და იმავე სახელმწიფოისას ერთმანეთის წინააღმდეგ აქვებს და აბრძოლებს. როგორც აზრ-მოსილი ბრძოლა სხვა სახელმწიფოებში, ორსავე მებრძოლე დასს ამალლებს და აუმჯობესებს, ისე ეს ტომთა-შორის ბრძოლა ავსტრი-უნგრეთში ყველას აუძლურებს და თავ-პირს ამტკრევსთ. თვითეული ამ ერთგანი სულ იმას ჰნატრობს და მეცადინეობს, რომ დანარჩენები ყველანი დაიმონოს და თავისი ენა, თავისი სარწმუნოება და კანონი მოახვიოს თავს. სხვა სახელმწიფოებში ადამიანი მეცნიერებისთვის ჰფიქრობს, სწავლობს რასმე, იძენს, მეცადინეობს, ავსტრი-უნგრეთში კი მარტო ქიშპობისა, მარტო ურთიერთის შურისა და მტრობის მეტი არა ბუდობს-რა არავის გულში. სხვაგან ყველა ქვეშევრდომთა ღონე, შეერთებული და ერთ საგნისკენ მიმართული, ერთს დიდს, უშველებელს ძალას შეადგენს, რომელსაც შესა-

ფერი გავლენა აქვს კაცობრიობის ისტორიაში. ავსტრი-უნგრეთში კი სხვა-და სხვა ერის ღონე, ერთი მეორის წინააღმდეგ მიმართული, ერთმანეთს აუქმებს, ისე რომ არც საერთო, არც საქვეყნო არა გამოდის-რა. მთელი ეს ერთი საუკუნე ასე მიდის აქ საქმე, და ამ საუკუნის განმავლობაში ეს სახელმწიფო, ოდესმე ძლიერთა შორის უძლიერესი, თან-და-თან უფრო-და-უფრო იღვევა. ვინც კი მოინდომა, ყველამ იქ გაინავარდა, ყველამ იმაზედ გაითარეშა, ყველამ ჩამოაკლო-რამ... და მინც ვერ მიმხვდარან ეს ტომნი—თანასწორებად იცნან ერთმანეთი, ძმურად გაიმართონ ურთიერთში თანასწორი კავშირი და ერთობა, რომ საბოლოოდ სხვისი ულუფა არ შეაქენენ. არავის იმედი არა აქვს, ევროპაში, რომ ავსტრი-უნგრეთის ტომთა შუა მალე დაარსდეს ეს ყოვლად-საჭირო მშვიდობიანობა, რომელიც საჭიროა მათის-წარმატებისათვის. ამიტომაც ყველას აზრი ისაა, რომ, ადრე თუ გვიან, ეს სახელმწიფო მეზობლების ლუკმად გადაიქცევა. გერმანია მიიმხრობს გერმანელთა ტომით დასახლებულს ნაწილებს, რუსეთი—სლავიანთა, იტალია—იტალიელთა, უნგრეთი შუაგულ თავისთვის დარჩება, როგორც ახალი აღმოსავლეთის შვეიცარია ან ბელგია...

იტალიაში, რომლის გარეშე პოლიტიკა თითქმის ერთიანად სამთა-კავშირის მსვლელობაზეა დამოკიდებული, მარტონის ცვლილება მოხდა, რომ აფრიკაში იტალიელმა ჯარმა დიდძალი ადგილები დაიკავა, ეგვიპტესა და აბაშეთს შუა. ეხლა იტალიელები კასალაში დგანან, მტკიცედ ფეხ-მომაგრებულები. მათი საგანი—აბაშეთის დაპყრობაა, და, ადრე თუ გვიან, ამ საქმეს კიდევ მოახერხებენ, რადგანაც საფიქრებელი არაა, რომ მოქიშვედ აუჩნდეს ვინმე. — შინაურ საქმეებში ისევ უწინდელი ალიაქოთი მეფობს; საფინანსო მდგომარეობა იტალიის სამეფოსი, როგორც ამას წინად იყო ახსნილი „მოამბეში“ (მესამე წიგნის „უცხოეთის მიმოხილვაში“) მეტის-მეტად მძიმე და დახლართულია. შემოსავალი ხარჯს და ვალის სარგებელს ვერც კი ასდის. მეათურები დილიდან-სალამომდე სულ იმის ძებნაში არიან, თუ რა ახალი ბეგარა ან გადასახადი გამოასძე-



ბნონ, ხაზინის ღონის-ძიებათა გასამატებლად. რასაკვირველია, უმეცარის ხალხის თვალში, ეს გარემოება ბევრს ადვილად გამარჯვების მეძიებელს საშვალებას აძლევს სახელი გაითქვას მთავრობის გამობით... ამ მიზეზით მეტად შერყეულია დღეს იტალიაში მმართველობის გავლენა და მდგომარეობა. წამის-წუმ ახალ--ხალი კოალიციები სდგება, სხვა-და-სხვა მიმართულების დეპუტატებს შუა, მარტო იმ განზრახვით, რომ სამინისტრო დაამარცხონ და დაარღვიონ, თუმც მათი საკუთარი უთანხმოება და აზრების წინააღმდეგობა ნებას როდი აძლევს ამ დეპუტატებს დამარცხებულ სამინისტროს ადგილზე ახალი, თავისი საკუთარი, დააყენონ. პარლამენტი ლუკმა-ლუკმა დაკუწულია თორმეტიოდე წვრილ-დასად, რომელთა მოგროვება ერთ დიდ პარტიად, მკვიდრ მმართველობის დასადგენად, დღემდე ვერაფერს შეიძლო. მარტო კრისპიმ მოახერხა, ამ მდგომარეობაში, ძალისა და გავლენის შენარჩუნება, თუმცა მტკიცე და შეურყეველი უმრავლესობა არც იმას მოეძეგება. ამ მდგომარეობაში სხვა არავითარი საშუალება არა აქვს იტალიის მეფეს ჰუმბერტო მეორეს, გარდა იმისა, რომ პარლამენტი დაითხოვოს და ახალის პარლამენტის ასარჩევად კენჭის-ყრა უნდა დანიშნოს მთელს იტალიაში. რომელს პარტიას, რომელს მეთაურს მიანიჭებს უმრავლესობას ეს ახალი კენჭის-ყრა, რომელიც ამ გაზაფხულზე მოხდება უეჭველად? ეს ვინ იცის. იტალიაშიც, როგორც საფრანგეთში, საპოლიტიკო ბრძოლა უფრო ფიქტივურია, ვინემ ნამდვილი ცხოვრების საჭიროებისგან გამოწვეული. იტალიელებს ეღირსათ ის, რის ნატვრაც კი არ შეეძლოთ, ამ ოც და თხუთმეტის წლის წინად. ისინი დღეს გამაძლარნი არიან; ყოველგვარი საპოლიტიკო სიკეთე, საუნჯე და ბედნიერება თავზე აყრიათ, და, გამაძლარსავეთ, აღარც კი იციან, თუ რა ინატრონ, რა გამოსთქვან. ამიტომაც ლობე-ყორეს ედებთან ოცნება-ბრძნობაში გართულნი, საფრანგეთისა არ იყოს. ასე იქნება, სანამ ორთავეს არ მოშივდებათ რამე ან არ გაუჭირდებათ ნამდვილად. მაშინ კი მალე დაეწყობიან რაზმებად, გაქვსთ სიცოცხლე...

ევროპის დანარჩენ ქვეყნებზე, ზოგზე თავთავის დროზე გვექონდა, ან გვექნება, საუბარი, სხვებზე არც კი ღირს, რომ ლაპარაკით მკითხველს თავი მოვაწყინოთ. საზოგადოდ მთელს ევროპაზე ის არის სათქმელი, რომ ყოველგან, დიდს და პაწია სამეფოებში, საცა კი ცოტად თუ ბევრად სდულს საზოგადოებრივი ცხოვრება, მთავრობა და მოწინავე საზოგადოება ნიადგ მეცადინეობაშია ხალხში განათლება გაავრცელოს და სიღარიბე მოსპოს ერთის მხრივ წარმოების გაავრცელებით, და მეორეთი—სხვა-და-სხვა უზრუნველ-მყოფ დაწესებულებათა შემოღება-დაარსებით, რომელთ შემწეობითაც შესაძლოა, რომ მშრომელს კაცს სიბერისა ან ავადმყოფის, ან მუშაობის შეწყვეტის დროს, თუ მის ქვრივს და წვრილს-შვილს, მისის სიკვდილის შემდეგ, საკმაო პენსია ეძლეოდეს. ამასთან ზოგიერთ იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც განათლების უზენაესს ხარისხზე დგანან, დიდი მეცადინეობაა მიქცეული, რომ მშრომელ მუშაკთა ამხანაგობანი დაარსდეს, იმ განზრახვით, რომ წარმოება და წარმოების იარაღი მათს საკუთარს ხელში იმყოფებოდეს, ანა-და მუშებს მეტი ერთობა და ძმობა ჰქონდეთ ქარხნის და წარმოების პატრონთან რიგიან განწყობილების დასაკავებლად. ამ საშუალებათა შემწეობით ნელ-ნელა მზადდება სოციალური ცვლილება ეხლანდელი საზოგადო წყობილებისა, მზადდება ის ზოგან წყნარი და წესიერი, ზოგან კი უზოგავი და მრისხანე ბრძოლა, რომელიც თავის ბეჭედს დაასვამს დამდეგ საუკუნის ხასიათს და ისტორიას, და რომლის საზოგადო შედეგი არავისთვის დაფარული არ არის... †

ამ დიდს და საყოველთაო ბრძოლასთან, რასაკვირველია, შესაღარი არ არის ის სამხედრო ბრძოლა, რომელიც სდულს დღეს აზიაში, იაპონიასა და ჩინეთს შუა, და რომელმაც, საზოგადო აზრით, აღრე თუ გვიან, ცეცხლი უნდა მოსდოს ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებსაც. როგორც წინადგე აღვილი საწინასწარმეტყველო იყო, ეს ბრძოლა შეუწყვეტელი გამარჯვება და წინსვლელობაა იაპონიის ჯარისა. იაპონიამ დაიფლო მთელი კორრეია და ერთიანად გამოსდგენა იქიდან



ჩინეთის ჯარი. ამას შემდეგ თავისი ფლოტით დაიკავა პეჩილის ზღვის-უბე და ორი იმ ბუმბერაზ ციხეებში, რომელნიც ამ უბის შესავალს სრუტეს ჰვარავდნენ, ერთი, პორტ-არტური, კიდევ აიღო იერიშით და მეორე, ვეი-ჰაი-ვეი გაკავებულა და შევიწროებული ჰყავს. ორი მისი მხედრობა ხმელეთით მიდის ჩინეთის სატახტო ქალაქის ასაკლებლად და მათ წინააღმდეგად ჯარისა თუ ციხეების მაგიერ, უიარაღო და უმეცარი ბრბო ხვდება, რომელიც იფანტება ცხვრის ფარასავით პარველისავე სროლის შემდეგ. ყოველგან, ჩინეთში, მარტო უმოწყალო ქურდობაა სახელმწიფო შემოსავლისა და ფულისა. წამის-წუმ აშკარავდება, რომ ნამესტნიკები, გუბერნატორები, მეციხვანეთა უფროსნი სახელმწიფო ფულს, ჯარის დასამარაგებლად და დასაიარაღებლად გადადებულს, საკუთარს საქიროებისათვის ჰხარჯავდნენ ან პირ-და-პირ იპარავდნენ. ჯარი, ზარბაზანი, ციხე, იარაღი, სამართალი იქ მარტო ქალაქებზე ყოფილა, და არა ნამდვილად. ხან ერთი გენერალი გამოჰყავს მოედანზე მთავრობას, თავის მოსაკვეთად ქურდობისათვის, ხან მეორე, მაგრამ ამით ეხლა ჩინეთს რა გაურიგდება? ეს არის უმეცრების და ძალმომრეობის შედეგი; ასეთი უწყესობა და არეულ-დარეულობა მოსდევს უგუნურებას, გაუნათლებლობას, ასეთი უძლურება და მხოდაა ბოლოს იმ ქვეყნებისა, საცა კანონი და სამართალი არ არსებობს! ოთხასი მილიონის ხალხის პატრონი ქვეყანა დღეს იქამდე დაეცა და გათახსირდა, რომ ყველა ევროპის სახელმწიფოს ეხვეწება, მიშველეთ, მომარიგეთ იაპონიასთან, თქვენ გვიბრძანეთ, რა და რა დაეფთხო, და, რასაც ბრძანებთ, შევასრულებთო. იაპონია კი თავ-მომწონედ, სილაღით უარჰყოფს ამ სახელმწიფოთა საქმეში გარევის უფლებას და მბრძანებლობს: პირ-და-პირ მომელაპარაკოს და მომირიდეს ჩინეთიო, სამაშვალო რა გვაქვსო, სხვანი საქმეში რად გავრიოთ, რად შევაწუხოთო? ეხლა, იაპონიის ბრძანებისამებრ, ჩინეთმა გაამგზავრა თავიანთ ამკლებთა სატახტო ქალაქისკენ ორი ელჩი, მორიგების პირობათა შესადგენად.

ევროპაში არავის ეჭვი არა აქვს, რომ ჩინეთი იტვირთებს ყველა იმ პირობას, და დათანხმდება ყველა იმ მოთხოვნილ-

ბას, რომელსაც კი მოისურვებს იაპონია. საექვო ეხლა სულ სხვა გარემოება არის. იაპონია, რასაკვირველია, იმას მოითხოვს, რომ კორრეია ან მე მომეცეს, ან ჩემი სათვალყურო იყოსო. აი ეს გარემოებაა დიდად სახიფათო რუსეთისათვის. როგორც ამას წინაღ ავუხსენით „მოამბის“ მკითხველს, კორრეია თუ იაპონიის სამკიდრებელი შეიქმნა, რუსეთის გასაველი ციმბირიდან ერთიანად დაიკეტება, და იაპონია რუსეთისათვის სწორედ იგივე გახდება, რაც დღეს მისთვის ოსმალეთია, რომელსაც მისი გასაველი შავს ზღვაზედ დაკეტილ-დახშული უკავია სტამბოლში. ძნელი მოსალოდნელია ყველასათვის, რომ რუსეთმა ნება დართოს მის კარებზე ახალი სიმაგრის აგებისა და თავისს მომავალ სულთამხუთავის გაძლიერება შეიწყნაროს, კისრად-ილოს. როგორც ადვილად წარმოსადგენია, იაპონიას ზურგს უმაგრებს მხარში უდგია ინგლისი, რომელიც აწ სწორედ ისე იმსახურებს ამ სახელმწიფოს, რუსეთის წინააღმდეგ, როგორც აქნამდე იმსახურებდა და დღესაც იმსახურებს ოსმალეთს სტამბოლში. ბრძოლა, ჯერ-ჯერობით მარტო ფარული და დიპლომატური, ნამდვილად რუსეთისა და ინგლისს შუა ტრიალებს ეხლა. შესაძლოა, რასაკვირველია, რომ ეს ბრძოლა გაღვივდეს და რუსეთმა პირდაპირ, გადაჭრით სთქვას, არავის მივცემ ნებას კორრეია დაიკავოსო, ანა-და თვითონაც მოინდომოს, გასაველ სრუტეში, ერთის მხრის დაკავება მაინც. სხვები კი იმას ჰფიქრობენ, რომ რუსეთი ამ ქამად ძალა-უნებურად დასთმობს საქმეს, სანამ ციმბირის რკინის-გზის დაბოლოება ადვილს საშუალებას არ მისცემს ბლომად გადიყვანოს თავისი ჯარები შორს-აღმოსავლეთისაკენ, თავისუფალ გასაველის საშოვნელად გაშლილ ოკეანესაკენ. ასე რომ უნდა მოხდეს, ასე რომ მოხდება, რუსეთი რომ ამას იშოვის, ესე ყოველივე უეჭველია. საქმე ის არის მხოლოდ, როდის მოხდება ესე ყოველივე: ეხლავე, თუ შემდეგ?

ნ. ნიკოლაძე

## შეცდომათა განწორება

### ამ ნომერში

(პოემა—„ხის ბეჭი“)

გვერ.	სტრიქ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
3	9 ზემ.	ლორები	ლორები
9	20 —	ხცელადა	ცხელადა

1894 წ.

### „ღვინის დაქმნება“

#### მ ე თ რ თ მ ე ტ ე ნ ე მ ე რ ა

გვერდ.	სტრიქ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
66	14 ზემ.	mare	marc
68	15 —	სწალი	წყალი
78	4 —	l'intensie	l'intensité
80	13 —	ჟირარის	ჟირონდის
84	12 —	11‰	11‰
—	17 —	11‰	11‰
86	8 —	Macayno	Macagno
90	18 —	მაგარი	მაგარი
92	7 ქვემ.	800	80°
96	3 —	მეოთხე	მეხუთე
97	3 ზემ.	(c)	(a)
101	8 —	არაყი ერთგვარი ალკოგო- ლია, რთული	არაყი ერთგვარი ალკოგო- ლი არ არის, რთულია
108	7 —	თვისებაზა	თვისებაზე

#### მ ე თ რ თ მ ე ტ ე ნ ე მ ე რ ა

6	12—13 ქვ.	ფეხებში	ფსკერებში
17	17 ზემ.	მოღებება	დალაპება
18	8 ქვემ.	ეცლები	ეცლება
23	12 —	დუღილის ღვინის	დუღილის დროს ღვინის
28	20 —	ჩიმჟავე	სიმჟავე
29	14 ზემ.	თბილშივე	თბილშივე
31	8—9 —	სარგებლობა	სასარგებლო იქნება
33	1 —	წააცობენ	წააცხობენ

## „ივერია“

კამოვა 1895 წელსაც

იმავი პროგრამით, როგორც წინად.

### ფასი გაწესებისა:

12 თვით . . . . .	10 მ. — კ.	6 თვით . . . . .	6 მ. — კ.
11 " . . . . .	9 " 50 "	5 " . . . . .	5 " 50 "
10 " . . . . .	8 " 75 "	4 " . . . . .	4 " 75 "
9 " . . . . .	8 " — "	3 " . . . . .	3 " 50 "
8 " . . . . .	7 " 25 "	2 " . . . . .	2 " 75 "
7 " . . . . .	6 " 50 "	1 " . . . . .	1 " 50 "

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით, სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

### ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზედ—16 კაპ.

**გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის აღკვეთით:**

ტ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ. სასახლის ქუჩ., ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЬ. Редакция „ИВЕРΙΑ.“**

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1895 წ. ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის

გაზეთი წლიურად ღირს გაუკზაენელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა: გაუკზაენელად 3 მ. 50 კ. გაგზავნით 4 მანათი. სამი თვისა: გაუკზაენელად 2 მანეთი, გაგზავნით 3 მანეთი. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილ გამოგზავნონ.

## ხელის-მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკეთხველოში, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ ზე „ჯეჯილის“ რედაქციაში. Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ Кадет. корпуса.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: „ჯეჯილის“ აგენტებს.

ვინც „ჯეჯილსა“ და „ჯგაღს“ ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ეღირება გაუკზაენელად 10 მ., ხოლო გაგზავნით 12 მ.

კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და-სხვა ენაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

მიიღება ხელის-მოწერა 1895 წ. ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მ წ ყ ე მ ს“-ზე

და

რუსულ „П А С Т Ы Р Ъ“-ზედ

ფასი ჟურნალისა:

12 თვით „მ წ ყ ე მ ს ი“	5 მ.	6 თვით „მ წ ყ ე მ ს ი“	3 მ.
— „ ორივე გამოცემა	6 „	— „ ორივე გამოცემა	4 მ.
— „ რუსული	3 მ.	— „ რუსული	2 მ.

სოფლის მასწავლებელთა „მ წ ყ ე მ ს ი“ დაეთმობათ მთელის

წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვარაღასში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის ხელის მოწერა შეიძლება როგორც **ვიანალაში**,  
აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ  
ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала**  
**„МЦКЕМСИ“ и „НАСТЫРЬ“.**

„მწეკმს“-ის ხელის მომწერლებს **ს ა ჩ უ ქ ა დ 1895 წე-**  
**ლში დაურიგდებათ მოზრდილი მ ს ა ტ ვ რ ა ბ ა**

**\* შოთასი ლ დავით აღმაშენებლისა**

**შოთას სურათს იანვრ-დან მიიღებენ ხელის მომწერნი**  
**და დაგათ აღმაშენებლასას წლის ბოლოს.**

საემაწვილო ნახატებიანი ქურნალი

# ჯეჯილი

წელაწადა მკეკესეა

გამოვა 1895 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით  
როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „**ჯეჯილი**“ ტფილისში დატარებით ღირს—**3 მ.**  
ტფილისს გარეშე გავზაენით **4 მან.** ვინც **10** ეგზემპლიარზედ  
მეტს დაიბარებს იმას დაეთმობა სამ-სამ მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის **70** კაპ., ხოლო  
სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში—**75** კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარიწლით.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) **ტფილისში**—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელა-  
რიაში, (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102), „ქართვე-  
ლთა ამხანა გობის“ წიგნის მაღაზიაში და თვით „**ჯეჯილის**“ რე-  
დაქციაში, **Артилл. ул. д. Тамамшева, возле Кадет. корпуса.**

2) **ქუთაისში**—ან. ბაქრაძესთან, დიმ. ბაქრაძის სახლში.

3) **გორში**—ზ. დაეიდოეთან.

4) **ბათუმში**—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) **თელავში**—მ. ცისკარაშვილის აფთიაქში.

6) **საჩხერაში**—ყარამან ჩხეიძესთან.

7) **თიონეთში**—ივ. თ. ჩიბალაშვილთან.

8) **შვირილაში**—თ. ხუსკივაძესთან.

შოსტის ადრესი: **Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго**  
**дѣтскаго журнала „Джеджили“.**

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თ.-წერეთლისა**



# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1895 ГОДЪ

(Пятидесятый годъ изданія)

## „КАВКАЗЪ“

Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮТИНЪ.

### Подписная цѣна:

	Городская.	Иногородная.	Заграничная.
На 12 мѣсяцевъ	11 р. 50 к.	13 руб.	18 р. 40 к.
„ 11 „	11 „ — „	12 „	— „
„ 10 „	10 „ — „	11 „	— „
„ 9 „	9 „ — „	10 „	— „
„ 8 „	8 „ — „	9 „	— „
„ 7 „	7 „ — „	8 „	— „
„ 6 „	6 „ — „	7 „	10 „
„ 5 „	5 „ — „	6 „	— „
„ 4 мѣсяца	4 „ 50 „	5 „	— „
„ 3 „	3 „ 50 „	4 „	6 „
„ 2 „	2 „ 50 „	3 „	— „
„ 1 мѣсяць	1 „ 50 „	1 „ 75 к.	2 „

Подписка принимается съ перваго числа каждаго мѣсяца на всѣ сроки отъ одного до двѣнадцати мѣсяцовъ.

Желающіе подписаться съ разсрочкою вносятъ 2 р. при подпискѣ и по 1 р. къ первому числу каждаго послѣдующаго мѣсяца до погашенія всего причитающагося платежа.

**ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ** (со строки петита или занимаемого, ею мѣста): *На послѣднихъ страницахъ:* съ мѣстныхъ объявленій (кавказскихъ)—6 коп., съ прочихъ—10 коп., за каждый разъ. *На первыхъ страницахъ* вдвое. За большія, многократныя объявленія по соглашенію. За разсылку особыхъ приложений 8 рублей съ тысячи.

Подписка и объявленія принимаются въ конторѣ „КАВКАЗА“ Тифлисъ, Дворцовая улица, домъ Тифл. Двор. Зем. Банка.



открыта подписка на 1895 г.

на ежедневную газету

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(двѣнадцатый годъ изданія).

Условія подписки: съ пересылкою и доставкою: на годъ—10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяць—1 р. 50 к. За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 р. (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка и объявленія принимаются въ ТИФЛИСЬ: въ конторѣ газеты, *Барятинская ул.*, № 8.

Иногородные адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, рѣ редакцію „НОВАГО ОБОЗРѢНІЯ“.

Лица, подписавшіяся (безъ разсрочки) на годовое изданіе „Новаго Обозрѣнія“ 1895 г. въ настоящее время, будутъ бесплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки.

† Открыта подписка на 1895 г. на газету

# „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Въ Тифлисъ:	Для иногород.:
Съ доставкой на годъ 5 р.—к.	Съ пересылкой на годъ 6 р.—к
” ” ” полгода 3 — ”	” ” ” полгода 3 ” 50”
” ” ” 3 мѣс. 1 75 ”	” ” ” 3 мѣс. 2 ” —”
” ” ” 1 мѣс. — 75 ”	

Подписка принимается исключительно въ конторѣ „Тифлискаго Листка“ (Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Ротинава, № 3) и на указанные сроки съ перваго числа каждаго мѣсяца.



О ПОДПИСКѢ НА

# „Т Р У Д Ы“

ИМПЕРАТОРСКАГО

ВОЛЬНАГО ЭКОНОМИЧЕСКАГО ОБЩЕСТВА.

Журналъ «Труды» выходитъ шестью книжками въ годъ, отъ 8 до 10 печатныхъ листовъ, черезъ два мѣсяца каждая.

## ПРОГРАММА:

I) Журналы и протоколы общихъ собраний, со включеніемъ отчета секретаря.

II) Сельское хозяйство. Журналы засѣданій 1-го отдѣленія Общества и доклады, касающіеся предметовъ занятій этого отдѣленія.

III) Технические сельскохозяйственныя производства. Журналы засѣданій II-го отдѣленія и доклады по части техническихъ сельскохозяйственныхъ производствъ.

IV) Сельскохозяйственная статистика и политическая экономія. Журналы засѣданій III-го отдѣленія и доклады по статистикѣ и политической экономіи.

Обзоры сельскохозяйственной литературы, дѣятельности сельскохозяйственныхъ Обществъ и вообще сельскохозяйственной жизни страны, если будутъ служить предметомъ докладовъ въ средѣ Общества.

Кромѣ того, въ „Трудахъ“ помѣщаются свѣдѣнія о дѣятельности комитета грамотности и почвенной комиссіи, состоящихъ при И. В. Э. Обществѣ, и доклады, сдѣланные въ ихъ средѣ.

V) Корреспонденція Общества. Вопросы и отвѣты лицамъ, обращающимся въ Общество.

Подписная цѣна 3 руб. въ годъ съ пересылкою и доставкою; полугодовой подписки и на отдѣльныя книжки не принимается.

Подписчики «Трудовъ», желающіе получать и «Пчеловодный Листокъ», доплачиваютъ 1 руб. 50 коп. (вмѣсто 2 руб., платимыхъ отдѣльными подписчиками «Пчеловоднаго Листка»).

За объявленія взымается: за 1 стр. 8 руб., за  $\frac{1}{3}$  стр. 4 руб. и за  $\frac{1}{4}$  стр. 2 руб. Для подписчиковъ-же на «Труды» того года, въ которомъ дѣлается объявленіе, за 1 стр. 3 руб., за  $\frac{1}{2}$  стр. 1 руб. 50 коп. и за  $\frac{1}{4}$  стр. 1 руб.

Подписку слѣдуетъ адресовать: С.-Петербургъ, 4 рота Измайловскаго полка, д. №  $\frac{1}{33}$ , въ редакцію «Трудовъ».

ГОДЪ II.

ГОДЪ II.

Открыта подписка на 1895 годъ на еженедѣльный журналъ

# „ДРОГИСТЪ“

посвященный научно-промышленнымъ и бытовымъ интересамъ

## дрогоистовъ и аптекарей.

Направленіе и задача журнала „Дрогистъ“ настолько полно опредѣляются широкою его программю, обнимающею всѣ стороны практической дѣятельности многочисленной корпораціи дрогистовъ, что редакція считаетъ совершенно достаточнымъ ограничиться приведеніемъ его программы, не прибѣгая къ широковыщательнымъ, многорѣчивымъ рекламамъ. Видя въ народившемся органѣ цементъ, цѣль котораго сплотить во едино разнородныхъ членовъ нашей семьи, редакція общается неуклонно стремиться къ этой цѣли, начертанной ею на своемъ знамени и заключающейся въ томъ, чтобы служить выразителемъ нуждъ юной корпораціи дрогистовъ, быть защитникомъ ихъ интересовъ и посредникомъ, какъ между отдѣльными членами этого сословія, такъ и между этимъ послѣднимъ и обществомъ, словомъ—быть вѣрнымъ, безпристрастнымъ другомъ, въ которомъ они встрѣтятъ сочувственный откликъ на разносторонніе свои потребности и запросы. Само собою разумѣется, что достиженіе этой цѣли возможно только при сочувствіи къ изданію лицъ, къ интересамъ которыхъ оно служить.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годъ 5 руб., на полгода 3 руб. Допускается разсрочка: за первое полугодіе 3 руб., за второе 2 руб. Редакція и Контора: С.-Петербургъ, Измайловскій полкъ, 6 рота, д. 22. Подписка на журналъ и объявленія, кромѣ Конторы при Редакціи, принимается въ ея отдѣленіяхъ: СПБ. Невскій, д. 80 и Москва, уголь Больш. Дмитровки и Столешникова пер., д. Севастьянова, кв. 6. Б. А. Гиршбергъ; въ конторахъ Л. и Э. Метцль и К<sup>о</sup> и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ.

## Программа журнала;

I. Распоряженія правительства, касающіяся аптекарей и дрогистовъ.—II. Научныя статьи чисто практическаго свойства.—III. Химико-фармацевтическій отдѣлъ (анализы опредѣленія доброкачественности препаратовъ и т. д.)—IV. Фармацевтическій рынокъ въ Росіи и за-границей.—V Хроника, внутреннія и внѣшнія извѣстія.—VI. Рефераты, библиографія и критика.—VII. Фармацевтъческая хроника.—VIII. Корреспонденція.—IX. Вопросы и отвѣты.—X. Фельетонъ изъ жизни аптекарей и дрогистовъ.—XI. Объявленія.

*Редакторъ-издатель А. Сергѣевъ.*

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1895 ГОДЪ НА  
ЕЖЕМЪСЯЧ. ЛИТЕРАТУРНО-НАУЧНЫЙ ПОЛИТИЧ. ЖУРНАЛЬ

# „СЪВЕРНЫЙ ВЪСТНИКЪ“

Въ 1894 г. принимали участие слѣд. лица: П. Воборыкинъ, проф. Н. Вагнеръ, В. Вахтеровъ, П. Вейбергъ, А. Волынский, Ник. Ге, В. Дмитріева, проф. А. Исаевъ, проф. Л. Комаровскій, М. Крестовская, Г. Ларошъ, Н. Лѣсковъ, Б. Микулъчъ, Н. Минскій, Д. Мерещковскій, Д. Мордовцевъ, Вас. Немаровичъ-Данченко, Ф. Нефедовъ, проф. Д. Освянико-Куликовскій, проф. Ю. Петри, Л. Полонскій, Я. Полонскій, В. Стасовъ, А. Субботинъ, гр. Левъ Толстой-гр. Л. Л. Толстой, проф. Шимкевичъ и много друг.

**ЦѢНА:** Годъ Полгода Четверть. Годъ Полг. Четв.  
Безъ доставки. 12 р.—к. 6 р.—к. 3 р.—к. | Съ пересылк. 13 р. 50 к. 7 р.—к. 3 р. 50 к.  
Съ доставкою. 12 „ 50 „ 6 „ 50 „ 3 „ 50 „ | За границей 15 „ — „ 8 „ — „ 4 „ — „

Въ главн. конторѣ допускается разсрочка безъ повышенія годовой цѣны:

**ПОДПИСКА ПРИНИМ.** въ главн. конторѣ Спб., Троицкая, 9. и въ московск. отдѣленіи Тверская, д. № 37 Сазикова, въ Спб., въ кн. магаз. Фену, въ Москвѣ, въ конт. Н. Печковской, во всѣхъ кн. маг. Карбасникова, „Новаго Времени“ и др.

Издательница Л. Я. Гуревичъ. Редакторъ М. Н. Альбовъ

открыта подписка на 1895-й годъ  
на издающуюся въ гор. Ставрополь-Кавказскомъ  
общественно-литературную газету

# XI г.из. „СЪВЕРНЫЙ КАВКАЗЪ“, XI г.из.

выходящую ДВА раза въ недѣлю и посвященную  
выясненію нуждъ края, названіе котораго носить  
газета.

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Безъ доставки и пересылки: Съ доставкой и пересылкой:

	р. к.		р. к.
На годъ . . . . .	4 50	На годъ . . . . .	5 50
— полгода . . . . .	2 50	— полгода . . . . .	3 —
— 3 мѣсяца . . . . .	1 50	— 3 мѣсяца . . . . .	1 75

(Суммы менѣ рубля можно высылать почтовыми марками).  
Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.  
АДРЕСЪ: Ставрополь-Кавказскій, редакція „Съвернаго Кавказа“.

„ქართულთა ამხანაგობის“

წიგნის მალაჩიაში

ისყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

- ✕ თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სუ- მ.—კ.  
რათით ჭ ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი  
ცალკე: . . . . . 1—20
- იგივე მშვენიერ ქალაღზე და მშვენიერისავე ყლით, თი-  
თო ტომი ცალკე . . . . . 2—50
- ოთხი ტომი ერთად . . . . . 9—
- ✕ სრული სამხარეულო ქართულისა და ევროპიული საქ-  
მელებისა. . . . . 1—50
- ✕ თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით  
და ფაქსიმილეთი . . . . . „—80
- იგივე მშვენიერის ყლით . . . . . 1—25
- ✕ დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა—  
პოემა ბაჩანასი . . . . . „—15
- ✕ ხალხური ზღაპრები I ნაწილი . . . . . „—30
- იგივე ყლით . . . . . „—75
- ✕ ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (სვედონიმი) . . . . . „—40
- იგივე მშვენიერის ყლით . . . . . „—90
- ✕ თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსი-  
მილეთი, ტომი I . . . . . 1—20
- იგივე კარგს ქალაღზე, მშვენიერის ყლით . . . . . 2—50
- ტომი II . . . . . 1— „
- იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით . . . . . 2—50
- ტომი III . . . . . 1— „
- იგივე კარგს ქალაღზედ მშვენიერის ყლით . . . . . 2— „
- ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . . 1—60
- იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით . . . . . 3— „
- ✕ ჩანგი . . . . . 1— „
- ✕ სოფლისე კუნწულა, დ. მაჩხანელისა. . . . . „—20
- ✕ თხზულებანი აკაკისა, ტომი I . . . . . 1— „
- იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით . . . . . 2—50
- თხზულებანი მისივე ტომი II . . . . . 1— „
- იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით . . . . . 2—50
- ✕ არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . . . . . „—25
- სიბრძნე-სიკრუვე, მისივე . . . . . „—75
- იგივე კარგს ქალაღზე. . . . . 1—50

# სტამბა

წიგნების გამომცემელ

ქართულთა ამხანაგობისა

ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი № 13.

სტამბაში მიიღება დასაბეჭდად

უძველ გვარის სასტამბო საქმეები:

წიგნები, გაზეთები, აფიშები, ბლანკები და  
სხვა-დასსვა წერილმანი საქმეები.

ეველ საქმეს სტამბა ასრულებს სუფთად და  
თავის დროსედ.

აგრედვე კისრულობს წიგნების კორრექტურასა  
და, უკეთუ ავტორი ისურვებს.

გამოვიდა და ისეილება ეველა წიგნის ძალაზედა  
ქართველთა ამხანაგობის



ახალი გამოცემანი

## ს ა მ ზ ა რ ე უ ლ უ

ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა  
მეორედ შესწორებული და შეკსებული გამოცემა  
ფასი 1 მან. 50 კაპ.

---

თავადი რ. დ. მრისთავის

სრულ თხზულებათა ჰირველი ტომი  
დექსები, ჰოქები და იგაგ-აწაგები—400 გვ., ფაქსამილე  
და სურათი  
ფასი ერთი მანეთი

---

მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო  
ისტორიული მონოგრაფია

ნ. ურბნელისა

ფასი ორი აბაჯი

---

სამართველუ და მისი წარსული დრო

პეტტოსა

ფასი ორი აბაჯი

---

ბეჭდება და ამ ცოტა სანში გამოვა ცალკე წიგნად

## ღვინის დაყენება

თხზულება პროფესორის ვ. პეტრანაშვილისა

---